

ცერიტ კალამები

ამერიკის შევერთებული შტატების
ახალი ისტორიის შესწავლა
საქართველოში



გამოსცემულია არტენუჯი
თბილისი 2015

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გააშუქოს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლის გარკვეული ტრადიცია ყალიბდება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავის მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და ამერიკის ახალი ისტორიის პრობლემებით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის.

რედაქტორი

პროფ. ვასილ კაჭარავა

რეცეზიენტები

პროფ. გივი ბოლოთაშვილი

პროფ. ელენე მეძმარიაშვილი

ISBN 978-9941-463-15-0

© მერაბ კალანდაძე, 2015.

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2015.

კუძღვნი დედის ნათელ ხსოვნას

შესავალი

ქართული ამერიკანისტიკა, ცხადია, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ამერიკის შესწავლას. ქართული ამერიკანისტიკა ფართო მცნებაა და ის მრავალ დარგს მოიცავს. ჩვენ შევეხებით მის მხოლოდ ერთ სეგმენტს. ამერიკის ისტორიის შესწავლას საქართველოში. კონკრეტულად კი, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხით დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ და მნიშვნელოვანნილად იმითაა განპირობებული, რომ აღნიშნული პრობლემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ გამხდარა სპეციალური განსჯის საგანი და სრულიად შეუსწავლელია. ამიტომ მიზანშენონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და ამ თემაზე საგანგებოდ ყურადღება გაგვემახვილებინა. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და წარმოდგენას შეგვიქმნის ისტორიოგრაფიები არსებულ საერთო სურათზე. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში და რა არის გასაკეთებელი. ერთი სიტყვით, საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

პირველ ყოვლისა, პრინციპული მნიშვნელობა აქვს შევიმუშაოთ ამ მემკვიდრეობის შეფასების კრიტერიუმი. რა ღირებულება გააჩნია ამ მასალას? ეს პრინციპული საკითხია. სწორი კრიტერიუმის მოძიება დაგვეხმარება აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ მემკვიდრეობის აპოლოგეტური შეფასება ან მიწასთან გასწორება, განქიქება, სწორი არ იქნებოდა. ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია. საჭიროა გამოვძებნოთ საშუალებო გზა, ოქროს შუაგული, რომელიც საშუალებას მოგვცემს კარგად გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი.

პირველ ყოვლისა, საინტერესოა, თუ რა მიზნებს ისახავდა ამ შემთხვევაში ქართული ისტორიოგრაფია. ამის გამორკვევას აქვს მნიშვნელობა და ძალიან დაგვეხმარება სწორი კრიტერიუმის შემუშავების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფია სასურველისა და შესაძლებლის დილემის წინაშე აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, სასურველი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემების მეცნიერული შესწავლა, კვლევა-ძიება, მაგრამ ეს მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ცენტრალური საკითხების პოპულარიზაციას წინ არაფერი აღარ ედგა. ამიტომ არჩევანი სასურველსა და შესაძლებელს შორს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა. ეს იყო საკითხისადმი სწორი მიღვომა. ზედმეტი ამბიციები უადგილოა. ის მნირი ინფორმაცია, რომელიც აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებზე ქართულ ენაზე გაგვაჩნია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგრამ საინტერესოა და მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნება. საკითხისადმი რეალისტური, წმინდა პრაგმატული დამოკიდებულება ქართული ამერიკანისტიკის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამიტომ ამ მემკვიდრეობისადმი მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმებით მიდგომა, თუ რა მოგვცეს მათ ახალი ევროპულ-ამერიკულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით, ზედმეტია და მეტად სწორხაზოვანია. ასეთ მაღალ მიზნებს ქართული ამერიკანისტიკა არ ისახავდა. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. ის ითვალისწინებდა ამერიკის ახალი ისტორიის პოპულარიზაციას. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს იყო. ვფიქრობთ, ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ამ

მემკვიდრეობის მნიშვნელობას და მისი მთავარი ღირსება მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობს.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ორი ამოცანა იდგა. პირველი. მას პირობით პროგრამა მინიმუმი შეიძლება ვუწოდოთ და აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. მეორე. პროგრამა მაქსიმუმი ითვალისწინებდა ამ საკითხის მეცნიერულ კვლევას. შეიძლება ითქვას, რომ პირველ ამოცანას, პროგრამა მინიმუმს, რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და აღნიშნული თემატიკის პოპულარიზაციაზე აკეთებდა აქცენტს, ქართულმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი. პროგრამა მინიმუმი შესრულდა. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. რაც შეეხება მეორე საკითხს, პროგრამა მაქსიმუმს, ამ პრობლემის მეცნიერულ კვლევას, ის მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ცოტათი მოიკოჭლებს.

ამრიგად, ქართულმა ამერიკანისტიკამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წამოეწია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის მეცნიერული სწავლება, შესწავლა და პოპულარიზაცია. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა, უპირატესად, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და, ძირითადად ასახვა პპოვა არა საკვლევო ლიტერატურაში, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იყო, არამედ სახელმძღვანელოებში. ეს არ აკნინებს მის მნიშვნელობას და მას, პირველ ყოვლისა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.

დასასრულს მოკლედ შევეხებით წიგნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ის შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიას. მოიცავს მონაკვეთს XV საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. კონკრეტულად 1492 წელს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1914 წლამდე. აյ ყურადღებას გავამახვილებთ ერთ გარემოებაზე: სად გადის მიჯნა ამერიკის ახალ და უახლეს

ისტორიას შორის. საკითხი არის საინტერესო და რთული. მას ახასიათებს ერთი თავისებურება – მოძრავია. ის, რაც დღეს უახლესი ისტორიაა, ხვალ შეიძლება ახალი ისტორიის კუთვნილება გახდეს. დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორია დაგვეწყო XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისით, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებულმა სისტემამ არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა კავშირი დაიშალა, გერმანია გაერთიანდა, ხოლო XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია პირობით შეიძლება დავითყოთ 1914 წელს გაჩაღებული პირველი მსოფლიო ომით. უფრო ზუსტად 1917 წელს აშშ-ს ჩაბმით პირველ მსოფლიო ომში. ჩვენს წიგნში არც XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების და არც უახლესი ისტორიის შესწავლას საქართველოში არ შევეხებით. ეს განხილვის ცალკე თემაა. ეს ამ პრობლემის გაგრძელება იქნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ სპეციალისტები უყურადღებოდ არ დატოვებენ ამ თემას და საგანგებოდ შეისწავლიან აღნიშნულ საკითხს. ეს საშუალებას მოგცემს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი შევასოთ. ეს ამ ნაშრომის მეორე ნაწილი იქნება.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო მეორე მონაკვეთში კი შევეხებით ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში ცალკეული ქართველი ისტორიკოსების წვლილს. პირველ მონაკვეთში ეს თემა ზოგადადაა განხილული, ხოლო მეორეში ის კონკრეტულადაა გაშუქებული.

ჩვენ წლების განმავლობაში ვაგროვებდით მასალას ამ პრობლემაზე და მკითხველს ვაცნობდით ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებსა და ცალკეულ თემებზე პუბლიკაციების სახით. ახლა მთელ ამ ინფორმაციას ერთად მოვუყარეთ თავი. როგორ შევძლით, ეს ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს.

კარი პირველი

ამარიყის შემთხვეული მტაცების
ახალი ისტორიის საკითხები ქართულ
ისტორიოგრაფიაში

თავი I

საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის შესრულების ძირითალი ეფაზები

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესების, პოპულარიზაციის გარკვეული ტრადიცია არსებობს. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ რა სახეცვლილება განიცადა და რა ძირითადი ეტაპები განვლო. ამ თემაზე სიტყვის თქმას, უმთავრესად, ის გარემოება გვაძელდინებს, რომ აღნიშნული საკითხი ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა საგანგებო მსჯელობის საგანი და ამიტომ მიზანშენონილად მივიჩნიეთ მასზე შეწერება.

ამჯერად ჩვენ წამოვჭრით ორ საკითხს და შეძლებისდაგვარად შევცდებით მათ ახლებურად გადაწყვეტას. პირველი: როდის იჩინა თავი საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა. მეორე: ეს დაინტერესება ატარებდა სწორხაზოვან ხასიათს და იყო ერთფეროვანი, ერთგვაროვანი. ორივე საკითხი არის საინტერესო და აქტუალური და მათ სწორად გადაჭრას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია. მისი ობიექტურად გადაწყვეტა მოგვცემს საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, აშშ-ს ახალი ისტორიის შესწავლის სწორ საერთო სურათს, რომელიც,

უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით გამრუდებული იქნა. ეს იმით გამოიხატა, რომ ისინი ამ საქმეში 1918-1921წლებში დამოუკიდებელი საქართველოს როლზე კრინცს არ ძრავდნენ და ირნმუნებოდნენ, თითქოსდა ამ ეპოქის საქართველოში ამ დარგში პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. რეალობა კი სულ სხვაგვარადაა. აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ საინტერესო ევოლუცია განიცადა და სულაც არ ატარებდა ერთგვაროვან ხასიათს. ეს გახლავთ სინამდვილის აღდგენის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. (1).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აშშ-ს უახლესი ისტორიის პრობლემებით დაინტერესება დომინირებს. ცხადია, ეს ძალიან კარგია და ადვილი გასაგებია. რა თქმა უნდა, აშშ-ს უახლესი ისტორიის პრობლემები გაცილებით უფრო აქტუალურია, ვიდრე ახალი ისტორიის საკითხები, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, არ ამართლებს აშშ-ს ახალი ისტორიის პრობლემებისადმი ქართველი ისტორიკოსების გულგრილ დამოკიდებულებას. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ დღემდე არ გვყავს აშშ-ს ახალი ისტორიის სპეციალისტი – ამერიკანისტი. (2).

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა უმთავრესად სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და ძირითადად ასახვა ჰქოვა სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებში... ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ამ მემკვიდრეობის მნიშვნელობას, მის ღირებულებას მისი შემეცნებითი დატვირთვა განაპირობებს. ამ კულტურტრეგერულ მისიას ქართულმა ამერიკანისტიკამ, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვათავი. აი ეს იყო, სწორედ, მთავარი.

საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებით დაინტერესებამ, პოპულარიზაციამ, გარკვეული ევოლუცია განიცადა და პირობით რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. ამ დაინტერესების საკვანძო მომენტებად შემდგომი გარემოებები უნდა მივიჩნიოთ.

* * *

ათვლის წერტილად უნდა ავიღოთ მე-19 საუკუნის 60-იანი წლები, როდესაც საქართველოში გაჩნდა პერიოდული პრესა, ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლის ფურცლებზე შუქ-დებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, აშშ-ს ახალი ისტორიის აქტუალური საკითხები. (3). გაჩნდა პირველი ინფორმაცია აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებზე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ქართული პრესის დაინტერესება 1861-1865 წლებში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამოქალაქო ომის ისტორიით. ასეთი ოპერატიული გამოხმაურება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ამ თემის თანადროულობით, აქტუალურობით, გახლდათ განპირობებული. (4). ფაქტობრივად, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესება. მას შემცნებითი მნიშვნელობა გააჩნდა და, უმთავრესად, ამ ეპოქის აშშ-ს ისტორიის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ეს პერიოდი 1918 წლამდე გრძელდება და პირობით საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესების პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

ეს პერიოდი, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდაპერიოდიზაცია, რომლის შინაარსსაც, მნიშვნელოვანწილად, განსაზღვრავს აშშ-ს ახალი ისტორიის პრობლემებით დაინტერესების ინტენსიონიბა. აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაცია ფართოდ შლის ფრთხებს. პირველი პერიოდის შიგნით მნიშვნელოვან მიჯნად უნდა ჩანდეს XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურული, როდესაც ჩამოყალიბდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან ქართულ პერიოდულ პრესას გვერდშიამოუდგაწერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს იმ პერიოდის ქართული სინამდვილის ფონზე წინგადადგმულ

ნაბიჯს წარმოადგენდა. აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო და პრესის ფურცლებიდან თარგმნილ ბროშურებსა და ლიტერატურაში გადაინაცვლა. აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციის არეალი ფართოვდება.

ამ პერიოდის შიგნით კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება XX საუკუნის დასაწყისი, კონკრეტულად კი, 1905 წლის რევოლუცია. საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა. ეს არ იყო შემთხვევითი და მჭიდროდ უკავშირდება 1905 წლის რევოლუციას. ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა რევოლუციური მოძრაობა. დიდი ყურადღება ექცევა სოციალურ პრობლემატიკას. ეროვნულმა თემატიკამ თანდათან უკანა პლანზე გადაინაცვლა. აშშ-ს ახალი ისტორიის პრობლემები სწორედ ამ კუთხით შუქდებოდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს მონაცემი პირველი პერიოდის შიგნით, კიდევ ერთ ქვეპერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამრიგად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის პირველი პერიოდი პირობით სამ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს. ამ პერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა ჩანს XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლო, კონკრეტულად „ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება. ამან სტიმული მისცა აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებას და ის უფრო ინტენსიური გახდა. ქართულ პერიოდულ პრესას გვერდში ამოუდგა „ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციის არეალი გაფართოვდა. ამ პერიოდის შიგნით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიჯნა ჩანს, XX საუკუნის დასაწყისი, კონკრეტულად კი 1905 წლის რევოლუცია. საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა და სოციალური თემატიკა დომინირებდა ეროვნულზე. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო.

როგორ შეიძლება შევაფასოთ ეს პერიოდი? საკითხი არის პრინციპული და აქტუალური. ამ პუბლიკაციების შეუფასებლობა სწორი არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე ობიექტურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ პერიოდის ქართული პუბლიცისტიკის წინაშე საკმაოდ მოკრძალებული ამოცანა იდგა და მას მკვეთრად გამოკვეთილი შემეცნებითი მუხტი გააჩნდა. ისინი ცდილობენ ქართველ მკითხველს სადაც, მარტივად მოუთხრონ ამერიკელი ხალხის ისტორია. ამ კულტურტრეგერულ მისიას, შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. საქართველოში საძირკველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციას, რომელიც, უმთავრესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო მორიგეობული და პუბლიცისტიკის, უურნალისტიკის, ჩარჩოებში თავსდებოდა. იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ქართული პუბლიცისტიკის, უურნალისტიკის, წარმატება გახლდათ.

მომდევნო მნიშვნელოვანი მიჯნა აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, რომელსაც საგულდაგულოდ უვლიდა გვერდს ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფო, ცხადია, 1918 წელს სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის დაარსება იყო. ისინი გვიმტკიცებდნენ, რომ ამ პერიოდში – 1918-1921 წლების საქართველოში, მათ შორის ამ დარგშიც, პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. სინამდვილე სულ სხვაგვარი გახლდათ. ფაქტობრივად, ეს იყო ქართულ რეალობაში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების მეორე პერიოდი, რომელიც, უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციამ საინტერასო მეტამორფოზი განიცადა და პუბლიცისტიკის, უურნალისტიკის, სფეროდან ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში ჰპოვა ასახვა. ეს იყო მნიშვნელოვანი სიახლე, რომელზეც თვალის დახუჭვა, როგორც

ამას აკეთებდა საბჭოთა კომუნისტური რეჟიმი, სწორი არ იქნება. აშშ-ს ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. (5. 6. 7. 8.).

საინტერესო ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხების განხილვის დროს დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. ეს იმით გამოიხატა, რომ აღნიშნული თემა ძირითადად მკვიდრდება სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც ჰაერივით ესაჭიროებოდა სუვერენულ რესპუბლიკას. სხვა შემთხვევაში, მსოფლიო ისტორიის სწავლება სკოლაში შეუძლებელი იქნებოდა. ეს სახელმძღვანელოები წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საფეხურს საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხების პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ამიტომ ამ მონაკვეთისათვის გვერდის ავლა, როგორც ამას საბჭოთა იდეოლოგია ჩადიოდა, გამართლებული არ იყო და საქართველოში ამ საკითხით დაინტერესების საერთო სურათზე გამრუდებულ წარმოდგენას გვიქმნიდა. ასეთი იყო პოლიტიკური წება.

რა შეიძლება ითქვას ამ სახელმძღვანელოებზე? დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მეაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსხავლეებს, აშშ-ს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. მთავარი სწორედ ეს იყო. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

1918-1921 წლებში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ საქართველოში სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე გახლდათ ორიენტირებული, რაც დამოუკიდებელ საქართველოში არსებული თავისუფალი აზროვნების ლოგიკური შედეგია. ისინი ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რესული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციებს მიყვებოდნენ. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის

ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. ცხადია, ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფის წარმატება იყო და ამის გვერდის ავლა, ნაყრუება, როგორც ამას საბჭოთა ხელისუფლება ჩადიოდა, სწორი არ უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, დღეს ეს სახელმძღვანელოები ისტორიკოსებისათვის წარმოადგენს იმ პერიოდის ისტორიული აზროვნების ნიმუშს, საინტერესო წყაროს, რომელსაც ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს და იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში, 1918-1921 წლებში, მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, აშშ-ს ახალი ისტორიის შესწავლის დროს სწორი გზით მიდიოდნენ და საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომაზე კეთდებოდა აქცენტი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ უმთავრესად თავისუფალ აზროვნებაზე და პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყვნენ ორიენტირებულნი, რომელსაც გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები. იქვეთება საკითხისადმი მეცნიერულად მიდგომის პირველი ნიშნები. ამ პერიოდის ისტორიული მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ აშშ-ს ახალი ისტორიის მეცნიერული სწავლების და პოპულარიზაციის აკვანი, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დამოუკიდებელ საქართველოში დაირნა.

იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, მათ მხოლოდ მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოახერხეს, მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და მისი შეუფასებლობა არ ივარგებდა. მთავარი, ჩვენი აზრით, ის იყო, რომ დასაბული იქნა დარგის განვითარების სწორი ვექტორი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საფიქრებელი იყო, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ქართული ისტორიოგრაფია სწორი

გზით წავიდოდა. ეს იყო ევროპული ორიენტირები, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. პირველ რიგში ეს იყო ორგანიზაციული პრობლემები, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელი იყო. ამას ესაჭიროებოდა დრო, რომელიც ძალიან მცირე იყო.

საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხან-მოკლე აღმოჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო სუვერენული საქართველოს რესპუბლიკა.

აქედან იწყება აღნიშნული საკითხის შესწავლის მექანიზმები. აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხების გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, აშშ-ს ახალი ისტორიის პო-პულარიზაციამ სულ სხვა ხასიათი მიიღო და ის წინ გადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გავრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ.

როგორ უნდა შევაფასოთ ეს მონაკვეთი? საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება ძნელია. ამ მემკვიდრეობისადმი აპოლოგეტური და-მოკიდებულება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა ისტორიოგ-რაფიაში, დღეს, ცხადია, მოძველებულია. ყავლი გაუვიდა და ეს იყო ერთი უკიდურესობა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიწასთან გასწორება ამუქებს საქმის ვითარებას. წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ. ეს მეორე უკიდურესობაა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხების შესწავლა მეცნიერულ ელფერს ინარჩუნებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგი იყო, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. არჩევანი არ არსებობდა. თავისუფალი აზროვნება მკვეთრად შეიზღუდა. განსხვავებული აზრი იდევნებოდა. ისტორიას არ ხელენიფება საბოლოო ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის

ტოლფასი იქნებოდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. თანდათანობით კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო.

ამერიკის ახალი ისტორიის საკითხების მარქსისტული გაშუქების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები. (9). დღეს ეს სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები, ცხადია, ღიმილს იწვევს და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს, მაგრამ მოდით საკითხს სულ სხვა კუთხით შევხედოთ. ყველაფერი ეს არის საუკეთესო მაგალითი იმის თუ როგორ ახვევს თავს სახელმწიფო მეცნიერს მისთვის სასურველ იდეოლოგიას. უზღუდავს მეცნიერს თავისუფალ აზროვნებას. აქ ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე მეცნიერს, არამედ სისტემას, რომელიც არ აძლევს მეცნიერს არჩევანის უფლებას. თავისუფალი არჩევანის გარეშე ისტორიული მეცნიერების წინსვლა წარმოუდგენელი იქნებოდა.

ქართველი ისტორიკოსები მეცნიერულად ამუშავებდნენ აშშ-ს ახალი ისტორიის აქტუალურ საკითხებს და მას მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებდნენ. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა უმართებულოდ მიგვაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მნირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებზე ქართულ ენაზე გაგვაჩნია. წმინდა ემპირიის, ფაქტოგრაფიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის გვერდის ავლა სწორი არ იქნება, მაგრამ კონცეპტუალურად ამ გზას, ჩიხში შევყავართ. ის კარგად გამოხატავდა ერთი ისტორული სკოლის მოთხოვნებს და სულაც არ წარმოადგენდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას, როგორც ამას გვიმტკიცებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა.

ახალი მკვეთრი სახეცვლილება ხდება 90-იანი წლების დასაწყისში და კვლავ პოლიტიკურ კატაკლიზმებს უკავშირდება. 1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი. ერთი

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას წერტილი დაესვა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ შვებით ამოისუნთქა. მან სუვერენობა დაიბრუნა. ახლა მას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. ეს თვისებრივი სიახლე იყო. ფაქტობრივად, აქედან იწყება საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის თემატიკით დაინტერესების ახალი მეოთხე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ეს გახდავთ აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხების პოპულარიზაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ მან, უმთავრესად ასახვა პოვა სასწავლო ლიტერატურაში, სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. კვლავ პრიორიტეტული რჩება საკითხის პოპულარიზაცია, მაგრამ ამჯერად აქცენტის დასმა სულ სხვაგვარი იყო, რომელიც ამ ეპოქის აშშ-ს ისტორიის მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან განმენდას ისახავდა მიზნად. ეს კიდევ ერთი შემობრუნება იყო, რომელსაც გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ეს სახელმძღვანელოები აღნიშნული პრობლემის შესწავლის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად გვევლინება. მათი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობს. (10. 11. 12.).

მისასალმებელია აშშ-ის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხისადმი ინტერესის გამოღვიძება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ უმთავრესად მაინც დამოუკიდებლობისადმი ბრძოლის წყაროების პუბლიკაციით განისაზღვრება და სხვა თემებს არ შეეხება. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ ვერ მოხერხდა ახალი ისტორიის ქრესტომათიის მეორე ნაწილის გამოცემა. ეს შეძლებისდაგვარად შეავსებდა ამ ხარვეზს. ამ სიცარიელეს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანნილად ავსებს სულ ახლახანს ქართულ ენაზე გამოცემული საინტერესო წიგნი, „პატრიოტთა ისტორიის მასალები“ რომელიც, ფაქტობრივად, აშშ-ს ისტორიის ქრესტომათიად გვევლინება. (13).

მისასალმებელია ისტორიკოსთა ახალი თაობის დაინტერესება აშშ-ს ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებით. დაინტერა რამდენიმე საინტერესო სამაგისტრო ნაშრომი, რომლის გამოქვეყნება, მცირე კორექტირების შემდეგ, აღბათ, მიზანშენობილი იქნებოდა.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია. პირველ ყოვლისა, მიზანშენონილად მიგვაჩნია დაინტეროს ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ტიპის ისტორიის სახელმძღვანელო. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს ამ სახელმძღვანელოზე მუშაობა. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ის ვაკუუმი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საკითხში.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი პროგრამა მინიმუმი წარმატებით შეასრულა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაენია საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის მეცნიერული სწავლება, პოპულარიზაცია, შესწავლა.

* * *

ამრიგად, საბჭოური მიდგომის აქილევსის ქუსლად, აღნიშული პრობლემის შესწავლის საქმეში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის სრული იგნორირება გვევლინება. ჩვენ შევეცადეთ, გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ამას პრიციპული მნიშვნელობა აქვს: პირველი – ამ მონაკვეთს დავუპრუნეთ არსებობის უფლება. დავაზუსტეთ საკითხის პერიოდიზაცია. მეორე – ამან საშუალება მოგვცა აღგვედგინა საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, აშშ-ს ახალი ისტორიის, შესწავლის საერთო სურათი. გავათავისუფლეთ ის პოლიტიკური და იდეოლოგიური კლიშეებისაგან. დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული

სასკოლო სახელმძღვანელოები საშუალებას გვაძლევს გავა-ბათილოთ მთელი რიგი საბჭოური წარმოდგენები. ჩვენი აზრით, მთავარი ის უნდა იყოს, რომ მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, აშშ-ს ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში დამოუკიდებელ საქართველოში სწორი კურსი ჰქონიდათ აღებული და მეცნიერული გზით მიდიოდნენ, რომელსაც გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. აღსანიშნავია, რომ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, მათ მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოახერხეს და მეტი ვეღარ მოასწრეს.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ 1. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლის პირველმა სერიოზულმა მცდელობამ თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდა საბჭოთა იდეოლოგია, არამედ გაცილებით უფრო ადრე, დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ამის ნათელი ილუსტრაციაა. 2. კორექტივების შეტანას საჭიროებს საკითხის პერიოდიზაცია. მის მთავარ ამოსავალ წერტილად დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რენიმაცია გვევლინება. ფაქტობრივად, ეს იყო საქართველოში ამ პრობლემით დაინტერესების მეორე პერიოდი, რომელიც, საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, თითქოსდა გაქრა, გაუჩინარდა, მივიწყების მტვერმა დაფარა. ასეთი იყო პოლიტიკური წება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. 3. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორსაზოვან, ერთფეროვან ხასიათს, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა იდეოლოგია. მან საინტერესო მეტამორფოზი განიცადა თავისუფალი აზროვნებიდან, ლიბერალური ლირე-

ბულებებიდან მარქსიზმ-ლენინიზმისკენ და მარქსიზმ-ლენინიზმიდან კვლავ ლიბერალური ლირებულებებისა და თავისუფალი აზროვნებისაკენ. 4. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესების პიკს, კულმინაციას, წარმოადგენს, არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ეპოქაში, არამედ საქართველოს სუვერენული რესპუბლიკა. როდესაც ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, აშშ-ს ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში სწორი გზით მიღიოდა და აქცენტს მეცნიერულ ლირებულებებზე აკეთებდა, ეს ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი იყო. სამწუხაოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ექსტრემალურ ვითარებაში მხოლოდ მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოასწრეს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ეს არ იყო პატარა საქმე და ამის შეუფასებლობა არ ივარგებს.

შემდგომში, უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მისი განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. აი ასეთია ის რეალობა, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში ქართული საზოგადოების თვალსანიერს მიღმა რჩებოდა. ამგვარი მიდგომა გახლდათ ძალზე პოლიტიკურები, იდეოლოგიზმი და, ჩვენი აზრით, რაც ყველაზე მთავარია, არაპატრიოტული. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება.

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, საქართველოში აშშ-ის ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 11, თბ., 2012.
2. მ. კალანდაძე, „შეისწავლეთ ამერიკა – ახალი 7 დღე“, 24-30 იანვარი, 2003.
3. ვ. თვალავაძე, აშშ-ს ისტორიის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკაში, ამერიკის შესწავლის საკითხები, III. თბ., 2005.
4. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შესწავლა საქართველოში, ამერიკის შესწავლის საკითხები, V. თბ., 2008.
5. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, თბ., 1920.
6. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწ. 1. (XVI-XVII სს.), თბ., 1920. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწ. 2. (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
7. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
8. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3. ახალი საუკუნეები, თბ., 1920.
9. ა. ეფიმოვა, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1969. ახალი ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო. ა. ნაროჩიცევის რედაქციით, თბ., 1980. ახალი ისტორია. პროგრამა (სახელმწიფო უნივერსიტეტის და პედინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტებისათვის), თბ., 1953. ახალი ისტორიის კურსის პროგრამა, თბ., 1970.
10. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია (VIII კლასის სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, თბ., 2005.
11. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია (1640-1870), თბ., 2006.
12. დ. ლომსაძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, თბ., 1998.
13. ლ. შვაიკარტი, დ. დოქერტი, მ. ალენი, პატრიოტთა ისტორიის მასალები, თბ., 2014.

თავი II

ამერიკის ალმოჩენის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში

საბჭოთა ისტორიოგრაფია, რომელიც ემყარებოდა კლასობრივი ბრძოლისა და სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების პრინციპს, უგულებელყოფდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, როგორც მნიშვნელოვან ნიშანსვეტს შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის. ამგვარი მიდგომა არ შეესატყვისებოდა საერთაშორისო სტანდარტებს და, ევროპული ისტორიოგრაფიის მიერ, სავსებით სამართლიანად, არ იქნა გაზიარებული. ის ძალიან კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის მოთხოვნებს და სულაც არ წარმოადგენდა უკანასკნელ ჭეშმარიტებას, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია გვიმტკიცებდა.

ისტორიკოსთა უმრავლესობა, მათ შორის ჩვენც, შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორის შორის მიჯნად ასახელებს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. ეს იყო ერთ-ერთი სწორი მიდგომა. ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ძალიან მოკლედ გადავავლოთ თვალი საქართველოში ამერიკის აღმოჩენის შესწავლას, რომელსაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი განეკუთვნება.

აღნიშნული საკითხისადმი რეალისტური მიდგომა ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია, რაც იმით

გამოიხატება, რომ აქცენტი კეთდებოდა არა ამ პრობლემის მეცნიერულ კვლევაზე, რაც მთელ რიგ სირთულეებთან იყო და-კავშირებული, არამედ პოპულარიზაციაზე.

ეს მწირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგ-რამ საინტერესოა და მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს.

* * *

ჩვენ არ ვაპირებდით საკითხის პერიოდიზაციაზე შეჩერე-ბას, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე რეალისტური წარმოდგენა ვერ შეგვექმნება. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტ-ერესების პერიოდიზაცია ოდნავ განსხვავებულია. ამ საკითხით დაინტერესებამ საქართველოში გაცილებით უფრო გვიან მოხდა და ის იყოფა არა ოთხ, არამედ სამ პერიოდად. აი ეს არის მთა-ვარი განსხვავება.

1918 წლამდე აღნიშნული თემატიკით დაინტერესება საქარ-თველოში ნაკლებად შეინიშნება. ასეთი ინერტულობა, ვფიქ-რობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანილად იმით აიხსნება, რომ ეს იყო წმინდა აკადემიური თემა. საქართველო-ში ამ საკითხით დაინტერესება იწყება არა საქართველოს გა-საბჭოებით 1921 წელს, არამედ გაცილებით უფრო ადრე 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის დაარსებით.

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება ცნობილი ქართველი მწერლის რაფიელ ერისთავის მიერ შედგენი-ლი წიგნაკი „ქრისტეფორე კოლუმბი“. (1). წიგნის ავტორის წინაშე დგას მეტად მოკრძალებული ამოცანა და მას, პირველ ყოვლისა, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი.

1887 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა ცნობილი მწერლის, რაფიელ ერისთავის მიერ შედგენილი მცირე მოცულობის საყმანვილო წიგნაკი დიდ ზღვაოსანზე ქრისტეფორე კოლუმბზე. ამ წიგნაკმა თავისი წვლილი დაიდო საქართველოში მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საკითხში და ძალიან დაეხმარებოდა მოსწავლეებს და მასწავლებლებს ამ საკითხზე ცოდნის გაფართოების საქმეში.

წიგნში ძალიან მარტივად არის გადმოცემული კოლუმბის ბიოგრაფია, ცხოვრება და მოღვაწეობა. ის ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში მოწაფეებს, ქრისტეფორე კოლუმბის მიერ განვლილ გზაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. ეს მიამიტური, მარტივი მსჯელობა ფაქტოლოგიური მასალის ცოდნას ემყარება. წიგნაკი არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ გადმოცემას. ეს, ალბათ, უინტერესო იქნებოდა. ის შეძლებისდაგვარად ცდილობს ყურადღება გაამახვილოს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე.

ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ პატარა წიგნაკის ავტორის კონცეფცია. როგორია მისი დამოკიდებულება კოლუმბის მოღვაწეობისადმი. იგი ქრისტეფორე კოლუმბის მომხრეებს თუ მონინაალმდევეებს შორის უნდა მოვიაზროთ. რაფიელ ერისთავი კოლუმბისადმი სიმპათიებით უნდა იყოს განწყობილი და, შესაძლოა, ქრისტეფორე კოლუმბს, როგორც დიდ ზღვაოსანს განადიდებდა კიდეც, მაგრამ ქრისტეფორე კოლუმბის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს. ამიტომ რაფიელ ერისთავს ქრისტეფორე კოლუმბის მომხრეთა რიგებში უნდა მივუჩინოთ ადგილი.

ქრისტეფორე კოლუმბი დაიბადა 1436 წელს. „ცხოვრობდა გენუელი ფეიქარი გვარად კოლუმბი. 1436 წელს მას ეყოლა შვილი და სახელად დაარქვეს ქრისტეფორე“ (1. 3.). ის დარწმუნებული იყო, რომ დედამიწა მრგვალია და ასე ფიქრობდა: „ქვეყანა მრგვალია და არ იქნება, რომ მარტო ცოტადენი ხმელეთი იყო და დანარჩენი კი წყალი. არ იქნება, რომ ამ ოკეან ზღვაში რომ შევცუროთ და

დასავლეთისაკენ ვიარო, დედამიწას არ შევეყარო“ (1. 5.). მან ჯერ გენუას თხოვა დახმარება, მერე ინგლისს და კიდევ შემდეგ პორტუგალიას. (1. 5-6). მაგრამ მათი თანადგომა ვერ მოიპოვა. „ბოლოს, როგორც იქნა, დაიყაბულა ისპანიის ხელმწიფე ფერდინანდი და დედოფალი იზაბელა და სამი გემი მიანდეს ქრისტეფორეს თავისი 120 კაცით“ (1.6.).

რ. ერისთავის წიგნაქში დიდი ყურადღება ეთმობა კოლუმბის პირველ მოგზაურობას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მსჯელობის დადებით მომენტად გვევლინება. რ. ერისთავის წიგნაკის დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხს უჭირავს. რაც შეეხება კოლუმბის მეორე, მესამე და მეოთხე მოგზაურობას, მას გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცევა და შედარებით ცოტა ადგილი აქვს დათმობილი. მასზე საუბარია გაკვრით, სასხვათაშორისოდ, რაც, ფაქტობრივად, აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩინია. მითითებული არაა კოლუმბის მეორე, მესამე და მეოთხე მოგზაურობის თარიღი. ამის გაკეთება სასურველი იყო.

საუბარია კოლუმბის ბოლო დღეებზე. „კოლუმბმა თავი იმართლა, მაგრამ თავის დღეში არ დაჰვინყებია, რაც უპატიურობა და შეურაცყოფა მას მიაყენეს და როცა კვდებოდა ანდერძად დააგდო, რომ სამარები თან ჩაეტანებინათ ის ბორკილები, რომლითაც იყო დატუსალებული“ (1. 32.). „კოლუმბი გარდაიცვალა 1506 წლის 15 მაისს დიდ სიღარიბეში, დევნილი კაცთა სიბოროტით და უმადურობით. იმისი სხეული ანდერძისდაკვალად სან-დომინგოში გადაიტანეს და მას უკან... აქ ასაფლავია“. (1. 32.).

ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც ისტორიოგრაფიაში მიღებული და აღიარებული იყო, შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიამ კიდევ უზრო დააზუსტა. ასე მაგალითად, კოლუმბი დაიბადა არა 1436 წელს, როგორც დიდი ხნის მანძილზე ისწავლებოდა (2. 3.), არამედ გაცილებით უფრო გვიან, 1451 წელს. გვხვდება ფაქტობრივი უზუსტობაც, რაც კოლუმბისადმი სიმპათიებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. „დილით 12 ღვინობისთვეს

1492 წელს კოლუმბმა დაინახა ახალი ქვეყანა“ (1. 19). პირველად მინა დაინახა არა კოლუმბმა, არამედ როდერიგო ტრიანომ. რამდენი კაცი მონაწილეობდა კოლუმბის ექსპედიციაში: დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდნენ, რომ კოლუმბის ექსპედიციის მონაწილეთა რაოდენობა 120 მეზღვაურს ითვლიდა. ამ მოსაზრებას იზიარებს ქართველი ავტორიც. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლუმბის პირველ ექსპედიციაში 90 კაცი იღებდა მონაწილეობას. (4. 392. 5). საკითხი იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

ეს პატარა წიგნაკი სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს, იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის, კერძოდ, ამერიკის აღმოჩენის, პოპულარიზაციის საქმეში. ფაქტობრივად, ეს გულუბრყვილო მსჯელობა ქართულ რეალობაში ქრისტეფორე კოლუმბის ბიოგრაფიის შექმნის პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. მის მთავარ პლუსად მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მიგვაჩნია. ის ხელს შეუწყობს მოსწავლეებს და მასწავლებლებს კიდევ უფრო გაიმდიდრონ თავისი ცოდნა მსოფლიო ისტორიაში. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

კოლუმბის მომხრეებს შორის შეიძლება მოვიაზროთ ქართული ანარქიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი და აღიარებული თავკაცი ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ქრისტეფორე კოლუმბის სახელი, მართალია, მხოლოდ ერთხელ გვხვდება, მაგრამ მეტად აღმატებულ ხარისხში ახალი დროის გამოჩენილ ადამიანებს შორის. ეს კი, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს. მოუსმინოთ თვითონ ვარლამ ჩერქეზიშვილს, „რეფორმაციის ეპოქის დიდებულ ისტორიულმა

მოვლენებმა (ამერიკის აღმოჩენა, ბრძოლა ჰოლანდიის დამოუკიდებლობისათვის, მოძრაობა პუგენოტებისა საფრანგეთში და პურიტანებისა ინგლისში) არა ჩვეულებრივი გატაცებული მოძრაობა გამოიწვია ადამიანის მოღვაწეობის ყოველ სფეროში და მთელი ერთნახვარი საუკუნე (1490-1660) მაჯა მოქალაქეობრივი, გონიერივი და შემოქმედებით ცხოვრებისა სცემდა ისეთი ენერგიით, რომლის მზგავსს ჩვენ ვერ ვხედავთ საბერძნეთის აყვავების ხანიდან, ე. ი. ბერძენ-სპარსელთა ომიანობიდან დაწყებული მაკედონელების სამხედრო ბარბაროსობის გამარჯვებამდე. ზერელედაც, რომ გადაავლო თვალი ამ საკვირველ დროს, არ შეგიძლიათ არ განცვიფრდეთ დიდებულ ხასიათების, გაპედული გონიერისა და ნიჭის სიმრავლით. კოლუმბიდან დაწყებული და კრომველით გათავებული ამ ეპოქამ, როცა ასეთი დიდებული საზოგადოებრივი მოძრაობანი იყო და ამდენი სისხლი დაიღვარა სინდისის თავისუფლებისა და მუნიციპალურ და ეროვნულ უფლებათათვის, შეჰქმნა ადამიანის მოქმედების ყოველ დარგში უმაღლესი გენიოსები... ყველა ესენი ბუმბერაზები არიან ღრმად აღელვებულ საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ან აღმოცენებულნი“. [38:482] რა თქმა უნდა, ასეთი ზეანეული ტონი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კოლუმბისადმი ღრმა სიმპათითაა გაჯერებული. ვარლამ ჩერქეზიშვილი ქრისტეფორე კოლუმბზე საკმაოდ მაღალი აზრის ჩანს. შესაძლოა, ის ცოტათი შელამაზებულად ნარმოაჩენდა კოლუმბის მოღვაწეობას, მაგრამ ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ კოლუმბის მოღვაწეობის დადგებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, მისაღებია და ამ საკითხზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება.

* * *

ქართველი მწერლის რაფიელ ერისთავის მიერ შედგენილმა მცირე მოცულობის წიგნაკმა ცნობილ ზღვაოსან ქრისტეფორე კოლუმბზე ქართულ რეალობაში ამერიკის აღმოჩენის ისტორიით დაინტერესების უვერტურად გაიჟღერა, მაგრამ ეს ძალიან ცოტა იყო და, ალბათ, სწორი არ იქნებოდა ეს მონაკვეთი 1918 წლამდე აღნიშნული პრობლემით დაინტერესების უვერტურად, შესავლად, წინასიტორიად მივიჩნიოთ. (6. 324). ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს.

საქართველოში ამერიკის აღმოჩენით დაინტერესების ათვ-ლის წერტილად ალებული უნდა იქნას 1918 წელი, როდესაც დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით დაარსდა თბილისის სახელმ-ნიფო უნივერსიტეტი და საქართველომ აღიდგინა დამოუკიდე-ბლობა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სუვერენულ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სას-კოლო სახელმძღვანელოები.

დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორი-ის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების მთავარ ღირსებად, ამერიკის აღმოჩენის საკითხისადმი, პლურალისტუ-ლი, მრავალვარიანტული მიდგომა, მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ ყოფილა და ის, პირველ ყოვლისა, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში არსებული თავი-სუფალი აზროვნების ლოგიკური შედეგი იყო.

სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ ამ აზრთა სხვადასხვაობამ ყველაზე უფრო მკაფიოდ, რელიეფურად, მსოფ-ლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში იჩინა თავი. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ადგილის და ისტორიული მნიშვნე-ლობის განსაზღვრის დროს.

სახელმძღვანელოს ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნა არის დიდი გეოგ-

რაფიული აღმოჩენები. ეს თვალსაზრისი არის გატარებული ალ. წერეთლის და თ. ჭუმბურიძის სახელმძღვანელოში. (7.8.). ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამენ დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ს. ავალიანი, ა. ვულფიუსი. (9. 10.11.). ისინი უფრო იმ აზრისაკენ იხრებიან, რომ შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის ნიშანსვეტად აღებული იქნას რენესანსი და რეფორმაცია. ამგვარი მიღვომა სავსებით პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს და ქართული სახელმძღვანელოების მთავარ ღირსებად მიგვაჩინია. პირადად ჩვენთვის გაცილებით უფრო მისაღები ჩანს და რეალობასთან ახლოა პირველი მიღვომა, ვიდრე მეორე. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ აქ კამათი არ ატარებს პრინციპულ ხასიათს და მხოლოდ დეტალებს შეეხება. შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად იღებენ XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისს. ერთ შემთხვევაში ეს არის დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, მეორე შემთხვევაში კი, რენესანსი და რეფორმაცია. აქ პრიორიტეტი ენიჭება იდეების განვითარებას. ეს იყო საკითხისადმი სწორი მიღვომა.

„ახალ ისტორიას XV საუკუნის გასულიდან იწყებენ. წელი ამერიკის აღმოჩენისა (1492) ბევრს იმ მომენტად მიაჩინია, საიდანაც კაცობრიობის ცხოვრების ისტორიაში ახალი ხანა იწყება...“

მართლაც ამერიკის აღმოჩენა და საერთოდ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები – ღრმა მნიშვნელობის მოვლენაა.

ამ აღმოჩენებს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მან დაასრულა ის სამეურნეო განვითარების პროცესი, რომელიც ეპროცესის ქვეყნებში ორი საუკუნით ადრე დაიწყო და სრული სამეურნეო გადატრიალება მოახდინა, რასაც ცხოვრების სხვადასხვა მხრის შეცვლა მოყვა.

ახალი ქვეყნების აღმოჩენამ სავსებით შეცვალა ევროპელთა წარმოდგენა მსოფლიოზე.

ასე რომ, ამ მნიშვნელოვანი მოვლენიდან ახალი ისტორიის დაწყება არ არის მოკლებული ერთგვარ საფუძველს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ XV საუკუნის გასულს ისპობა ყვე-

ლაფერი ის, რითაც საშუალო საუკუნეების ევროპა ცხოვრობდა. ამ მხრით, რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ XV საუკუნის გასული ე. ი. დრო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა, გაუვალ საზღვრად მივიჩნიოთ საშუალო საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის. პირიქით, ის მოვლენები, რომლებიც წარმოშობით საშუალო საუკუნეებს ეკუთვნიან, განაგრძობენ თავის არსებობას ახალ ისტორიაშიც. ფეოდალური წყობილების ნაშთებმა საფრანგეთში დიდ რევოლუციამდე მოატანეს, ხოლო ევროპის დანარჩენ კუთხებში, კიდევ უფრო გვიან მოისპენ.

პირიქით, ის მოვლენები, რომლებიც ახალი ისტორიის დამახასიათებელ მოვლენებად ითვლებიან, მაგ. ფულის მეურნეობა, ქალაქური ცხოვრების განვითარება, ახალი ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, XV საუკუნეზე უფრო ადრე წარმოიშვნენ ევროპის ცხოვრებაში“. (8. 1-2).

ამ ვრცელ ამონარიდზე შემთხვევით არ შევჩერებულვართ. აქ, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს აქცენტების სწორი დასმა, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ეს არაა არავითარი „გარდამავალი პერიოდი“. ეს არაა არც „გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო“ ერთდროულად. ეს არის ახალი ისტორია, რომლისთვისაც განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე დამახასიათებელი იყო ძველი და ახალი სტრუქტურების ურთიერთობა, მაგრამ როგორც ხაზგასმულია სახელმძღვანელოში, ეს უკვე აღარაა შუა საუკუნეები. ეს ახალი დროა. ეს არის სწორი მიდგომა.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების განხილვის დროს სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, საუბარია კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, ამ თემაზე მცირე ინფორმაციას მიაწვდის. ამას, ცხადია, თავისი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ეს იყო იმ ვაკუუმის შევსების მოკრძალებული მცდელობა, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. ფაქტობრივად, ქართულ ენაზე არაფერი არ იყო დაწერილი. ეს წინგადადგმული ნაბიჯი

იყო და უპირველეს ყოვლისა ამ სახელმძღვანელოების ღირებულ მხარედ გვევლინება. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიული მნიშვნელობა. „ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი სავაჭრო გზების გახსნას და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ევროპისათვის. ამან სავსებით შეცვალა წინანდელი მეურნეობა და ახალ სამეურნეო ცხოვრებას, ფულის მეურნეობას გაუხსნა გზა. ამ ახალი სამეურნეო ცხოვრების წიაღიდან წარმოიშვა ახალი კულტურა, ახალი განათლება“ (8. 10).

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მასალის უფრო კომპაქტურად დალაგება, სადაც აქცენტი გაკეთდებოდა ძირითადზე, მთავარზე. 1492 წელს ქრისტიფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე. 1498 წელს ვასკო და გამას მიერ ინდოეთის გზის აღმოჩენაზე და 1519-1521 წლებში ფერნანდო მაგელანის მიერ დედამინის გარშემო მოგზაურობაზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სახელმძღვანელოს ავტორებმა ვერ გამოძებნეს ისტორიული ფონის და კონკრეტული ისტორიული მასალის გადმოცემის ოპტიმალური ვარიანტი. ისტორიულმა ფონმა ხომ არ დაჩრდილა კონკრეტული ისტორიული თხრობა? მთავარი ხომ არ ჩაიკარგა დეტალებში? (7. 8. 9. 10).

სულ სხვაგვარი მიდგომა გვხვდება დ. უზნაძის და ი. გველე-სიანის, ს. ავალიანის და ა. ვულფიუსის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. რა თქმა უნდა, ეს არ არის შემთხვევითი და მნიშვნელოვანილიად იმით აიხსნება, რომ მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში სრულიად განსხვავებული პოზიცია უჭირავთ. მათ შუა საუკნეებსა და ახალ დროს შორის მიჯნად ესახებათ არა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, არამედ რენესანსი და რეფორმაცია. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ისინი ისტორიაში ახალი იდეების აღმოცენებას უფრო ანიჭებდნენ უპირატესობას. ეს არის ერთ-ერთი სწორი მიდგომა, რომელ-საც ძალიან ბევრი მომხრეები ჰყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს. ასე მაგალითად, ს. ავალიანის წიგნში ეს საკითხი განხილულია რეფორმაციასთან ერთად (10), ხოლო ა. ვულფიუსის სახელმძ-

ღვანელოში კი მოთავსებულია მონაკვეთში აღმოჩენები და გამოგონებები. (11). უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ მიდგომას გაცილებით უფრო ახლოს მივყავართ ისტორიულ რეალიებთან, ვიდრე პირველს. აქ კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე მეტად მცირე მასალაა, რაც მნიშვნელოვანნილად იმით აიხსნება, რომ სხვა თემებმა გადაფარა მთავარი პრობლემა. აღბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ამ პრობლემის ცალკე გამოყოფა და განხილვა. შეიძლებოდა ეს გაკეთებულიყო რენესანსის და რეფორმაციის შემდეგ. (10. 77-78. 11).

ცოტა სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში. აქ საუბარი არის კოლუმბის ბიოგრაფიაზე. მის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე 1492 წელს „კოლუმბი მუდამ დარწმუნებული იყო, რომ მართლა ახალი გზა გაიკვლია აზიისაკენ, ნამდვილად კი ახალი ქვეყანა, ამერიკა აღმოაჩინა. ქვეყანა, რომელმაც ახალ ისტორიაში შესანიშნავი როლი შეასრულა“. (9. 36). ესპანეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ კოლუმბის ექსპედიცია სარტიანი საქმე იქნებოდა და უზარმაზარ მატერიალურ მოგებას მოუტანდა. რეალობა სულ სხვა იყო. „ისპანიის მთავრობა უკმაყოფილო იყო, რომ მდიდარისა და განათლებული ჩინეთისა და ინდოეთის მაგიერ, წითელკანიანი ველურებით დასახლებულს პირველყოფილ ადგილებს წააწყდა. მესამე ექსპედიციის შემდეგ კოლუმბი ბორკილგაყრილი მიიყვანეს, მაგრამ მან, თუმცა დიდი ვაი-ვაგლაბით, თავის მართლება მოახერხა. მეოთხე ექსპედიციის შემდეგ კი უკვე სრულიად უყურადღებოდ დატოვეს. ასე რომ უკვდავი კოლუმბი სიღარიბეში და გაჭირვებაში გარდაიცვალა“ (9. 35-36).

ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და მასზე საუბარი გვექნება მაშინ, როდესაც განვიხილავთ დ. უზნაძის წვლილს აშშ-ს ახალი ისტორიის სწავლებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ამრიგად, დამოუკიდებელ საქართველოში, ამ თემით დაინტერესების თვალსაზრისით, რაღაც პოზიტიურის გაკეთება მაინც მოხერხდა, რაც პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ ამ

პრობლემის შესწავლამ საქართველოში სამეცნიერო-პოპულარული ელფერი შეიძინა და შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაეწიათ საქართველოში ამერიკის აღმოჩენის სწავლება და პოპულარიზაცია. ეს იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ უმთავრესად პოლიტიკური ქარტეხილების გამო მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოახერხეს. მარტო მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება შეძლეს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ეს არ იყო პატარა საქმე. ჩვენი აზრით, მთავარი ის იყო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ამერიკის ახალი ისტორიის, კერძოდ კი ამერიკის აღმოჩენის, შესწავლის საკითხში სწორი კურსი ჰქონდა არჩეული და მეცნიერული გზით მიდიოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ქართულ ისტორიოგრაფიაში ამერიკის აღმოჩენით დაინტერესებამ სულ სხვა ხასიათი მიიღო, რასაც, წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად ვერ მივიჩნევთ.

* * *

საქართველოს გასაბჭოებამ 1921 წლის 25 თებერვალს ლრმა კვალი დაამჩნია არა მარტო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ თავი იჩინა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ეს სავსებით ბუნებრივი იყო. ეს არის საქართველოში ამერიკის აღმოჩენის ისტორიით დაინტერესების მეორე პერიოდი. აღნიშნული საკითხის შესწავლა საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). თემა არის აქტუალური და საინტერესო.

საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამერიკის აღმოჩენით დაინტერესებამ მკვეთრად გამოკვეთილი მეცნიერული ელფერი შეიძინა და შეუქცევადი გახდა, მაგრამ მან ცალმხრივი

ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგი-ის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგის დიქტატი, მონოპოლია. საკითხისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა ცხადდებოდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული აზრი იგნორირებული იყო. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ის კონცეპტუალური ხასიათისაა.

თუ რაიმე წინსვლაზე, პროგრესზე შეიძლება საუბარი, ეს ემპირის, ფაქტოლოგის, სფეროში. ამის წაყრუება, დაუნახობა, სწორი არ იქნებოდა. ამერიკის აღმოჩენაზე საბჭოთა პერიოდის ქართველი მეცნიერების შრომებში თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, გამოყენებული წყაროები საინტერესოა, მას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია.

ეს მკვეთრი ფერისცვალება ყველაზე უფრო მეტად სწორედ პერიოდიზაციის საკითხში გამომჟღავნდა, რომელმაც კონცეპტუალური დატვირთვა შეიძინა. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ამერიკის აღმოჩენას ადგილს მიუჩენდა არა ახალ დროში, როგორც ეს იყო სუვერენულ საქართველოში, არა ამედ შუა საუკუნეების ისტორიაში. ყველაზე დიდი შეუსაბამობა სწორედ ამაში მდგომარეობდა. ამიტომ წმინდა კონცეპტუალური თვალსაზრისით რაიმე პროგრესზე, წინსვლაზე ლაპარაკი მართებული არ უნდა იყოს. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო.

ამერიკის აღმოჩენის პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა თარგმნილმა ლიტერატურამ, რომელიც შესამჩნევად გვეხმარება შევავსოთ ის ხარვეზი, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. ამიტომ თარგმნილი ლიტერატურისათვის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა იყოს.

უნინარესად უნდა აღვნიშნოთ ინგლისელი მეცნიერის ტ. ბრიჯესის წიგნი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ (12). ეს არაა უბრალო, ჩვეულებრივი თარგმანი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თარგმანისადმი შემოქმედებით მიდგომასთან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს წინასიტყვაობა და დამატება, სადაც წიგნის ქართულად მთარგმნელი ბ-ნ პ. ჭანიშვილი ცდილობს დააფიქსიროს თავისი პოზიცია ზოგიერთ პრინციპულ საკითხთან მიმართებაში.

„ამ დღეებში გამოვიდა რუსულ ენაზე ტ. ბრიჯესის წიგნი, რომელიც 1926 წელს ინგლისური გამოცემიდან გადმოუკეთებია და შეუცისია ი. ბარსკოვს. ჩვენ ამ წიგნიდან ავიღეთ მესამე, მეშვიდე და მერვე თავები, სადაც ლაპარაკია ნორმანებისა და კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე“ (12. 6.). ალბათ, უპრიანი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ნაშრომის ავტორზე ტ. ბრიჯესზე. ვინ იყო ის. ამას შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნდა და მკითხველს წარმოდგენას შეუქმნიდა ავტორის სპეციალობაზე.

„წელს შესრულდა 430 წელიწადი მას შემდეგ, რაც ქრისტეფორე კოლუმბმა ახალი ქვეყანა ამერიკა აღმოაჩინა. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საქმე სრულიად შემთხვევით მოხდა. კოლუმბი იკვლევდა პირდაპირ გზას ინდოეთისაკენ და ამერიკის ნაპირებს მიადგა. ის დარწმუნებული იყო, რომ ინდოეთში მივიდა და ინდოეთად მიიღო ეს ქვეყანა. ასე ეგონათ სხვებსაც. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაიგეს, რომ ეს სრულიად ახალი, ჯერ უცნობი ქვეყანა იყო და არა ინდოეთი“ (12. 5.)

ის ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით ეხება კოლუმბამდე აღმოჩენებს, პირველ რიგში კი, ნორმანების ექსპედიციას. „კიდევ მეტიც, მკითხველი დაინახავს, რომ ხუთი საუკუნით ადრე კოლუმბამდე ამერიკა აღმოუჩენიათ ნორმანებს და დიდხანს ცდილან მის კოლონიზაციას, მაგრამ უშედეგოდ. ამრიგად, კოლუმბს ამერიკა აღმოუჩენია მეორედ, რასაკვირველია, ნორმანებისაგან დამოუკიდებლად“ (12. 5-6). აქ ყურადღებას იპყრობს

ფაქტის სწორედ კონსტანტინება, მაგრამ ეტყობა, მას არ უცდია მისი ახსნა. ნორმანებმა ეს იმიტომ ვერ შეძლეს, რომ იმ პერიოდში ახალ ტერიტორიებზე მოთხოვნა არ იყო, ხოლო XV საუკუნის მიწურულს, კოლუმბის მოგზაურობის დროს, ასეთი მოთხოვნილება უკვე ჩნდება. კოლუმბის აღმოჩენის ფართო რეზონანსიც სწორედ ამით იყო განპირობებული. „მიუხედავად ყოველივე ამისა, ამერიკის აღმოჩენა მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლუმბის სახელთან, რადგან უშუალოდ მის მიერ აღმოჩენას მოჰყენა ამერიკის დაპყრობა და ევროპელთა დასახლება“ (12. 6.). რატომ? ამას ჰქონდა თავისი მიზეზი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

ხაზი უნდა გავუსვათ მისი მსჯელობის პოლემისტერ ტონს, რაც ამ საკითხის განხილვას ანალიტიკურ მუხტს სძენს. „გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრიჯესის ცნობების მიხედვით კოლუმბმა ამერიკას მიაღწია მესამე მოგზაურობის დროს 1498 წელს. რუსულ ჟურნალებში ვკითხულობთ, რომ ეს მოხდა 1497 წელს. ბროკპაუზის ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც, სწორედ 1497 წელს მიეწერება ამერიკის აღმოჩენა“ (13. 6.). ამ შემთხვევაში პატივცემულ მთარგმნელს, ეტყობა, რაღაც ლაფსუსი მოსდის. მისი არგუმენტები დამაჯერებელი არ ჩანს. ტ. ბრიჯესი უფრო სწორია. კოლუმბის მესამე ექსპედიცია დაიწყო 1498 წლის 30 მაისს. (13. 97-98).

საინტერესოდ მიგვაჩნია ნაშრომის დამატება, რომელსაც, ჩვენი აზრით, გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა გააჩნია, რაც უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ ის შეეცადა თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა ამერიკის აღმოჩენის საკითხის პოპულარიზაციის საქმეში.

ეს მსჯელობა მკვეთრად გამოკვეთილად პოლემისტურ ხასიათს ატარებს, ანალიტიკური მუხტი გააჩნია და ისტორიოგრაფიული დატვირთვა აქვს. კოლუმბის მოღვაწეობის შეფასების მცდელობას წარმოადგენს. ის ცდილობს დააფიქსიროს დიდი ზღვაოსანისადმი თავისი დამოკიდებულება. მისი ამ მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ქრისტეფორე კოლუმბი იყო მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი რთული და საინტერესო პიროვნება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ კოლუმბის მოღვაწეობის შეფასების დროს ისტორიკოსთა შორის ერთსულოვნება არ სუფევს და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სრულიად განსხვავებული, ურთიერთის საპირისპირო მოსაზრებები. ეს დავა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს და არ დასრულდება. XX საუკუნის ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით – „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

ერთნი უსაზღვროდ განადიდებენ და ხოტბას ასხამენ ქრისტეფორე კოლუმბს. მათი მთავარი ტონის მიმცემი ცნობილი ამერიკელი მწერალი ფენიმორ კუპერი და ამერიკელი საზღვაო ისტორიკოსი ს. მორისონია. ეს არის ერთი უკიდურესობა. არის მეორე უკიდურესობა. მისი მომხრები კოლუმბის სახელს აუგად იხსენიებენ და ათას ცოდვებში სდებენ ბრალს. ეს მეორე უკიდურესობაა. ჭეშმარიტება კი, როგორც წესი სადღაც შუაშია და მისი შეცნობა სულაც არ გახლავთ ადვილი საქმე (14. 387).

ჩვენი მთარგმნელი პ. ჭანიშვილი, სავარაუდოდ გეოგრაფიუნდა იყოს. სამწუხაროდ, ის თავის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდის. მთარგმნელი კოლუმბის მოშურნეებს გაუბრაზებიათ და მათთვის პასუხის გასაცემად შეიქმნა დამატება. მარიუს ანდრესთან პოლემიკა წიგნის დამატების მთავარი ლაიტმოტივია. „ეს წიგნი აწყობილი და გვერდებად შეკრული იყო, როცა თბილისში მოვიდა ახალი გამოკვლევა კოლუმბის შესახებ: „Разоблаченыиий Колумб“. წიგნის ავტორია ვინძე მარიუს ანდრე. რუსული თარგმანი გამოცემულია მოსკოვში „Зинф“-ის მიერ 1927 წელს“ (12. 44.).

მას არ მოსწონს ავტორის მკაცრი დამოკიდებულება კოლუმბისადმი. „ეს მეტისმეტად ტენდენციური გამოკვლევა მიმართულია კოლუმბის წინააღმდეგ. ავტორი ყოველნაირად ცდილობს გამოაშკარაოს და დაამციროს კოლუმბი, მაგრამ ამ მისწრაფებაში ააშკარავებს თავის საკუთარ ულოგიკობას და უსაფუძვლობას. პირდაპირ გაუგებარია, რამ გააბოროტა ასე კოლუმბზე თანამედროვე ადამიანი?“

ავტორი ამბობს, რომ კოლუმბი იყო უვიცი, არაფერი გაეგე-ბოდა ზღვაოსნობის და მისი მხრით ავანტურა იყო საზღვაო ექს-პედიციის სათავეში ჩადგომა. მას არ შეეძლო ზღვაზე გზის გა-კვლევა, აუარებელი შეცდომა ჩაიდინა, რასაც ბევრი მსხვერპლი მოჰყვა – ამავე დროს არ მალავს, რომ კოლუმბმა ერთ წელინადში შეისწავლა ლათინური და გატაცებით კითხულობდა და სწავლობდა საჭირო წიგნებს.

ანდრე ამტკიცებს, რომ კოლუმბი დიდი მატყუარა იყო. მან ოთხჯერ იმოგზაურა თავის აღმოჩენილ ქვეყნებში და არამც თუ დაპირებული ოქროს მთები არ მოუტანა ვაჭრებს, რომლებიც მან შეაცდინა და ფულები გააღებინა ამ საქმეზე, – ექსპედიციის ხარჯებიც ვერ დაფარაო...

ასეთი მტრული და აშკარად ტენდენციურია ანდრეს მიერ კოლუმბის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდებანი, რომელთა აქ ჩამოთვლას და გარჩევას აზრი არა აქვს.“ (12. 44-45). განმარტავს პინცონების ეპიზოდს, რომელზეც ამახვილებს ყურა-დღებას მარიუს ანდრე და ალნიშნავს, რომ კოლუმბის უძლურება იმით აიხსნებოდა, რომ ძმებ პინცონებს კოლუმბის ექსპედიციაში თანხა ჰქონდათ ჩადებული. მათი გამომწვევი მოქმედებაც სწორედ ამით იყო განპირობებული. (12. 45-46).

მოკლედ ეხება ამერიგო ვესპუჩის როლს და აფიქსირებს თავის პოზიციას. 1507 წელს გერმანელმა გეოგრაფმა ვალდზე მიულერმა ახლადაღმოჩენილ მიწებს ამერიგო ვესპუჩის საპატივცემულოდ ამერიკა დაარქვა. (12. 46-47). ის უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ამერიკა პირველად აღმოაჩინა არა ამერიგო ვესპუჩიმ, არამედ ქრისტეფორე კოლუმბმა. (12. 47). ვესპუჩისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. ერთნი მას ხოტბას ასხამენ და უსაშველოდ განადიდებენ და მას თვლიან უდიდეს ზღვაოსნად, ხოლო მეორენი მასზე მაღალი აზრის არ არიან და მასში უმ-თავრესად არარაობას ხედავენ. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ბ-ნ პ. ჭანიშვილი ამ მეორე ბანაკში შეიძლება იქნას მოაზრებული.

ეტყობა, ის ეთანხმება იმ ისტორიკოსებს, რომლებსაც ამერიგო ვესპუჩი გაიძვერა ადამიანად მიაჩნიათ. ისტორიკოსთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ამერიგო ვესპუჩიმ შეგნებულად მიითვისა კოლუმბის დამსახურება და სახელი ახალი მატერიკის აღმოჩენის საქმეში. არის განსხვავებული აზრიც. მეცნიერების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ იმ ოთხი მოგზაურობიდან, რომელსაც ვესპუჩის სახელს უკავშირებენ, შესაძლოა, მხოლოდ ერთი იყოს რეალური. ერთი სიტყვით, საკითხი არის რთული და საიდუმლოებით მოცული.

აშკარაა, რომ ის სიმპათიებითაა განწყობილი კოლუმბისადმი და მისი მომხრეების ბანაკში უნდა იქნას მოაზრებული. შესაძლოა, ის აჭარბებდა და განადიდებდა კოლუმბს, მაგრამ კოლუმბის მოლვანეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღებია.

ახლა კი ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, ტ. ბრიჯესის წიგნზე. აქ ყურადღებაა გამახვილებული შემდეგ თემებზე: ნორმანები (12. 7-13). ქრისტეფორე კოლუმბი (12. 13-20). კოლუმბის პირველი მოგზაურობა. (12. 20-31). კოლუმბის მეორე მოგზაურობა (12. 31-37). კოლუმბის მესამე და მეოთხე მოგზაურობა. (12. 37-43). ამ წიგნის თარგმნით ერთი კარგი საქმე გაკეთდა. ეს თარგმანი ქართული ისტორიოგრაფიის შენაძნია, რომელიც ცდილობს შეძლებისდაგვარად წინ წასწიოს აღნიშნული საკითხის პოპულარიზაცია საქართველოში. ამ თარგმანსაც, სწორედ, შემცნებითი დატვირთვა გააჩნდა და კულტურტრეგერულ ხასიათს ატარებდა. დღეს ეს წიგნი, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

ჩვენთვის საინტერესო თემას, ამერიკის აღმოჩენას, ბუნებრივა, ეხება ცნობილი მეცნიერი პროფ. გიორგი გეტმანი თავის საინტერესო სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში. წიგნი, „ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან“ (15), რა თქმაუნდა, ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. ნაშრომის დასაწყისში ავტორი მკაფიოდ, ნათ-

ლად აყალიბებს თავის ამოცანას და მიზნებს. ხაზს უსვამს, რომ მის წინაშე არ დგას აღნიშნული საკითხის მეცნიერული კვლევა და ის გაცილებით უფრო მოკრძალებულ მისიას ისახავს. ამიტომ არ შეიძლება ამ მემკვიდრეობას მკაფრი მეცნიერული კრიტერიუმებით შევხედოთ. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა და პიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. აი რას წერდა ის: „ქართულ ენაზე მეტად მცირე რაოდენობით მოიპოვება წიგნები, რომელსაც მიკუთვნილი აქვს დედამინის ზურგის შეცნობის ისტორიული განვითარების საკითხი და ადამიანის მიერ გეოგრაფიული სფეროს დაპყრობის ისტორია. წინამდებარე ნარკვევი... მიზნად ისახავს ცოტათი მაინც შეავსოს ეს ხარვეზები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ვიმედოვნებთ, რომ მიუხედავად ყველა თავისი ნაკლისა, ეს წიგნი უსარგებლო არ იქნება ქართველი მკითხველისათვის“ (15. 3.). ეს არის საგვებით სწორი მიდგომა, სადაც აქცენტი კეთდება არა საკითხის მეცნიერულ კვლევაზე, არამედ პოპულარიზაციაზე. ეს სულაც არ აკნინებს მის მნიშვნელობას, ამ კულტურტრეგერულ ამოცანას. მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს იყო. პროფ. გ. გეხტმანის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის „ნარკვევები დიდ მოგზაურთა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან“, მნიშვნელობა მის შემცნებით დატვირთვაში მდგომარეობს. სწორედ ამ კრიტერიუმიდან უნდა გამოვიდეთ მისი შეფასების დროს.

საკითხის განხილვა ემყარება ემპირული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნას და ჯეროვნადაა გათვალისწინებული ამ თემის ირგვლივ არსებული პირველწყაროები და საკვლევი ლიტერატურა, მათ შორის, ცხადია, უახლოესი გამოკვლევები. ეს ნარმოადგენს გ. გესტმანის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევის მტკიცე საძირკველს. აქ გამოვლენილ მდიდარ მეცნიერულ ინფორმაციას, უხვ ფაქტობრივ მასალას, პირველწყაროებს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მათი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია, ხოლო მათი მარქსისტული ინტერპრეტაცია, ცხადია,

მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

თავის წიგნში ავტორი განიხილავს შემდეგ საინტერესო თემებს: ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ის გადადის გეოგრაფიულ ცოდნაზე XV საუკუნეში. ხაზს უსვამს იმ თვისებრივ წახტომს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ სფეროში აღორძინების დროს. განიხილავს კოლუმბის მოგზაურობის წინაისტორიას. დაწვრილებით ჩერდება კოლუმბის მოგზაურობებზე. ეხება კოლუმბის მიმოწერას ტოსკანელთან. ეს აზრი დიდი ხნის განმავლობაში მიღებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში და ბევრი მომხრეები ჰყავდა, მაგრამ ამერიკელმა მეცნიერმა ვინიომ ამ ფაქტს ეჭვის თვალით შეხედა და შეთხულად მიიჩნია.

პროფ. გიორგი გეხტმანის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „ნარკვევები დიდ მოგზაურთა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან“ იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. მან თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია აღნიშნული საკითხის სწავლება და პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს საინტერესო ნარკვევი დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

პროფ. ალ. ნამორაძის საინტერესო ნარკვევი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ (16) ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემაზე დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ. „ალ. ნამორაძის წიგნი პირველი მონოგრაფიული ხასიათის შრომაა ქართულ ენაზე სპეციალურად მიძლვნილი კოლუმბისა და ამერიკის აღმოჩენისადმი. ნაშრომის ძირითადი თემა ერთდროულად ისტორიულიცაა და გეოგრაფიულიც; ავტორს დიდმა ერუდიციამ საშუალება მისცა თითქმის ერთნაირი ვირტუოზობით გაეშუქებინა თავისი წიგნის უმთავრესი პრობლემის ეს ორივე მხარე“ (17. 185.

18. 161). პროფ. ალ. ნამორაძის ეს ნაშრომი დაწვრილებითაა განხილული ჩვენს მონოგრაფიაში „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“ (19. 197-201). და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აქ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ გარემოებაზე. ესაა წიგნში დაშვებული ფაქტობრივი უზუსტობა, რომელიც ალ. ნამორაძისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის, დამახსიათებელი არ იყო და ეტყობა, უნებლიერ გაეპარა, ან-დაც, შესაძლოა, სულაც, კორექტურა იყოს. საქმე ისაა, რომ ფერდინანდსა და იზაბელას შორის ქორწინება მოხდა არა 1479 წელს, როგორც ამას ალ. ნამორაძე აღნიშნავს, არამედ ათი წლით ადრე 1469 წელს. (17. 187).

სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს პროფ. გრიგოლ ზარდალიშვილის საინტერესო ნარკვევი „კოლუმბამდელი ამერიკა“. (20). „წიგნი ეხება კოლუმბამდელი ამერიკის აღმომჩენთ, იმ მასალებსა და რუკებსა, რომელთა შემდგენელნი სახელგანთქმული კოლუმბის წინამორბედები იყვნენ“ . წიგნის მნიშვნელობა მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობს. მან მკითხველს მიაწოდა ვრცელი და საინტერესო ინფორმაცია კოლუმბამდე ამერიკის აღმოჩენების ისტორიიდან, რაც ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი სტუდენტებს, აღნიშნულ საკითხზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია საქართველოში აღნიშნული საკითხის პოპულარიზაცია.

ამ ნაშრომთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც არანაირად არ აკნინებს წიგნის მნიშვნელობას და მისი შემდგომი, სრულყოფისკენაა მიმართული. ნაშრომში უმთავრესად აქცენტი კეთდება თხრიბაზე, გადმოცემაზე და არა ამ თეორიების ან ჰიპოთეზების გაშუქებაზე. პოლემისტური მუხტი შინაარსობრივად გაამდიდრებდა მის ნაშრომს. აქვე დავძენთ, რომ გამორიცხულად არ მიგვაჩნია ნაშრომის სათაურის დაზუსტება. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ კოლუმბამდელი ამერიკა ასოცირ-

დება არა მარტო კოლომბამდელ აღმოჩენებთან, არამედ ამ რეგი-ონის ისტორიასთან კოლუმბის გამოჩენამდე. ეს ორი სხვადასხვა თემაა. ხომ არ წარმოშობს ეს შეუსაბამობას წიგნის სათაურსა და შინაარსს შორის? დასასრულს კვლავ გავიმეორებთ ესაა საჭირო წიგნი, რომელსაც გააჩნია შემეცნებითი დატვირთვა.

პერიოდიზაციის საკითხი ამერიკის აღმოჩენისადმი საბჭოური მიდგომის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა მარქსისტულ-ლენინურმა ისტორიოგრაფიამ მას შუა საუკუნეების ისტორიაში მიუჩინა ადგილი. კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას, ბუნებრივია, დიდი ადგილი ეთმობოდა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებში. ისინი ამით იწყებდნენ გვიანი შუა საუკუნეების ისტორიას და არა ახალ ისტორიას, როგორც ეს მიღებული იყო. ფაქტობრივად, საბჭოთა ისტორიოგრაფია იყო ერთადერთი სკოლა, რომელიც არ ცნობდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, როგორც მიჯნას შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის. (21). ამგვარი მიდგომა 1918-1921 წლებში სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საბჭოთა პერიოდიზაცია იზოლაციაში აღმოჩნდა და საერთაშორისო საზოგადოებამ არ გაიზიარა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიული მნიშვნელობისადმი გულგრილი დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასიათებელ თვისებად გვევლინება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დომინირებს ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კოლუმბის აღმოჩენა, ფრანგი გეოგრაფის ჟან ანვალის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო „უდიდესი შეცდომა, რომელმაც უდიდეს აღმოჩენამდე მიგვიყვანა“. ეს არის ერთი ვერსია. არსებობს სხვა ვერსიაც, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფია, უპირატესად, სკეპტიკურად ეკიდებოდა. ამ ვერსიის მიხედვით, კოლუმბმა მარშრუტი ძალიან კარგად იცოდა. გერმანელმა მწერალმა პაულ ვერნერ ლენგემ, რომელმაც დაწერა

საინტერესო წიგნი დიდ ზღვაოსანზე, ყურადღება მიაპყრო ერთ გარემოებას. კოლუმბი დასავლეთის გზისადმი დიდ დაინტერესებას იჩინდა 1479 წლის შემდეგ. (22. 17). ასე მივადექით კოლუმბის ისტორიაში საიდუმლოებით მოცულ საკითხს, რომელიც დღემდე აღელვებთ ისტორიულობებს. ვინ იყო ის ახალი მიწების პირველი აღმომჩენი თუ მან წინასწარ იცოდა ყველაფერი. ამ ვერსიას, რა თქმა უნდა, თან ახლავს რაღაც რომანტიკული შარმი, რომელიც განსაზღვრავს მისადმი ინტერესს. ეს აჯიოტაჟი ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად იძენს არაჯანსაღ ხასიათს. „რა გზით მიდიოდა კოლუმბი არავინ იცის. ვერსიები ამის თაობაზე ძალიან ბევრია და თითოეულ ჩვენგანს შეუძლია აირჩიოს ის ვერსია, რომელიც მას ყველაზე ძალიან მოსწონს“. (14. 397). აღსანიშნავია, რომ კოლუმბს სახელი და დიდება მოუტანა არა ამერიკის აღმოჩენამ, არამედ ახალი სამყაროს კოლონიზაციის დასაწყისმა. კოლუმბის სახელის განუზომელი პოპულარობის გასაღებიც სწორედ ამაშია. ოსკარ პეშელის თქმით „კოლუმბის აღმოჩენა იყო ნაპერნკალი, საიდანაც წარმოიშვა ალი“. გერმანელი მწერლის პაულ ვერნერ ლენგეს აზრით, „კოლუმბის დამსახურება ის კი არაა, რომ თამამად გადაცურა ატლანტიის ოკეანე და აღწერა ახალი ქვეყნები, არამედ არის მისი აღმოჩენების ისტორიული შედეგები“. (22. 3.). პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეს იყო ამერიკის კოლონიზაციის დასაწყისი. ეს უკვე ახალი დრო იყო. ეს არც „გარდამავალი ხანაა“ და არც „გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო“.

ამრიგად, მიუხედავად ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური წესისა, საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდავარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის სწავლება, პოპულარიზაცია და შესწავლა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო, რომელსაც გააჩნდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, სადაც ეს უკანასკნელი მაინც ჭარბობდა პირველს. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერულ ელფერს იღებს, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. წმინ-

და ფაქტოგრაფიის, ემპირიის დონეზე წინსვლა აშკარაა და ამის დაუნახაობა მართებული არ იქნება. წმინდა კონცეპტუალურად ამას ვერ ვიტყვით. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. ქართველი მკვლევრები იღებენ მეცნიერულ პრობლემას და მას მარქსისტული პოზიციებიდან ამუშავებენ. დღევანდელი გადასახედიდან ამ კომპრომისის გამო მათი განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და უმართებულო უნდა იყოს. თუ არა ეს კომპრომისი, მაშინ ის მწირი ლიტერატურაც კი არ გვექნებოდა, რომელიც კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე, ქართულ ენაზე, გაგვაჩინა. არჩევანი იყო უარესა და ცუდს შორის. ფსონი ამ უკანასკნელზე გააკეთეს. ეს იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ამიტომ ამის დრამატიზირება, ალბათ, არ ღირს. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნება.

* * *

ახალ შემობრუნებას ადგილი აქვს 90-იანი წლების დასაწყისში და ისევ და ისევ პოლიტიკურ ქარტეხილებს, ამ კონკრეტულ სიტუაციაში კი, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლას უკავშირდება. ფაქტობრივად აქედან იწყება საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების მესამე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ სუვერენობა დაიპრუნა. ახლა მას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ კურსი აიღო ამ პრობლემის მარქსიზმისაგან გათავისუფლებაზე და საკითხისადმი მრავალვარიანტულ მიღებისაზე, პლურალიზმზე. ეს იყო სწორი გზა.

ეს არ იყო ადვილი საქმე და გარკვეული დრო ესაჭიროებოდა. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად

პროფ. კ. ანთაძის და პროფ. ნ. მამუკელაშვილის მერვე კლასის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩნია. (23).

პერიოდიზაციის საკითხში ევროპული ღირებულებებისაკენ მკვეთრი შემობრუნების მცდელობა, რომელიც იყო სუვერენულ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოცემული ახალი ისტორიის პირველ ქართულ სახელმძღვანელოებში, ამ პრობლემის გაშუქების საქმეში თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ ლირსებად მიგვაჩნია. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები უკვე ახალ ისტორიაში მოიაზრებოდა. სწორედ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს იღებენ მიჯნად შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის. (23. 5-10). აქ მარქსისტული პერიოდიზაციის უარყოფა კატეგორიულ ხასიათს იღებს. ეს იყო ერთი მიდგომა. არსებობს სხვა თვალსაზრისიც.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში პერიოდიზაციის საკითხზე არსებული აზრთა სხვადასხვაობა, ვთიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული პლურალიზმის, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის, ლოგიკური შედეგი უნდა დავინახოთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარქსისტულ პერიოდიზაციის ყველა უარყოფს, მაგრამ უმთავრესად ეს ხდება ზედაპირულად, პალიატურად, და დეკლამაციურ ხასიათს ატარებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. აკ. გეთაიაშვილის სტატია „რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია ანუ განა უნდა დაუბრუნდეთ XV საუკუნეს?“ (24. 3-11). ამ თარიღისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია. ესაა დავა უდაო საკითხზე. ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, რომ ყოველგვარი მერყეობის და ყოყმანის გარეშე უნდა დავუბრუნდეთ XV საუკუნეს. ეს ასეა მიღებული მთელ მსოფლიოში და სწორია. ჩვენ რატომ უნდა

ჩამოვრჩეთ მთელ მსოფლიოს? არ გვეყო, რაც ჩამოვრჩით? ისევ უკან დავბრუნდეთ?

თავის დროზე პროფ. გივი უორდანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს იყო გარდამავალი ხანა, რომელიც მოიცავს პერიოდს XV საუკუნის მიწურულიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე (1492-1789). (25). პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ გარდამავალი ეპოქის ქრონოლოგიური ჩარჩოები გაწელილია და იგი თითქმის სამ საუკუნე-ნახევარს მოიცავს. ეს კი მეტის-მეტი უნდა იყოს. ამგვარი მიდგომა საკამათოა და სტალინური პერიოდიზაციის რეანიმაციის ფარულ მცდელობად მიგვაჩინა. ახალი ისტორიის დაწყება XVIII საუკუნის მიწურულს, სწორედ, ი. სტალინს ესახებოდა მიზანშეწონილად. (26).

90-იან წლებში ქართულ მედიევისტთა ერთი ნაწილი კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას კვლავ შუა საუკუნეების ისტორიაში მოიაზრებდა და შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის წყალგამყოფად XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუცია ესახებოდა. (27). აქ, ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. საქმე გვაქვს საკითხის მარქსისტულ პერიოდიზაციასთან.

უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს პერიოდი XV საუკუნის მიწურულიდან XVII საუკუნის შუა ხანებამდე, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან ინგლისის რევოლუციამდე ერთდროულად არის გვიანი შუა საუკუნეების ისტორია და ადრეული ახალი დრო. (28. 4). ასეთ მსჯელობას დამაჯერებლობა აკლია და კიდევ უფრო აბუნდოვანებს საკითხს. აქ მარქსისტული პერიოდიზაციის დაგმობა დეკლამაციურ ხასიათს ატარებს. სინამდვილეში კი ამგვარი მიდგომა მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის კიდევ ერთ ფარულ მცდელობად გვევლინება. შუა საუკუნეების სტრუქტურები ახალ დროშიც თანაარსებობენ, ახალ ტენდენციებთან ერთად, მაგრამ ეს არ არის შუა საუკუნეების ისტორია. ეს არაა არც გარდამავალი ხანა და არც გვიანი შუა საუკუ-

ნეები და ადრეული ახალი დრო. ეს არის ახალი ისტორია. კონკრეტულად კი, ადრეული ახალი დრო. (29. 72-81).

პერიოდიზაციის საკითხისადმი თავისებური დამოკიდებულება გვხვდება პროფ. ბეჟან ჯავახიას და პროფ. ა. გეთიაშვილის VII კლასის „შუა საუკუნეების ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში. ისინი ამ ეპოქის ისტორიას მეცნიერების და ტექნიკის განვითარებით და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით ასრულებენ. (20. 174-179). აქ ყურადღებას შევაჩირებთ ორ გარემოებაზე: ჯერ ერთი, საკითხის ასეთი სანახევრო გადაწყვეტა საკამათოდ მიგვაჩინია და მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს. ჩვენ პირადად უფრო მისაღებად გვესახება საკითხისადმი მიღვომა კ. ანთაძის და ლ. ფირცხალავას VII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოში „შუა საუკუნეების ისტორია“. აქ ამ ეპოქის ისტორიის თხრობას რენესანსით სრულდება. (31. 180-188). მეორეც: ბ-ნ აკაკი თუ ფიქრობს, რომ არ უნდა დავუბრუნდეთ XV საუკუნის მიწურულს, მაშინ რატომ ასრულებს სახელმძღვანელოში თხრობას ზუსტად XV საუკუნის მიწურულით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით. სად არის აქ ლოგიკა? რამდენად თანამიმდევრულია მისი პოზიცია? წინააღმდეგობაში ხომ არ აღმოჩნდა?! ერთ შემთხვევაში მარქსისტული პერიოდიზაციის დაგმობა კატეგორიულ ხასიათს იღებს, მეორე შემთხვევაში ის უფრო სიტყვიერად ხდება. ზედმეტი სიფრთხილე საჭირო არაა და მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის ფარულ მცდელობად გვევლინება.

დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სათავე დაუდო საოკეანო ცივილიზაციაზე გადასვლას. ეს იყო თვისებრივი ხასიათის სიახლე, რომელიც აშკარად არ თავსდება შუა საუკუნეების ისტორიის ჩარჩოებში. ახალი დროის სიომ ძალუმად დაბერა. იწყება ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პროცესი, რომელიც წელ-წელა, თანდათანობით, ანაცვლებს ძველ ტრადიციულ საზოგადოებას. ამიტომ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის ნიშანსვეტად გვევლინება XV საუკუნის მიწურული და XVI საუკუნის დასაწყისი: დიდი

გეოგრაფიული აღმოჩენები, რენესანსი, რეფორმაცია. აქ საყოყ-
მანოს და სადაოს ვერაფერს ვხედავთ. ჩვენ ყოველგვარი ნოვა-
ციებისა და ორიგინალობის გარეშე მიზანშეწონილად მიგვაჩინა
დაუბრუნდეთ პერიოდიზაციის იმ მოდელს, რომელიც მიღებული
და აღიარებულია საერთაშორისო ისტორიოგრაფიის მიერ. (32).
მით უმეტეს, რომ ამ საკითხში ქართულ ისტორიოგრაფიას თა-
ვდაპირველად სწორი კურსი ჰქონდა აღებული, მაგრამ შემდეგ,
საქართველოს გასაბჭოების მერე, საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხ-
მევით, იძულებული შეიქნა, გადაეხვია სწორი კურსიდან და სულ
სხვა გზით წასულიყო. დადგა დრო, ეს შეუსაბამობა გასწორდეს.
ქართული მედიევისტიკა უნდა დაუბრუნდეს ევროპულ ღირე-
ბულებებს, საერთაშორისო სტანდარტებს.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ პროფ. კ. ანთაძის და
პროფ. ნ. მამუკელაშვილის მერვე კლასის „ახალი ისტორიის“
სახელმძღვანელოს მთავარ ღირსებას ამერიკის შეერთებული
შტატების ახალი ისტორიის გაბმული თხრობა წარმოადგენს.
ბუნებრივია, ის იწყება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით. ეს
მონაკვეთი ორ ნაწილადაა გაყოფილი. 1. დიდი გეოგრაფიული
აღმოჩენები. 2. ამერიკა XV საუკუნეში და XVI საუკუნის პირველ
ნახევარში. მასალის კომპაქტურად გადმოცემა ამ საკითხის
განხილვის მთავარი პლუსია. მისი ყურადღების ცენტრში დგას
ვასკო და გამას მიერ ინდოეთის გზის აღმოჩენა. კოლუმბის
მიერ ამერიკის აღმოჩენა და მაგელანის მოგზაურობა დედამინის
გარშემო. [23.5-10]. მეორე ნაწილი კი შეეხება მაიას კულტურას,
აცტეკებს და ინკებს. [23. 11-14]. აქვე დავძენთ, რომ ამ თემაზე
ვრცელ ინფორმაციას მოვიძიებთ პროფ. გივი ბოლოთაშვილის
მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოში „მსოფლიო ცივილი-
ზაციების ისტორია“. [33.98-117]. ეს მასალა საინტერესოა და
მას, პირველ ყოვლისა, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩინა. ის,
აღნიშნულ საკითხში, ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში,
რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას ღრმად ჩაახედებს.
ის ამართლებს თავის დანიშნულებას. ამ კულტურტრეგერულ

მისიას მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს იყო.

ყურადღებას იპყრობს უკანასკნელ ხანებში გამოსული რამდენიმე საინტერესო ნაშრომი. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ პროფ. ლეილა (ია) ხუბაშვილის ნაშრომი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენის ზოგიერთი ჰიპოთეზა“ (34. 302-310). სტატია სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და მისი მნიშვნელობა მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობს. როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორის წინაშე დგას წმინდა კულტურტრეგერული ამოცანა გააცნოს ქართველ მკითხველს ის ჰიპოთეზები, რომელიც არსებობს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენასთან დაკავშირებით. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ის ცდილობს შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე არსებობს. ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ მინუსად ქართველი წინამორბედებისადმი გულგრილი დამოკიდებულება მიგვაჩინია. აქ, პირველ რიგში, რა თემა უნდა, ვგულისხმობთ პროფ. გრიგოლ ზარდალიშვილის წიგნს „კოლუმბამდელი ამერიკა“, რომელიც საგანგებოდ ამ თემას ეხება. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის ნაშრომს. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ამ საკითხის შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურის უფრო ფართოდ მოხმობა. სულ ოთხ წიგნზე აქცენტირება, ჩვენი აზრით, საკმარისი არ უნდა იყოს და უკმარობას გრძნობას გვიჩენს.

კოლუმბის ექსპედიციაში ქართველების შესაძლო მონაწილეობაზე არის საუბარი პროფ. გრეტა ჩანტლაძის საინტერესო ნაშრომში „ქრისტეფორე კოლუმბისა და მისი ექსპედიციის მონაწილეების შესახებ პირინეისა და კავკასიის იბერიიდან“. (35. 149-154). მასალის სიმწირის გამო, კატეგორიულად რამის მტკიცება ან ხელალებით უგულვებელყოფა ძალზე ძნელია და როგორც ავტორი დასძენს, „მომავალი კვლევა გვიჩვენებს რა არის რეალობა და რა მითი“ (35154). პირველ ყოვლისა, საინტერესოა გამოვარკვიოთ თუ როგორ მოხვდნენ ქართველები ესპანეთში და მერე კოლუმბის

ექსპედიციაში. ეს სენსაციური ჰიპოთეზა ქრისტეფორე კოლუმბის საიდუმლოების ბურუსით მოცული ბიოგრაფიის კიდევ ერთი საინტერესო საიდუმლოა, რომელიც, ცხადია, ყველაზე უფრო მეტად იპყრობს ქართველების ყურადღებას და გვილვიძებს ცნობის-მოყვარეობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხში არსებული ვაკუუმის შევსების კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს სულ ახლახან 2015 წელს გამოსული ნაშრომი „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“ (36), სადაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიას, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა და სათანადო ადგილი აქვს გამოყოფილი. ამ მონაკვეთის ავტორია ახალგაზრდა, ნიჭიერი ისტორიკოსი ბ-ნ ნიკოლოზ სილაგაძე. ქართულ ენაზე დასავლეთ ევროპის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე არსებული ლიტერატურით, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არ ვართ განებივრებული და ერთგვარ ფუფუნებას წარმოადგენს. ამ ხარვეზის შევსების ნებისმიერი მცდელობა პოზიტიურად მიგვაჩნია.

ახლა კი მოკლედ გადავავლოთ თვალი ამ მონაკვეთის შინაარსს. ეს საინტერესოა. აქ განხილულია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მიზეზები. პორტუგალიელთა აღმოჩენები და ექსპანსია, ესპანეთის აღმოჩენები და ექსპანსია, ფრანგების აღმოჩენები და ექსპანსია, ინგლისელების აღმოჩენები და ექსპანსია. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგები. (36. 10-33). ფაქტობრივად, საქმე გვაქვს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებზე, პატარა სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევის შექმნის მცდელობასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ და მას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს შემეცნებითი დატვირთვა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტებს მიაწვდის საინტერესო ინფორმაციას დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ და დაეხმარება გაიღრმავონ ცოდნა. მან თავისი წვლილი შეიტანა

და შეეცადა შეძლებისდაგვარად წაენია წინ საქართველოში აღნიშნული საკითხის სწავლება და პოპულარიზაცია. ეს მისი, როგორც ახალგაზრდა ისტორიკოსის წარმატებაა.

დავიწყოთ ამ მონაკვეთის შინაარსით, ჩვენ პირადად სულ სხვა აქცენტებს დავსვამდით და სულ სხვა თემებზე გავამახვილებდით ყურადღებას. აქ მეცნიერული პაექრობა პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და უმთავრესად გემოვნების საკითხია: მეცნიერების და ტექნიკის წარმატებები XIV-XV საუკუნეებში, რამაც შექმნა წანამდლვრები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისათვის; გეოგრაფიული აღმოჩენები XIV-XV საუკუნეებში, რაც ერთგვარ ფონს შექმნიდა მთავარ თემაზე გადასასვლელად. ამერიკის აღმოჩენა, ვასკო და გამას მოგზაურობა, მაგრანის მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

პრინციპულად მიგვაჩინია უთანხმოება პერიოდიზაციის საკითხში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია თავდაპირველად ეს წიგნი ჩაფიქრებული იყო როგორც 2004 წელს გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოს გაგრძელება, მეორე მონაკვეთი, გვიანი შუა საუკუნეების ისტორია. მაგრამ პროფ. თეომურაზ პაპასქირის და ამ სტრიქონების ავტორის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ თავი შეიკავეს ამის გაკეთებისგან. ეს იყო სწორი ნაბიჯი. გამოინახა კომპრომისული ვარიანტი „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“. სწორედ, ამ სახით მიიღო ის მკითხველმა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ წიგნის შინაარსის მიხედვით დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები უფრო შუა საუკუნეების კუთვნილებად მოიაზრება, ვიდრე ახალი დროის. ეს კი მიუღებლად მიგვაჩინია. „ეპოქას, რომელსაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების საწყისი ეტაპი ემთხვევა, ისტორიკოსები გვიან შუა საუკუნეებს უწოდებენ“ (36-10). მოდი ვიყოთ ზუსტი. რომელი ისტორიკოსები? საბჭოთა ისტორიკოსები, თორემ ევროპაში ასე არავინ ფიქრობს და არც არასოდეს არავის უფიქრია. ეს არის ახალი დრო, კონკრეტულად კი ადრეული ახალი დრო და ამაში საკამათოს პირადად ჩვენ ვერაფერს ვხედავთ.

ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვენა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია მსჯელობა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მიზე-ზებსა და შედეგებზე. (36. 10-13, 33-36). მან გარკვეული უკმა-რობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩი-ნა. ძალიან ცოტაა ნათქვამი და ფაქტობრივად იგნორირებუ-ლია კოლუმბის მეორე, მესამე და მეოთხე მოგზაურობა. ეს კი მიუღებლად მიგვაჩნია. მათ თარიღებსაც კი არ უთითებს (36. 23). მკვეთრად, ხაზგასმით უნდა ყოფილიყო აღნიშნული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობა ახალ საოკეანეო ცივილიზაციაზე გადასვლის საქმეში. ნუთუ „ანალების“ სკო-ლის ისტორიკოსები ამბობდნენ იმას, რომ „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის მოღვაწეები შუა საუკუნეების შვილები იყვნენ და თავიანთი მოქმედების მოტივებს თანამედროვე ადა-მიანისგან განსხვავებულად აყალიბებდნენ“. (36. 12). ვფიქრობთ, სადაო არ უნდა იყოს, რომ შუა საუკუნეების ადამიანი ამერიკას ვერ აღმოაჩენდა. მისი მენტალიტიკი სხვა იყო. აი რას წერდა ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ ლე გოფი თავის ნიგნში, „შუა საუკუნეების დასავლეთის ცივილიზაცია“: „ვცდილობთ რა შუა საუკუნეების ადამიანებთან მიახლოებას მათს ინდივიდუალობა-ში, ჩვენ კვლავ და კვლავ ვრწმუნდებით, რომ ინდივიდი, რომე-ლიც ერთდროულად რამდენიმე ჯგუფს ან თემს მიეკუთვნება... არა იმდენად არ ამკვიდრებს საკუთარ თავს, არამედ სრულიად ქრება ამ ერთობაში....

შუა საუკუნეების ადამიანი ვერავითარ აზრს ვერ ხედავდა თავისუფლებაში ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით... თავისუ-ფლება... გარანტირებული სტატუსია... თემის გარეშე არ არსე-ბობდა თავისუფლებაც. იგი შეიძლებოდა რეალიზებადი ყოფილი-ყო მხოლოდ დამოუკიდებლობის შემთხვევაში, სადაც ზემდგომი ქვემდგომს აძლევდა მისი უფლებების პატივისცემის გარანტიას. თავისუფალი ადამიანი – ეს ისაა, ვისაც ძლიერი მფარველი ჰყავს“. (37). ნუთუ ასეთმა ადამიანებმა აღმოაჩინეს ამერიკა? ასეთი ადამიანები იყვნენ კოლუმბი, ვასკო და გამა, მაგელანი?

პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია – არა. რენესანსის და რეფორმაციის ეპოქაში ყალიბდება ახალი ტიპის ადამიანი. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები ახალი ადამიანის ფორმირების ლოგიკური შედეგია, რომელსაც ახასიათებდა მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალობა. აი სწორედ ასეთი ახალი ტიპის ადამიანები იყვნენ კოლუმბი, ვასკო და გამა, მაგელანი.

ვერ ვიტყვით თითქოსდა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივ არაფერი კეთდებოდეს. რაღაც პოზიტიური ძვრები ნამდვილად შეინიშნება და ამის გვერდის ავლა სწორი არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, ეს ცოტაა და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. პირველ ყოვლისა მიზანშეწონილი იქნებოდა დაინეროს საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ამერიკის აღმოჩენაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე ისტორიოგრაფიის თითქმის ყველა მიღწევა. შესაძლოა, ეს გაკეთდეს ამერიკის ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელზე მუშაობაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს. მაშ ასე, ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის სწავლების, პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში. მთავარი ეს უნდა იყოს და ეს ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩინა. პროგრამა მინიმუმი შესრულებულია.

ლიტერატურა:

1. კოლუმბი. შედგენილი რაფიელ ერისთავის მიერ, თბ., 1887.
2. Д. Иловайский, Новая история, М., 1908.
3. П. Ардашев, Курс новой истории, СПБ., 1915.
4. История средних веков, под., ред., Н. Колесницкого, М., 1986.
5. Путешествие Христофора Колумба. Дневники, письма, документы. М., 1961.
6. მ. კალანდაძე, ამერიკის აღმოჩენა და ქართული ისტორიოგრაფია – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაკვეთი 10. თბ., 2011.

7. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია. ნაწ. 3. ახალი საუკუნეები, თბ., 1920.
8. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
9. დ. უზნაძე, ო. გველესიანი, ახალი ისტორია (XVI- XVII სს.), თბ., 1920.
10. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, თბ., 1920.
11. ა. ვულფიუსი, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1919.
12. ტ. ბრიჯესი, კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, თარგმნილი რუსულიდან პ. ჭანიშვილის მიერ, თბ., 1928.
13. დ. Бекер, История географических открытий и исследований, М., 1950.
14. А. Снисаренко, Рицари удачи, СПб., 1991.
15. გ. გეხტმანი, ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან, თბ., 1940.
16. ალ. ნამორაძე, კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, თბ., 1961.
17. კ. ანთაძე, სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია ამერიკის აღმოჩენის შესახებ – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 8. თბ., 1963.
18. კ. ანთაძე, ალექსანდრე ნამორაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა – ქართული ისტორიოგრაფია, ნაწ. 2. თბ., 1971.
19. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
20. გრ. ზარდალიშვილი, კოლუმბამდელი ამერიკა, თბ., 1969.
21. შუა საუკუნეების ისტორია, ა. უდალცოვის, ე. კოსმინსკის და ო. ვაინშტაინის რედაქციით, ნაწ. 2. თბ., 1949. ე. აგიბალოვა, გრ. დონსკოი, შუა საუკუნეების ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1970. გ. ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია, ნაწ. 2, თბ., 1970.
22. П. В. Ленге, Великий скиталец – жизнь Христафора Колумба, М., 1984.
23. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.
24. აკ. გეთიაშვილი, რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია ანუ განაუნდა დაუბრუნდეთ XV საუკუნეს? – შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ნაწილი II. თბ., 2000.

25. გ. ჟორდანია, შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე – თბილისის უნივერსიტეტი, 29 ნოემბერი, 1991.
26. Замечание о конспекте учебника новой истории – сб. изучение истории, М., 1939.
27. მ. პაპაშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, ნაწ., 1. თბ., 1994. 6. გომართელი, შუა საუკუნეების ისტორია, ნაწ. 1. თბ., 1996.
28. შუა საუკუნეების ისტორია, პროფ. გ. კუტალიას რედაქციით, ნაწილი 1, თბ., 2004.
29. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
30. ბ. ჯავახია, ა. გეთიაშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003.
31. კ. ანთაძე, ლ. ფირხხალავა, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2000.
32. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველინი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის – მაცნე, ისტორიის სერია, 2. 1992. კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1. 1992. მ. კალანდაძე, Грузинские школьные учебники по новой истории – Преподавание истории в школе, 7. 1994.
33. გ. ბოლოთაშვილი, მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, XI კლასის სასკოლო სახელმძღვანელო, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 2005.
34. ლ. ხუბაშვილი, კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენის ზოგიერთი პიპოთება – კრებული, ამერიკის შესწავლის საკითხები, III. თბ., 2005.
35. გ. ჩანტლაძე-ბაქრაძე, ქრისტეფორე კოლუმბისა და მისი ექსპედიციის მონანილების შესახებ პირინეისა და კავკასიის იბერიიდან – კრებული. ამერიკის შესწავლის საკითხები, IV. თბ., 2006.
36. დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე), რედაქტორი პროფ. მ. პაპაშვილი, თბ., 2015.
37. Ж. Ле Гофф, Цивилизация средневекового запада, Екатеринбург, 2005.
38. ვ. ჩერქეზიშვილი, თხზულებანი, ტ. 1. შემდგენელი და რედაქტორი დ. შველიძე, თბ., 2011.

თავი III

ჩრდილოეთ ახერიქის ინგლისური ასალშევების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფიაროთმოცოდნის საკითხები ერთულ ისტორიოგრაფიაში

ფაქტი არის ისტორიკოსის პური. ფაქტის გარეშე ისტორიკოსი ნაბიჯს ვერ გადადგამს. ფაქტებსა და მოვლენებს ისტორიკოსი ადგენს წყაროების მიხედვით. ფრანგი ისტორიკოსის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, შარლ სამარანის თქმით, „ისტორიული წყარო ნარმოადგენს ისტორიის თავდაპირველ ნედლეულს“ (1. 152). ყველა ინფორმაცია წარსულის შესახებ წარმოადგენს წყაროს. ისტორიული ფაქტები და მოვლენები შთამომავლობას შემოჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი იგი დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროებში. თუ ეს არ მოხდა, მაშინ მისი კვალი ქრება, იკარგება. ასე ჩნდება ისტორიაში ინფორმაციული ვაკუუმი. წარსულის მოვლენების ნაკვალევი სხვადასხვაგვარად შეიძლება შემოგვენახოს. ამიტომ ისტორიული წყაროებიც არაერთგვაროვანია. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს ცნობილი გერმანელი დრამატურგი და ისტორიკოსი ფრიდრიხ შილერი აღნიშნავდა, რომ წარსულის შესწავლის თვალსაზრისით, ყველაზე სარწმუნოა წერილობითი წყაროები. (2. 22-23. 3. 62-71). წყაროთმცოდნება ისტორიის დამხმარე დისციპლინაა. სწორი არ იქნება ის გავაიგივოთ ისტორიასთან. „ისტორია სხვა არაფერია თუ არა წყაროე-

ბის დამუშავება“. ასეთი იყო პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის კრედო, რომელიც ჩამოაყალიბეს ფრანგმა ისტორიკოსებმა შარლ ლანგლუამ და შარლ სენიობოსმა თავის წიგნში „ისტორიული მეცნიერების შესავალი“, (4), რომელსაც ერთმა რეცენზიენტმა „პოზიტივიზმის ბიბლია“ უწოდა. ეს ერთი უკიდურესობა იყო. არსებობს მეორე უკიდურესობაც, რომელიც წყაროთმცოდნეობას, უპირველესად, წყაროთმცოდნის დომენად წარმოაჩენს. ისტორიკოსი განზე უნდა იდგეს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წყაროთმცოდნეობაზე გაზვიადებულ წარმოდგენასთან.

* * *

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესწავლის დროს, ბუნებრივია, ისტორიკოსი ეყრდნობა წყაროებს. ამიტომ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მოკლეთ გადავავლოთ თვალი დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლის ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლას საქართველოში. რა არის ამ მიმართულებით გაკეთებული საქართველოში? როგორ არის ქართული ისტორიოგრაფიაში დამუშავებული ეს თემა და თუ არაა დამუშავებული, რატომ?

არსებობს სტერეოტიპული წარმოდგენა თითქოსდა ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი გაკეთებულა ან თუ გაკეთებულა, ეს ძალიან ცოტაა, უმნიშვნელოა და მასზე ლაპარაკიც კი არ ღირს. რეალობა ცოტა სხვაგვარია. ჩვენ შევეცდებით გავაძათილოთ ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება. ამას აქვს მნიშვნელობა და დაეხმარება ქართულ საზოგადოებას აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში. დაგვანახებს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში და რისი გაკეთებაა საჭირო.

ეს თემა საინტერესოა ორ ასპექტში: 1. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი რა წყაროები გაგვაჩნია ქართულ ენაზე

და 2. რა გამოკვლევები არსებობს ქართულად ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობაზე. ქართულ ენაზე წყაროების რა პუბლიკაციები გაგვაჩნია და ეს პუბლიკაციები როგორ არის შესწავლილი. თუ ამ ეპოქის ამსახველი წყაროების პუბლიკაციის თვალსაზრისით რაღაც პოზიტიურ ძრებს ნამდვილად აქვს ადგილი, ამ წყაროების მეცნიერული შესწავლა საქართველოში მოიკოჭლება და შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე თითქმის არაფერია გაკეთებული, თუმცა ამის დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენი სამშობლო საქართველოა, ეს საგანგაშოდ არ მიგვაჩნია. ყველაფერს როდი გაწვდები.

ახლა თვალი გადავავლოთ საკითხის პერიოდიზაციას. საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობით დაინტერესება ორ პერიოდადა გაყოფილი და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია: 1. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991), 2. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხების გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში – 1991 წლიდან დღემდე.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხით დაინტერესებამ გარკვეული მეტამორფოზი განიცადა და პირობით რამდენიმე მონაკვეთად შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია. საბჭოთა პერიოდი პირობით ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ. თავდაპირველად, 50-იანი წლების შუა ხანებამდე, ეს დაინტერესება მცდელობის ფარგლებს არ გასცილება. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, ახალი ისტორიის ქრესტომათიის დაწერის ცდებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, სადაც, ბუნებრივია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველ წყაროებს სათანადო ყურადღება დაეთმობოდა, მაგრამ მაშინ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ამის განხორციელება ვერ

მოხერხდა. ეს მონაკვეთი ამ თემატიკით დაინტერესების პირველ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ იწყება ახალი ეტაპი, რომელიც გრძელდება 1991 წლის დეკემბრამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ამ ეტაპზე, აღნიშნული თემატიკით დაინტერესების კულმინაციად 1979 წელს ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა მიგვაჩნია.

ახლა გადავიდეთ პოსტსაბჭოთა წლებზე. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხით დაინტერესება პოსტსაბჭოთა ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირობით ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ. 90-იანი წლები, როდესაც შეინიშნება ამ მიმართულებით აქტივობა. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და 1787 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ქართულ ენაზე გამოცემას. XXI საუკუნის დასასწყისი, როდესაც მცირე პაზის შემდეგ, რომელიც პირობით ამ პერიოდის შიგნით არსებულ ტეხილად შეიძლება მივიჩნიოთ, ამ დაინტერესებამ კვლავ იჩინა თავი.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებამ თავი იჩინა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში. ახალი ისტორიის მაღალ მეცნიერულ დონეზე სწავლებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ისტორიის ქრესტომათიის შექმნის საჭიროება. პირველ ყოვლისა, ეს წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით იყო გამოწვეული. ეს ჩანაფიქრი მხოლოდ ქალალდზე დარჩა და უმთავრესად მცდელობის ფარგლებს არ გასცილებია. ამ საშური საქმის მოთავედ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. ალექსანდრე ნამორაძე მოგვევლინა. ეტყობა, მას განზრახული ჰქონდა ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა. მის პირად არქივში შემორჩენილი მრავალრიცხოვანი დოკუმენტების კრებულები საყურადღებო უნდა იყოს და, ვფიქრობთ, ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს. (5). უძველია, რომ ქრესტომათიაში სათანადო ყურადღება მიექცეოდა დამოუკიდებლობისათვის

ბრძოლის ამსახველ დოკუმენტურ მასალას, პირველწყაროებს, მაგრამ უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მაშინ ქრესტომათის გამოცემა ვერ მოხერხდა. მოხდა მეცნიერების უნიფიკაცია. ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან. (6. 213-214. 7. 120). დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე წყაროების პუბლიკაციის ერთი ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო „დათბობის ხანა“, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო „იდეური დაბნეულობა“. „დათბობის ხანა“ ცოტა ხანში ჩაანაცვლა „უძრაობის პერიოდ-მა“. ქართულ რეალობაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხით დაინტერესების კულმინაციას ახალი ისტორიის ქრესტომათია წარმოადგენს, რომლის გამოქვეყნება ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მოხერხდა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.

ქრესტომათიაში, ბუნებრივია, შეძლებისდაგვარად ფართოდ არის წარმოჩენილი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტური მასალა, პირველწყაროები. ისინი ასეთი თანამიმდევრობითაა დალაგებული: მარქსიზმის კლასიკოსები ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და აშშ-ს შექმნის შესახებ, ბრიტანეთის პოლიტიკა კოლონიებში და დამოუკიდებლობისათვის ომის მიზეზები, ოპოზიციის ზრდა, რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა. დამოუკიდებლობისათვის ომი (1776-1783), დანიელ შეისას აჯანყება (1786), აშშ-ს შექმნა, კონსტიტუციის მიღება (8. 203-242). აქ საკითხები ამ პრინციპის მიხედვითაა დალაგებული: მეთოდოლოგიური, მიზეზ-შედეგობრივი, და ემპირული, ფაქტოლოგიური. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წანამძღვრები, მიზეზები, ოპოზიციური განწყობილების აზვირთება, დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ომის პერიპეტიები, მსვლელობა, 1787 წლის კონსტიტუცია.

აქ თავმოყრილ მასალას, პირველ ყოვლისა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და მისი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგო-

მარეობდა. აქ გამომზეურებული პირველწყაროები ქართულ საზოგადოებას, პირველ ყოვლისა კი სტუდენტებს, საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. მეთოდოლოგიურად დაკვალიანებდა, ჩაახედებდა მეტროპოლიასა და კოლონიას შორის დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებში. უჩვენებდა როგორ იზრდებოდა ოპოზიციური განნებობილება. გააცნობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიიებს, ემპირულ, ფაქტოლოგიურ მასალას. ამას ყველაფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ბოლოს შეეხება 1787 წლის კონსტიტუციის მიღების ისტორიას. ემპირიზმის, ფაქტოლოგიის დონეზე წინსვლა აშკარაა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ქრესტომათიას ეტყობა იმ დროს კვალი და ის ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადაციას. ასეთად მიგვაჩინია შესავალი, დანიელ შეისას აჯანყების მნიშვნელობის გაზიადება. თუ ამ მასალას ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაშორებთ, მასში ჩადებული ინფორმაცია ლირებული ხდება და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩინია. ეს ლირებული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი.

ქართველმა ისტორიკოსებმა აირჩიეს სერიოზული მეცნიერული საკითხი და მოგვცეს მისი მარქსისტული გაშუქება. ამ კომპრომისის გამო, მათი მკაცრად განსჯა სწორი არ უნდა იყოს და დღეს ის მნირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რომელიც დამოუკიდებლობის ბრძოლის წყაროთმცოდნეობაზე გაგვაჩინია მშობლიურ ენაზე.

ახალი ისტორიის ქრესტომათია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩინია, რომელიც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის შესწავლის საქმეში საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ყველაზე დიდ წარმატებად სწორედ ახალი ისტორიის ქრესტომათია მიგვაჩინია.

მიუხედავად პოლიტიკური და იდეოლოგიური წნებისა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის შესწავლის საქმეში, რაღაც პოზიტიური მაინც გაკეთდა, რომელსაც გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები.

* * *

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესება ახალ ფაზაში შედის. აქედან იწყება საქართველოში აღნიშნული პრობლემის შესწავლის მეორე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. საბჭოთა კავშირი დაიშალა. საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. ახლა მას თავისუფლად შეეძლო საკუთარი არჩევანის გაკეთება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, დიქტატიის ხანა წარსულს ჩაბარდა. გაჩნდა თავისუფალი არჩევანის საშუალება. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გათავისუფლდეს მარქსისტული იდეოლოგიის გავლენისაგან. მნიშვნელოვანნილად სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ახლა ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, რომლის მიმართაც ადრე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ, ხაზს უსვამდნენ მის კლასობრივ შეზღუდულობას და ყველანაირად ცდილობდნენ მისი ისტორიული მნიშვნელობის დაკნინებას. ასეთი იყო პოლიტიკური წება. პირველ რიგში, ასეთად მიგვაჩნია ამერიკული დემოკრატიის წარმატებები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და 1787 წლის კონსტიტუცია.

უნინარესად ყურადღებას იპყრობს პროფ. მინდია უგრეხელიძის ორი საინტერესო პუბლიკაცია „ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ (9) და „აშშ-ს კონსტიტუცია – კომპრომისის ხელოვნება“ (10). ამ ორი წყაროს ქართულ ენაზე თარგმნით კიდევ ერთი კარგი და საშური საქმე გაკეთდა, რომელიც XX საუკუნის მინურულის ქართული

ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. ქართულმა საზოგადოებამ მშობლიურ ენაზე მიიღო ორი საინტერესო ისტორიული წყარო, რომელიც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სერიოზული მონაპოვარია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაზე მშობლიურ ენაზე წყაროებით განებივრებულები არც ადრე და არც ახლა არ ვართ და ამ ვაკუუმის შევსების ნებისმიერი მცდელობა პოზიტიურად მიგვაჩინია. ეს ორი წყარო დიდად დაგვეხმარება უფრო ობიექტური წარმოდგენა შევიქმნათ და კარგად გავიცნობიეროთ დასავლური ღირებულებები. მისი შემეცნებითი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. დამოუკიდებლობის დეკლარაცია ღალადებდა: „ჩვენ უცილობლად მიგვაჩინია შემდეგი ჭეშმარიტებანი: ყველა ადამიანი შექმნილია, როგორც თანასწორი და ყველა მათგანი გამჩენმა აღჭურვა ხელშეუვალი უფლებებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხთა შორის შექმნილია მთავრობები, რომლებიც სამართლიანი ხელისუფლებით აღჭურვილი არიან მმართულთა თანხმობით. თუკი მმართველობის არსებული ფორმა მათი (ხალხის) მიზნებისთვის დამღუპველი ხდება, მაშინ ხალხს უფლება აქვს შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა დაფუძნებული იმ პრინციპებზე და ხელისფლების ისეთ ორგანიზაციაზე, რომელსაც, ხალხის აზრით, ყველაზე უფრო მეტად შეუძლია უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება და ბედნიერება“ [8. 217].

ფრანგი რევოლუციონერი ლუი ანტუან სენ-ჟიუსტი ამბობდა: „მონობა არის დამოკიდებულება უსამართლო კანონებზე. თავისუფლება – დამოკიდებულება ჭკვიანურ კანონებზე, თავ-აშვებულობა ემორჩილება მხოლოდ თავის თავს“ [11].

რატომდაც ავტორი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ ამ ორი წყაროს ფრაგმენტი ქართულად პირველად გამოქვეყნდა ახალი ისტორიის ქრესტომათიაში (8. 217-221 და 222-236). ეტყობა, მას ეს მასალა უნებლიერ გამორჩა მხედველობიდან, ან

გაცნობილი არ ყოფილა. ამ ორი დოკუმენტის პუბლიკაცია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა და ქართველი სამართალმცოდნეებისა და ისტორიკოსებისათვის ერთ-ერთ სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. ის აღნიშნული საკითხის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

ბოლო ხანებში კვლავ შეინიშნება ამ საკითხისადმი ინტერესის გამოღვიძება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ის, უმთავრესად, ასახვას თარგმანებში პოვებს.

ამ ხარვეზს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანნილად ავსებს სულ ახლახანს 2014 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული საინტერესო წიგნი „პატრიოტთა ისტორიის მასალები“, რომლის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერები ლერი შვაიკარტი, დეივ დოქერტი და მაიკლ ალენი. აქ, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა დამოუკიდებლობისათვის ომის ამსახველ მასალებს, პირველწყაროებს. [12. 36-149]

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება 2013 წელს გამოსული წიგნი „ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები“. აქ მოთავსებულია ბენჯამინ ფრანკლინის, თომას ჯეფერსონის, ჯონ ადამსის და სხვა ამერიკელი განმანათლებლების ნანარმოებები. ის ისტორიკოსებისათვის საინტერესო პირველწყაროა და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ხარვეზის შევსების კიდევ ერთ მცდელობად გვევლინება. [13].

* * *

ამრიგად, ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხის დამუშავების საქმეში. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენი სამშობლო საქართველოა,

ცხადია, ეს არ უნდა იყოს ურიგო შედეგი, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამოუვარდება ამ საკითხში ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყნის მიღწევებს.

შესაძლოა, ამ მიმართულებით გაკეთებული ძალიან ცოტა იყოს და გასაკეთებელი გაცილებით ბევრია, მაგრამ ეს მნირი ინფორმაცია, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. პროგრამა მინიმუმი შესრულდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში უმთავრესად ყურადღება ექცეოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი წყაროების პუბლიკაციას, ხოლო მათი მეცნიერული შესწავლა ჩრდილში რჩებოდა და მოიკოჭლებს. პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილი იქნებოდა აშშ-ს ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა, სადაც, ბუნებრივია, შევიდოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტური მასალა, პირველწყაროები. ნაწილობრივ ამ ხარვეზს ავსებს „პატრიოტთა ისტორიის მასალები“. ეს ამ მიმართულებით პირველ წინგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. ციტ. В. Салов, Историзм и современная буржуазная историография, М., 1978.
2. Фр. Шиллер, В чём состоит изучение истории и какова цель этого изучения – собр. соч. т. 4. М., 1956.
3. მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი და წყაროთმცოდნეობის პრობლემები – „მესხეთი“, V. თბ., 2002.
4. Ш. Ланглуа, Ш. Сенобос, Введение в изучение истории, СПБ., 1899.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა) – ფონდი 2079, ანაბეჭდი 1. საქმე 44. ფურცელი 150, ფონდი 2079, ანაბეჭდი 1. საქმე 105. ფურცელი 750, ფონდი 2079, ანაბეჭდი 1. საქმე 32. ფურცელი 24. ფონდი 2079, ანაბეჭდი 1. საქმე, 66, ფ. 178.

6. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
7. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნების შესწავლა საქართველოში – მაცნე, ისტორიის სერია, 2. 2014.
8. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, რედაქტორები გ. კილურაძე და მ. მამუკაშვილი, ნაწილი პირველი, თბ., 1979.
9. აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ინგლისურიდან თარგმნა მინდია უგრეხელიძემ, თბ., 1996.
10. აშშ-ს კონსტიტუცია – კომპრომისის ხელოვნება, ინგლისურიდან თარგმნებს მინდია უგრეხელიძემ და ვიქტორ ყიფიანმა, სამეცნიერო რედაქტორი მინდია უგრეხელიძე, თბ., 1997.
11. ლ. ა. ცენ-ჯიუსტ, Речи – трактаты, М., 1995.
12. ლერი შვაიკარტი, დევიდ დოქერტი და მაიკლ ალენი, პატრიოტთა ისტორიის მასალები, თბ., 2014.
13. ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები; ბენჯამინ ფრანკლინი, თომას ჯეფერსონი, ჯონ ადამსი, ჯეიმზ ფილისონი, ბენჯამინ რაში, ინგლისურიდან თარგმნა გ. ბეროშვილმა, თბ., 2013.

თავი IV

ჩრდილოეთ ახერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისთვის ზრდოლის ისტორიის შესწავლა საქართველოში

ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოდერნიზაციის, ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. საფუძველი ეყრდნა ახალ სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებულ შტატებს. ის იყო ახალი ეპოქის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც უმაღლ აღმოჩნდა თანამედროვეთა ყურადღების ცენტრში და ეს ინტერესი არც შემდგომ საუკუნეებში შენელებულა.

გამოჩენილი გერმანელი დრამატურგი და ისტორიკოსი ფრიდრიხ შილერი ვერ ფარავდა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით გამოწვეულ ემოციებს და თავის მეგობარს ვილჰელმ ფონ არჰენჰოლცს 1795 წლის 10 ივლისს წერდა „არასოდეს არ მოგსვლია აზრად მოკლედ გადმოგეცა ამერიკელთა ბრძოლა თავისუფლებისათვის? მე არაფერი ვიცი ახალი ისტორიიდან, რომელსაც ასე ძალიან შეუძლია გაიტაცოს ნამდვილი ოსტატი. ვინაიდან საფრანგეთის რევოლუცია, ყოველ შემთხვევაში ჯერ-

ჯერობით, ისტორიული მეცნიერებისათვის არ მომწიფებულა“.

[1-395]

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში ყალიბდება ამერიკელი ერი. კონტინენტური კონგრესის დეპუტატი პატრიკ ჰენრი ამბობდა: „მე ვირჯინიელი კი არა, ამერიკელი ვარო“ [2.91]. ამ დროს ეყრება საფუძველი სამოქალაქო საზოგადოებას, იკვეთება სამართლებრივი სახელმწიფოს კონტურები. აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია ღალადებდა: „ყველა ადამიანი გამჩენმა აღჭურვა ხელშეუვალი უფლებებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა“. [3.217]. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად ყალიბდება ახალი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მოკლედ გადავავლოთ თვალი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლას საქართველოში. ეს ნარკვევი ამ თემის გაშუქების პირველი მცდელობაა.

* * *

აღნიშნული პრობლემის პერიოდიზაცია არსებითად არ განსხვავდება და ძირითადად იმეორებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლის ძირითად ეტაპებს და ამიტომ მასზე ხელმეორედ ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

აღნიშნული საკითხით დაინტერესება მოხდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც გაჩნდა პერიოდული პრესა, ქართული უურნალ-გაზეთები. აქედან იღებს სათავეს ამ პრობლემის პოპულარიზაცია. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით ქართული საზოგადოების დაინტერესება, რა თქმა უნდა, ადვილი გასაგებია და მას უპირატესად ქართული რეალობა განაპირობებს. ცარიზმის უღელქვეშ მყოფი საქართველოსათვის

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის აქტუალურ თემას წარმოადგენდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ძალიან კარგად თავსდება ამ კონტექსტში. ამიტომ აღნიშნული პრობლემებით ქართული საზოგადოების დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და სავსებით კანონზომიერ ხასიათს ატარებდა. იქნებ ძალზე შორეული ასოციაცია, მაგრამ რატომლაც მეჩვენება, რომ ქართველ პუბლიცისტებს ამ თემაზე წერის დროს საქართველოს რეალობა ედგათ თვალწინ, ხოლო ინგლისის მთავრობის უსამართლო და უღირსი საქციელის ანალოგიას მეფის რუსეთის პოლიტიკაში ეძებდნენ. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი ქართველი პუბლიცისტების და უურნალისტების სიმპათია ამის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. ამგვარი კეთილგანწყობა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ორგვარი ახსნა გააჩნია. მისი მიზეზები, უწინარესად, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ. ჯერ ერთი, ისინი მიესალმებოდნენ თავისუფლებისათვის ამერიკელი ხალხის ბრძოლას და მას, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, დიდ პატივს მიაგებდნენ. მნიშვნელოვანნილად სწორედ ამით აიხსნება მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამბოხებული კოლონიების მიმართ და შედარებით თავშეეკვებული მიდგომა ინგლისის მონარქიისადმი და მასში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული რეალობის ანარეკულს ხედავდნენ. მეორეც, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გამოირჩეოდა ზომიერი ხასიათით და უნდა ვიფიქროთ, რომ სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობის შეფასების დროს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პუბლიცისტიკა, უმთავრესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, რაც იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი

იყო. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით დაინტერესებამ თავისებური ხასიათი მიიღო და პერსონიფიცირებული ფორმით გამოიხატა. მან თავისი ასახვა ჰპოვა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბელადების ბიოგრაფიაში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევით. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების კეთილგანწყობის მწვერვალად, კულმინაციად, მისი ბელადებისადმი სიმპათიები მიგვაჩნია. ჯორჯ ვაშინგტონის და ბენჯამის ფრანკლინის მოღვაწეობით გამოწვეული ჭარბი ემოციები, ზეანეული ტონი, ცხადია, ადვილი გასაგებია და მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი სიმპათია განსაზღვრავს.

* * *

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ცნობილი ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის, გაზეთ „დროების“ დამაარსებლის და მთავარი რედაქტორის სერგეი მესხის მცირე მოცულობის, მაგრამ შინაარსიანი ნარკვევი „გიორგი ვაშინგტონი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროების“ ორ ნომერში. 1875 წლის 14 მარტს, პარასკევს და კვირას, 16 მარტს [4].

ს. მესხის ისტორიული ნარკვევი ჯორჯ ვაშინგტონზე პუბლიცისტურ ხასიათს ატარებდა და ძალიან კარგად თავსდება ჟურნალისტიკის ჩარჩოებში. მას მკვეთრად გამოკვეთილი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და მიზნად ისახავს ჯ. ვაშინგტონის მოღვაწეობის პოპულარიზაციას. ამ კულტურულებრულ მისიას უნდა ითქვას, რომ სერგეი მესხმა ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს არ იყო პატარა საქმე.

სერგეი მესხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის კარგად იცნობს ჯ. ვაშინგტონის მოღვაწეობის ფაქტობრივ მასალას,

რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი პლუსია, მაგრამ ის არ შემოიფარგლება ფაქტების მშრალი გადმოცემით და მის თხრობაში კარგად ჩანს ჯ. ვაშინგტონისადმი დამოკიდებულება. ეს საგულისხმოა და ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობის შეფასების მცდელობად გვევლინება. მას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ეს თემა ჩვენ სწორედ ამ კუთხით გვაინტერესებს.

ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობით სერგეი მესხის დაინტერესება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უპირატესად იმით იყო გამოწვეული, რომ „მას სურდა ეჩვენებინა იმ ადამიანის ცხოვრება, რომელმაც თავის საზოგადოებრივი ან ლიტერატურული მოღვაწეობით საკაცობრიო როლი შეასრულა“ [5.77]. ფაქტობრივად მას აინტერესებს მარად აქტუალური თემა ისტორიაში – პიროვნების როლი. ამის საილუსტრაციოდ მას ვაშინგტონის სახით მართლაც კარგი კანდიდატი აურჩევია. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ყოველთვის სარგებლობდნენ ს. მესხის სიმპათიებით, მისი არჩევანი კიდევ უფრო ნათელი შეიქნება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოება უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ლირებულებებზე გახლდათ ორიენტირებული და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და მისი ბელადების მიმართ დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდა. ჯორჯ ვაშინგტონი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ თვალსაჩინო წარმომადგენელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელსაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოება განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. სერგეი მესხის ეს პატარა ისტორიული ნარკვევი, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ს. მესხს ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა, რაც მისი პატარა და საინტერესო ნარკვევის მთავარ ლირსებად გვევლინება. მისი ზეანეული ტონი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ის, პირველ ყოვლისა, ჯ. ვაშინგტონის საქმიანობით

გამოწვეული აღფრთოვანებით არის განპირობებული. სერგეი მესხის მსჯელობას ჯორჯ ვაშინგტონზე მკვეთრად გამოკვეთილი ემოციური ელფერი დაკრავს და მისდამი, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისადმი, ღრმა სიმპათითაა გაჯერებული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ ვაშინგტონის ქების დროს სერგეი მესხის პატრიოტული აღტკინება თავის აპოგეას, პიკს, აღწევს. „გეორგ ვაშინგტონი ამერიკის შეერთებული შტატების გამათავისუფლებელია. კაცობრიობის წარსული ცხოვრება ძნელად წარმოადგენს მეორე ასეთ მაგალითს, რომ კაცს ვაშინგტონის ოდენა ეშრომოს თავის სამშობლო ქვეყნისათვის, იმდენი თავგანწირულობა, მხნეობა, გამოეჩინოს და თან ამასავით დაევიწყოს თავისი კერძო სარგებლობა“. [4]

„ვაშინგტონმა გაათავისუფლა თავისი სამშობლო ინგლისელთა მონობისაგან და დააფუძნა ის ძლიერი შეერთებული შტატების რესპუბლიკა, რომელსაც ახლა ზოგიერთი ევროპის ხალხი შეჰქატრიან და ბაძავენ“. [4]

სერგეი მესხმა ქართველ საზოგადოებას კარგად უჩვენა ინგლისელი დამპყრობლებისაგან ამერიკელი ხალხის გათავისუფლების საქმეში ჯორჯ ვაშინგტონის წვლილი. ხაზი გაუსვა ინგლისელებთან ბრძოლაში ახლადშექმნილი რესპუბლიკის არმიის მთავარსარდლის ძალისხმევას, ორგანიზატორულ ნიჭს, შემართებას. ეს მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. სერგეი მესხის ამ პატარა ისტორიული ნარკვევის შემეცნებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ მკითხველს საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჯორჯ ვაშინგტონის წვლილზე.

„ადვილი წარმოსადგენია ის თაყვანისცემა და სიყვარული, რომელიც უნდა აღეძრა ვაშინგტონს ამერიკელებში საზოგადოდ მამულის გათავისუფლებისათვის. ყველას ის მიაჩნდა მამულის მთავარ დამხსნელად. მთელი ამერიკა მას შესცეკროდა, როგორც ღმერთს.“ [4].

„ვაშინგტონი ამოირჩიეს ახლად დაფუძნებული ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტად. იმის დროს შეადგინეს ის მშვენიერი კონსტიტუცია, რომლის ძალითაც ამერიკის მოქალაქეებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული“. [4].

სერგეი მესხი ჯორჯ ვაშინგტონს აღიქვამს, როგორც დიდ პიროვნებას, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა არა მარტო თავისი სამშობლოს, ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ საერთოდ მსოფლიო ისტორიაში. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ გამორჩეულ ბელადს, რომლის მოქმედება ატარებდა ზომიერ ხასიათს და სავსებით შეესატყვისებოდა ქართველი პუბლიცისტის პოლიტიკურ იდეალს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯორჯ ვაშინგტონისადმი კეთილგანწყობას სერგეი მესხი არ მიჰყავს ისტორიაში პიროვნების როლის გაზვიადებამდე. დიდი ადამიანების მოღვაწეობა მჭიდრო კონტაქტშია იმ ეპოქასთან, რომელშიც ის ცხოვრობს. მისი აღწერა, სერგეი მესხის აზრით, „მთელი იმ ეპოქის და საზოგადოების აღწერას უნდა შეადგენდეს“. მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ისტორიაში დიდი პიროვნების ადგილი. „ისინი გვასწავლიან და თავიანთი ცხოვრებით გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ებრძოდეს ყოველი კაცი სხვადასხვა დამჩაგვრელ ძალებს, როგორ უნდა ცდილობდეს ადამიანი საუკეთესო ცხოვრების მიღწევას. ესენი გვასწავლიან საზოგადოების კეთილდღეობისათვის ბრძოლას და ხანდახან ცხოვრების შეწირვას. დიახ, ამისთანა კაცების ცხოვრების გაცნობა ყოველთვის და ყველასათვის სასარგებლოა და აუცილებლად საჭიროა და განსაკუთრებით ეხლა ჩვენთვის“ [6.5.78]. ერთ-ერთ ასეთ გამორჩეულ პიროვნებად მსოფლიო ისტორიაში სერგეი მესხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბელადი ჯორჯ ვაშინგტონი ესახებოდა.

სერგეი მესხის სტატიაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი სიმპათია პერსონიფიცირებული ფორმითაა გაცხა-

დებული და ჯორჯ ვაშინგტონის ბიოგრაფიაში პპოვებს ასახვას. ამით ის ჯ. ვაშინგტონს პატივს მიაგებს, როგორც დიდ პიროვნებას. ამგვარი ხედვა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და მისი გასაღები ს. მესხის მსოფლმხედველობაშია საძიებელი. ს. მესხი ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობის შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობს და მას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. ფაქტობრივად, ს. მესხმა ტონი მისცა ჯორჯ ვაშინგტონის როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისადმი ქართული საზოგადოების მოწინებულ დამოკიდებულებას. ქართულ ცნობიერებაში ჯორჯ ვაშინგტონი დიდების კვარცხლბეკზე შემდგარი შემოდის.

დაბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ ყურადღებას იპყრობს ს. მესხის დამოკიდებულება 1787 წლის კონსტიტუციისადმი. ს. მესხი, როგორც პროგრესულ-ლიბერალური მოაზროვნე მაღალი აზრის ჩანს ამერიკულ დემოკრატიაზე, სახელდორ, 1787 წლის კონსტიტუციაზე. მას როგორც პუბლიცისტს და უურნალისტს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული კონსტიტუციის ისტორიული მნიშვნელობა. „შეადგინეს მშვენიერი კონსტიტუცია, რომლის ძალითაც ამერიკის მოქალაქეებს სრული თავისუფლება ... აქვთ მინიჭებული“ [4].

სერგეი მესხის, როგორც ლიბერალის მიერ 1787 წლის კონსტიტუციის პოზიტიური შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. 1787 წლის კონსტიტუცია ახლადფეხადგმული დემოკრატიის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენდა და ამაში ს. მესხი ცამდის მართალი ბრძანდებოდა. ეს იყო მედლის ერთი მხარე. მედალს აქვს მეორე მხარე. რატომდაც ის კრინტს არ ძრავს, რომ კონსტიტუციამ ძალაში დატოვა მონობა, მამაპაპეული მიწებიდან ინდიელების

აყრა. ყველა ეს სიკეთე მხოლოდ თეთრკანიან მოსახლეობას ეხებოდა.

ახლა ძალიან მოკლედ შევჩერდებით თარგმნილ ლიტერატურაზე, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნება. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და მისი ბელადების მოღვაწეობის პოპულარიზაციის საქმეში. ეს ამ სფეროში ქართულ რეალობაში არსებული სიცარიელის შევსების კიდევ ერთ მცდელობად გვევლინება. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და თავისი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.

სერგეი მესხის ამ პატარა და საინტერესო ნარკვევმა სტიმული მისცა ქართულ სინამდვილეში ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესებას. პირველი ნაბიჯი ამ საქმეში გადაიდგა. მე-19 საუკუნის მიწურულს ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში კვლავ დგას ჯორჯ ვაშინგტონის კოლორიტული ფიგურა. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს ნ. ბარნაბიშვილის მიერ თარგმნილი წიგნი „გეორგ ვაშინგტონი – ამერიკის განმათავისუფლებელი“. საიდან არის გადმოთარგმნილი წიგნი – ნათევამი არაა. [7,5,78] ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნ. ბარნაბიშვილის თარგმანი ს. მესხის მიერ დაწყებული საქმის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება.

წიგნი ზეანეული ტონით იწყება და მთავრდება და ფაქტობრივად ჯ. ვაშინგტონის მოღვაწეობის აპოთეოზს წარმოადგენს. „ამ ბრძოლაში და აგრეთვე ქვეყნის მოწყობის დროს გვივარდება თვალწინ კაცი, რომელიც უნებრივ იზიდავს ჩვენს თანავრძნობას, კაცი, რომელიც თანაბრად საზრავს ბრძოლისა და ქვეყნის დამშვიდებაში. სცდილობს დანერგოს ხალხში კანონი და წყობილება... იგი მხურვალედ გვაყვარებს თავს. ქრისტიანული ლვთისნიერება, კეთილშობილური აზროვნება, მოქალაქეობრივი პატიოსნება, ბრნყინვალე გონება, ნამდვილი

გრძნობა – აი, სიახლოვნე ამ დიდი კაცისა. ერთობ დიდისა ომსა და ბრძოლაში. სახელი მისი – გიორგი ვაშინგტონი“. [7] აქ კარგადაა გაცნობიერებულ ჯორჯ ვაშინგტონის დამსახურება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჯ. ვაშინგტონის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირისადმი კეთილგანწყობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. თარგმანის დასასრული ჯორჯ ვაშინგტონისადმი დამოკიდებულების შეჯამებად გვევლინება და თავისებურ რეზიუმედ მიგვაჩნია. წიგნის დასასრულს ვკითხულობთ: „მთელი ევროპა თანაუგრძნობდა ამერიკას მწუხარებაში (საუბარია ჯორჯ ვაშინგტონის გარდაცვალებაზე – მ. კ.) თითქმის ინგლისშიც აღიმაღლა ხმა შესანიშნავმა ფოქსმა (იყო ლიბერალების პარტიის ლიდერი – მ. კ.) რომ ვაშინგტონისათვის ქება მოეწყო. ჩვენ ასევე უნდა მივიღოთ. თუ იმ დროს აღმაღორძინე ამერიკას მივაქცევთ ხედვად მასში ყოველისფერს ვაშინგტონისგან აქვს საფუძველი დადებული“ [7] აქ, ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. ჯ. ვაშინგტონის ხოტბა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი, სახელდობრ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი სიმპათიების ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება.

ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი და ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება შეინიშნება ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. აქ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის თხზულებას „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ (მგზავრის წერილებიდან), სადაც გვხვდება მსჯელობა ამერიკის გამათავისუფლებელ მოძრაობაზე და ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობაზე.

„აი, ეს ღენერალიც (ე. ი. კორნულისი – მ. კ.) თავისი საუკეთესო ჯარიანათ იორკუტაუნის ქალაქთან ვაშინგტონმა შეიმწყვდია და ტყვედ აკრიფა. ამ ამბების შემდეგ ინგლისს

აღარა გაუბედნია-რა. ამ სახით თავგანწირულმა, თავისუფლებისმოყვარე და სამშობლოს დაცვისათვის მებრძოლებმა, თითქმის უიარალო ხალხმა საუკეთესო ევროპის ჯარი დაატყვევა და უძლიერესი სახელმწიფო შეაშინა. ხალხი თავგანწირულია და თავის ქვეყნისათვის იბრძვის რა შეუძლია.. იტალიაც ახლა ამ მდგომარეობაშია, როგორც ამერიკა მეთვრამეტე საუკუნეში. იტალიელებიც ახლა ისე იბრძვიან, იმათ წინ მიუძღვით ისეთი ღენერალი, რომელიც ვაშინგტონს არ ჩამოუვარდება... ამ ბრძოლაში გარიბალდი იქნება იმათი გამა-თავისუფლებელი, როგორც ვაშინგტონი შეიქმნა ამერიკელების განმათავისუფლებელი". [8.84]

გიორგი წერეთლის მოსაზრება საყურადღებოა და, როგორც ეტყობა, ჯორჯ ვაშინგტონს დიდ პატივს მიაგებდნენ არა მარტო ლიბერალები, მაგალითად, სერგეი მესხი, არამედ რადიკალებიც. მესამე დასელი გიორგი წერეთელი. ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი გ. წერეთლის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჯ. ვაშინგტონის ქებაში პოვებს ასახვას. [9]

დასასრულს, უნდა დავძინოთ, რომ გიორგ რუსული ტრანსკრიფციის გამოძახილია და შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში ფეხი ვერ მოიკიდა.

ქართულ საზოგადოებას არც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კიდევ ერთი ლიდერის ბენჯამინ ფრანკლინის მოღვაწეობა დარჩენია უყურადღებოდ. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ 1900 წელს ქართულ ენაზე გადმოთარგმნილ პ. კორსუნისკის წიგნს ფრანკლინზე. [10]. მისი მოღვაწეობით ქართული საზოგადოების დაინტერესებაში მოულოდნელი არა-ფერი ყოფილა და მას, ვაშინგტონთან და ჯეფერსონთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების გათავისუფლების საქმეში და ახალი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების ჩამოყალიბებაში. ბენჯამინ ფრანკლინი იყო ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქი.

თანამედროვეების თქმით „ის იყო ადამიანი, რომელმაც ღმერთს მეხი და ტირანს ძალაუფლება გამოსტაცა“.

ამ წიგნის ქართულ ენაზე თარგმანით და გამოცემით უდაოდ კარგი საქმე გაკეთდა. ქართულ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა მშობლიურ ენაზე გასცნობოდა ბენჯამინ ფრანკლინის ბიოგრაფიას. გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და მისი ბელადების მოლვანეობის პოპულარიზაციის გზაზე. ამას დღიდ მნიშვნელობა ჰქონდა და იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, რომელიც იმ რთული ვითარებიდან, რომელიც ამ სფეროში საქართველოში არსებობდა, ერთ-ერთი რეალური გამოსავალი ჩანდა. ის გვეხმარებოდა შეძლებისდაგვარად შეგვევსო ის მწირი ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხზე მშობლიურ ენაზე გაგვაჩნდა. ამიტომ, თარგმნილი ლიტერატურის გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოადგენას ვერ შეგვიქმნის.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ბროშურას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოებისთვის საერთო წარმოდგენა შეექმნა ბენჯამინ ფრანკლინის ცხოვრებასა და მოლვანეობაზე. ამ კულტურტრეერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს იყო. მისი ლირსება მის შემეცნებით მნიშვნელობაში მდგომარეობს. მან თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის და მისი ბელადების მოლვანეობის პოპულარიზაციის საქმეში. ვაშინგტონის და ფრანკლინისადმი დამოუკიდებულება მძლავრი პატრიოტული მუხტითაა გაჯერებული.

ამ პუბლიცისტურ წერილებში და თარგმნილ წიგნებში საქმე გვაქვს ჯ. ვაშინგტონის და ბ. ფრანკლინის მოლვანეობის გააზრების მოკრძალებულ მცდელობასთან, რომელსაც ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ამიტომ მისი შეუფასებლობა

უმართებულო იქნებოდა. ეს პრიმიტიული, მიამიტური, მსჯელობა ქართულ სინამდვილეში მათი მოღვაწეობის შეფასების პირველ მცდელობად გვევლინება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯორჯ ვაშინგტონის და ჯ. ადამსისადმი როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებისადმი სიმპათიები გვხვდება ქართული ანარქიზმის აღიარებული თავკაცის ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში. (33. 142, 224, 238, 282, 142 239). აქ საინტერესო სურათი შეიძლება იკვეთება. ეროვნულმა იდეამ ხომ არ იმძლავრა მის ანარქისტულ მრნამსზე;

მაშასე, ვაშინგტონის, ფრანკლინის და ადამსისადმი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადებისადმი, სიმპათიები სავსებით მართლზომიერია, მაგრამ მათი განდიდება გადაჭარბებული შეიძლება იყოს. მთლიანობაში მათი მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მისაღებია და სწორია. ეს ამ თემაზე ქართველი პუბლიცისტების მსჯელობის რაციონალურ მარცვალს ნარმოადგენს.

ამრიგად, საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით დაინტერესების ათვლის წერტილად მე-19 საუკუნის 70-იანი წლები გვევლინება, როდესაც გაჩნდა პირველი სპორადული ცნობები დამოუკიდებლობისათვის ომზე. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საძირკველი ჩაეყარა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას. მან 1918 წლამდე გასტანა. ეს იყო აღნიშნული საკითხით დაინტერესების პირველი პერიოდი. აღსანიშნავია, რომ ამ თემატიკით დაინტერესებამ უმთავრესად ასახვა ჰპოვა ქართულ უურნალისტიკაში, პუბლიცისტიკაში, ეს სულაც არ ამცირებს მათი ნააზრევის მნიშვნელობას.

აღნიშნული პრობლემის შეფასებისას ქართული საზოგადოებრივი აზრი, უმთავრესად, პროგრესულ-ლიბერალურ ლირებულებებზე იყო ორიენტირებული. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელი ისტო-

რიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. მნიშვნელოვან-ნილად ამით აიხსნება ქართული საზოგადოების სიმპათიები ამბოხებული კოლონიებისადმი და თავშეკავებული დამოკიდებულება ინგლისის მონარქიისადმი. საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით დაინტერესებამ პერსონიფიცირებული ხასიათი მიიღო და უპირატესად ასახვა პპოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების, სახელდობრ, ჯორჯ ვაშინგტონის და ბენჯამინ ფრანკლინის, ბიოგრაფიაში. ქართულ ცნობიერებაში ჯ. ვაშინგტონისა და ბ. ფრანკლინის სახელები, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბელადების, რომანტიკული დიდების შარავანდედით მოსილი აღმოჩნდა. მათ ძალიან კარგად უნდა ჰქონდათ გაცნობიერებული მათი მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა. ამ თემაზე, მათი ნააზრევის რაციონალური მარცვალი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ, მაგრამ ეტყობა, მეტისმეტი მოუვიდათ და მათი გაიდეალება, განდიდება, ცხადია, არ ღირს.

* * *

შემდგომი მონაკვეთი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით ამოვარდნილი იყო აღნიშნული პრობლემით დაინტერესების ისტორიიდან, გახლდათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაშუქება სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ეს პრობლემა საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის დროს ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა და ქართული ისტორიოგრაფიის საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი გახლდათ. ამ მონაკვეთს დუმილით უვლიდნენ გვერდს და ამტკიცებდნენ, თითქოსდა ამ წლებში პოზიტიური არაფერი შექმნილა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამგვარი დამოუკიდებულება იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული და არანაირი

მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა. სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით დაინტერესების საერთო სურათზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ეს საკითხი არსებითად მრუდე სარკეშია დანახული და ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის ევოლუციაზე არასწორ წარმოდგენას გვიქმნის. ის სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან ხასიათს, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდა საბჭოთა იდეოლოგია. აღნიშნული პრობლემით სერიოზული დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც აქამდე იყო მიღებული, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში და ასახვა ჰპოვა იმ პერიოდში გამოქვეყნებულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. აი, ასეთია რეალობა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში, საბჭოთა რეჟიმის ძალისხმევით, გვერდს უვლიდნენ.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით დაინტერესებამ საგულისხმო ტრანსფორმაცია განიცადა და, უმთავრესად, აღმავალი ხაზით განვითარდა. თავდაპირველად, მან უურნალ-გაზეთების ფურცლებზე ჰპოვა ასახვა, შემდეგ თარგმნილ ლიტერატურაში და კიდევ უფრო მერე დამოუკიდებელ საქართველოში გამოსულ ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოპულარიზაცია სუვერენულ საქართველოში ახალ ფაზაში შედის, რაც, უწინარესად, იმით გამოხატება, რომ მან სამეცნიერო პოპულარული ხასიათი შეიძინა. ეს იყო თვისებრივი სიახლე, რომელიც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა. ამიტომ ეს ხანმოკლე მონაკვეთი საქართველოში აღნიშნული საკითხის დაინტერესების მეორე პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

საინტერესოა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს იყო იმ გრანდიოზული ჩანაფიქრის ერთი ნაწილი, რომელიც განათლების სფეროში დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთ გააჩნდათ. საფიქრებელია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებს მოყვებოდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები და საკვლევი ლიტერატურა, მაგრამ დროის სიმცირის გამო, რომელშიც თავისუფალი საქართველოს მესვეურები აღმოჩნდნენ, ყველა ჩანაფიქრის განხორციელება ვეღარ მოესწრო. ის იმ კარგი ტრადიციების გაგრძელება და ლოგიკური დაგვირგვინება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ახალი ისტორიის პირველ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მხოლოდ ახალ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოესწრო. ესეც არ იყო ცოტა. აქედან კარგად ჩანს, თუ რა გზით შეიძლება წარმართულიყო ეს პროცესი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეცნიერული ორიენტირები სწორად იქნა დასმული. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ კარგად ჩანს, ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენა. ეს ერთი წამითაც არ ამცირებს ამ სახელმძღვანელოების ღირებულებას.

დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. ფაქტობრივად ეს ქართულ რეალობაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაშუქების ერთი-ერთი პირველი სერიოზული მცდელობაა. მისი შემეცნებითი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობდა. ის კარგად დააკვალიანებს ქართულ საზოგადოებას, პირველი რიგში კი მოსწავლეებს და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნის.

ახლა უნდა შევჩერდეთ სახელმძღვანელოების კონცეფციაზე. ამის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შეფასების დროს ქართული სას-

კოლო სახელმძღვანელოების ავტორები უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგანან. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება მათი სიმპათიები ამბოხებული კოლონიების მიმართ და გაცილებით თავშეკავებული დამოკიდებულება ინგლისის მონარქიისადმი. აქცენტი კეთდება ლიბერალურ ღირებულებებზე. ეს იყო სწორი მიდგომა. ამგვარი ხედვა სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმ მონარქისტულ-შავრაზმული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა სწავლება ქართულ სკოლებში ცარიზმის დროს, ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები რუსული და ევროპული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციებზე იყვნენ ორიენტირებულნი და ეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების მთავარი პლუსია.

საქართველოს რესპუბლიკაში 1918-21 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, შეძლებისდაგვარადაა გაშუქებული ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. დავიწყოთ გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის აკად. ერნსტ ლავისის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოთი, რომელიც თარგმნილი იყო ქართულ ენაზე. აქ, ბუნებრივია, საუბარია ჩვენთვის საინტერესო თემაზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. როგორ მიუდგა სახელმძღვანელოში ამ საკითხის გაშუქებას სახელმოხვეჭილი ფრანგი ისტორიკოსი? საკითხისადმი მიდგომა არის მეტად თავისებური და ძირითადად ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობის ჭრილშია დანახული. ფაქტობრივად, ეს არის ფრანგული პოზიცია. [11.23]. ამგვარი მიდგომა საინტერესოა, მაგრამ გარკვეული უკმარობის გრძნობას გვიტოვებს და ქართულ საზოგადოებას აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ უქმნის. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოში ერთი კონკრეტული თემის წინ წამოწევა, რაც არ უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს მას, დამაჯერებლად არ მიგვაჩნია და მეთო-

დური თვალსაზრისით გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ქართული სკოლისათვის ასეთი ხედვა მისაღები არ იყო.

ახლა გადავიდეთ ქართველი ავტორების სახელმძღვანელოებზე. დამოუკიდებლობის ომის პერიპეტიების გაშუქების დროს საუკეთესოდ დიმიტრი უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელო მიგვაჩნია. აქ ეს საკითხი განხილულია კომპაქტურად, გაცილებით უფრო დეტალურად და დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში ეს თემა დაყოფილია სამ ნაწილად. პირველი ნაწილი თავისებურ ისტორიულ ფონს ქმნის. აქ საუბარია ინგლისური ახალშენების ყოფაზე. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ავტორები ცდილობენ გააშუქონ ის მიზეზები, რომელსაც მოჰყვა კონფლიქტი მეტროპოლიასა და კოლონიას შორის. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. ამ მონაკვეთის ყველაზე უფრო წინად ნაწილს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს მეორე თავი, რომლის ყურადღების ცენტრში დგას მთავარი თემა – საკუთრივ დამოუკიდებლობისათვის ომის განხილვა. მესამე ნაწილი შეეხება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგებს, ახლადმოვლენილ სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის კონსტიტუციას. [12.23-29]

სახელმძღვანელოში საუბარია მნიშვნელოვან მოვლენაზე, ბრძოლებზე, მაგრამ თარიღები ყოველთვის მითითებული არაა. წმინდა მეთოდური თვალსაზრისით ეს გამართლებული არ უნდა ჩანდეს. სახელმძღვანელო არ უნდა გადავტვირთოთ ფაქტებით, მაგრამ ძირითადი თარიღების მითითება, ალბათ, კარგი იქნებოდა. [13]

სიმონ ავალიანი თავის სახელმძღვანელოში „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ (XV-XVIII სს.)“, ბუნებრივია, მოკლედ ჩერდება ამ საკითხზე და მას ორი ნაწილად ყოფს. თავდაპირველად საუბარია ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისურ ახალშენებზე, გაკვრით შეეხება მეტროპოლიასა და კოლონიას

შორის კონფლიქტის მიზეზებს, ხოლო შემდეგ განხილულია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. [14.151-154]

თეიმურაზ ჭუმბურიძის სახელმძღვანელოში ეს თემა ასევე ორ ნაწილადაა გაყოფილი: ჩრდილოეთ ამერიკის რევოლუცია და შეერთებული შტატების სახელმწიფოს დაარსება. პირველ ნაწილში ის ცდილობს განიხილოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამომწვევი მიზეზები და ყურადღებას ამახვილებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე. [15, 137-140] მეორე ნაწილი კი შეეხება კონკრეტულად დამოუკიდებლობისათვის ომის მსვლელობას. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორმაგი მისის – ეროვნულ-გამათავისუფლებელი და სოციალური, გაცნობიერების მცდელობა ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება [15. 140-141]. დიდი ყურადღება ექცევა ისტორიულ ფონს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამოწვევ მიზეზებს, ხოლო საკუთარი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიები გაშუქებულია შედარებით მოკლედ. ეს შეუსაბამობა ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა.

ცხადია, ჩვენთვის საინტერსო საკითხი უყურადღებოდ არ რჩება ალექსანდრე წერეთლის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში. ხაზგასმულია, რომ მეტროპოლიასა და კოლონიას შორის კონფლიქტი გამოწვეული იყო საგადასახადო სისტემით, მიზეზ-შედეგობრიობაზე ყურადღების გამახვილება ამ სახელმძღვანელოებში აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. სახელმძღვანელოებს გააჩნიათ ანალიტიკური მუხტი. ეს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. ნაჩვენებია ჯორჯ ვამინგტონის წვლილი ამერიკელი ხალხის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. სახელმძღვანელოში ამ თემის განხილვას ძალიან ცოტა ადგილი ეთმობა. სულ ორი გვერდი, რაც მნიშვნელოვანნილად იმით აიხსნება, რომ ეს საკითხი განხილულია არა ცალკე, არამედ ინგლისის ისტორიის დასასრულს. [16,55-56].

სახელმძღვანელოებში ზოგიერთი საკითხისადმი მიდგომის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს: 1. უნინარესად, ასეთად მიგვაჩნია სახელმძღვანელოებში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისათვის განკუთვნილი ადგილი. ის ინგლისის ისტორიაშია განხილული. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ამერიკა ინგლისის კოლონია იყო და ეს საკითხი ინგლისის ისტორიაში მოათვეს. ასეთმა მიდგომამ გარკვეული უკმარიბის გრძნობა დაგვიტოვა და საკამათოდ მიგვაჩნია. რამდენად იყო საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი? ნებსით თუ უნებლიერ ხომ არ ვაკინებთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობას? რამდენად შეუქმნიდა ეს ქართულ საზოგადოებას, უნინარესად კი მოწაფეებს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას? შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ამგვარი დამოუკიდებულება წინააღმდეგობრივი შეიძლება იყოს, რაც იმით გამოიხატება, რომ მათ კარგად უნდა ჰქონდათ გაცნობიერებული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ სახელმძღვანელოში მისი ცალკე გამოყოფისაგან რატომლაც თავი შეიკავეს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ამ საკითხის ცალკე გამოყოფა და განხილვა, როგორც ეს იყო შემდეგი პერიოდის სახელმძღვანელოებში. ეს თემა ამას, ვფიქრობთ, სავსებით იმსახურებდა. საქმე გვაქვს ახალი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების შექმნასთან, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ახალი დროის ისტორიაში. 2. ქართული საზოგადოება ჯორჯ ვაშინგტონს და ბენჯამინ ფრანკლინს როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს მაღალ შეფასებას აძლევდა და დიდების რომანტიკულ შარავანდედში ხვევდა. დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ამ ტრადიციის გაგრძელებად გვევლინება, სადაც ჯ. ვაშინგტონის და

ბ. ფრანკლინის მოღვაწეობით გამოწვეული პიეტეტი, ღრმა პატივისცემა, შეიძლება ითქვას, რომ თავის აპოგეას, ზენიტს აღწევს. 3. დიამეტრალურად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კიდევ ერთ წარმომადგენელთან – თომას ჯეფერსონთან მიმართებაში. როგორდაც ჩრდილში მოექცა თომას ჯეფერსონის კოლორიტული ფიგურა. საქმე ისაა, რომ ჯორჯ ვაშინგტონის და ბენჯამინ ფრანკლინისაგან განსხვავებით მასზე ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა. თ. ჯეფერსონის მოღვაწეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების მნვერვალად გვევლინება დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები. რით იყო გამოწვეული თ. ჯეფერსონის მოღვაწეობისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, თ. ჯეფერსონის შეხედულებები მათ მეტად რადიკალურად ეჩვენებოდათ და სცდებოდა მათი პოლიტიკური იდეალების ფარგლებს. სახელმძღვანელოებში დამაჯერებლად არაა ნაჩვენები ამერიკის გათავისუფლების საქმეში ტრიუმვირტის, ჯორჯ ვაშინგტონის, ბენჯამინ ფრანკლინის და თომას ჯეფერსონის წვლილი. ეს სახელმძღვანელოებში აღნიშნულ თემაზე მსჯელობის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია. თ. ჯეფერსონი ნამდვილად არ იმსახურებდა ამგვარ დამოკიდებულებას. 4. რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებას და დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებს თავისუფლებისათვის ამერიკელი ხალხის ბრძოლის ორგვარი მისია: ეროვნული და სოციალური. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სოციალური ასპექტები, რევოლუციური ბუნება, შედარებით მერთალად, სუსტად, ჰქონოდათ გაცნობიერებული, ხომ არ დაჩრდილა მათ თვალში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ხასიათმა მისი სოცია-

ლური ასპექტები? ამ თვალსაზრისით ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება თ. ჭუმბურიძის სახელმძღვანელო. 5. ამ თემაზე მსჯელობის დროს პრიორიტეტი ენიჭება პოლიტიკური ისტორიის თხრობას, ხოლო სამეურნეო განვითარება, ეკონომიკური ასპექტები, განხილულია შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ამგვარი მიდგომა ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. 6. სახელმძღვანელოებს არ გააჩნია მეთოდური აპარატი, კითხვები, დავალებები. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდიკა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში აღნიშნული პრობლემის დამუშავების დროს სწორი კურსი უნდა ჰქონოდათ აღებული, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნებოდა, რომ უმთავრესად თავისუფალ აზროვნებაზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყვნენ ორიენტირებულნი. 1918-21 წლებში საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის პირველი სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

აღნიშნული პრობლემის შესწავლამ საქართველოში სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უპირატესად სასკოლო სახელმძღვანელოებში ჰქოვა ასახვა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, სწორი არ იქნებოდა.

ჟურნალისტების, პუბლიცისტებისგან ესტაფეტა მიიღეს მეცნიერებმა.

* * *

1921 წლის 25 თებერვალს ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთმა მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ანექსია, ოკუპაცია, დაპყრობა. ეს იყო ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია. ფაქტობრივად, აქედან იწყება აღნიშნული საკითხის შესწავლის ახალი, მესამე პერიოდი. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). თემა არის საინტერესო და აქტუალური. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლა მეცნიერულ იერსახეს იძენს, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ისტორიკოსები ხელს კიდებენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მარქსისტული პოზიციებიდან ამუშავებენ მას. ეს იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალი იყო. ფაქტობრივად, მათ არჩევანი უნდა გაეკეთებინათ უარესასა და ცუდს შორის. ფსონი ამ უკანასკნელზე დადეს. იმ რთულ ვითარებაში ეს იყო სწორი ნაბიჯი. დღევანდელი გადასახედიდან მათი განსჯა ადვილია, და, ალბათ, არ ღირს.

მიუხედავად ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური წნევისა, უნდა ვაღიაროთ, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესწავლა, პოპულარიზაცია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზულად მოიკოჭლებდა. ალბათ, მეტის გაკეთება შეიძლებოდა. რით იყო გამოწვეული ამ დარგში ქართველი ისტორიკოსების ასეთი ინერტულობა? ეს რამდენიმე ფაქტორით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული: 1. პირველ ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამერიკანისტიკა შედარებით ახლაგაზრდა დარგია და დიდი ხნის განმავლობაში არ გვყავდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ქართველი სპეციალისტი, ამერიკანისტი. ეს აფერხებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლასა და

პოპულარიზაციას. ამ ვაკუუმს უმთავრესად ახალი ისტორიის სპეციალისტები ავსებდნენ. ეს, ცხადია, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. 2. საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და რუსულ ენაზე არსებული მდიდარი ლიტერატურა ადვილი ხელმისაწვდომი იყო. მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურის დეფიციტი მწვავედ არ იგრძნობოდა. ფონს ადვილად გავდიოდით. 3. პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ნარკვევი ბენჯამინ ფრანკლინზე რომ გამოქვეყნებულიყო და პროფ. გივი კილურაძეს მოესწრო, დაეწერა სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, მაშინ ეს ვაკუუმი, ალბათ, არ გვექნებოდა და ეს ორი სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი შესამჩნევად შეავსებდა იმ სიცარიელეს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ეს ხარვეზი დღესაც ძალაში რჩება.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესწავლა და პოპულარიზაცია ორ ასპექტში წარიმართა – დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესწავლა საბჭოთა სკოლაში და ამ პრობლემის მეცნიერული კვლევა და პოპულარიზაცია.

დავიწყოთ ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებით. საინტერესო ევოლუცია განიცადა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სწავლებამ საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში. მან რამდენიმე ეტაპი განვლო. თავდაპირველად ისტორია განდევნილი იქნა სასკოლო პროგრამიდან და მისი ადგილი დაიკავა საზოგადოებათმცოდნეობამ, რომელიც წარმოადგენდა ისტორიის, ფილოსოფიის და პოლიტეკონომიის ნაჯვარს. აქ ისტორია ძალიან მცირე დოზით იყო მოცემული. ალბათ, გულუბრყვილობა იქნებოდა ვიფიქროთ, რომ ასეთ პირობებში აღნიშნული საკითხის ნორმალურად სწავლება შესაძლებელი იქნებოდა. [17]

არსებითად შეიცვალა ვითარება 30-იანი წლების შუა ხანებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირში კვლავ აღსდგა ისტორიის სწავლება. ეს, ცხადია, ძალიან კარგი იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ სკოლაში ამ პრობლემის შესწავლა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. დამყარდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. [18] სახელმწიფო უხეში ადმინისტრაციული გზით ერეოდა მეცნიერებაში და ძალით ახვევდა თავს მისთვის სასურველ იდეოლოგიას. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა იყო სწორი და მეცნიერული. განსხვავებული შეხედულება მიუღებელი იყო და ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ვითარება შეიცვალა. დაიწყო „დათბობის ხანა“, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო „იდეური დაბნეულობა“. მარქსისტული იდეოლოგიის დიქტატი, მონოპოლია, კვლავ ძალაში რჩება.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში ეს თემა განიხილებოდა ცალკე მონაკვეთად. ეს მიდგომა გაცილებით სწორი უნდა იყოს.

საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ტრიუმვირატის ჯორჯ ვაშინგტონის, ბენჯამინ ფრანკლინის და თომას ჯეფერსონის წვლილი. ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ბუნებრივია, ტრიუმვირატის როლი განხილულია კლასობრივი პოზიციებიდან და არა ეროვნული. ეს იყო საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კლასობრივი მიდგომა აკნინებდა ჯ. ვაშინგტონის, ბ. ფრანკლინის და თ. ჯეფერსონის დამსახურებას. ეს კი უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო. ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ისტორიაში პირვენების როლს.

საბჭოთა პერიოდის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოებში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიები უპირატესად

განხილულია კლასობრივი პოზიციებიდან და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ მარქსისტული მოძღვრების ჭრილში. ცდილობდნენ, რომ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისთვის მოერგოთ კონკრეტული ისტორიული მასალა. ამგვარი მიდგომა იყო სწორხაზოვანი და სქემატური. [19] პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი, გასაბჭოებამდე არსებული ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებთან შედარებით. ეს იყო კიდევ ერთი მარქსისტული სტერეოტიპი, რომელსაც მტკიცედ ნერგავდა საბჭოთა რეჟიმი. რეალობა კი სულ სხვაგვარი გახლდათ.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია შეეცადა შეევსო ამ საკითხში არსებული ვაკუუმი, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელება სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ადვილი საქმე, როგორიც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდა. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე საინტერესო გარემოებაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ თემის შესწავლის ირგვლივ არსებული სიტუაციის საკვანძო მომენტებად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია და მეტნაკლებად დაგვეხმარება ნათელი მოვფინოთ ამ თემას. აღნიშნულ საკითხში ქართველი ისტორიკოსების პასიურობა, შესაძლოა, მხოლოდ მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და რეალურად ისინი ცდილობდნენ რაღაც გაეკეთებინათ, რათა ეს ხარვეზი აღმოეფხვრათ. რამდენიმე ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. აი, რას ვგულისხმობთ.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიები, ბუნებრივია, გაშუქებული იქნებოდა ახალი ისტორიის ქართულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში და, ალბათ, ეს ასეც მოხდებოდა, რომ არა პოლიტიკური კატაკლიზმები. საქმე ის იყო, რომ 30-იანი წლების შუა ხანებში უმთავრესად ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის და მისი მთავარი სულისჩამდგმელის ი. სტალინის ძალისხმევით, ადგილი აქვს ისტორიული მეც-

ნიერების სტალინიზაციას, უნიფიკაციას. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნამ, რომელიც ასულდგმულებდა დამოუკიდებელ საქართველოს, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, დიდი ხნით უკანა პლანზე გადაინაცვლა. მნიშვნელოვანილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნდა ახალი ისტორიის პირველი პერიოდის (1640-1870 წწ.), როგორც მაშინ უწოდებდნენ, სახელმძღვანელო და ფონს რუსული სახელმძღვანელოებით გადიოდნენ. ასეთი იყო რეალობა. ეს იყო ერთი შანსი. ეს იქნებოდა ერთი საინტერესო ისტორიული ნარკვევი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, რომელიც ნაწილობრივ შეავსებდა იმ ხარვეზებს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ერთ-ერთი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მას ჩაფიქრებული ჰქონდა ახალი ისტორიის ქრესტომათია. მუშაობდა კიდეც ამ საკითხზე, მაგრამ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. 1961 წელს, ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, გამოვიდა მისი საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მონოგრაფია „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“. მან დაწერა საინტერესო ნარკვევი ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქზე და ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერზე ბენჯამინ ფრანკლინზე. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს ნარკვევი, მიუხედავად ავტორის დიდი მცდელობისა, გამოქვეყნებული არ ყოფილა. ეს ნაშრომი წინ წასწევდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოპულარიზაციის საქმეს. ასე იქნა ხელიდან გაშვებული კიდევ ერთი ხელსაყრელი შანსი.

პროფ. გივი კილურაძეს განზრახული ჰქონდა დაეწერა სოლიდური სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიები ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე. მან მხოლოდ ინგლისის რევოლუციაზე ნაშრომის დაწერა მოასწორო. მას ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწერა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, საფრანგეთის დიდი რევოლუციაზე, ნაპოლეონზე, 1848 წლის რევოლუციაზე ევროპაში, მაგრამ 1978 წლის 5 აგვისტოს ის უეცრად გარდაიცვალა და ამ განზრახვის განხორციელება ვერ მოხერხდა. ეს ნარკვევი ნანილობრივ მაინც შეავსებდა იმ ხარვეზს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. დაიკარგა კიდევ ერთი კარგი მომენტი. საბჭოთა პერიოდში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით დაინტერესება საქართველოში მხოლოდ სურვილების და ჩანაფიქრის დონეზე დარჩა და განუხორციელებელი იდეების საზღვრებს არ გასცილებია.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესწავლისა და პოპულარიზაციის მთავარ ინიციატორად ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. ალექსანდრე ნამორაძე მოგვევლინა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო ისტორიული ნარკვევი ბენჯამინ ფრანკლინზე, რომელიც ეხმაურებოდა მისი დაბადების 250 წლისთავს.

პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქის ბენჯამინ ფრანკლინის დაბადების 250 წლისთავთან დაკავშირებით დაწერა სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. როგორც ჩანს, მის ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოხდინა ფრანგ განმანათლებელ შარლ ლუი მონტესკიეზე გამოსულმა მისმა ბროშურამ, რომელიც ეხებოდა მონტესკიეს გარდაცვალების 200 წლისთავს. [20]. ასეთი გადაწყვეტილება გამართლებული ჩანდა, რადგან ფრანკლინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე

ქართულ ენაზე, ფაქტობრივად, არაფერი არ იყო დაწერილი. თუ არ ჩავთლით ვინმე გურულ-იმერელის ფსევდონიმით თარგმნილ ბროშურას, რომელსაც, ალ. ნამორაძე, ეტყობა, გაცნობილი არ ყოფილა და უნებლიერ გამორჩა მხედველობიდან.

უნდა ითქვას, რომ მომენტი ხელსაყრელად შეირჩა. თითქოს ბროშურის გამოქვეყნებას წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მიუხედავად პატივცემული ავტორის არაერთგზის მცდელობისა, ბროშურის გამოცემა ვერ მოხერხდა. [21] მის კვალს არქივში წავანწყდით და შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში.

პროფ. ალ. ნამორაძის ისტორიული ნარკვევი ბენჯამინ ფრანკლინზე სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ქართველი მკითხველისათვის პოპულარული ენით, სადაც მოეთხრო ბენჯამინ ფრანკლინის ცხოვრებასა და მოლვანეობაზე. ამ მოკრძალებულ მისიას ალ. ნამორაძემ უნდა ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მან ქართველ მკითხველს მიაწოდა მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი და საინტერესო ინფორმაცია ბენჯამინ ფრანკლინის მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ. მთავარი, სწორედ, ეს იყო. პროფ. ალ. ნამორაძის ნაშრომის მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვავს. [22] ალ. ნამორაძის ბროშურა ბენჯამინ ფრანკლინზე დაწვრილებით არის განხილული ჩვენს მონოგრაფიაში „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში“, ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. [23.204-207]

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება ახალი ისტორიის ქრესტომათია, რომლის გამოქვეყნება, როგორც იტყვიან, ბოლოს და ბოლოს მაინც მოხერხდა. ქრესტომათია, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აქტივს უნდა მივაკუთვნოთ. აქ, ბუნებრივია, გამოქვეყნებულია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი ზოგიერთი სა-

ინტერესო პირველწყარო. ამ მონაკვეთის ავტორები არიან პროფ. გივი კილურაძე და დოც. ელენე მექმარიაშვილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე მშობლიურ ენაზე წყაროების პუბლიკაციით ქართული ისტორიოგრაფია განებივრებული არასოდეს არ ყოფილა, ეს უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მათ ხელი მოკიდეს სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მარქსისტული პოზიციიდან დაამუშავეს. თუ მას ძალად თავსმოხეულ მარქსისტულ შტამპებს ჩამოვაშორებთ, რომელიც უმთავრესად თვალის ახვევის მიზნით იყო გაკეთებული, მაშინ მასში მოთავსებული მეცნიერული ინფორმაცია, უდაოდ, საინტერესოა. სწორედ, ეს ფასეული უნდა წამოვწიოთ წინ და ეს უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. [3.302-342]

ამრიგად, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ამ პრობლემის პოპულარიზაციის საქმეში ქართული ისტორიოგრაფია სულაც არ იჩენდა ისეთ პასიურობას, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანს. ამგვარი ინერტულობა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მასში, პირველ ყოვლისა, საბჭოთა რეალობის ანარეკლი მოჩანს, როდესაც რბილად, რომ ვთქვათ აღნიშნული თემატიკის პოპულარიზაციას გულგრილად ეკიდებიან. აღ. ნამორაძის ბროშურას გ. ფრანკელინზე გამოქვეყნება არ ეღირსა. თავისი უარყოფითი როლი შეასრულა ფორტუნამაც. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ პროფ. გ. კილურაძის ნაადრევ გარდაცვალებას.

* * *

90-იანი წლების დასაწყისი, საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოპულარიზაციის საქმეში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტეხილად მოგვევლინა. ფაქტობრივად, აქედან იწყება საქართველოში აღნიშნული პრობლემის შესწავლის და პოპულარიზაციის ახალი მეოთხე პერიოდი, რომელიც

დღესაც გრძელდება. საბჭოთა კავშირი დაიშალა. საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობის ხანა დასრულდა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისუფლად ამოისუნთქა.

დღის წესრიგში დადგა მარქსისტული დოგმებისა და სტერეოტიპებისაგან გათავისუფლების საკითხი. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ადვილი საქმე და გარკვეული დრო უნდოდა.

სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიამ უმთავრესად ასახვა ჰქოვა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. ეს არცაა გასაკვირი. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ახალი ტიპის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დაწერა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი პოლიტიკური და იდეოლოგიური კლიშეებისაგან და თავისუფალ აზროვნებაზე იქნებოდა ორიენტირებული. ეს თვისებრივი სიახლე იყო. უნდა ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ ამოცანას შეძლებისდაგვარად გაართვა თავი. გადაიდგა პირველი ნაბიჯები.

მარქსისტული იდეოლოგიის დაძლევის პირველ მცდელობად ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩინია. აქ, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აქ ეს თემა ცალკეა გამოყოფილი. ეს სავსებით მისაღები ჩანს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ეთმობა ორი თავი, რომელიც დაყოფილია პარაგრაფებად: პირველი თავია ინგლისის კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში. იგი ორი პარაგრაფისაგან შედგება: ინგლისური ახალშენები ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და წინააღმდეგობის გამწვავება მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის. მეორე თავია – ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. ის სამი პარაგრაფისაგან შედგება: კოლონიათა დამოუკიდებლობის გამოცხადება, ომი დამოუკიდებლობისათვის და 1787 წლის კონსტიტუცია. ფაქტობრივად ეს არის მცირე

მოცულობის ძალზე სადად დაწერილი ისტორიული ნარკვევი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, რომელსაც ერთვის ილუსტრაციები და ამონარიდები პირველწყაროებიდან.

პირველი საკითხი არსებითად ისტორიულ ფონს ქმნის და გაგვაცნობს კოლონიების ყოფას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებამდე. მეორე პარაგრაფში ხაზგასმულია მეტ-როპოლიასა და კოლონიას შორის კონფლიქტის გამწვავების მიზეზები. ის, უპირატესად, განაპირობა ინგლისის საგადასახადო პოლიტიკამ. მეორე თავში განხილულია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მსვლელობა. ლაკონურად და საინტერესოდ არის მოთხოვილი პირველ და მეორე კონტინენტურ კონგრესზე, დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე, მის ისტორიულ მნიშვნელობაზე, დამოუკიდებლობისათვის ომის მსვლელობაზე. ყურადღება გამახვილებულია მის საკვანძო მომენტებზე. დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამერიკის გათავისუფლების საქმეში ტრიუმვირატის: ჯორჯ ვაშინგტონის, ბენჯამინ ფრანკლინის და თომას ჯეფერსონის ღვაწლი. დაბოლოს, განხილულია 1787 წლის კონსტიტუცია [24.42-51] საინტერესოა, პატარა ჩანახატები ჯორჯ ვაშინგტონზე და ბენჯამინ ფრანკლინზე. მათი მოღვაწეობისადმი მიღებომა გაცილებით უფრო დაბალანსებული უნდა ჩანდეს. ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ორივე უკიდურესობა. მათი მოღვაწეობის განდიდება და შეუფასებლობა. ვფიქრობთ, სასურველი იყო, ასევე პატარა ჩანახატი თომას ჯეფერსონზე გაეკეთებინათ.

ბოლო ხანებში გამოსულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე ამჯერად არ შევჩერდებით. ეს საუბრის ცალკე თემაა. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში ვითარება ცოტა შეიცვალა. ეს ძალიან კარგია.

ჩვენთვის საინტერესო თემას, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა პროფ. ვაჟა თვალავაძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია“. ის ორი თავისაგან შედგება: 1. ჩრდილოეთ ამერიკის რევოლუცია (ინგლისის ამერი-

კული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შექმნა). 2. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. პირველი თავი ორი ნაწილისაგან შედგება. ჩრდილოეთ ამერიკა მე-17 საუკუნეში და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში და ამერიკის რევოლუცია და კოლონიების გამოყოფა. მეორე თავი მთლიანად აშშ-ს კონსტიტუციას აქვს დათმობილ.

თავდაპირველად განხილულია ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ყოფა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებამდე. სახელმძღვანელოში საუბარია მეტროპოლიასა და კოლონიას შორის კონფლიქტის გამომწვევ მოტივებზე. აღნიშნულია, რომ კოლონიის უკმაყოფილებას იწვევდა ინგლისის საგადასახადო პოლიტიკა. განხილულია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიები, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ახალი სახელმწიფოს შექმნა. აღნიშნულია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ტრიუმვირატის, ჯორჯ ვაშინგტონის, ბენჯამინ ფრანკლინის და თომას ჯეფერსონის დაშსახურება. ვრცლადა განხილული 1787 წლის კონსტიტუცია. ფაქტობრივად, ეს ნარმოადგენს აღნიშნულ თემაზე დაწერილ საინტერესო ისტორიულ ნარკვევს, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენად გვევლინება. [25. 91-113]

ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვენა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია კოლონიური პერიოდის განხილვა. ის ცოტა ზოგადი გვეჩვენა. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო კოლონიების მეურნეობის ხასიათებზე და მათ დაყოფაზე. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ პარაგრაფს.

აღნიშნულ პრობლემას ეხება ისტორიკოს დავით ლომსაძის სახელმძღვანელო „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“. ავტორის თვალთახედვის არეალში მოექცა შემდეგი თემები: ახალმოსახლე კოლონიათა სოციალურ-ეკონომიკური და

პოლიტიკურ განვითარება. ეს, ფაქტობრივად, ქმნის ისტორიულ ფონს ძირითადი საკითხის განხილვისათვის. ურთიერთობის გამწვავება მეტროპოლიასა და კოლონიას შორის. აյ ის განხილავს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს. შემდეგ 1776 წლის 4 ივლისის დეკლარაციას და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიებს და 1787 წლის კონსტიტუციას. [26.39-76] მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში აღნიშნული თემის პოპულარიზაციის საქმეში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

თხრობის მიყვანა მონროს დოქტრინამდე გამართლებული არაა. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა პირველი პარაგრაფი დაგვესრულებინა 1787 წლის კონსტიტუციის განხილვით.

ზოგიერთი საკვანძო საკითხის გაშუქებამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩინა 1776 წლის 4 ივლისის დეკლარაციისადმი დამოუკიდებულება. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. ჯერ ერთი, სახელმძღვანელოში ამ თემაზე მსჯელობას ძალიან ცოტა ადგილი აქვს დათმობილი. სულ რაღაც ერთი აბზაცი. ეს, ცხადია, საკმარისი არ უნდა იყოს. ამ საკითხის განხილვას გაცილებით მეტი ადგილი უნდა დათმობოდა. ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტისადმი ასეთი გულგრილი დამოუკიდებულება, არაფრით არ უნდა ჩანდეს გამართლებული. მეორეც, მნიშვნელოვნად, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში დამაჯერებლად არაა ნაჩვენები დამოუკიდებლობის დეკლარაციის ისტორიული მნიშვნელობა. სათანადოდ არაა ხაზგასმული იმ დემოკრატიული ღირებულებების ფასეულობა, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციას ედო საფუძვლად. „ყველა ადამიანი გამჩენმა აღჭურვა ხელშეუვალი უფლებებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“. ავტორი ამ საკითხზე რატომღაც კრინტს არ ძრავს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ მიზუსად მიგვაჩინა. ამის გვერდის ავლა სწორი არ უნდა იყოს და აღნიშნული დოკუმენტის ისტორიულ

მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. მხოლოდ იმის თქმა, რომ „დეკლარაცია, რომელიც შეადგინა თ. ჯეფერსონმა პროგრესული დოკუმენტი იყო. იგი ხალხის თანასწორობის პრინციპზე იყო აგებული და მის დემოკრატიულ უფლებებს ითვალისწინებდა“, საკმარისი არ უნდა იყოს და, ცხადია, ძალიან ცოტაა. [26.43]

მართალია, მეტად ლაკონურად, მაგრამ საინტერესოდ არის გადმოცემული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა პროფ. რევაზ გაჩეჩილაძის სახელმძღვანელოში „ინგლისის გეოგრაფია, ისტორია, კულტურა“. მას ერთი პარაგრაფი აქვს დათმობილი. [27.100-102] იგივე შეიძლება ითქვას პროფ. ივანე მენთეშაშვილის წიგნზე „ინგლისის ისტორია“ [28] დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ინგლისის პოლიტიკის პრიზმაშია დანახული. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ხაზს უსვამს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორმაგ მისიას: ეროვნულ-გამა-თავისუფლებელ მოძრაობას და სოციალურ ასპექტებს. აღინიშნა, რომ ის რევოლუციურ ხასიათს ატარებდა.

1996 წელს პროფ. მინდია უგრეხელიძემ გამოსცა დოკუმენტი ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ეს იყო ამ მიმართლებით გადადგმული პირველი ნაბიჯი. ამის ლოგიური გაგრძელება იყო მისი მეორე საინტერესო პუბლიკაცია. „აშშ-ს კონსტიტუცია: კომპორომისის პოლიტიკა“. [30] ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე მიიღო ამ ეპოქის ამსახველი ორი პირველწერარო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართულ ენაზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტური მასალა, წყაროები, ძალიან ცოტაა. ამ ხარვეზის შევსების მცდელობა მისასალმებელი უნდა იყოს და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ავტორს რაღაცნაირად მიეთითებინა, რომ ამ დოკუმენტების ფრაგმენტები ქართულ ენაზე გამოცემული იქნა ახალი ისტორიის ქრესტომათიაში. ეტყობა, პატივცემულ

მკვლევარს, უნებლიერთ გამორჩა ეს საკითხი და, შეიძლება, არ იცნობს ამ გამოცემას. პროფ. მინდია უგრეხელიძის მიერ განხორციელებული ეს ორი პუბლიკაცია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენად მიგვაჩნია.

ამერიკელი განმანათლებლების შეხედულებების პოპულარიზაციის მორიგ მცდელობად გვევლინება 2013 წელს გამოსული წიგნი „ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები“ [31] ის ისტორიკოსისათვის საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენს.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეხება ამ სტრიქონების ავტორის რამდენიმე ნაშრომი, რომელიც უმთავრესად სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და ცდილობს მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ პრობლემის პოპულარიზაციაში. [32].

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესწავლასა და პოპულარიზაციას კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ეს პირველი შრომები აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართულ ისტორიოგრაფიას წინ კიდევ დიდი და შრომატევადი სამუშაო აქვს.

ლიტერატურა:

1. Фр. Шиллер, Письма – собр. соч. т. 7. М. 1957.
2. ციტ. Новая история, под. редакции Е. Юровской, М., 1972.
3. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნამ. 1. გ. კილურაძის და მ. მამუკარიას რედაქციით, თბ., 1979.
4. ს. მესხი, გიორგი ვაშინგტონი – „დროება“, 1874 წ. 14 მარტი და 16 მარტი.

5. რ. დაუშვილი, ევროპის საისტორიო მწერლობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, თბ., 2003.
6. ს. მესხი, დიდი კაცები, იოსებ გარიბალდი – „დროება“, №19, 1875.
7. გიორგი ვაშინგტონი – ამერიკის განმათავისუფლებელი, თარგმანი ნ. ბარნაბიშვილის, თბ., 1893.
8. გ. წერეთელი, კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა (მგზავრის წერილებიდან), ნაწილი პირველი, თბ., 1935.
9. მ. კალანდაძე, გიორგი წერეთელი ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომზე – „მესხეთი“, №10, თბ., 2008.
10. ფრანკლინი, თბ., 1900.
11. ე. ლავისი, ახალი ისტორია, თარგმანი ჭრ. რუხაძის, ქუთაისი, 1918.
12. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები), თბ., 1919.
13. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები, ქართველოლოგია, 5. თბ., 2013.
14. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XV-XVIII სს.), თბ., 1919.
15. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
16. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3. ახალი საუკუნეები. თბ., 1920.
17. ნ. მამუკელაშვილი, ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში – ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებული, თბ., 1993.
18. ისტორიის შესწავლისათვის, თბ., 1937.
19. ა. ეფიმოვი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო. თბ., 1969. ახალი ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, ა. ნაროჩ-ნიცის რედაქციით, თბ., 1980.
20. ალ. ნამორაძე, შარლ ლუი მონტესკიო (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1955.
21. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – ფონდი 2079, ანაბეჭდი 1., საქმე 259. ფურცელი 1 და სხვა.

22. ალ. ნამორაძე, ბენჯამინ ფრანკლინი – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – ფონდი 2079, ანაბეჭდი 1. საქმე 17. ფურცელი 56.
23. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
24. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, მე-8 კლასი, თბ., 2005.
25. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, ნაკვეთი II, (1640-1815), თბ., 1999.
26. დ. ლომსაძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1998.
27. რ. გაჩეჩილაძე, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, თბ., 1994.
28. ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.
29. აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, თბ., 1996.
30. აშშ-ს კონსტიტუცია კომპრომისის ხელოვნება, ინგლისურიდან თარგმნა მინდია უგრეხელიძემ და ვიქტორ ყიფიანმა. სამეცნიერო რედაქტორი მინდია უგრეხელიძე, თბ., 1997.
31. ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები: ბენჯამინ ფრანკლინი, თომას ჯეფერსონი, ჯონ ადამსი, ჯეიმს ფილისონი, ბენჯამინ რაში. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ბეროშვილმა, თბ., 2013.
32. მ. კალანდაძე, ზოგი რამ აშშ-ს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე – „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, №4, 1976, მ. კალანდაძე, ბაირონი და ვაშინგტონი – „დროშა“, №9, 1992. მ. კალანდაძე, შილერი და ამერიკის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის – „ცისკარი“, №7-8. 1997 მ. კალანდაძე, ბაირონი და ფრანკლინი – „დროშა“, №1-2. 1998. მ. კალანდაძე, 1776 წლის 4 ივლისი – „კლიო“, №3. 1998 მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, გეოგრაფია, კულტურა, თბ., 2005.
33. ვ. ჩერქეზიშვილი, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 2011.

თავი V

XIX-XX საუკუნის დასაცისის ახერიქის შემოთხული შტატების ისტორიის შესწავლა საქართველოში

თხრობას გავაგრძელებთ ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით და ამჯერად შევეხებით ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შემდგომ მონაკვეთს. როგორ არის გაშუქებული ქართულ რეალობაში ამერიკის შეერთებული შტატების XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ისტორია? რა არის ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გაკეთებული? ამ თემის დამუშავება საინტერესოა და საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში და რა არის საჭირო, რომ გაკეთდეს.

ვერ ვიტყვით, თითქოს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით არაფერი არ იყოს გაკეთებული, რაღაც პოზიტიური ძვრები, უეჭველად, შეინიშნება. ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ძალიან ცოტაა. გასაკეთებელი გაცილებით ბევრია დარჩენილი.

ამ თემატიკით დაინტერესებას საქართველოში ერთი თავისებურება ახასიათებს და, უმთავრესად, ასახვა ჰპოვა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ცალკეული სპორადული ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაზე XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, ცხადია, გვხვდება იმ პერიოდის ქართულ პერიოდულ პრესაში და დამოუ-

კიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ ცოტაა. საბჭოთა ეპოქაში ამ პერიოდის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიით დაინტერესების კულმინაციად, მწვერვალად, ახალი ისტორიის მეორე პერიოდის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო გვევლინება, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას 1870-1918 წლებში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქმე გვაქვს ამ პრობლემატიკით დაინტერესების რეანიმაციის მცდელობასთან, რაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია.

ეს მწირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგრამ საინტერესოა და მისი შეუფასებლობა, ალბათ, არ ივარგებდა. აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის წვლილს, რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს. შეიძლება ითქვას, რომ მან პროგრამა მინიმუმი შეასრულა, რაც მის წარმატებად მიგვაჩნია. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის პოპულარიზაცია ცოტა მოიკოჭლებს, შედარებით ზედაპირულ ხასიათს ატარებს. აქსაქმეებება ამ პრობლემის პოპულარიზაციის თვისებრივ, ხარისხობრივ, გაუმჯობესებას.

ნაშრომის ამ მონაკვეთში ყურადღებას გავამახვილებთ სამ საკითხზე:

1. XIX საუკუნის პირველი ნახევარის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის გაშუქება საქართველოში.
2. ამერიკის შეერთებული შტატების 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში.
3. XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში. თითოეული თემა საინტერესო და აქტუალურია. ეს ამ კონკრეტული საკითხების მთლიანობაში შესწავლის პირველი მცდელობაა.

* * *

ალნიშნულ პრობლემაზე ქართულ ენაზე არსებული მწირი ლიტერატურა პირობით ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ერთი ეს არის ზოგადი ხასიათის შრომები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას შეეხება და სადაც, ჩვენთვის საინტერესო საკითხების გაშუქებას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება ეთმობა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ნაშრომები, რომლებიც ამ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის კონკრეტული საკითხების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

რა თქმა უნდა, ეს მწირი ინფორმაცია ძალიან ცოტაა, მაგრამ გარკვეულ პოზიტიურ ძვრებს ადგილი აქვს და ამის გვერდის ავლა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის ნებისმიერი მცდელობა მისასალმებელი უნდა იყოს და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ჩვენ მრავალგზის აღვინიშნავს, რომ უწინარესად მიზანშენონილი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელოს დაწერა. ამას აქვს მნიშვნელობა. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგარ მრავალ პრობლემას გადაჭრიდა და დღეს ის „თეთრი ლაქები“, რომელიც გაგვაჩნია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის დროს, აღარ გვექნებოდა.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა 2006 წელს ქართულ ენაზე თარგმნილი ნაშრომი „ამერიკის ისტორიის ესკიზები“, რომელიც თარგმნეს ქეთევან და ირაკლი ავალიანებმა, წიგნის რედაქტორია არჩილ კობალაძე.

ფაქტობრივად, ეს არის ქართულ რეალობაში ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის გაბმული თხრობის პირველი პრეცედენტი. ვფიქრობთ, ის ნაწილობრივ ავსებს იმ სიცარიელეს,

რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს. ამ წიგნის თარგმნით კიდევ ერთი კარგი და საშური საქმე გაჟეთდა. კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პოპულარიზაციის გზაზე.

მოკლედ გადავავლოთ თვალი ამ წიგნის შინაარსს. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის თემატიკაზე, ხოლო უახლეს ისტორიას არ შევეხებით. ეს საუბრის ცალკე თემაა.

ბუნებრივია, წიგნში საუბარი იწყება ამერიკის ადრეული ისტორიით, ამის შემდეგ გადადიან კოლონიურ პერიოდზე. წიგნში, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება ეთმობა დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლას. ეს ნაწილი წიგნში ერთ-ერთი საინტერესოა. ამის მერე საუბარია ამერიკის ტერიტორიების გაფართოებაზე, რეგიონალურ განსხვავებებზე. შემდეგი მონაკვეთია „ადგილობრივი კონფლიქტი“ და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის თხრობა სრულდება მონაკვეთით „ზრდა და ტრანსფორმაცია“ (1. 3-202).

ეს წიგნი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას, ის, პირველ ყოვლისა, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს. ამიტომ მისი მყაცრი მეცნიერული კრიტერიუმით განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და სუპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ამ წიგნს, უწინარესად, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას მოუთხრობს ამერიკის ისტორიას ადრეული ხანიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. ამ წიგნმა თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაენია ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაცია საქართველოში. მისი მთავარი დანიშნულება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. განსაკუთრებით საინტერესოა იგი წმინდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით და გვაცნობს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ამერიკულ ხედვას. ეს უკვე სულ სხვა სიახლეა. ამ კუთხით წიგნი „ამერიკის ისტორიის ესკი-

ზები”, უდაოდ საგულისხმოა და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს ეს წიგნი ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია იყო. ცხადია, ეს ასე არაა. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვენა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლის ისტორიის დაწყება 1763 წელს. (1. 63). საქმე ისაა, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყება 1763 წლიდან ცოტა წაადრევი ხომ არ ჩანს? ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა, თუ ამ მონაკვეთს 1763-1775 წლებს განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უვერტურას, შესავალს, წინაისტორიას. ისტორიულ ფონს და კონკრეტულ მოვლენას შორის მიჯნა გამჭვირვალე უნდა იყოს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს პოლიტიკური ისტორიის გადმოცემას შედარებით უფრო წაკლები ყურადღება ეთმობა. ამას აქვს მნიშვნელობა და ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა წაშრომს. საინტერესო საკითხავი იქნებოდა. ხაზგასმით არაა გავლებული ზღვარი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ და უახლეს ისტორიას შორის, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისადმი თავისებური მიდგომის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. არის ცალკეული სადაო საკითხები, რომელზეც საუბარი ამჯერად მიზანშენონილი არ იქნებოდა და ძალიან შორს წაგვიყვანს. ამჯერად ჩვენ ვცადეთ ამ წიგნის გარეგანი ანალიზი მოგვეხდინა, ხოლო მისი შინაგანი განხილვა უკვე ამერიკანისტების საქმეა.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემას, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, ახალ დროში და უახლესი ეპოქის დასაწყისში, შეეხება კახი ქენქაძის საინტერესო წიგნი „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორია – 1753-1933 წლებში“. (2). ეს არის ამ წიგნის პირველი ნაწილი. მეორე ნაწ-

ილი იქნება ფრანკლინ დელანო რუზველტის პრეზიდენტად არჩევიდან ე. ი. 1933 წლიდან დღემდე.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ კახი ქენქაძის ეს წიგნი წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის სერიოზული შესწავლის პირველ მცდელობას და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია.

მისი კიდევ ერთი ღირსება ის უნდა იყოს, რომ წიგნი სულ მთლიანად ემყარება აღნიშნულ საკითხზე ინგლისურ ენაზე არსებულ მდიდარ ლიტერატურას და სრულიად თავისუფალია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენისაგან.

წიგნი არ ატარებს აღნერით, თხრობით ხასიათს. ის არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას, მშრალ თხრობას. ეს წაკლებად საინტერესო იქნებოდა. მას გააჩნია ანალიტიკური მუხტი. ახასიათებს თეორიული საკითხებისაკენ მიდრეკილება, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

წიგნი ეხება კონკრეტულ მეცნიერულ პრპობლემას აშშ-ს საგარეო პოლიტიკას და საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის და პოპულარიზაციის შეხამების წარმატებულ მცდელობად გვევლინება.

წიგნში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები: ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირები (1612-1751), საგარეო პოლიტიკის პირველი ფაქტიური პრეცედენტი (1753-1789), დამოუკიდებელი ამერიკის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯები (1789-1815), ჯონ ქვინსი ადამისი და მონროს დოქტრინა (1815-1828), ამფიბიური ექსპანსია და სამოქალაქო ომის საგარეო პოლიტიკა (1828-1865), რესპუბლიკიდან – იმპერიამდე (1865-1900) და საუკუნის პრეზიდენტი – თეოდორ რუზველტის საგარეო პოლიტიკა. აქ თავდება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორია ახალ დროში და ინყება მისი საგარეო პოლიტიკა უახლეს ეპოქაში. (2. 9-88).

ეს შინაარსი საინტერესოა და ფაქტობრივად, ეს არის ახალ დროში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის პერიოდიზაციის მცდელობა. ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სიახლე იყო და ქართულ რეალობაში ახალ დროში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის პერიოდიზაციის პირველ მცდელობას წარმოადგენს. ეს მისი კიდევ ერთი ღირსებაა

შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია წიგნის ბოლოს დართულ ამერიკის პრეზიდენტების და განსაკუთრებით სახელმწიფო მდივნების სიას (2. 137-138).

მას კარგად აქვს გაცნობიერებული ამერიკის საგარეო პოლიტიკისადმი მიღების თხზი ძირითადი ტენდენცია: „1. ჰამილტონიზმის არსი ფედერალურ ეროვნულ მთავრობას და დიდ ბიზნესს შორის ალიანსში მდგომარეობს, რაც შიდა სტაბილურობის და ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის გარანტიაა, რომლის მიზანია ქვეყნის გლობალურ ეკონომიკაში მომგებიან პირობებში ინტეგრირება; 2. ვილსონიანელებს სჯერათ, რომ ამერიკელებს აქვთ მორალური ვალდებულება, ისე მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესი მსოფლიოში ამერიკული დემოკრატიის და სოციალური ღირებულებების გავრცელების და ისეთი მშვიდობიანი თანამეგობრობის შექმნის საქმეში, რომელიც ალიარებს კანონის უზენაესობას; 3. ჯეფერსონიანელების აზრით, ამერიკის საგარეო პოლიტიკა ნაკლებად უნდა იყოს დაკავებული ამერიკის დემოკრატიის გავრცელებით საზღვარგარეთ, რომ მისი მთავარი ამოცანაა დემოკრატიის თავად ქვეყნის შიგნით დაცვა. ისინი ყოველთვის სკეპტიკურად უყურებდნენ, როგორც ვილსონიანელებს და ჰამილტონიანელებს, რომლებიც, მათი აზრით, როგორც წესი, არა-სასურველ მოკავშირეებს პოულობდნენ საზღვარგარეთ და ამით ომის რისკს ზრდიდნენ; 4. დაბოლოს, მეოთხე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სკოლა ჯექსონიანიზმი, რომლის აზრითაც, ამერიკის მთავრობის მთავარი მიზანია, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, ამერიკის ხალხის ფიზიკური და ეკონომიკური კეთილდღეობა. „არ დამჯაბნო“ – ამერიკელ რევოლუციონერთა

საბრძოლო დროშაზე გამოსახული ჩხრიალა გველი ასე აფრთხილებს მოწინააღმდეგეს. ჯექსონიანელებს სჯერათ, რომ ამერიკამ არ უნდა ეძიოს კონფლიქტები საზღვარგარეთ, მაგრამ როდესაც სხვა ქვეყნები ომს უწყებენ შტატებს, მაშინ მათი დევიზი გენერალ მაკ-არტურის ცნობილი გამონათქვამი ხდება, რომ „გამარჯვებას ალტერნატივა არ გააჩნია“. (2. 11).

ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ როგორია თვითონ ავტორის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი? რა პოზიცია უკავია თავად მას? რომელ მიმდინარეობას ემხრობა და მიიჩნევს სწორად? ჩვენი აზრით, მას ამ საკითხში თავისი პოზიცია მკაფიოდ, მკვეთრად უნდა გამოეკვეთა, მაგრამ იგი ამას არ აკეთებს. ამ შემთხვევაში თხრობა დომინირებს ანალიზზე, რაც, ჩვენი აზრით, ამ საკითხზე მისი მსჯელობის მთავარ ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ახლა ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორიის პერიოდიზაციაზე. როგორც უკვე ითქვა, ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემის განხილვის პირველი მცდელობაა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის წვრილად დაყოფის მცდელობასთან. ასეთი პარცლიზაცია საკამათოდ მიგვაჩნია და ჩვენი აზრით, ართულებს საქმეს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა საკითხის რამდენიმე დიდ პერიოდად გაყოფა. მონაკვეთმა XVIII საუკუნის შუა ხანებამდე ამერიკის საგარეო პოლიტიკის უკერტურად გაიუღერა და, ჩვენი აზრით, მის წინარე ისტორიად შეიძლება იქნას მოაზრებული.

შემდეგი დიდი პერიოდია დამოუკიდებლობის ბრძოლის დაწყებიდან ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ომის გასრულებამდე. ამის შემდეგ იწყება ახალი მონაკვეთი, რომელიც 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გრძელდება. ეს პერიოდები შეიძლება კიდევ დაიყოს ქვეპერიოდებად. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია. ამ თვალსაზრისით გასათვალის-

წინებელი უნდა იყოს 1812-1814 წლებში ინგლის-ამერიკის ომი, რომელსაც ამერიკელი ისტორიკოსები „დამოუკიდებლობისათვის მეორე ომს“ უწოდებენ და 1898 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის ომი.

გამჭვირვალე არაა ახალ დროში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას და უახლეს პერიოდში მის საგარეო პოლიტიკას შორის საზღვარი. წიგნის ორად გაყოფა სავსებით სწორია და მისაღებად მიგვაჩნია, მაგრამ დავას იწვევს აქცენტების დასმა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა წიგნის დამთავრება არა 1933 წელს ფრანკ-ლინ დელანო რუზველტის პრეზიდენტად არჩევით, არამედ ცოტა ადრე, 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებით. (აქ, ცხადია, ვგულისხმობთ პირველ მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმას 1917 წელს).

ზოგიერთი საკითხის გაშუქებამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩნია. უწინარესად ასეთად მიგვაჩნია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დიპლომატიური ისტორიისადმი გულგრილი მიდგომა. მეტად მწირი ინფორმაცია გვხვდება 1812-1814 წლებში ინგლის-ამერიკის ომშე. უფრო მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა სამოქალაქო ომის დროს შექმნილ საერთაშორისო ვითარებას. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ მან, ეტყობა, ვერ გამოძებნა თეორიის და ემპირიის შეხამების ოპტიმალური ვარიანტი. ემპირიული ისტორიის თხრობას, ვფიქრობთ, გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა. ეს ქართველი მკითხველისათვის ძალიან საინტერესო იქნებოდა ვინაიდან ამ თემებზე ქართულ ენაზე ძალიან მწირი ლიტერატურა არსებობს. ამას აქვს შემეცნებითი დატვირთვა.

წიგნის სტრუქტურის, არქიტექტონიკის შემდგომი სრულყოფა, დაიხვენა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. ის თხრობის და ანალიზის შერწყმა უნდა იყოს. ჯერ თხრობა მერე ანალიზი.

ამ პრობლემის ცალკეული საკვანძო საკითხების პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა ისტორიკოსებმა და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ქართველი წინამორბედებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია. აქ პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ, დავით გეგეჭკორის ნარკვევს ლუიზიანაზე, გვივი ბოლოთაშვილის ნარკვევს ტეხასის შემორთებაზე და მიხეილ ლაბაძის ნაშრომს „ამერიკა-მექსიკის დიპლომატიური ურთიერთობანი 1846-1848 წწ. ომის წინ“. ამ თემებზე ისედაც მწირი ლიტერატურა გაგვაჩნია და თუ ამასაც გვერდი ავუარეთ, მაშინ რა გამოვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომში უხვადაა გამოყენებული ინგლისური ლიტერატურა. ეს ძალიან კარგია და ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ სასურველი იქნებოდა რუსულენოვანი, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის მოხმობა. ეს კიდევ უფრო მეტ პოლემისტურ მუხტს შესძენდა ამ თემაზე მის მსჯელობას და შინაარსობრივად გაამდიდრებდა ამ საინტერესო ნაშრომს.

მართალია, წიგნში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ აქ გაბათილებულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთმნიშვნელოვნად ნებატიური შეფასება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის გაიდეალება, ალბათ, მაინც არ ღირს. კ. ქენქაძის წიგნი „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორია 1753-1933 წლებში“ თანამედროვე ქართულიამერიკანისტიკის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება, რომელსაც გაჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

სამართლებრივ ჭრილშია დანახული საკითხი პავლე საყვარელიძის საინტერესო ნარკვევში „წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე. რესპუბლიკები: 1. საფრანგეთი.

2. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები. 3. შვეიცარია“, რომელიც გამოვიდა სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918 წელს.

ერთი შეხედვით თითქოს ეს წიგნი სცილდება ჩვენი ინტერესების სფეროს და არ შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიას, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. აქ განხილულია საინტერესო საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკური წყობა ახალ დროში. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ჩვენს მიმოხილვაში ამ ნარკვევის ჩართვა და მასზე ყურადღების გამახვილება.

ამგვარი არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკური ორიენტაციის ლოგიკური შედეგია. „ამ უამთ საჭიროდ მიგვაჩინია ქართველ მკითხველთ მოკლეთ გავაცნოთ სხვა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური წესწყობილება და, რადგანაც ჩვენი სამშობლო რესპუბლიკანური სახელმწიფოა, ჩვენც პირველ ყოვლისა რესპუბლიკებზე შევჩერდებით და საფრანგეთიდან დავიწყებთ“ (3. 2.).

ამ ნარკვევს შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია და ქართულ სინამდვილეში აღნიშნული პრობლემის გაშუქების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. პ. საყვარელის წიგნი იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და XX საუკუნის პირველი წლების ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია. ის სავსებით აკმაყოფილებდა იმუშამინდელი ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში.

ნარკვევი უპირატესად აღწერით, თხრობით ხასიათს ატარებს და მისი ავტორი აღნიშნულ საკითხში საკმაოდ ჩახედული უნდა ჩანდეს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი პლუსია. ეს ქართულ საზოგადოებას დაეხმარება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნაში. მას შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია.

როგორც სათაურიდან ჩანს, ის თავის ბროშურაში წინ წამონევს სამ თემას: რესპუბლიკურ წყობილებას საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ სინამდვილეში ის ნაკლებად იყო შესწავლილი. ამჯერად მოკლედ შევჩერდებით მეორე თემაზე ამერიკის შეერთებული შტატების წეს-წყობილებაზე. სწორედ, ეს შედის ჩვენს ინტერესებში.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სწორედ გადმოგვცა საკითხი, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი ღირსებაა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომში არ იგრძნობა ამერიკის რესპუბლიკური მმართველობის გაიდეალება! ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ პლუსად მიგვაჩნია.

საინტერესოა საფრანგეთის და ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური მმართველობის ერთმანეთთან შედარება. მას წმინდა შემეცნებით დატვირთვასთან ერთად მეცნიერული მნიშვნელობა გააჩნია. მან დაამაჯერებლად გვიჩვენა ის პრინციპული განსხვავება, რომელიც ამ ორი ქვეყნის რესპუბლიკურ მმართველობას შორის არსებობდა. „თუ საფრანგეთი უნიტარულ პარლამენტარულ რესპუბლიკას წარმოადგენს, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები არის ფედერატიული ანუ საკავშირო დემოკრატიული რესპუბლიკა. თუ პირველი სადა, ერთიანი ცენტრალისტური სახელმწიფოა, მეორე წარმოადგენს რთულ, დეცენტრალისტურ სახელმწიფოს, რომელიც შედგება მრავალ ავტონომიურ შტატებისა თუ შინაურ ცხოვრებაში სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან“. (3. 13.) საქართველოსთვის რესპუბლიკური მოწყობის ამ სამი ვარიანტიდან მას ყველაზე უფრო მიუღებლად, როგორც ჩანს, ამერიკული მოდელი ესახებოდა. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ერთიანი სახელმწიფოს ხელისუფლების იდეას ემყარებოდა. უნიტარულ რესპუბლიკას გაცილებით მაღლა აყენებდა, ვიდრე ფედერალურს. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოსდა ავტორი

ამერიკის რესპუბლიკურ მმართველობას უარყოფითად ეკიდება. ეს სწორი არ იქნებოდა.

„თვითონული ამ შტატთაგანი შეიცავს რესპუბლიკას და ემ-ყარება დემოკრატიულ კონსტიტუციას, რომელსაც იმუშავებს საგანგებო დამფუძნებელი კრება ანუ კონვენტი და ამტკიცებს სახალხო პლებისციტი. ყველგან შემადგენელ შტატებში დემოკრატიული სული ბატონობს და ხალხის თაოსნობას და თავისუფლებას აქვს დათმობილი ბურთი და მოედანი.

ამ ნაირათ ჩრდ. ამერიკის შ. შტატები სახელმწიფოთა სახელმწიფოა, რესპუბლიკათა რესპუბლიკაა, რომელიც ფედერაციული კავშირით არის გაერთიანებული და გამტკიცებული“. (3. 13-14).

შემდეგ ის პარალელს ავლებს საფრანგეთის და ამერიკის კონსტიტუციას შორის. „საფრანგეთის კონსტიტუციას ძალაუფლების ანუ უფლებათა შერევა უდევს საფუძვლათ. სამაგიეროთ, შ. შტატების კონსტიტუცია ემყარება უფლებათა დაყოფის ანუ განაწევრების პრინციპს. ამ სისტემისათვის დამახასიათებელია ძალა-უფლების შტოების შეთანხმება, უფლებათა კორდინაცია და არა მათი ერთი მეორისგან დამოკიდებულება, მათი სუბორდინაცია.

აბა დაუკვირდით, უფლებათა დაყოფის სისტემა, რომელსაც ბევრი ამერიკულ სისტემასაც უწოდებს, გულისხმობს პირდაპირ მთავრობას. აღმასრულებელი ძალის დამოუკიდებლობას საკანონმდებლო უფლებისაგან...

აქ აღმასრულებელი ძალაუფლების უმაღლესი წარმომადგენელი, სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკის პრეზიდენტი ხალხისგან ირჩევა და აღჭურვილია მეტად ფართე უფლებებით პარლამენტის დამოუკიდებლათ ის (ე.ი. პრეზიდენტი – მ. კ.) თავისი სურვილისამებრ ირჩევს მინისტრებს, რომლებიც აგრეთვე დამოუკიდებლები არიან პარლამენტისაგან. ისინი პასუხს აგებენ მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე. პარლამენტი აქ არ ერევა სახელმწიფურ მართვა-გამგეობაში. ძალა საკანონმდებლო და ძალა აღმასრულებელი ერთი მეორისაგანაა განცალკევებული და და-

მოუკიდებელი...” (3. 14-15). როგორც ხედავთ, მან დამაჯერებლად უჩვენა ის პრინციპული განსხვავება, რომელიც ამ ორი ქვეყნის კონსტიტუციას შორის არსებობდა.

ამის შემდეგ ის ეხება პრეზიდენტის არჩევის წესს და მის უფლებამოსილებას.

„როგორ ირჩევენ შეერთებული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტს?

მას ირჩევს მთელი ფედერატიული რესპუბლიკის ხალხი ორ-სართულიანი საარჩევნო წესით, კენჭისყრა საყოველთაოა. მაგრამ პირდაპირი არ არის. მოქალაქეები ირჩევენ ამრჩევლებს, უკანასკნელი თავის მხრივ ირჩევენ რესპუბლიკის პრეზიდენტს.

ამგვარათვე ირჩევენ რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს. პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს ირჩევენ ერთსა და იმავე დროს და ერთნაირი ვადით – ოთხი წლით. ბარემ ახლავე ვთქვათ, რომ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი არის ამავე დროს სენატის თავმჯდომარე. მისი თანამდებობა სწორედ ამაში მდგომარეობს. მხოლოდ ვინიცობაა გარდაიცვალა პრეზიდენტი მის ადგილს იქერს ვიცე-პრეზიდენტი. აღმასრულებელი ძალაუფლება ფაქტიურად ვიცე-პრეზიდენტს არ ეკუთვნის. ის შეიძლება ითქვას, პოლიტიკურად სრულიად უვნებელი პიროვნებაა. შეიძლება რესპუბლიკის პრეზიდენტმა მას მთელ სათანამდებო ვადის განმავლობაში ერთხელაც არ მიმართოს რჩევისათვის“. (3. 15-16).

ამის შემდეგ ის გამოწვლილვით განიხილავს პრეზიდენტის უფლებამოსილებას. „პრეზიდენტი ვადის გასვლამდე გამოიცვლელია. მისი გადაყენება შეიძლება მხოლოდ სენატის სამართლის განაჩენით. სახელმწიფური ღალატის და მნიშვნელოვანი დანაშაულის დამტკიცების დროს. ჩვეულებითი უფლების ძალით აკრძალულია პრეზიდენტად ერთისა და იმავე პირის მესამე ვადით არჩევა. იგი გაცილებით უფრო მეტი უფლებით არის აღჭურვილი, ვიდრე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ის აღმასრულებელი უფლების სიფართოვით და ძალით ბევრ კონსტიტუციურ მეფეზე უძლიერესია. მასაც ვადით არჩეულ მეფეს

ეძახიან ზოგიერთები. მის ხელთ არის მთელი მართვა-გამგეობა, როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხებში. ის მართავს-გამგე-ბლობს თავის დანიშნულ და თავის წინაშე პასუხისმგებელ მინის-ტრების საშუალებით. ის ნიშნავს და ითხოვს მთელი ფედერაციის ყველა მოხელეს. ბევრ კითხვებში, მაგალითად, ხელშეკრულება, ელჩთა დანიშვნა, უმაღლესი სამსჯავროს წევრთა არჩევა და სხვ. აუცილებელია სენატის თანხმობა. პრეზიდენტი განაგებს ჯარს და ფლოტს“. (3. 16-17).

„პრეზიდენტს აქვს უფლება შეაჩეროს კანონი თუ ის არ მოსწონს. მას გააჩნია შემჩერებელი ვეტოს დადების უფლება. თუ ათ დღეში პრეზიდენტმა ვეტო არ დაადო კანონს, ეს კანონი მიღებულად ითვლება. პრეზიდენტის უფლებამოსილება ფართოვდება ომინანობის და სხვა საგანგებო სიტუაციების პირობებში. ამ შემთხვევაში მას შეუძლია იმოქმედოს პარლამენტის თანხმობის გარეშე და მიიღოს კანონები. იგი ხდება ერთპიროვნული მმართველობის ძალის მატარებელი“. (3. 17-18).

პრეზიდენტს არავითარი კონტაქტი არ აქვს კანონმდებლობასთან, გარდა კანონის შეჩერების უფლებისა. ეს პარლამენტის პრეროგატივაა. „როგორც უკვე იცით უკვე კაბინეტის წევრები ანუ მინისტრები პასუხისმგებლები არიან პირადათ პრეზიდენტის წინაშე, რადგან პირადათ მისგან ინიშნებიან. პარლამენტის ნდობა-უნდობლობის გამოცხადება არ არსებობს და მინისტრთა კაბინეტს მაინც და მაინც არც აინტერესებს პარლამენტი მოინონებს თუ დაინუნებს მის პოლიტიკას“ (3. 18).

ამის შემდეგ ის საუბრობს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობითი ორგანოების როლზე. „საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის კონგრესს. ეს არის ფედერალური პარლამენტი, რომელიც შესდგება ორი პალატისაგან: სენატი და წარმომადგენელთა პალატა“. (3. 19). ხაზგასმულია თვითეული მათგანის როლი, ფუნქცია. (3. 19-20).

„როგორც ვთქვით, შ. შტატების რესპუბლიკის კონსტიტუცია უფლებათა განაწილებას ემყარება, მაგრამ შეამჩნევდით, რომ აბ-

სოლუტურათ ამ პრინციპის გატარება სახელმწიფოებრივ ცხოვ-რებამი ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ თეორიულათ ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ პრაქტიკულათ სავსებით ვერ ხორციელ-დება. ზოგ შემთხვევაში აუცილებელია პირდაპირი ურთიერთობა-და-დამოკიდებულება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალებს შუა. ასეთ აუცილებელ ურთიერთობას ხშირად იწვევს ბიუ-ჯეტის საკითხი“. (3. 20-21).

დასასრულს საუბარია რა შემთხვევაში შეიძლება იქნას გა-დასინჯული რესპუბლიკის კონსტიტუცია. (3. 23.)

„ასეთია მოკლეთ ჩრ. ამერიკის შ. შტატების დემოკრატიული რესპუბლიკა, იგი არის უფლება-განაწევრებული დემოკრატია, რაც საგრძნობლათ განირჩევა პარლამენტარულ დემოკრატიისა-გან, რომლის მიმზგავსება შეიძლება საფრანგეთის რესპუბლიკან-ურ-პარლამენტარიზმის მაგალითში დავინახოთ“. (3. 24.)

ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, საინტერესოა და ის იყენებს ისტორიულ შედარებით მეთოდს, დამაჯერებლად გვიჩვენებს არა მარტო ამ ორი ქვეყნის რესპუბლიკურ მმართველობის ფორ-მას შორის არსებულ მსგავსებას, არამედ განსხვავებას, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ დადგებით მხარედ გვევლინება. როგორც ჩანს, მას ამერიკის რესპუბლიკური მმართველობა საქართველოსთვის მიუღებლად ესახებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულა-რიზაციის რეანიმაცია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფი-ის დადგებით მომენტად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ ყოფილა და მას ჰქონდა თავისი მიზეზები.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლას, პოპულა-რიზაციას, სტიმული მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1999 წელს ამერიკის ისტორიის შესწავლის ცენტრის დაარსებამ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ აშშ-ს ახალ ისტორიაზე მშობლიურ ენაზე არსებული მნირი ლიტერატურის ლომის წილი სწორედ ამ ცენტრის საქმი-

ანობასთან ასოცირდება და მათ მიერ გამოცემულ კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხებში“ ჰპოვებს ასახვას. ცენტრმა თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია საქართველოში. ეს ამ სფეროში მისი საქმიანობის მთავარი პლუსია. სასურველი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობის დაჩქარება და გასრულება. ეს მათ უპირველეს ამოცანად მივვაჩნია.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ქუთასისელმა ისტორიკოსმა დავით გეგეჭკორმა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო ნაშრომი „ნაკლებად ცნობილი ფაქტები ლუიზიანას შესყიდვასთან დაკავშირებით“. (4. 48-53.). საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ეს იყო პრეზიდენტ ჯეფერსონის (1801-1809) მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ამიტომ ავტორის არჩევანი სავსებით გამართლებული ჩანს. „1803 წლის 30 ნოემბერს საფრანგეთის წარმომადგენელმა პიერ კლემენტ დე ლოზეტმა საფრანგეთის მხრიდან ფორმალური ღონისძიება ჩაატარა და ლუიზიანა ოფიციალურად გადასცა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს უდიდესი დიპლომატიური გამარჯვება იყო. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია ერთი-ორად გაიზარდა. ყოველივე ამას კი საკმაოდ დაძაბული მოლაპარაკებები უსწრებდა წინ“. (4. 48).

აქ სათქმელს კიდევ უფრო დაგაკონკრეტებდით, თუ ვიტყოდით ჯეფერსონის დიპლომატიის დიდ წარმატებაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში ჯეფერსონის პოზიციამ გარკვეული ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად მან ანტიფრანგული კურსი აირჩია. „აშშ-ს მმართველი რესპუბლიკური პარტია მზად იყო საგარეო პოლიტიკაში, ფედერალისტების მსგავსად, ანტიფრანგული კურსი აერჩია, მაგრამ მოვლენები ამერიკისათვის სასარგებლოდ განვითარდა“. (4. 49). საფრანგეთს ინგლისის წინააღმდეგ ომისათვის ესაჭიროებოდა ფული. ამიტომ ის ყაბულს იყო გაეყიდა ლუიზიანა.

„1803 წლის მაისში ხელშეკრულება გაფორმდა აშშ-სა და სა-ფრანგეთს შორის, რომლის თანახმადაც ლუიზიანა ამერიკას 15 მილიონი ფრანკის საფასურად გადაეცა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1803 წლის 30 ნოემბერს“. (4. 52).

„ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტის თო-მას ჯეფერსონის ერთმა ქმედებამ გააორმავა ქვეყნის ტერიტორია და ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შემდგომი ეკონო-მიკური განვითარებისათვის“. (4. 52). ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო თ. ჯეფერსონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ამას შემეცნებითი მნიშვნელობა ექნებოდა. ვინაიდან თ. ჯეფერსონზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერია დაწერილი.

პრეტენზიულად გვეჩვენება ნაშრომის სათაური „ნაკლებად ცნობილი ფაქტები ლუიზიანას შესყიდვასთან დაკავშირებით“. ეს თემა ინგლისურ-ამერიკულ და ფრანგულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა დამუშავებული და რომელ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზეა საუბარი? ნაშრომის გაცნობაში ვერ დაგვარჩენა ამა-ში. თუ ასეა მაშინ ეს ნაშრომში მკაფიოდ, ხაზგასმით, უნდა ყო-ფილიყო თქმული.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიას შეეხება მისი მეორე ნარკვევი „პირველი ორპარტიული სისტემის შექმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში“. (5. 56-62). თემა არის საინტერე-სო და აქტუალური და მასზე ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა. ამიტომ მას გააჩნია შემეცნებითი მნიშვნელობა, რომელიც მის მთა-ვარ პლუსს წარმოადგენს. ძალიან კარგია, რომ ის სულ მთლიანად ეყრდნობა ამ საკითხზე არსებულ ინგლისურ ლიტერატურას. ამას აქვს მნიშვნელობა და ის სრულიად თავისუფალია მარქსიზმისგან. ყური მოგვჭრა მხოლოდ ტერმინმა „ბურჟუაზიულ-პლანტატორუ-ლი“. (5. 57). „1800 წელს მეოთხე საპრეზიდენტო არჩევნების დროს რესპუბლიკურმა პარტიამ პირველად მოიპოვა გამარჯვება ფედე-რალისტებზე და მყარად დაიმკვიდრა ადგილი აშშ-ს პოლიტი-კურ სტრუქტურებში. ასე ჩამოყალიბდა პირველი ორპარტიული

სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული პოლიტიკური სტრუქტურის სრულყოფისთვის“. (5. 60). აქ ფაქტობრივ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. მეოთხე თუ მესამე საპრეზიდენტო არჩევნების დროს? ინგლისური ენის კარგი ცოდნა მისი, როგორც მკვლევარი ისტორიკოსის პლუსია და ამ სფეროში ნაყოფიერი, საქმიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა იყოს. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ყურადღება მიქცეოდა საკითხის გაშუქებას უახლოეს ლიტერატურაში. ეს შინაარსობრივად გაამდიდრებდა ნაშრომს.

XIX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში ყურადღებას იპყრობს ტეხასის დაპყრობა. ამერიკის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაციის გზაზე კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს პროფ. გივი ბოლოთაშვილის საინტერესო ნარკვევი „აშშ-ს მიერ ტეხასის დაპყრობის ისტორიიდან“. (6. 27-35). ნაშრომში მაღალკვალიფიცირებულად, პროფესიულ დონეზე მდიდარ საკვლევო ლიტერატურაზე დაყრდნობით არის განხილული ტეხასის დაპყრობის ისტორია. დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამერიკის ექსპანსიის ძირითადი, საკვანძო მომენტები. „პირველი ოფიციალური პრეტენზია ტეხასზე ამერიკების მიერ წამოყენებული იქნა ამერიკა-ესპანეთის მოლაპარაკებების დროს მადრიდში 1805 წლის იანვარ-მაისში. აშშ-ს წარმომადგენლები ჯეომზ მონრო და ჩარლზ ჰინკნი აშშ-ს უფლებებს ტეხასზე ასაპუთებდნენ ფრანგი მოგზაურის რენე რობერ დე ლასალის ჩანაწერებით, მაგრამ მადრიდის მოლაპარაკები ამერიკული მხარისათვის უშედეგოდ დამთავრდა“. (6. 28). ეს მცდელობები შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა, ვიდრე 30-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიამ ინტენსიური ხასიათი არ მიიღო. (6. 28-30).

ტეხასის კოლონიზაციის დროს ამერიკის დიპლომატიამ სერიოზული ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად ის ცდილობდა კონფლიქტის დაპლომატიური გზით მოგვარებას, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში არც სამხედრო ძალის გამოყენებას მოერიდა. ეს მოხდა

1845 წლის ივლისში. (6. 30-31). ამერიკის შეერთებულ შტატებს და მექსიკას შორის ურთიერთობის გამწვავება ამის ლოგიკური შედეგი იყო. დასასრულს საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების და მექსიკის ომზე 1846-1848 წლებში. ომი ამერიკელთა გამარჯვებით დასრულდა. 1848 წლის 2 თებერვალს დაიდო ზავი. „მექსიკა იძულებული გახდა აშშ-სათვის დაეთმო ტეხასის გარდა ახალი მექსიკა, ზემო კალიფორნია... თავისი ტერიტორიის 55% საერთო ფართობით 2,3 მლნ. კვ. კმ. მექსიკის ჩრდილოეთის საზღვრად დადგინდა მდინარე რიო-გრანდე-დელა-ნორტე. აშშ-მა, კომპენსაციის სახით, მექსიკას გადაუხადა სასაცილო თანხა – 15 მლნ. პესო და უარი განაცხადა თავის ფინანსურ პრეტენზიებზე მექსიკის მიმართ, რომელიც სულ 3. 250 ათას დოლარს შეადგენდა“. (6. 33).

შეიძლება გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, მაგრამ მექსიკელი ისტორიოსის სორილიას აზრით „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ხელშეკრულება ისტორიაში“. (6. 33). ალბათ, სასურველი იქნებოდა უახლესი საზღვარგარეთული ლიტერატურის უფრო ვრცლად მოხმობა.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემას და პერიოდს, წმინდა კონფესიურ ჭრილში, შეეხება პროფ. ნანა ციხისთავის რამდენიმე ნაშრომი. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საინტერესოა და პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიაში იდეების როლს და რელიგიის მნიშვნელობას გულგრილად ეკიდებოდნენ და მასზე ან არაფერს არ წერდნენ ან თუ წერდნენ ძირითადად მაინც უარყოფით კონტექსტში. ამგვარი მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. მისი ეს შრომები ამ საბჭოთა სტერეოტიპის დაძლევის მცდელობად გვევლინება და ამ პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით

საგულისხმო ჩანს მისი შემდეგი შრომები: „პროტესტანტიზმი და პროტესტანტული სექტები ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX ს-ში“, „პროტესტანტიზმი და XIX ს-ის აშშ-ს განათლების სისტემა“, „მორმონიზმი – სახელმწიფო სახელმწიფოში თუ აშშ-ს მომავალი რელიგია“. ცოტათი ცალკე დგას მისი რეცენზია დენიზა სუმბაძის საინტერესო ნაშრომზე „ამერიკელი ერის ფენომენი“ „გამოხმაურება დენიზა სუმბაძის ნაშრომზე „ამერიკელი ერის ფენომენი“.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქას, რომ პროტესტანტულმა ეთიკამ დიდი როლი შეასრულა ამერიკელი ხალხის ცხოვრებაში და ღრმა კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში. აი რა გვაქვს მხედველობაში. აქ ადამიანს გაცილებით მეტი წარმატებით შეეძლო ესარგებლა საკუთარი შრომით, ვიდრე ევროპაში, რასაც ხელს უწყობდა პროტესტანტული ეთიკა, რომლის მთავარ ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა საკუთრების პატიოსანი დაგროვება, შრომა, შრომის მაღალი კულტურა და მომჭირნეობა. ამიტომ ამერიკის ისტორიაში არც პროტესტანტიზმის როლის გაიდიალება არაა საჭირო, რაც, სხვათა შორის, შეიძლება, შეინიშნება ამერიკულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში და არც მისი შეუფასებლობა უნდა იყოს მართებული, რაც დომინანტი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაშია.

კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია სინდისის თავისუფლება. ამერიკის შეერთებული შტატები ამ მხრივ ერთ-ერთი მთავარი ტონის მიმცემი იყო, არის და იქნება. „კონგრესმა არ უნდა მიიღოს არც ერთი კანონი, რომელიც დააკანონებს რომელიმე რელიგიას, ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას, რომელიც აღკვეთს სიტყვისა ან პრესის თავისუფლებას; ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უფლებას პეტიციით მიმართონ მთავრობას, რათა მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები“ (წერია 1791 წლის კონსტიტუციის დამატებაში). (7. 163). მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება ის რელიგიუ-

რი სიჭრელე, რომელიც იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და ნაშრომში ეს ხაზგასმითაა აღნიშნული. „ლუთერანობა, ცვინგლი-ანობა, კალვინიზმი და ანგლიკანიზმი არ არის მთელი სპექტრი პროტესტანტული სახესხვაობისა, მათ მიეკუთვნებათ დიდი რაოდენობით უფრო წვრილი და პატარა მიმდინარეობები, რომლებიც ატარებენ ორიგინალურ ხასიათს და ეფუძნებოდნენ ხსენებული მიმართულების დანამატის იდეებს“. (7. 169). სავსებით ვთავანხმებით ავტორს, როდესაც ასეთი რელიგიური პლურალიზმი მისაღებად ესახება.

მისი მეორე ნაშრომია „პროტესტანტიზმი და XIX საუკუნის აშშ-ს განათლების სისტემა“. (8. 526-530). ეს ნაშრომი აშკარად სცილდება ისტორიული მეცნიერების ჩარჩოებს და პედაგოგიკის სფეროში გადაყვავართ. ამიტომ მასზე ვრცლად მსჯელობისაგან თავს შევიკავებდით. ამ ნაშრომს წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის განხილვის პირველი მცდელობაა. ის სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს.

„აშშ-მა განიცადა ინტელექტუალური რევოლუცია XIX საუკუნეში, რაც მოხდა ინგლისში XVIII საუკუნის შუა ხანებში ინდუსტრიული რევოლუციისა და სამეცნიერო აღმოჩენების სახით. განმანათლებლობა და სამეცნიერო მიღწევები გავლენას ახდენდა ამერიკულ ყოფაზე, ეკლესიაზე, სკოლაზე. რელიგია უკვე წარმოადგენდა ერთგვარ ინგრედიენტს XIX საუკუნის ამერიკული განათლებისათვის. ასე რომ რელიგიის გავლენა ამ სფეროზე თანდათანობით წელდებოდა. წინა პლანზე წამოიწია პრაგმატიზმი (ზოგჯერ ეს სახელდება როგორც ექსპერიმენტალიზმი, ინსტრუმენტალიზმი ანდა პროგრესივიზმი), რომელიც გახდა წამყვანი ტრადიციულ ფილოსოფიებთან ერთად. აშშ-ში ის ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მანძილზე, როდესაც მოვლენათა განვითარებას თვალსაჩინო შედეგები მოჰყვა, როდესაც გარკვეული პრობლემები მოგვარდა და ამერიკელები უფრო ნასწავლი და პრაქტიკული გახდნენ. 1800-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკა აგრძელებს

განათლებაში, რელიგიაში და ზოგადად, ცხოვრების ყველა სფეროში პრაგმატიზმის დანერგვას“. (8. 530).

მისი მესამე ნაშრომია „მორმორიზმი – სახელმწიფო სახელმწიფოში თუ აშშ-ს მომავალი რელიგია“. (9. 237-242). ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე დიდი ეკლესია: კათოლიკები, ბაპტისტები, მორმონები, ლუთერანები, კალვინისტები, მართლმადიდებლები. (8. 240-241). თემა არის საინტერესო და აქტუალური და მისი დამუშავების საქმეში ქართველი მეცნიერის ჩართულობა მისასალმებელი უნდა იყოს. ავტორი ასეთ დასკვნამდე მიდის. „რელიგიის ისტორიის სპეციალისტები წინასწარმეტყველებენ ამ ეკლესის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას არა მარტო აშშ-ში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. რამდენად დაემსგავსება სამოქალაქო რელიგიის იდეალებს მორმონიზმი, ეს მომავლის საქმეა. ასევე მომავალი გადაწყვეტს, გახდება თუ არა „მორმონთა ქვეყანა“ ამერიკის შეერთებული შტატები რელიგიური და იდეოლოგიური ცენტრი. ჯერჯერობით კი, ისტორიკოსების, რელიგიის სოციოლოგების და რელიგიის ფილოსოფოსების თავსატეხია, რას წარმოადგენს მორმონიზმი დღეს, სახელმწიფოს სახელმწიფოში, თუ აშშ-ს მომავალ რელიგიას“. (9. 242). ორივე ნაშრომის გაცნობის შემდეგ ერთნაირი შთაბეჭდილება დაგვრჩა. უფრო მეტი ლიტერატურის მოხმობა, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა. მხოლოდ ოთხ წიგნზე აპელირება, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა.

მისი მეოთხე ნაშრომი წარმოადგენს რეცენზიას და ფაქტობრივად, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ორიოდე სიტყვით შევჩერდებით მასზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის გამოხმაურება პროფ. დენიზა სუმბაძის წიგნზე „ამერიკელი ერის ფენომენი“. მას არ მოეწონა ნაშრომი და გამოთქვამს თავის კრიტიკულ აზრს. ეს ჩვეულებრივი ამბავია და სავსებით ნორმალურია. ჩვენ არ ვაპირებთ ამ კამათში ჩარევას და მტყუან-მართალის გამორკვევას. გვინდა მხოლოდ ერთი მოსაზრება გამოვთქვათ, რომელიც შე-

ეხება ისტორიოგრაფიული ნაშრომის წერის წესს და რეცენზიის დაწერის დროს ანბანური ჭეშმარიტებაა და ის ყველამ უნდა დაიცვას. ამ ტრადიციიდან გადახვევა, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. აი რის თქმას ვაპირებთ აქ. არ აქვს მნიშვნელობა იმას, ნაშრომი მოგწონს თუ არ მოგწონს. ნებისმიერი რეცენზია იქნება ეს თუ გამოხმაურება, იწყება პოზიტივით, დადებითით. ამ შემთხვევაში ეს ტრადიცია დარღვეულია და მსჯელობა იწყება პირდაპირ უარყოფითიდან. რა თქმა უნდა, მეცნიერული პოლემიკის წინააღმდეგი არავინ არაა, მაგრამ ხომ არ აჯობებდა საუბარი დადებითიდან დაგენტოთ? ნუთუ წიგნში ვერავითარი პოზიტიური ვერ იპოვეთ? ეს ცოტა ძნელი დასაჯერებელია. ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი ნაკლი, ვფიქრობთ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. (10. 163-173).

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხებს ეხება ქუთაისელი ისტორიკოსის ოთარ ნიკოლეიშვილის ორი საინტერესო ნარკვევი. „მისურის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან“ და „სერგეი მესხი და ამერიკის შეერთებული შტატები“. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ვინაიდან მისურის უნივერსიტეტი XIX საუკუნეში იქნა დაარსებული, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ ნაშრომზე ყურადღების შეჩერება. პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიქრება საკითხი, რატომ მაინც და მაინც მისურის უნივერსიტეტი. რითი იყო ის ლირსშესანიშნავი და გამორჩეული სხვა უნივერსიტეტებისგან. რითი მიიპყრო მან ქართველი მევლევარის ყურადღება. როგორც ირკვევა, ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანილად იმით იყო განპირობებული, რომ მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ქუთაისის უნივერსიტეტთან.

„მისურის უნივერსიტეტისადმი ჩემი დაინტერესების საფუძველი ამ უმაღლეს სასწავლებელთან ქუთაისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტების მეგობრული ურთიერთობა გახდა. 1997 წელს... პრეზიდენტის საქართველოს დიდი მეგობარის, ქალბატონ ტრიშ ბლეერის ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით, მისურის და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა მეგობრობისა და პარტნიორული თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლას". (11. 150).

ნაშრომში, უმთავრესად, ინგლისურ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, მოთხოვილია მისურის უნივერსიტეტის დაარსების ისტორია და მისი წარსული. (11. 151-154). ნაშრომში წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და ამ კულტურტრეგერულ მისიას მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვათავი.

განსაკუთრებით ნაყოფიერად გვესახება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის კვლევა ქართულ კონტექსტში, ქართულ რეალობასთან კავშირში. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩინა მისი მეორე ნაშრომი „სერგეი მესხი და ამერიკის შეერთებული შტატები“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 2005 წელს კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები“ და 2011 წელს უცვლელი სახით შევიდა მის წიგნში „ნარკვევები საქართველოს-თან ამერიკის ურთიერთობების ისტორიიდან“. ამ წიგნში სერგეი მესხზე ნარკვევის შეტანა აღბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, დამაჯერებლად არ მიგვაჩინა და ნებსით თუ უნებლიერ წარმოქმნის შეუსაბამობას წიგნის სათაურსა და შინაარსს შორის. ჩვენი აზრით, ასეთი ნაბიჯი გამართლებული არ იყო. ეს არაა საქართველო-ამერიკის ურთიერთობები. ეს სულ სხვა თემაა – ამერიკის ისტორიით დაინტერესება საქართველოში.

მისი დადგებითი მხარეებია: ა) ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხებისადმი სერგეი მესხის დამოკიდებულება საინტერესო და აქტუალურია და ამ თემაზე ყურადღების გამახვილება სავსებით გამართლებულად მიგვაჩინა.

ბ) აღნიშნულ საკითხზე ს. მესხის შეხედულებები დღემდე არ გამხდარა ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო შესწავლის საგანიდა ეს ნარკვევი ამ საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა. გ) სავსებით ვეთანხმებით ავტორს, როდესაც სერგეი მესხს ევროპულ-ამერიკული განვითარების მომხრედ მოიაზრებს. დ) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის ახალი ისტორიის საკითხებით ს. მესხის დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და უპირატესად ქართული რეალობა ედო საფუძვლად. ე) დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ცალკეული პრინციპული საკითხების შეფასების დროს მას სწორი პოზიცია ევავა.

ასეთია: განათლების საკითხი, ქალთა საკითხი, მამა-პაპეული მიწებიდან ინდიელთა აყრა. „ამერიკის შეერთებულ შტატებში არ-სებული მდგომარეობის დახასიათების დროს ს. მესხი ისეთ პრობლემურ საკითხებსაც აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელიც იმუამად ყველაზე მეტი სიმწვავით იდგა ქართველი ხალხის წინაშე – დიდი და ძლიერი ერების მიერ პატარა და სუსტი ერების ჩაგვრა-შევინწოდების ფაქტს. ამ მოვლენებზე მსჯელობით ს. მესხი არაპირდაპირი ფორმით იმ მძიმე მდგომარეობას ამხელს და აკრიტიკებს, რომელშიც ქართველი ხალხი იმყოფებოდა რუსი კოლონიზაცორების მიერ გატარებული დამშყრობლური პოლიტიკის შედეგად“. (11. 218).

სერგეი მესხი და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხები სერიოზული მეცნიერული პრობლემაა და მას, ალბათ, ერთი საინტერესო მონოგრაფია შეიძლებამ მიეძღვნას. ამიტომ ჩვენ მიგვაჩინია, რომ ნაშრომის სათაური მეტად ზოგადია და ცოტა პრეტენზიულად უდერს. სასურველი იქნებოდა მისი დაზუსტება, დაკონკრეტება. ნაშრომის სათაურსა და შინაარსს შორის შეუსაბამობა ამის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩინია. მთავარი კი მაინც ის უნდა იყოს, რომ ამ თემაზე მისი მსჯელობა ამ სფეროში ს. მესხის წვლილზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ისტორიოგრაფიულ ნარკვევს, როგორადაც მიგვაჩინია ო. ნიკოლეიშვილის ნაშრომი, პოლემისტური მუხტი უნდა გააჩნდეს.

„როგორც ხედავთ, ს. მესხის პუბლიცისტიკაში ნათლად და მკაფიოდ გამოიკვეთა მისი პროამერიკული პოზიცია და ამ ქვეყნის მიერ განვლილი გზა მან არა მარტო საქართველოსათვის მიიჩნია სახელმწიფოებრივი ძლიერების დამკვიდრების იდეალურ ვარიანტად, არამედ ევროპის ყველაზე განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი. მიუხედავად იმისა, რომ ს. მესხის წერილების დაწერიდან თითქმის საუკუნენახევარი გადის, დრომ მათში არსებითი კორექტივი ვერ შეიტანა და ს. მესხის მიერ განდიდებული ამერიკანიზმი საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც კიდევ უფრო გაძლიერდა და ფართო მასშტაბების მომცველი გახდა“ (11. 219).

ეს მსჯელობა სავსებით მისაღები უნდა ჩანდეს და, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. მას ძალიან კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ამ თემაზე სერგეი მესხის შეხედულებების ღირსებები, რაც აღნიშნულ საკითხზე მისი მსჯელობის დადებითი მხარეა; მაგრამ ამგვარი დამოკიდებულება მაინც აპოლოგეტურად მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, მცირე კორექტივის შეტანას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ს. მესხის პროამერიკულ პოზიციას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ს. მესხის მიერ ამერიკანიზმის გაიდეალება გადაჭარბებული შეიძლება იყოს და, ცხადია, არ ლირს, ზედმეტია. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ასეთი კრიტიკული ინტონაცია ავტორის მსჯელობაში არ იგრძნობა. ეს კი ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ისტორიკოსმა ლალი ფირცხალავამ. ამ თემას მან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. ესენია: „იუდეველთა ემიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში“. (13. 134-140). „ინგლის-ამერიკის 1812-1815 წლების ომი და რუსეთი“. (14. 129-135). „ალიასკის ისტორიის რუსული პერიოდი“. (15. 160-167).

პირველ ნაშრომში მოკლედ არის მოთხოვნილი ებრაელთა ემიგრაციის ისტორია. აღნიშნულია მისი ძირითადი ეტაპები.

დამაჯერებლადაა ნაჩვენები თუ როგორ ირღვეოდა მათი უფლებები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ფონზე საინტერესოდ მიგვაჩნია პარალელი „ამერიკულ დემოკრატიას და საქართველოში ებრაელთა ოცდაექვს საუკუნოვან თანაარსებობასთან“. ის იმონძებს ისტორიკოს ელდარ მამისთვალიშვილს და დასძენს: „მას შემდეგ, რაც ებრაელს ფეხი დაუდგამს საქართველოს მიწაზე (ეს კი საკმაოდ ხანგრძლივი დროა – 26 თუ 28 საუკუნე) – ვერ დავა-სახელებთ თუნდაც ერთ საბუთს შექმნილს საქართველოს რუსეთ-თან შეერთებამდე (1801 წ.), რომელიც ებრაელთა შევიწროების რამე ცნობას შეიცავდეს“. (13. 139).

მისი მეორე ნაშრომი „ინგლის-ამერიკის 1812-1815 წლების ომი და რუსეთი“ არის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი, რომელსაც შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. მისი მნიშვნელობაც სწორედ ამაში მდგომარეობს.

„1812 წლის ომი იყო შედეგი ერთი მხრივ, ინგლისის ანგარებითი პოლიტიკის, მისი სწრაფვის, ძირი გამოეთხარა აშშ-ს ვაჭრობისა და ეკონომიკისათვის – ზღვაზე დესპორტური მოქმედებისა და ნეიტრალური ზღვაოსნობის უფლებების დარღვევით. მეორე მხრივ, ის გამოწვეული იყო თავად აშშ-ს მმართველი წრეების ექსპანსიონისტური მისწრაფებებით, მათი სურვილით დაეპუროთ კანადა და ფლორიდა, შეევიწროებინათ ინდიელთა ტომები და ა.შ.“ (14. 131).

რუსეთს საკუთარი მიზნები გააჩნდა. მას აფიქრებდა მოკავშირეების ძალების დაქსაქსვა. ინგლისი იძულებული გახდებოდა გადასროლა თავისი ძალები ახალ სამყაროში და რაც მთავარია მატერიალური მხარე, ფინანსები, რომელიც საჭირო იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამიტომ იყისრა რუსეთმა შუამავლის როლი მებრძოლ მხარეებს შორის. (14. 133).

ავტორი წინააღმდეგობაში ვარდება და საუბრობს 1812-1815 წლების ინგლის-ამერიკის ომზე, მაგრამ ნაშრომის ბოლოს ის დასძენს და, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანადაც, რომ 1814 წლის 24 დეკემბერს გენტუში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულე-

ბას. საომარი მოქმედებები შეწყდა. (14. 134). პრაქტიკულად, საქმე გვაქვს ფაქტობრივ უზუსტობასთან. ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი მინუსი, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობს.

მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ფაქტობრივ შეცდომასთან. ძნელი სათქმელია თითქოს „1812 წლის დასაწყისში ნაპოლეონის საფრანგეთი ძლიერების ზენიტში იყო“. (14. 131). იმპერიის დიდების პიკი, მწვერვალი, უკან დარჩა. თავი იჩინა იმპერიის კრიზისის პირველმა სიმპტომებმა. ესპანეთი ამის დასტური უნდა იყოს. ამის შეუფასებლობა სწორი არ იქნებოდა.

ნაშრომში გამოყენებულია რუსული ლიტერატურა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. საკითხის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით სასურველი იყო ინგლისური ლიტერატურის მოხმობა. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მოგვცემდა კიდევ უფრო კარგად გამოგვევეთა არა მარტო რუსეთის, არამედ ინგლისის და ამერიკის პოზიცია. ეს, ვფიქრობთ, შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს და მომგებიან ქულებს შესძენდა.

„ამერიკელმა ხალხმა შეძლო დაეცვა ქვეყანა ინგლისელთა თავდასხმისაგან და შეენარჩუნებინა ტერიტორიული მთლიანობა. აშშ-ში განმტკიცდა ეროვნული მრეწველობა. საბოლოოდ დაიშალა ფედერალისტთა პარტია და წერტილი დაესვა ახალი ინგლისის სეპარატიზმს. ამ კუთხით, მიუხედავად მმართველი წრეების სუბიექტური მიზნებისა, 1812 წლის ომი თავისი ობიექტური შედეგებით დამოუკიდებლობისათვის ომის გაგრძელებას წარმოადგენდა“. (14. 134). ალბათ, სასურველი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო ინგლის-ამერიკის ომის მსვლელობის პერიპეტიკებზე. ამას შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან ამ საკითხზე ქართულ ენაზე დღემდე არაფერი არაა დაწერილი.

ამ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას ეხება მისი კიდევ ერთი ნაშრომი „ალიასკის ისტორიის რუსული პერიოდი“. მას უმთავრესად შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ძირითადად ტ. ხლებნიკოვის ჩანაწერებს ეყრდნობა. რუსეთს ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიის შენარჩუნება სულ უფრო და უფრო

უჭირდა. „1859 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა პირველი მცდელობა ალიასკის შესაძენად, ხოლო 1867 წლის 8 მარტს აშშ-მა მიაღწია ხელშეკრულების ხელმოწერას მისთვის ალიასკის და ალეუტის კუნძულების მიყიდვაზე 7. 200 000 აშშ დოლარად. ეს იყო დაახლოებით 11 მლნ. რუსული რუბლი ოქროთი. რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკისათვის ამ უჩვეულო გადაწყვეტილების მიღება ლოგიკური შედეგი იყო მეფის ხელისუფლების უუნარობისა, დაეცვა თავისი შორეული სამფლობელოები და მისი მოსახლეობა ამერიკის კონტინენტზე“. (15. 171). შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ეს შრომები მეტად ზედაპირულ ხასიათს ატარებს და უმთავრესად რაოდენობრივ ცვლილებებზეა გათვლილი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს შეეხება ახალგაზრდა, დამწყები, ისტორიკოსის მიხეილ ლაბაძის საინტერესო ისტორიული ნარკვევი „ამერიკა-მექსიკის დიპლომატიური ურთიერთობაზე 1846-1848 წწ. ომის წინ“. (16. 122-129). თემა არის საინტერესო და აქტუალური და ქართულ ენაზე მასზე არაფერი დანერილა. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგენს. მას წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია. მასში გამოყენებულია ესპანურ ენაზე არსებული ლიტერატურა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ძალიან ცოტაა. სასურველი იქნებოდა ინგლისური ლიტერატურის მოხმობა. ამას ჰქონდა მნიშვნელობა და საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვკვეთოთ ამერიკელთა პოზიცია.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის აშშ-ის ისტორიას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი კ. ანთაძის და ნ. მამუკელაშვილის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანლოში. ამ მონაკვეთის სათაურია „ამერიკის შეერთებული შტატები 1803-1860 წლებში“. ის სამი ნაწილისგან შედგება. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის გაფართოება, „გარდუვალი კონფლიქტი“, სამხრეთის შტატების კონფედერაცია. (17. 154-157).

ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ვრცლად არის გაშუქებული პროფ. ვაჟა თვალაგაძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია“. მას მთელი მეცამეტე თავი ეთმობა „აშშ 1815-1860 წწ.“ ფაქტობრივად, საქმე გვაქვს აღნიშნულ საკითხზე საინტერესო ისტორიული ნარკვევის შექმნის მცდელობასთან, რომელიც წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. (18. 234-252).

აღნიშნული საკითხი, ძალიან მოკლედ, ლაკონურადაა განხილული ისტორიკოს დავით ლომაძის სახელმძღვანელოში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“. (19. 48-59). ქართულ ისტორიოგრაფიაში, მათ შორის, ცხადია, ამ სახელმძღვნელოებში, აშშ-ს ახალი ისტორიის გაშუქება 1787-1861 წლებში, გარკვეული უკმარობის გრძნობას გვიტოვებს და ფრაგმენტალურ ხასიათს ატარებს. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა კიდევ უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა აშშ-ს ისტორიას XVIII საუკუნის მიწურულს და ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობას. ეს აშშ-ის ისტორიის ამ მონაკვეთზე კიდევ უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნის.

* * *

მეორე სერიოზული თემა, რომელზეც ყურადღებას გავამახვილებთ, გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების 1861-1865 წლების სამოქალაქო ომი. დაპირისპირება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ამერიკა-ინგლისის ომი 1812-1814 წლებში და სამოქალაქო ომი, ბრძოლა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო მომენტებია, რომელმაც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყო ქვეყნის წინსვლა, პროგრესი და ღრმა კვალი დატოვა არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიო ისტორიაში. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შესწავლა საქართველოში. ეს ისტორიოგრა-

ფიაში ამ საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა. რა გაკეთდა ამ მიმართულებით საქართველოში? როგორ არის დამუშავებული ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში? ამ თემის შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და წარმოდგენას შეგვიქმნის იმის თაობაზე, თუ რაა გაკეთებული ამ მიმართულებით და რისი გაკეთებაა კიდევ საჭირო.

რადიკალიზმი არასოდეს ყოფილა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის მახასიათებელი თვისება. მათ ყოველთვის გამორჩევდა კომპრომისისკენ სწრაფვა. გამორჩენილი ფრანგი ისტორიკოსი გრაფი ალექსის დე ტოკვილი დასძენდა: „ამერიკის უდიდესი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მან მიაღწია დემოკრატიას ისე, რომ არ გადაუტანია დემოკრატიული რევოლუცია“. ტოკვილის ეს თეზისი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ფართოდ მოიკიდა ფეხი ამერიკულ ისტორიოგრაფიაში. ამერიკელი ისტორიკოსი ფრედერიკ ტერნერი წერდა: „ამერიკამ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მიაღწია არა სოციალური და კლასობრივი ბრძოლის, არამედ სოციალური ჰარმონიის გზით“. სოციალური ჰარმონია, კონსესუსი, მიღწეულ იქნა რთული გზით, რომელიც სულაც არ აღმოჩნდა ია-ვარდებით მოფენილი. დემოკრატიის დამკვიდრებას დასჭირდა ჯერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, შემდეგ ამერიკა-ინგლისის ომი 1812-1814 წლებში და ბოლოს სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის 1861-1865 წლებში. ამიტომ „ამერიკის განსაკუთრებულობაზე“ საუბარი, რომელიც ძალიან უყვართ ამერიკელ და ევროპელ ისტორიკოსებს, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს.

საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების ათვლის წერტილად, ტრადიციისამებრ, უნდა ავიღოთ XIX საუკუნის 60-იანი წლები, როდესაც გაჩნდა ქართული პერიოდული პრესა. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამოქალაქო ომის პერიოდით ქართული საზოგადოების დაინტერესების პირველმა

სიმპტომებმა თავი იჩინა XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში. ასეთი მყისიერი რეაქცია საინტერესოა და, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. რა თქმა უნდა, ის ამ მოვლენის თანადროულობით და აქტუალურობით გახლდათ განპირობებული. თავდაპირველად, ეს დაინტერესება უურნალისტიკის, პუბლიცისტიკის სფეროს განეკუთვნებოდა და უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, დაისმის კითხვა, ჰქონდა თუ არა რაიმე გამოძახილი 1861-1865 წლების სამოქალაქო ომს აშშ-ში შორეულ საქართველოში. თემა არის აქტუალური და საინტერესო.

ერთი შეხედვით, ისე ჩანს თითქოსდა არაფერი. ეს ზედაპირზე ძევს, მაგრამ სინამდვილეში მას შორეულ საქართველოში რაღაც გამოძახილი ჰქონია. რა? როგორც ირკვევა, სამოქალაქო ომს 1861-1865 წლებში თავისი არაპირდაპირი გამოძახილი ჰქონია საქართველოში და ეს იმით გამოიხატა, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირების დროს სამხრეთის შტატებიდან ევროპაში ბამბის შემოტანა შეფერხდა. ამან კი ხელი შეუწყოდასავლეთ საქართველოში მებამბეობის განვითარებას. (20. 134).

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ 1861-1865 წლების სამოქალაქო ომს აშშ-ში ფართოდ გამოეხმაურა ქართული პერიოდული პრესა, პირველ რიგში კი, გაზეთი „დროება“, რომლის დამაარსებელი და რედაქტორი სერგეი მესხი ბრძანდებოდა. ქართული პერიოდული პრესის სიმპათია მთლიანად ჩრდილოეთის შტატებისკენა. განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებდნენ აბრაამ ლინკოლნს და მიესალმებოდნენ მონობის გაუქმებას. ამგვარი დამოკიდებულება საინტერესოა და ამით, მათ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარეს ქართულ სინამდვილეში აღნიშნული პრობლემის პროგრესულ-ლიბერალურ გააზრებას. (21). ამ საკითხის გაშუქებას, ბუნებრივია, გარკვეულ ყურადღებას აქცევდნენ სხვა გაზეთებიც. ეს საინტერესო თემაა და მას ერთი საგანგებო ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას.

ეს ტრადიცია აიტაცა და გააგრძელა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციამ, უპირატესად, თარგმნილ ლიტერატურაში ჰქოვა ასახვა. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ამ პრობლემაზე ქართულ ენაზე სრულიად არაფერი იწერებოდა, ეს სწორი ნაბიჯი იყო და შესამჩნევად გვეხმარებოდა იმ ვაკუუმის შევსების საქმეში, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით 1897 წელს გამოქვეყნდა იასონ წერეთლის მიერ თარგმნილი წიგნი „აბრაამ ლინკოლნი ამერიკის ზანგების განმათავისუფლებელი“ (22).

ფაქტობრივად ეს არის ქართულ სინამდვილეში ა. ლინკოლნის პირველი პრიმიტიული ბიოგრაფია. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და ქართულ საზოგადოებას აბრაამ ლინკოლნის დამსახურებაზე საერთო წარმოდგენას უქმნიდა.

წიგნში ხაზგასმულია ა. ლინკოლნის ლვანლი ზანგი მონების გათავისუფლების საქმეში, მისი შემწყნარებლობა, კომპრომისის მიღწევის უნარი, თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს საჭიროების შემთხვევაში ყოფილიყო პრინციპული და შეუვალი. წიგნის დასასრული ა. ლინკოლნის აპოთეოზად უდერს და მისადმი მთარგმნელის დამოკიდებულების რეზიუმედ მიგვაჩნია.

„სადად გაკეთებულ ძეგლზე მოსჩანს მხოლოდ ერთი სიტყვა „ლინკოლნი“. განა არის საჭირო მიემატოს სხვა რაიმე მის ქება-მორჭმულ სახელს? უიმისოდაც ყველამ იცის, რომ ეს უბრალო ძეგლი აღუმართეს უანგაროესს, უპატიოსნეს კაცს, დიდებულ მოღვაწეს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქრისტიანს, რომელსაც სავსებით შეჰვერის სახარების წმინდა სიტყვები: „არ არს სიყვარული უმეტეს, რომელმაც დასდვა თავი თავისი მოყვასთა თვისა“. (22. 59). ამ ბოლო ფრაზები ა. ლინკოლნის მოღვაწეობით გამოწვეული აღტაცება თავის პიქს აღწევს. სამწუხაროდ, ის კრინცს არ ძრავს 1862 წელს მიღებულ კანონზე ჰომსტედების შესახებ, რაც ლინკოლნის კიდევ ერთი დამსახურება იყო.

აბრაამ ლინკოლნის მოღვაწეობის უსაშველოდ განდიდება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, მაგრამ მისი მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერია და მისაღები ჩანს. ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია, რომ ქართული პრესა მაშინვე გამოეხმაურა ა. ლინკოლნის გარდაცვალებას და თბილი სიტყვები არ დაიშურა. (22. 11). ლინკოლნისადმი ქართული საზოგადოების კეთილგანწყობილება ჩრდილოეთის შტატებისადმი სიმპათიების კულმინაციად მიგვაჩინა.

აღნიშნული პრობლემით დაინტერესების საქმეში ახალი ფურცელი გადაიშალა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სუვერენულ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს არ იყო პატარა საქმე. სამწუხაროდ, მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. 1861-1865 წლებში ამერიკის სამოქალაქო ომის ისტორიით დაინტერესება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს და უმთავრესად ასახვა ჰპოვა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც ჰაერივით ესაჭიროებოდა დამოუკიდებელ რესპუბლიკას. ამის გარეშე სკოლაში ახალი ისტორიის სწავლება გაჭირდებოდა.

ამ სახელმძღვანელოების განხილვა უნდა დავიწყოთ კონცეპ-ციიდან. 1861-1865 წლების ამერიკის სამოქალაქო ომის ისტორიის განხილვის დროს ისინი უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყვნენ ორიენტირებული, რაც ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი იყო. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნებოდა მათი სიმპათიები ჩრდილოეთის შტატების მიმართ და გაცილებით თავშეკავებული დამოკიდებულება სამხრეთელებისადმი.

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორების წინაშე მეტად მოკრძალებული ამოცანა იდგა. ქართველ მკითხველს მოკლედ, მარტივად მოუთხრონ 1861-1865 წლების სამოქალაქო ომზე

ამერიკაში. ეს პრიმიტიული ინფორმაცია ქართველ მკითხველს, პირველ რიგში კი, მოსწავლეებს აღნიშნულ თემაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. მთავარი, ვფიქრობთ, სწორედ ეს იყო. უნდა ითქვას, რომ ამ მისიას მათ კარგად გაართვეს თავი. ეს მათი წარმატება იყო.

აღნიშნული საკითხის განხილვის დროს საუკეთესოდ და უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელო მიგვაჩნია. აქ ეს თემა განხილულია კომპაქტურად და შედარებით უფრო ვრცლად. ისინი ყურადღებას ამახვილებენ სამ საკითხზე: ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის გამომწვევი მიზეზები, სამოქალაქო ომის პირველი ეტაპი და ჩრდილოეთის წარუმატებლობის მიზეზები, სამოქალაქო ომის მეორე პერიოდი. გარდატეხა მოის მსვლელობაში. ამ თემების წინ წამოწევა სავსებით კანონზომიერი იყო და მოსწავლეებს აღნიშნულ პრობლემაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა.

სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, ფაქტების გროვას. ეს საინტერესო არ იქნებოდა. მას გააჩნია ანალიტიკური მუხტი და ყურადღება ექცევა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ეს მსჯელობა ამ საკითხის შეფასების მცდელობად გვევლინება, რომელსაც გააჩნია ისტორიოგრაფიული დატვირთვა. ძალიან კარგია, რომ სახელმძღვანელო გადატვირთული არ გახლავთ ფაქტობრივი მასალით. ეს გაუძნელებს მოსწავლეს მის აღქმას, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი სხვა უკიდურესობაში ვარდებიან. ასახელებენ ისტორიულ მოვლენებს და ფაქტებს, მაგრამ მათ თარიღს არ უთითებენ. ეს კი სასკოლო სახელმძღვანელოში მიუღებელი უნდა იყოს და მეთოდური თვალსაზრისით გამართლებული არ ჩანს. ამგვარი მიდგომა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და რუსი ისტორიკოსის პროფ. პავლე ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია. ემპირიული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე აპელირება, ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარ ღირსებად გვევლინება.

სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური ისტორიის თხრობას. ეს ძალიან კარგია, ხოლო ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირების სოციალური და ეკონომიკური ასპექტები შედარებით უფრო სუსტად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული. სამოქალაქო დაპირისპირებაში სოციალური ასპექტებისადმი გულგრილი დამოკიდებულების კულმინაციად ჰომსტეტების კანონისადმი დამოკიდებულება მიგვაჩინა. ისინი მას დუმილით უვლიან გვერდს. (23. 211-214).

სხვა სახელმძღვანელოებში აღნიშნული პრობლემის განხილვამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და დამაჯერებლად არ მიგვაჩინა. დავიწყოთ სიმონ ავალიანის „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“. ამ თემას სახელმძღვანელოში ის საგანგებოდ არ განიხილავს და შეეხება მონაკვეთში „ამერიკა XIX საუკუნეში“. (24. 88-92). რამდენად არის ამგვარი მიდგომა საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი? სამოქალაქო ომის ისტორიას ერთი გვერდი აქვს დათმობილი, რაც, რა თქმა უნდა, ცოტაა და ფაქტობრივად, ამ პრობლემის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩინა. (19. 91).

ლაკონურად არის გადმოცემული ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირება თეიმურაზ ჭუმბურიძის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში. აქ აქცენტი კეთდება პოლიტიკური ისტორიის თხრობაზე, ხოლო ჰომსტედების კანონზე დუმს და მონაზანგების გათავისუფლებაზე საუბრობს, ისე სასხვათაშორისოდ და გაკვრით მოიხსენიებს. (25. 198-199).

ალკე უნდა გამოვყოთ პროფ. ალექსანდრე წერეთელის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიისადმი გულგრილი დამოკიდებულება ამ სახელმძღვანელოს აქილევსის ქუსლად მიგვაჩინა. ის მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განიხილავს და იმასაც ინგლისის ისტორიაში შეეხება და ცალკე არ გამოყოფს. (26. 55-57). ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის 1861-1865 წლებში სამოქალაქო ომზე სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი. ფაქტო-

ბრივად, საქმე გვაქვს ამ პრობლემის სრულ იგნორირებასთან. ეს კი მიუღებელია.

დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიას პირველმა ეროვნულმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაენია საქართველოში ამერიკის სამოქალაქო ომის სწავლება და პოპულარიზაცია. აღნიშნული პრობლემის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, რაც ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის შედეგი იყო. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიას ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და სავსებით შესატყვისებოდა იმუამინდელი ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს. მას გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარები. ამ პრობლემისადმი რბილად რომ ვთქვათ, გულგრილი დამოკიდებულება ზოგიერთი სახელმძღვანელოს აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომისადმი დაინტერესებამ აშკარად იკლო. ამ საკითხის შესახებ ძალიან ცოტა იწერება და მისი პოპულარიზაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზულად მოიკოჭლებდა. რით იყო გამოწვეული მათი ასეთი პასიურობა? ამას გააჩნდა თავისი ახსნა. ქართველი ისტორიკოსების ასეთი ინერტულობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩეული ედო საფუძვლად. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე, რომელმაც ხელი შეუშალა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. თავდაპირველად დავძენთ, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიკაცია. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. მნიშვნელოვანნილად

სწორედ ამით აიხსნებოდა, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ვერ მოხერხდა ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოს დაწერა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ პერიოდს 1870 წლამდე, სადაც, ბუნებრივია, ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის გაშუქებას სათანადო ყურადღება დაეთმობოდა. საქართველო არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა და რუსული ლიტერატურა ადვილად ხელმისაწვდომი იყო. მშობლიურ ენაზე ლიტერატურის დეფიციტი ისე მწვავედ არ იგრძნობოდა. უსათუოდ, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. დიდი ხნის განმავლობაში არ გვყავდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ქართველი სპეციალისტი და ამ ვაკუუმს ახალი ისტორიის სპეციალისტები ავსებდნენ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ თემაზე მათ არაფერი დაუწერიათ. ასე აღმოვჩნდით ამ სიცარიელის წინაშე.

მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის გაშუქებამ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. მიუხედავად ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლისა, ალბათ, შეიძლებოდა უფრო მეტის გაკეთება. აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციამ უმთავრესად ასახვა პპოვა სასკოლო სახელმძღვანელოებში და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში.

თუ როგორ ცალმხრივად მიმდინარეობდა ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის ისტორიის სწავლება საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში ეს ძალიან კარგად ჩანს საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებიდან და უმაღლესი სკოლის პროგრამებიდან. (27). დღეს ასე სწავლება უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს.

ქართული ისტორიოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა საბჭოთა მარქსისტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ და მის წინააღმდეგ ხმის ამოღების არანაირი საშუალება არ გააჩნდა. 90-იანი წლების დასაწყისში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, საბჭოთა კავშირი დაიშალა. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას წერტილი დაესვა. გაჩნდა არჩევანის საშუალება. ქართულმა ისტორიოგრაფიამ შევებით ამოისუნთქადა ნელ-ნელა შეუდგა ფუნქციონირებას.

უნინარესად საჭირო იყო ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის ისტორიის მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან გათავისუფლება. ალნიშნული პრობლემის პოპულარიზაციამ უმთავრესად ასახვა ჰქონდა საშუალო სკოლის და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩნია. აქ დაძლეულია საკითხისადმი კლასობრივი პოზიციებიდან და ფორმაციული პრინციპით მიღება. ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი საბჭოთა სახელმძღვანელოების შემდეგ. ახალ ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოში ძალზე ლაკონურად, საინტერესოდ, შინაარსიანადა მოთხოვთ აშშ-ს ისტორიის ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე. ხაზგასმულია ჩრდილოელთა წარმატების საქმეში პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის წვლილი. (28. 158-160).

ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის გაშუქებას, ბუნებრივია, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. ვაჟა თვალავაძის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც ეს თემა, შეძლებისდაგვარად ვრცლად, დაწვრილებითაა, განხილული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამ პრობლემაზე პატარა ისტორიული ნარკვევის შექმნის მცდელობასთან. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. აქ საუბარია ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირების გამომწვევი მიზეზებზე. მოცემულია საკითხის პერიოდიზაცია. ხაზგასმულია

პირველ პერიოდში სამხრეთელთა წარმატება და მისი გამომწვევი მიზეზები. საუბარია ომის მსვლელობაში მომხდარ შემობრუნებაზე და ახსნილია მისი გამომწვევი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოტივები. ყურადღებაა გამახვილებული სამოქალაქო ომში ჩრდილოეთის წარმატების გამომწვევ ფაქტორებზე. ხაზგასმულია მისი ისტორიული მნიშვნელობა. „სამოქალაქო ომს აშშ-ში მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა. ჩრდილოეთის გამარჯვებამ აშშ-ს შეუნარჩუნა ეროვნული ერთიანობა. პოლიტიკური ძალაუფლება ქვეყანაში დაიმკვიდრა სამრეწველო ბურჟუაზიამ. პლანტატორებმა დაკარგეს პოლიტიკური ბატონობა სახელმწიფოში. რეკონსტრუქციის პერიოდში მათი პოლიტიკური პოზიციები დასუსტდა სამხრეთ შტატებშიც. სამოქალაქო ომის მთავარი სოციალური მონაპოვარი იყო მონობის გაუქმება და კანონი ჰომსტედების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა დასავლეთის მიწების საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადაწყვეტას. სამოქალაქო ომის შედეგად ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა ფერმერულმა მეურნეობამ. ომშა გზა გაუსხნა მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ განვითარებას“. (18. 262). ვფიქრობთ, სასურველი იყო უფრო მეტი თქმულიყო სამოქალაქო ომის ისტორიულ მნიშვნელობაზე – მას სულ ნახევარი გვერდი აქვს დათმობილი. ეს კი, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. ძველი ინერციით კვლავ გვხვდება ტერმინი „ბურჟუაზიული დემოკრატია“ – „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია“. (18. 268).

ამერიკაში 1861-1865 წლების სამოქალაქო ომი განხილულია ისტორიკოს დავით ლომსაძის სახელმძღვანელოში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“. აქ ძალიან მოკლედ, სადად არის მოთხოვნილი ამ მოვლენის ისტორია. მას წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ ყოვლისა კი სტუდენტებს, ამ პრობლემაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნის. ამიტომ ის ამართლებს თავის დანიშნულებას. მან თავისი წვლილი შეიტანა ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. (19. 56-60). ფაქტობრივად, არაფერია ნათქვამი სამოქალაქო ომში

ჩრდილოეთის გამარჯვების ისტორიულ მნიშვნელობაზე, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია.

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება კახი ქენქაძის წიგნი „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა (1750-1933)“. ის სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს. აქ, ბუნებრივია, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის ისტორიის გაშუქებას და ეს თემა ვინრო სპეციფიკურ ჭრილში, საგარეო პოლიტიკის რაკურსშია წარმოდგენილი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით საკითხის გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ალბათ, სასურველი იქნებოდა საკითხის დიპლომატიურ მხარეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა. (2).

აღნიშნულ თემაზე მკითხველი საინტერესო ინფორმაციას იპოვის „ამერიკის ისტორიის ესკიზებში“ (1). ამას წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობის გარდა მეთოდოლოგიური დანიშნულება გააჩნია და დაგვეხმარება, რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდეთ სწორ გზას.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი გამორჩეული პრეზიდენტის აბრამ ლინკოლნის შესახებ (1809-1865) ქართულ ენაზე თითქმის არაფერია დაწერილი. ეს ქართული ისტორიოგრაფიის მინუსია. ამ ხარვეზს, ვფიქრობთ, ნაწილობრივ ავსებს კარლ სენდბერგის დიდტანიანი წიგნი „ლინკოლნი“, რომელიც გამოვიდა სერიით „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება“ და 1966 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე. ეს წიგნი სამეცნიერო ხასიათს არ ატარებს, უფრო ბელეტრისტიკის სფეროს განეკუთვნება და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. (29).

მაშ ასე, ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლების დაგვარად წინ წაეწია 1861-1865 წლების ჩრდილოეთსა და სამხრეთ შორის სამოქალაქო ომის სწავლება და პოპულარიზაცია. ეს მნირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, საინტე-

რესოა. მას, პირველ ყოვლისა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, აღნიშნულ საკითხზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა.

* * *

ახლა შევეხებით მესამე საინტერესო თემას. XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს არის ისტორიული მონაკვეთი სამოქალაქო ომის დამთავრებიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე – 1865-1914 წლები, რასაც, საბჭოთა ისტორიოგრაფია, რატომდაც, ახალი ისტორიის მეორე პერიოდს უწოდებდა. ასეთი დაყოფა ახალი ისტორიის პირველი პერიოდი, მეორე პერიოდი მეტად ხელოვნურია და დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თვალი გადავავლოთ, თუ რა გაკეთდა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ამ მონაკვეთის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ვერ ვიტყვით, თითქოსდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივ არაფერი კეთდება. რაღაც პოზიტიური ძვრები შეინიშნება, მაგრამ ეს, ცხადია, ძალიან ცოტაა და გასაკეთებელი გაცილებით მეტია.

აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ქართულ ენაზე არსებული მწირი ლიტერატურა პირობით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ყოვლისა, ამ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაზე საინტერესო ინფორმაციას მოვიძიებთ XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური და ამ კუთხით ის ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი. გარდა ამისა, ყურადღებას იპყ-

რობს ის საერთო ლიტერატურა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიას ეხება. აქ, ბუნებრივია, აშშ-ს ისტორიას XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში სა-თანადო ადგილი აქვს დათმობილი. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ ეპოქის ამერიკის ისტორიამ უმთავრესად ასახ-ვა ჰქოვა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოებში.

XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ქა-რთული პერიოდული პრესის ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მიმდინარე პროცესები და მოვლენები. ეს არცაა გასაკვირი და მნიშვნელოვანნილად მათი თანადროულო-ბით, აქტუალურობით გახლდათ განპირობებული. ეს ინფორმაცია საყურადღებოა და მას, უნინარესად, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია. იმ პერიოდის ქართული საზოგადოება საქმის კურსში იყო, თუ რა ხდებოდა მსოფლიოში და მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამაში „ლომის ნილი“, სწორედ, ქართულ პრესას მიუძღ-ვის. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ეს არ იყო მოვლენ-ების უბრალო თხრობა, ემპირია. ხშირად ის შეფასებით მუხტის შეი-ცავდა და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნდა. მისი მნიშვ-ნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამ კუთხით ეს თემა დღემდე ნაკლებადაა დამუშავებული და ელის თავის მკვლევარს. მას, ალბათ, ერთი საინტერესო გამოკვლევა შეიძლება მიეძღვნას.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს პროფ. ვაჟა თვალავაძის ნაშრომი „აშშ-ს ისტორიის საკითხები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში“. ეს ამ პრობლემის შესწავლის პირველი მცდელობაა და პოპულარულ კი არა, კვლევით ხასიათს ატარებს. ეს მისი მთავარი პლუსია.

ბუნებრივია, წამინიჭრება საკითხი, საიდან იღებდა ინფორ-მაციას ქართული პერიოდული პრესა? „ევროპის ქვეყნებში (სა-ფრანგეთი, გერმანია...) ქართული პერიოდიკის ზოგიერთ ორგა-ნოს საკუთარი კორესპონდენტებიც კი ჰყავდა, აშშ-ს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას კი ისინი ეყრდნობოდნენ სხვადასხვა

საინფორმაციო სააგენტოების და უცხოური პრესის მასალებს („ასოშეიტედ პრესი“, „რეიტერი“, „ნიუ-იორკ ჰერალდი“, „დეილი მეილი“, „მორნინგ სტარი“, „ტაიმსი“, „ჩიკაგო ჰერალდი“, „პეტერ-ბურგის დეპეშათა სააგენტო“, „რუსეთის დეპეშათა სააგენტო“ და სხვა). (20. 133).

„აშშ-ში მიმდინარე მოვლენების, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიღებას დიდად შეუწყო ხელი 1870 წელს ვ. სამენსის მიერ იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახმელეთო ტელეგრაფის ხაზის გაყვანამ. მას ინდო-ევროპის ტელეგრაფი უწოდეს. ამ ხაზს დასაშუალების ლონდონში ჰქონდა, გადადიოდა ბერლინზე, ვარშავაზე, ოდესაზე, ქერჩზე, ქერჩის სრუტის გავლით კრასნოდარს აღწევდა, შემდეგ შავი ზღვისკენ უხვევდა, სოხუმზე, ქუთაისზე და თბილისზე გავლით ინდოეთი-საკენ მიერთებოდა. (20. 133).

ქართული პრესა ევროპის ისტორიისგან განსხვავებით აშშ-ს ისტორიაში უმთავრესად ყურადღებას ამახვილებდა აშშ-ს ისტორიაში მეცნიერების და ტექნიკის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს ორი გარემოება: ჯერ იყო და თბილისში 1880 წელს პირველად გაიხსნა ამერიკული ფირმა „კომპანია ზინგერის“ საკერავი მანქანების სპეციალიზირებული მაღაზია. ხოლო ათი წლის შემდეგ 1890 წელს „საბანკო თეატრის“ შენობაში (ახლა ამ ადგილზე უნივერმაღლი თბილისი მდებარეობს). გამოჩენილი ამერიკელი გამომგონებლის ტომას ედისონის ფონოგრაფიის პირველი საჯარო სეანსი“. (20. 134).

საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული გაზ. „ამირანში“ აშშ-ში ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების შესახებ – „ერთგვარი წარმოდგენა აქვთ ამერიკაზე, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში, – ნერს გაზეთი და შემდეგ განაგრძობს: თუ ტექნიკაზე და მრეწველობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამერიკას გადაჭარბებულ პირველობას აკუთვნებენ, ხოლო როდესაც მეცნიერებას, პირველ რიგში კი, ჰუმანიტარულ მეცნიერებას ეხებიან ევროპელი ჰუბლი-ცისტები ღიმილით დაიქნევენ ხოლმე თავს და მალულის კმაყო-

ფილებით შენიშნავენ, რომ ამერიკას ამ მხრივ ბევრი აკლია და ფეხს ჯერ ვერ წამოჰყოფს მოხუცი ევროპის წინაშე, მაგრამ ეს არც თუ ისე დამტკიცებული ჭეშმარიტებაა.

მართალია, ევროპის მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ხოლო ამერიკა აქამდის გართული იყო მატერიალური კულტურის აღორძინებით, ამიტომ დიდი ხანი არ არის, რაც წმინდა ცოდნის განვითარებას შეუდგა, მაგრამ მაინც საკმაოდ წინ წავიდა. სულ 20-30 წელიწადია, რაც ამ მხრივ ამერიკაში დიდი ცვლილებები მოხდა. ახლა ამერიკის მეცნიერებასაც ჰყავს არც თუ ისე უამრავი გამოჩენილი ადამიანი. რაც შეეხება სამეცნიერო საშუალებებს და სახსრებს, სამეცნიერო კვლევათა მოსახლენად და ამ ცოდნის ხალხში გასატანად, ამერიკა არა თუ არ ჩამოუვარდება ევროპას, არა თუ ჭკუის სწავლა არ დასჭირდება ევროპისაგან, არამედ ევროპასაც შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ამერიკისაგან“. (20. 134). სავსებით სწორი მიდგომაა.

საქართველოში, XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის სწავლებისა და პოპულარიზაციის, პირველ სერიოზულ მცდელობად, რომელსაც საგულდაგულოდ უვლიდა გვერდს ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმი, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელობი შეიძლება მივიჩნიოთ. ფაქტობრივად, ეს გაძლავთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის თხრობის პირველი მცდელობა. სახელმძღვანელოს ავტორები გაკვრით, ძალიან მოკლედ მიმოიხილავენ ამ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას. მთავარ აქცენტს აკეთებენ დიდმნიშვნელოვან მოვლენებზე. თუ აქ შეინიშნება საგარეო პოლიტიკის პრიმატობა, საშინაოზე. ეს, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანი იმით შეიძლება აიხსნებოდა, რომ სახელმძღვანელოების ავტორები საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაშუქების ოპტიმალური

ვარიანტის მოძიების პროცესში იყვნენ. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა 1898 წელს ამერიკას და ესპანეთს შორის ომს. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ფაქტობრივად, აქ მთავრდება ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია XIX საუკუნეში და იწყება XX საუკუნის ისტორია.

სახელმძღვანელოებში XX საუკუნის დასაწყისის აშშ-ს ისტორია შედარებით მკრთალად, სუსტადაა, წარმოჩენილი, რაც, მნიშვნელოვანწილად, ალბათ, იმით აიხსნება, რომ იმ პერიოდის გადასახედიდან ეს ფაქტობრივად უახლოესი ისტორია იყო. ეს არის სავსებით სწორი ხედვა. [23. 24. 25. 26].

როგორც ირკვევა, აღნიშნული საკითხის სწავლების და პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი დაიდო სევერენული საქართველოს რესპუბლიკამ 1918-21 წლებში. ფაქტობრივად, ეს იყო საქართველოში ამ საკითხით დაინტერესების მეორე პერიოდი, რომელიც ტოტალიტალურ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით ამოღებული იქნა ამ თემატიკით დაინტერესების ისტორიიდან, გაქრა, გაუჩინარდა. ეს შეუსაბამობა ვცადეთ გაგვესწორებინა.

საინტერესოდ მიგვაჩინია მოსაზრება, რომ 1861-1865 წლებში სამოქალაქო ომის დროს აშშ-ს სამხრეთის მონათმფლობელური შტატებიდან ევროპაში ბამბის შემოტანის შეწყვეტამ ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოში მებამბეობის განვითარებას, ხოლო 1898 წელს ესპანეთ-ამერიკას შორის ომის დაწყებამ გამოიწვია საქართველოში სიმინდის ფასების გაზრდა. (20. 134).

„ქართულ პერიოდულ პრესაში გაშუქებულია ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომი, რეკონსტრუქცია, ესპანეთ-ამერიკის 1898 წლის ომი, იხეტუანელთა აჯანყება. ის ხაზს უსვამს ამ საკითხებზე ქართული საზოგადოებრივი აზრის დადებით მხარეს, მაგრამ არც მის სუსტ წერტილებს ივიწყებს და ცდილობს შეძლებისდაგვარად ახსნას მათი გამომწვევი მიზეზები“. (20. 134-135). ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა.

დასასრულს კი ავტორი დასძენს „ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი საკითხების გარდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდიკაში გაშუქებულია აშშ-ს ისტორიის სხვა აქტუალური პრობლემებიც, რომელთა შესწავლას აქვს არა მარტო შემეცნებითი, არამედ მეცნიერული ღირებულება“ (20. 137). ამიტომ ამ მიმართულებითაც კვლევის შემდგომი გაგრძელება მიზანშენილი იქნებოდა.

საინტერესო ევოლუცია განიცადა აღნიშნული პრობლემის სწავლებამ საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში. თავდაპირველად, თავი იჩინა აღნიშნული პრობლემისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, რაც შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვან-ნილად იმით აიხსნება, რომ სკოლაში ისტორია მეტად მცირე დოზით ისწავლებოდა და ის ჩაანაცვლა საზოგადოებათმცოდნეობამ, რომელიც წარმოადგენდა ისტორიის, ფილოსოფიის და პოლიტიკური ეკონომიის ნაჯვარს. ეს ექსპერიმენტი სრული ფიასკოთი დასრულდა და სულ მალე მასზე უარი თქვეს. (30. 263-266).

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან კვლავ აღსდგა ისტორიის სწავლება, მაგრამ მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნული სახელმძღვანელოები არავის ჭირდებოდა. მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. აღნიშნული საკითხი უმთავრესად ისწავლებოდა პროფ. ვ. ხვოსტოვის რედაქციით დაწერილი სახელმძღვანელოს მიხედვით. ეს იყო საბჭოთა მარქსისტული პოზიციებიდან დაწერილი მცირე მოცულობის ისტორიული ნარკვევი. (31. 129-149). აქცენტების დასმა, რომელიც გვხვდება ამ საკითხის გაშუქების დროს საბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოებში, ცხადია, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის განხილვის დროს საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია ამუქებდა საქმის ვითარებას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ გულგრილად ეკიდებოდა აშშ-ს მიღწევებს

და აზვიადებდა მის წინაშე მდგარ პრობლემებს. განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე. (31-141-149). „სხვის თვალში ბეწვს ექებდა და საკუთარში კი დირეს ვერ ამჩნევდა“.

თანამედროვე ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აღნიშნული პრობლემის განხილვა გათავისუფლებულია მარქ-სიზმის გავლენისაგან. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. აქ დიდი ყურადღება ეთმობა ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომს და ესპანეთ-ამერიკის 1898 წლის ომს. აშშ-ს საშინაო პოლიტიკა განხილულია ძალზე მოკლედ, ლაკონურად, ხოლო XX საუკუნის დასაწყისის აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი. (17. 156-158).

განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ არ ჩანს პროფესიონალი ამერიკანისტის ხელი, კვლავ არ გვყავს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ქართველი სპეციალისტი და ამ ვაკუუმს უმთავრესად ახალი ისტორიის სპეციალისტები ავსებენ. ახლა მათ გვერდში ამოუდგნენ პოლიტოლოგები და იურისტები.

უნინარესად შევეხებით ორ წიგნს, რომელიც ერთსა და იმავე თემას შეეხება და თითქმის იდენტური შინაარსისაა. 1999 წელს ბათუმში გამოვიდა ისტორიკოს შოთა ჯაფარიძის წიგნი „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები“. ცოტა ხნის შემდეგ 2007 წელს ახალგაზრდა იურისტებმა ვახტანგ უვანიამ და ნიკოლოზ დარჩაშვილმა უკვე თბილისში გამოსცეს ზუსტად ამავე სახელწოდების წიგნი „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები“. ამ ორ წიგნს შორის მსგავსება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა მათი ერთად განხილვა. თავდაპირველად გადმოგცემთ ამ ორი წიგნის შინაარსს, ხოლო შემდეგ მოკლედ განვიხილავთ მათ.

წიგნები არ წარმოადგენენ მეცნიერულ გამოკვლევას. ორივე სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ამ საკითხის პოპულარიზაციას. მათ შემეცნებითი მნიშვნელობა

გააჩნია. ქართულ ენაზე აღნიშნულ საკითხზე მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება და ამ ხარვეზის შევსების ნებისმიერი მცდელობა პოზიტიურად მიგვაჩნია. ამ ორი წიგნის მნიშვნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

დავიწყოთ შოთა ჯაფარიძის წიგნით, რომელიც 1999 წელს გამოვიდა. ის სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი ანუ ისტორიული ფონი. ძირითადი ნაწილი – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები და დამატება. პირველ ნაწილში საუბარია შემდეგ თემებზე: დამოუკიდებლობის დეკლარაცია, აშშ-ს კონსტიტუციის მომზადება და მიღება, კონსტიტუციის დანიშნულების მომზადების და მიღების ისტორიული ექსპურსი, სახელმწიფოს მმართველობის პრეზიდენტული ფორმა. (32. 5-49). მეორე მონაკვეთი წარმოადგენს წიგნის გულს და შეეხება მთავარ თემას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების ცხოვრებას და მოღვაწეობას. (32. 49-357). მესამე ნაწილს ერთგვარი დამატების ფუნქცია გააჩნია და შეეხება შემდეგ თემებს: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ვალები, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, კონგრესი, 1776 წლის 4 ივლისი, ამერიკის ცამეტი შეერთებული შტატის ერთსულოვანი დეკლარაცია, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორებანი და დამატებანი. (32. 357-393).

ახლა გადავიდეთ ვახტანგ უვანიას და ნიკოლოზ დარჩაშვილის წიგნზე. იგი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: პირველი ნაწილი წარმოადგენს შესავალს, ისტორიულ ფონს, სადაც საუბარია პრეზიდენტობის ინსტიტუტის სამართლებრივ ასპექტებზე: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სიმბოლოები, ამერიკის შეერთებული შტატების ძეგლები და მემორიალები, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა: პრეზიდენტის ძალმოსილება, კონგრესის ძალმოსილება, სასამართლოს ძალმოსილება, თვითმმართველობის ძალმოსილება. (33-3-64). მეორე ნაწილი წარმოადგენს წიგნის ყველაზე უფრო საინტერესო და წონად მონაკვეთს და კონკრეტულად ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების

პრეზიდენტების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. (33. 64-197). მესა-მე ნანილში ლაპარაკია აშშ-ს პრეზიდენტების უფლებამოსილებაზე: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების არჩევნების შედეგები, პერსონალური ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებზე, საპრეზიდენტო ფაქტები, დაავადებანი, რომელიც აწუხებდათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზი-დენტებს, საინტერესო ფაქტები. (33. 197-217). წიგნის მეოთხე ნაწილი სულ მთლიანად აქვს დათმობილი ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას. აქ ისინი განიხილავენ ორ თემას: ამერ-იკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის დამატებებსა და შეს-წორებებს. (33. 216-255). საინტერესოდ მიგვაჩნია წიგნის ის მონ-აკვეთი, სადაც საუბარია იმ დაავადებებზე, რომელიც აწუხებდათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს.

წინამორბედების წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულე-ბა ორივე წიგნის მთავარ მიხუსად მიგვაჩნია. არც ერთ წიგნში მოხსენიებული არაა არც ქრესტიონოთია ახალ ისტორიაში და არც პროფ. მინდია უგრეხელიძის ორი თარგმანი „აშშ-ს დამოუკიდე-ბლობის დეკლარაცია“ და „აშშ-ს კონსტიტუცია – კომპრომისის ხელოვნება“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი არ უნდა იყვნენ გაც-ნობილი ამ შრომებს და ქართული საზოგადოება ნებსით თუ უნ-ებლიერ შეცდომაში შეყავთ და ცდილობენ ისეთი წარმოდგენა შეუქმნან, თითქოსდა ამ მიმართულებით ქართულ ენაზე არაფერი არ იყო გაკეთებული და ისინი პირველები იყვნენ. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ვახტანგ უვანია და ნიკოლოზ დარჩაშვილი კრინტს არ ძრავენ და დუმილით უვლიან გვერდს შოთა ჯაფარიძის ამავე სახელწოდების წიგნს.

ამ წიგნების არქიტექტონიკის, სტრუქტურის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ის ძალიან გადატვირთულია სხვა საკითხებით და კონკრეტულობა აკლია. საქმე გვაქვს წიგ-

ნების ხელოვნურად გაზრდის მცდელობასთან, რაც, ცხადია, მიუღებელია. ორივე წიგნის ყურადღების ცენტრში დგას საკმაოდ სერიოზული თემა, რომელზეც ინფორმაციით ქართველი მკითხველი არასოდეს ყოფილა განებივრებული და მისი სხვა თემებით გადატვირთვა, ჩვენი შეხედულებით, ზედმეტი შეიძლება იყოს. ისტორიული ფონისადმი მეტისმეტი ყურადღება დამაჯერებელი არ უნდა იყოს და ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია, რაც წინამორბედების წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოძახილია. საქმე ისაა, რომ ეს საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა დამუშავებული. შეუსაბამობა წიგნების სათაურსა და შინაარსს შორის სხვა საკითხებით გატაცების ლოგიკურ შედეგად გვევლინება. საკითხისადმი კონკრეტული დამოკიდებულება საშუალებას მოგვცემდა გაცილებით უფრო ვრცლად და სიღრმისეულად განგვეხილა მთავარი პრობლემა – აშშ-ს პრეზიდენტების ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს ორივე ნაშრომს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა და საინტერესო იქნებოდა.

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის საგარეო პოლიტიკა არის გაშუქებული კაზი ქენქაძის წიგნში „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა 1750-1933 წლებში“. (2).

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაზე ძალიან ცოტა ინერებოდა. ამ ხარვეზს, ვფიქრობთ, ნაწილობრივ ავსებს ახალი ისტორიის მეორე პერიოდის სახელმძღვანელო, რომელიც ქრონილოგიურად მოიცავს 1870-1918 წლებს. (34). სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის ავტორია ცნობილი ქართული ისტორიკოსი პროფ. გივი კილურაძე. საკითხისადმი მიდგომამ მეცნიერული ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ეს სახელმძღვანელო იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ის ქართულ საზოგადოებას, პირველ

რიგში კი სტუდენტებს, ამერიკის ისტორიის ამ ეპოქაზე საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა. ის ამართლებს თავის დანიშნულებას.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ სახელმძღვანელოს აშშ-ის ახალი ისტორიის ამ მონაკვეთის 1870-1918 წლების ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში „ლომის ნილი“ მიუძღვის. ამიტომ მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

1990 წელს ნინო ნამორაძის რედაქციით გამოვიდა ამ სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვარიანტი. ეს აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად გვევლინება. (35).

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პროფ. ნიკოლოზ (ვახტანგ) ნანიტაშვილმა. ის უახლესი ისტორიის სპეციალისტი იყო და, ძირითადად ამ ეპოქის ისტორიის აქტუალურ პრობლემებს იკვლევდა. მას დაწერილი აქვს არაერთი საინტერესო ნაშრომი, მათ შორის უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები. ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს. მასში თავმოყრილ საინტერესო ფაქტობრივ მასალას მინიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. წმინდა კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ეს სახელმძღვანელოები დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეტყობა, მან ჩაიფიქრა ამ სახელმძღვანელოების გადახალისება. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. მისი წიგნი „ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია – XX საუკუნე“ ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა მან ვერ მოასწორო.

როგორც ხედავთ, მისი ეს ნაშრომი შეეხება XX საუკუნის და-საწყისს და მოიცავს ახალი ისტორიის ბოლო მონაკვეთს აშშ 1898-

1918 წლებში. ამიტომ მიზანშენონილად მივიჩნიეთ ჩვენს წიგნში ამ ნამრომის ჩართვა.

პროფ. ნ. ნანიტაშვილის ნაშრომი „ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია – XX საუკუნე“ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს და მისი მთავარი პლუსი, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს წიგნი ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან გათავისუფლების პირველ მცდელობად გვევლინება და აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ.

საკითხისადმი რეალისტური, პრაგმატული დამოკიდებულება წიგნის კიდევ ერთ ღირსებად გვევლინება. იგი, რა თქმა უნდა, არ ისახავს მიზნად XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის მეცნიერულ კვლევას. ამის გაკეთება ჩვენს პირობებში, როდესაც საზღვარგარეთის არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ მასალაზე ხელი ადვილად არ მიგვიწვდება, ძალიან ძნელი იქნებოდა. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა დგას, რომელსაც წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია. მან თავისი წვლილი შეიტანოს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის სწავლებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან შეიძლება ითქვას, ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს. ამ წიგნის მნიშვნელობა მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობს და წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისაგან შედგება. თავდაპირველად განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკა, ხოლო შემდეგ კი საუბარია აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე. ცხადია, ამ კუთხით განიხილება აშშ-ს ისტორია XX საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ 1900-1918 წლებში. ჯერ გაშუქებულია აშშ-ს საშინაო პოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისში. იგი ორი

მონაცევითისაგან შედგება: აშშ-ს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. (36. 7-12) და ორპარტიული სისტემის დამკვიდრება აშშ-ში. (36. 12-19). მეორე ნაწილის ყურადღების ცენტრში დგას აშშ-ს საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისში. (36. 191-194).

ამგვარ მიდგომას გააჩნია მოქალაქეობის უფლება, მაგრამ, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა მასალის უფრო კომპაქტურად დალაგება და გადმოცემა. ამას აქვს შემეცნებითი მნიშვნელობა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი სტუდენტებს, ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომნურავ, ნარმოდგენას შეუქმნიდა. ეს ერთი პრობლემაა, რომელსაც გააჩნია ორი მხარე. საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და მათი დანაწევრება წმინდა მეთოდური თვალსაზრისით გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ამ საკითხის მთლიანობა დარღვეულია, რაც მიუღებლად მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, გამართლებული არ უნდა იყოს. ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი ნაკლი, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

პერიოდიზაციის საკითხზე არსებულ ნოვაციებზე საუბარი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ჩვენი აზრით, მთლიანად დამაჯერებლად როდი გვეჩვენება. (37. 338). პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აქ საუბარია არა უახლესი ისტორიის პერიოდიზაციაზე, არამედ XX საუკუნის ისტორიის პერიოდიზაციაზე. მან მოგვცა XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პერიოდიზაცია. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. ასე მაგალითად, XX საუკუნის აშშ-ს ისტორიის თხრობა სასურველია დავიწყოთ არა 1900 წლიდან, როგორც ეს წიგნია, არამედ ცოტათი უფრო ადრე 1898 წლიდან ამერიკა-ესპანეთის ომიდან. ეს აშშ-ს ახალი ისტორიის ამ მონაცევის შიგნით მნიშვნელოვანი ტეხილი იყო. ამ ეპოქის ისტორიის თხრობა შეიძლება დაგვესრულებინა არა პირველი მსოფლიო

ომის დამთავრებით 1918 წელს, არამედ გაცილებით უფრო ადრე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებით – 1914 წელს. კონკრეტულად, კი 1917 წელს აშშ-ს ჩაბმით პირველ მსოფლიო ომში. აქ დავა პრინ-ციპულ ხასიათს არ ატარებს და მხოლოდ დეტალებს შეეხება.

პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისათვის გვერდის ავლა აღნიშნულ თემაზე მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

პროფ. ალბერტ მენთეშაშვილი თავის საინტერესო წიგნში „მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები“, ბუნებრივია, შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების პოლი-ტიკოსებს და დიპლომატებს. ამ თემაზე ქართულ ენაზე დაწერილი სერიოზული მეცნიერული ნარკვევი დღემდე არ გაგვაჩნდა და ამ ხარვეზის შევსების ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ დადებითად უნდა იქნას აღქმული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი წიგნის დაწერა ძალიან ძნელია. უწინარესად საჭიროა დავიცვათ თანამიმდევრულობა და ავირ-ჩიოთ შეფასების მეცრი კრიტერიუმი. ეს დაგვეხმარება შევი-მუშაოთ საკითხისადმი სწორი მიდგომა.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ნაშრომში ამერიკელი პოლი-ტიკოსების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებამ გარკვეუ-ლი უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. წიგნში საუბარია მხოლოდ სამ მათგანზე: ბენჯამინ ფრანკლინზე (38. 81-86), ჯონ კვინსი ადამსზე (38. 112-118) და ჯონ მილტონ ჰეიიზე (38. 188-192).

რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა და ამერიკელი პოლიტიკოსე-ბის მთელ სპექტრზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში ავტორი, ძნე-ლი სათქმელია. ასეთი ვოლენტარისტული მიდგომა მიუღებლად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, გაცილებით საინტერესო იქნებოდა წიგნში საუბარი ყოფილიყო ჯორჯ ვაშინგტონის, თომას ჯეფერსონის, ჯეიმზ მედისონის, ჯეიმზ მონროს, ენდრიუ ჯექსონის, აბრაამ ლინკოლნის, თეოდორ რუზველტის ცხოვრებასა და მოღვაწეო-

ბაზე. ამ საკითხისათვის გვერდის ავლა ამ თემაზე ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის და ნიგნის ერთ-ერთ მთავარ მინუსად გვევლინება.

პედაგოგიური მეცნიერების კუთხითაა დანახული საკითხი პროფ. ნაირა მამუკელაშვილის საინტერესო ნაშრომში „აშშ-ს ისტორიის შესწავლა საქართველოს საშუალო სკოლებში ახალი ისტორიის კურსში“. აქ კარგადაა ნაჩვენები ის საკვანძო მომენტები, რომელიც გაიარა აშშ-ს ახალი ისტორიის სწავლებამ საქართველოს საშუალო სკოლებში. (30. 263-266).

დასასრულს, ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, შევეხებით ქართველი ეთნოლოგების წვლილს ამერიკელი ხალხის ზე-ჩვეულებების და ყოფა-ცხოვრების პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. უნინარესად უნდა აღვნიშნოთ, პროფ. როლანდ თოფჩიშვილის სახელმძღვანელო „ევროპის და ამერიკის ხალხები“, სადაც ჩვენთვის საინტერესო თემის განხილვას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. ის, რომ ამ დარგში საქართველოში სახელმძღვანელო გაგვაჩნია, თანამედროვე ქართული ეთნოლოგის წარმატებაა. ამ მიმართულებით კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ თემაზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იწერება და ამ ვაკუუმის შევსების ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს. (39).

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ერთ-ერთ აქტუალურ და მწვავე თემას ეძღვნება პროფ. ვახტანგ შამილაძის წიგნი „ეროვნული პოლიტიკის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში“. ეს წიგნი, ძირითადად, უახლეს ისტორიას ეხება და წინა პერიოდს მხოლოდ გაკვრით, როგორც ისტორიულ ფონს, ისე განიხილავს. აქ საუბარია შემდგომ თემებზე: სადწობი ქვაბი, ამერიკანიზაცია, ანგლო-საქსონური რაციონალიზმი, კულტურული პლურალიზმი და ბოლოს, ცხადია, დასკვნა. ამ კუთხით ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში გაშუქებული არ ყოფილა და მისი წინ წამოწევა სავსებით გამართლებული უნდა იყოს. მის მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს. ეს

წიგნი ქართველ მკითხველს დაეხმარება ამერიკის შეერთებულ შტატებში ეროვნულ პოლიტიკაზე საერთო წარმოდგენა შეიქმნას და სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას.

ამ წიგნთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ ორი მოსაზრება, რომელიც არანაირ ჩრდილს არ აყენებს მის მეცნიერულ მნიშვნელობას და არ არღვევს აქ გამოთქმულ ძირითად დებულებებს. იგი მხოლოდ დეტალებს შეეხება. კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე საუბრის დროს სასურველი იქნებოდა პროფ. ალ. ნამორაძის წიგნის „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ მითითება. ამას გააჩნია შემცნებითი დატვირთვა. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს ამ თემაზე ქართულ ენაზე არაფერი არ იყო დაწერილი. სინამდვილეში ეს ასე არაა. მეორე – „ანგლო-საქსონური“ თუ „ანგლო-საქსური“. საკითხი სულაც არაა ისეთი უბრალო, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ერთს გერმანული დატვირთვა გააჩნია, ხოლო მეორეს – ინგლისური. ამიტომ იქნებ უფრო მისაღები იყოს „ანგლო-საქსური“? (40).

ამერიკის შეერთებული შტატების ახალ და უახლეს ისტორიაში ნაყოფიერად იღვწის ახალგაზრდა ნიჭიერი ისტორიკოსი მიხეილ ბარნოვი. მისი მეცნიერული ინტერესების ყურადღების ცენტრში დგას ამერიკის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, რთული და აქტუალური საკითხი ინდიელთა პრობლემა. უნდა ითქვას, რომ ქართული საზოგადოება ამ თემისადმი გულგრილი არასოდეს არ ყოფილა და შეძლებისდაგვარად ყოველთვის ინტერესდებოდა ამერიკის ისტორიის ამ მწვავე საკითხით. ამ თემატიკით დაინტერესების ათვლის წერტილად XIX საუკუნის 60-70-იანი წლები უნდა ავიღოთ, როდესაც ქართულ პერიოდულ პრესაში გამოჩნდა პირველი სპორადული ცნობები ინდიელთა ყოფაზე. ქართული საზოგადოების სიმპათიები სულ მთლიანად ინდიელი ტომების მხარეზე იყო და ყოველთვის ხმას იმაღლებდა მამა-პაპეული მიწებიდან ინდიელთა აყრის წინააღმდეგ. ამ თემაზე მათი მსჯელობის რაციონალური მარცვალი სწორედ ამაში მდგომარეობდა. ეს მასალა უმთავრესად აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას ისახავდა

მიზნად და არა მეცნიერულ შესწავლას. მათ თავისი წვლილი შეიტანეს ამ პრობლემის პოპულარიზაციის საქმეში. მისი დამსახურებაც სწორედ ეს იყო.

ახალგაზრდა, ნიჭიერი ისტორიკოსის მიხეილ ბარნოვის მიდგომა ამ თემისადმი, ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და პრობლემის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის შეხამების, შერწყმის ერთგვარ მცდელობად გვევლინება, სადაც მთავარი აქცენტი მეცნიერულ კვლევაზე კეთდება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ფასეული უნდა ჩანდეს მისი სამეცნიერო მივლინება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა აღნიშნულ საკითხზე არსებულ პირველწყაროებს და საკვლევ-ლიტერატურას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. აღნიშნულ საკითხს მან მიუძღვნა 20-ზე მეტი ნაშრომი. ამ შრომების დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ თემის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის ერთგვარ შეხამებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი შრომები: „უიკიაპში მოსმენილი ისტორიები (ნაწილი პირველი)“, „რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა ჯერონიმოს შამანური შესაძლებლობების შესახებ“, „საკომუნიკაციო სისტემის განვითარების დასაწყისი აშშ-ს შორეულ დასავლეთში: სახმელეთო საფოსტო სამსახურის ჩამოყალიბება“, „წითელი ნაპოლეონი, ნეზ პერსეს ტომის ბელადის ბრძოლების ეპოქეა“, „უკანასკნელი ფრონტირი“, „ლითლ ბიგ-პორნის ბრძოლა“, „კაიოვა ბრძოლის ბილიკზე ბრუნდება“. „აშშ-ს არმიის ინდიელი სკაუტები“, „კომანჩერის აღზევება და დაცემა“ და სხვა მრავალი. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა აქ ქართული კონტექსტის ჩართვა, რაც მას კიდევ უფრო გამოკვეთილ კვლევით ხასიათს შესძენდა. ამ კუთხით ეს თემა ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და ეს ამ ხარვეზის შევსების პირველი მცდელობა იქნებოდა. ამიტომ ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება პერსპექტიულად გვესახება.

ახალგაზრდა მკვლევარის ასეთი პროდუქტულობა, უდა-ოდ მისასალმებლად მიგვაჩნია და მისი როგორც ისტორიკოსის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. ამავე დროს აქვე უნდა დავძინოთ, რომ აქ, უპირატესად, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომები დომინირებს. რა თქმა უნდა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხე-დავთ. პირიქით, ეს ძალიან კარგია, მაგრამ პრიორიტეტი მაინც სამეცნიერო გამოკვლევებს უნდა მიენიჭოს. ალბათ, ეს ასეც მოხ-დება.

სულ ახლახანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გა-მომცემლობამ გამოსცა საინტერესო დოკუმენტების კრებული ამერიკის შეერთებული შტატების ახალ და უახლეს ისტორიაში. მისი ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერები ლერი შვაიკარტი, დეივ დოქერტი და მაიკლ ალენი. წიგნი ინგლისურიდან თარგმნეს ქეთევან მამულაშვილმა, ლელა ებრალიძემ, ია ქვაჩახიაშ და ქეთევან ჩიგოგიძემ. წიგნის სამეცნიერო რედაქტორები არიან ქართველი მეცნიერები – პროფესორები: ვასილ კაჭარავა, ელე-ნი მექმარიაშვილი და ანასტასია ზაქარიაძე. ფაქტობრივად ეს წიგნი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ის-ტორიის ქრესტომათიის ფუნქციას ითავსებს. აქ მოთავსებულია ისტორიული წყაროები მეიფლაუერის შეთანხმებიდან 1620 წელს და ბარაქ ობამას სიტყვა „ახალი დასაწყისი“ 2009 წელს. ალბათ, ვინმე იტყვის რატომ თარგმანი, ხომ არ აჯობებდა ჩვენ თვითონ გაგვეკეთებინა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ადვილი საქმე არ იყო. ის დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვდა. ჩვენი აზრით, ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული იყო. მათ აარჩიეს ამ საკითხში ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი და თარგმნეს ქართულად. ეს ამ როგორი ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტუ-რი გამოსავალი ჩანს. ეს, ვფიქრობთ, არანაირად არ აკნინებს მათ წვლილს, ჩატარებულ კოლოსალურ საქმიანობას.

წყაროების პუბლიკაცია უზარმაზარ ერუდიციას მოითხოვს. საჭიროა კოლოსალური შავი სამუშაოს ჩატარება, რომელიც ზედაპირზე არ ძევს და, უპირატესად კადრს მიღმა რჩება. აისბერ-

გის ქვედა ნაწილს წარმოადგენს. აი ეს შავი სამუშაოა ყველაზე უფრო დასაფასებელი. ტყუილად კი არ იყო, რომ ახალი დროის გარიურაჟზე წყაროების გამომცემლებს „ერუდიტები“ უწოდეს. ფრანგი ისტორიკოსის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, შარლ სამარანის თქმით „წყარო წარმოადგენს ისტორიის თავდაპირველ ნედლეულს“ (42. 152).

წყაროების მიგნება და დამუშავება ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ისტორიულ მოვლენებს, ფაქტებს, წყაროების მიხედვით ვადგენთ. წყაროთმცოდნეობა ისტორიის დამხმარე დისციპლინაა. წყაროთმცოდნეობის გაიგივება ისტორიასთან ალბათ მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ეს ერთი უკიდურესობაა, არის სხვა უკიდურესობა, რომელიც წყაროთმცოდნეობას ცალკე დარგად მიიჩნევს. ეს გადაჭარბებული უნდა იყოს.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიას შეეხება და ოთხი მონაკვეთისაგან შედგება. მეორე უახლეს ისტორიას მოიცავს და სამ მონაკვეთადაა დაყოფილი.

პირველი მონაკვეთი ფაქტობრივად ამერიკის XVII-XVIII საუკუნეების ისტორიას შეეხება სადაც ცენტრალური ადგილი უჭირავს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე არსებული დოკუმენტების პუბლიკაციას. მას ეწოდება „ერის ფორმირება“. (43. 24-49).

მეორე მონაკვეთს ჰქვია „ახალგაზრდა ქვეყნის მზარდი პრობლემები“. ის ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნის მიწურულიდან თითქმის XIX საუკუნის შუა ხანებამდე. (43. 149-219).

მესამე მონაკვეთის უურადღების ცენტრში დგას სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. (43. 219-305) მეოთხე პერიოდია პროგრესული ერა, რაღიკალები, ჯიმ ქროუ და პირველი მსოფლიო ომი. ფაქტობრივად ეს არის აშშ-ს ისტორია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ წლებში. (43. 305-417). ამით სრულდება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის თხრობა. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ამ მონაკვეთის გას-

რულება პირველი მსოფლიო ომის დაწყებით 1914 წელს და არა დასრულებით 1918 წელს. ვერ ვიტყვით, რომ ეს სწორი არაა. მას აქვს მოქალაქეობის უფლება. აქ კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და მხოლოდ დეტალებს შეეხება.

ამ თემასთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება:

ა) ჩვენი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა სამეცნიერო რე-დაქტორებს ნიგნისთვის დაერთოთ სულ ერთი გვერდი, სადაც ძალიან მოკლედ იქნებოდა საუბარი იმაზე, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამას შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩინია. მართალია, ბევრი არაა გაკეთებული, მა-გრამ რაღაც გაკეთდა. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვგულისხ-მობთ, ახალი ისტორიის ქრესტომათიას, სადაც, ბუნებრივია, ამერიკის ახალ ისტორიას, კონკრეტულად კი დამოუკიდებლო-ბისათვის ბრძოლას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. პროფ. მინდია უგრეხელიძემ ქართულად გამოსცა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და 1787 წლის აშშ-ს კონსტიტუცია. „აშშ-ს კონსტი-ტუცია. კომპრომისის ხელოვნება“. ამ ეპოქის დოკუმენტების პუბ-ლიკაციის მცდელობასთან გვაქვს საქმე შოთა ჯაფარიძის ნიგნში „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები“ და ვ. ჟვანიასა და ნ. დარჩაშვილის ამავე სახელწოდების ნიგნში. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ გარკვეული სუბ-იექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ახალი ისტორიის ქრესტომათიის მეორე მონაკვეთის გამოცემა, სადაც, ბუნებრივია, აშშ-ს ახალი ისტორიის წყაროების პუბლიკაციას სათანადო ყურადღება დაეთმობოდა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ სულ არაფერს ხომ სჯობია? მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა: ეს კი სწორი არ იქნებოდა. განსახილველი ნაშრომი დაწყებული საქმის გაგრძელებად, ლოგიკურ დაგვირგვინებად, გვევლინება.

ბ) ალბათ, სასურველი იყო ნიგნში გაშუქებული ყოფილიყო პერიოდი კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენიდან პირველი პი-

ლიგრიმების გამოჩენამდე. ეს საინტერესო მონაკვეთია და ქართულ საზოგადოებას ამ თემაზე თითქმის არაფერი ინფორმაცია არ გააჩნია. ამიტომ ამ თემის განხილვას წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა ექნებოდა. ამ საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება ნაშრომის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ.

გ) შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ წიგნში წყაროები, რომელიც გააშუქებდა აშშ-ს ახალი დროის ეკონომიკურ ისტორიას, შედარებით ნაკლებადაა ნარმოდგენილი.

დ) ზოგიერთ ისეთ საკითხს ეთმობა ყურადღება, რომელიც ჩვენ მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია, მაგრამ მათ, ეტყობა, სხვაგვარად მიაჩნიათ. რომელი თვალსაზრისია უფრო სწორი ამაზე, ალბათ, დაუსრულებლად შეიძლება ვიდავოთ.

ამრიგად, ეს წიგნი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანნილად ავსებს იმ ვაკუუმს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის წყაროთმცოდნეობაში გაგვაჩნია და ამერიკის ისტორიის ქრესტომათიის ჩანაცვლების მცდელობად გვევლინება. ეს აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციისა და შესწავლის გზაზე გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს და ქართული ამერიკანისტიკის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. ვიმედოვნებთ, რომ წყაროების ეს პუბლიკაცია მტკიცე საფუძველს ჩაუყრის ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის მეცნიერულ კვლევას. ამ წიგნშა ამერიკის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის უვერტურად გაიჟდერა და მისი დაწერის სამედო წინაპირობად გვევლინება.

* * *

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავძინოთ: საქართველოში ამ პერიოდის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის შესწავლის გარკვეული ტრადიცია გაგვაჩნია. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატება, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა და

შეეცადა შეძლებისდაგვარად წაენია წინ აღნიშნული ეპოქის აშშ-ს ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია და შესწავლა. ეს ცხადია, ძალიან კარგია, რა თქმა უნდა, ეს მწირი ინფორმაცია ცოტაა, თუმცა საინტერესოა და მისი შეუფასებლობა, ვფიქ-რობთ, სწორი არ იქნება. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ თემის დამუშავების საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები თუ არ აღემატება არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპის ნებისმიერი პატარა სახელმწიფოს წარმატებებს. შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ პროგრამა მინიმუმი შეასრულა, რაც მისი მთავარი პლუსია, მაგრამ უმთავრესად აქცენტი კეთდება რაოდენობრივ ცვლილებებზე და არა თვისებრივ, ხარისხობრივ ძვრებზე. მნიშვნელოვანნილად, ალბათ, ამით აიხსნება, რომ რაოდენობრივი ცვლილებების, თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდის პროცესი საკმაოდ გაჭირდა, ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაც შეეხება აშშ-ს XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიის მეცნიერულ კვლევას, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ის შედარებით მოიკოჭლებს, მაგრამ ამის დრამატიზირება, ალბათ, მაინც არ ღირს, ზედმეტია. ისეთი პატარა ქვეყანა როგორიც საქართველოა ყველაფერს როდი გაწვდება. ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურება სასურველია და ქართული ისტორიოგრაფიის სამომავლო ამოცანად გვესახება.

ლიტერატურა:

1. ამერიკის ისტორიის ესკიზები. თარგმანი ქეთევან და ირაკლი ავალიანების, რედაქტორი არჩილ კობალაძე, თბ., 2006.
2. კ. ქენქაძე, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორია – 1753-1933 ნლებში, ნანილი 1. თბ., 2008.
3. პ. საყვარელიძე, წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე. რესპუბლიკები: 1. საფრანგეთი, 2. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, 3. შვეიცარია. თბ., 1918.

4. დ. გეგეჭკორი, ნაკლებად ცნობილი ფაქტები ლუიზიანას შეს-ყიდვასთან დაკავშირებით – „ამერიკის შესწავლის საკითხები“, IV. თბ., 2006.
5. დ. გეგეჭკორი, პირველი ორპარტიული სისტემის შექმნა ამერი-კის შეერთებულ შტატებში – ამერიკის შესწავლის საკითხები, II. თბ., 2003.
6. გ. ბოლოთაშვილი, აშშ-ს მიერ ტეხასის დაპყრობის ისტორიდან – ამერიკის შესწავლის საკითხები, V. თბ., 2008.
7. 6. ციხისთავი, პროტესტანტიზმი და პროტესტანტული სექტები ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX საუკუნეში – ამერიკის შეს-წავლის საკითხები, I. თბ., 2002.
8. 6. ციხისთავი, პროტესტანტიზმი და XIX საუკუნის აშშ-ს განათ-ლების სისტემა – ამერიკის შესწავლის საკითხები, III, თბ., 2005.
9. 6. ციხისთავი, მორმონიზმი – სახელმწიფო სახელმწიფოში თუ აშშ-ს მომავალი რელიგია – ამერიკის შესწავლის საკითხები, IV. თბ., 2006.
10. 6. ციხისთავი, გამოხმაურება დენიზა სუმბაძის ნაშრომზე „ამე-რიკელი ერის ფენომენი“ – კრებული მიძღვნილი ვლადიმერ ივა-ნოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი, VI. თბ., 2007.
11. ო. ნიკოლეიშვილი, მისურის უნივერსიტეტის დაარსების ისტო-რიდან – ამერიკის შესწავლის საკითხები, I. თბ., 2002.
12. ო. ნიკოლეიშვილი, სერგეი მესხი და ამერიკის შეერთებული შტატები – ამერიკის შესწავლის საკითხები, III. თბ., 2005.
13. ლ. ფირცხალავა, იუდეველთა ემიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში – ამერიკის შესწავლის საკითხები, IV. თბ., 2006.
14. ლ. ფირცხალავა, ინგლის-ამერიკის 1812-1815 წლების ომი და რუსეთ-ამერიკის შესწავლის საკითხები, V. თბ., 2008.
15. ლ. ფირცხალავა, ალიასკის ისტორიის რუსული პერიოდი – ამე-რიკის შესწავლის საკითხები, I. თბ., 2002.
16. მ. ლაპაძე, ამერიკა-მექსიკის დიპლომატიური ურთიერთობანი 1846-1848 წწ. ომის წინ – ამერიკის შესწავლის საკითხები, I. თბ., 2002.

17. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია. მერვე კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.
18. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, 1815-1870 წლები, თბ., 1998.
19. დ. ლომსაძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი 1, თბ., 1998.
20. ვ. თვალავაძე, აშშ-ს ისტორიის საკითხები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდიკაში – ამერიკის შესწავლის საკითხები, III. თბ., 2005.
21. ვაშინგტონის კონგრესის წინ. თუროგორ უნდა შევიდნენ სამხრეთის შტატები კონგრესში – „დროება“ 7. 1866. მონობის გაუქმება შეერთებულ შტატებში, ნეგრების მდგომარეობა – „დროება“, 7. 1866. უთანხმოება ამერიკის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, მონობის საკითხის გამო – „დროება“, 9. 1866. ლინკოლნის მოსაგონებლად – „დროება“, 7. 1867.
22. აბრაამ ლინკოლნი ამერიკის ზანგების განმათავისუფლებელი: მოსწავლეთათვის და ხალხისათვის (რედაქტორი ივ. როსტომაშვილი: თარგმანი იასონ წერეთლისა), თბ., 1897.
23. დ. უზნაძე, ო. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
24. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XIX საუკუნე), თბ., 1920.
25. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
26. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნან. 3. ახალი საუკუნეები, თბ., 1920.
27. ისტორიის კურსის პროგრამა (სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და პედინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტებისათვის), თბ., 1953. ახალი ისტორიის კურსის პროგრამა, თბ., 1970. ა. ეფიმოვი, ახალი ისტორია, 9 კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1969. ახალი ისტორია, ა. ნაროჩნიცკის (რედაქციით), მერვე კლასის სახელმძღვანელო), თბ., 1988.
28. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2005 (მესამე გამოცემა).
29. კ. სენდბერგი, ლინკოლნი, თბ., 1966.

30. 6. მამუკელაშვილი, აშშ-ს ისტორიის შესწავლა საქართველოს სა-შუალო სკოლებში ახალი ისტორიის კურსში – ამერიკის შესწავლის საკითხები, II. თბ., 2002.
31. ახალი ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო (გ. ხვოსტოვის რედაქციით), თბ., 1986.
32. შ. ჯაფარიძე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები, თბ., 1999.
33. ვ. უვანია, ნ. დარჩაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები, თბ., 2007.
34. ახალი ისტორია – 1870-1900 წწ. თბ., 1973. ახალი ისტორია, 1900-1918 წწ. თბ., 1975.
35. ახალი ისტორია – 1870-1918 წწ. თბ., 1990.
36. ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების ასი წლის ისტორია – XX საუკუნე, თბ., 2002.
37. ნ. ციხისთავი, აშშ-ის 100 წლის ისტორია – XX საუკუნე (ავტორი პროფ. ნ. ნანიტაშვილი, თბ., 2002 წ.) – სახელმძღვანელოს ანალიზი – ამერიკის შესწავლის საკითხები, ნან. II. თბ., 2003. ანალიზი, ჩვენი აზრით, ამბიციურად უდერს. ფაქტობრივად, ეს არის რეცენზია პროფ. ნ. ნანიტაშვილის წიგნზე. ეს არ ამცირებს ამ სტატიის მნიშვნელობას. ზედმეტი ამბიციები არაა საჭირო.
38. ალ. მერთეშაშვილი, მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, ნაკვეთი 1. ანტიკური ხანიდან – 1919 წლამდე, თბ., 2003.
39. რ. თოფჩიშვილი, ევროპისა და ამერიკის ხალხები, თბ., 2003.
40. ვ. შამილაძე, ეროვნული პოლიტიკის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბ., 1993.
41. მ. ბარნოვი, უიკიაპში მოსმენილი ისტორიები – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 2 (15), თბ., 2014. მ. ბარნოვი, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა ჯერონიმოს შამანური შესაძლებლობების შესახებ“ – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 1 (16), თბ., 2015. მ. ბარნოვი, საკომუნიკაციო სისტემის განვითარების დასაწყისი აშშ-ს შორეულ დასავლეთში: სახმელეთო საფოსტო სამსახურის ჩამოყალიბე-

- ბა – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 1 (14), თბ., 2014. მ. ბარნოვი, წითელი ნაპოლეონი, ნეზ პერსეს ტომის ბელადის ბრძოლების ეპოპეა, ისტორიანი, 10. თბ., 2013. მ. ბარნოვი, უკანასკნელი ფრონტირი, ისტორიანი, 2. 2011. მ. ბარნოვი, ლითლ ბიგ-ჰორნთან ბრძოლა – არსენალი, 25 (146), თბ., 2011. მ. ბარნოვი კაიოვა, ბრძოლის ბილიკზე ბრუნდება, არსენალი, 25(172), თბ., 2012. მ. ბარნოვი, აშშ-ს არმის ინდიელი სკაუტები, არსენალი, 19 (166), თბ., 2012. მ. ბარნოვი, კომანჩერიის აღზევება და დაცემა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, ნაკვეთი 1. თბ., 2012.
42. В. Салов, Историзм и современная буржуазная историография, М., 1968.
43. ლ. შვაიკარტი, დ. დოქერტი, მ. ალენი, პატრიოტთა ისტორიის მასალები, თბ., 2014.

კარი მეორე

**ქართველი ისტორიკოსები ამარიკის
შეერთებული შტატების ახალი ისტორიის
საკვანძო საკითხებზე**

თავი I

გიორგი თერეთალი ჩრდილოეთ ახარის ინგლისური ახალშეხის დამოუკიდებლობისათვის ომი

XIX საუკუნის მეორე ნახევარის ქართული საზოგადოება ღრმა ჩახედულებას ამჟღავნებდა არა მარტო მშობლიური ქვეყნის ისტორიაში, არამედ მშვენივრად ერკვეოდა მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებში. ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი გიორგი წერეთელი ერთ-ერთი მათგანი იყო. მან თავისი წვლილი შეიტანა ქართულ სინამდვილეში მსოფლიო ისტორიის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გაშუქების, პოპულარიზაციის საქმეში. (1).

ახალი დროის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში. მან უმაღლ მიიპყრო თანამედროვეების და ისტორიკოსების ყურადღება და ეს ინტერესი არც შემდეგ საუკუნეში შენელებულა. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის გიორგი წერეთლის დამოკიდებულება. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა

შესწავლით. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და ამ საინტერესო თემაზე საგანგებო ყურადღება გაგვემახვილებინა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი წერეთლის მოთხოვნის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა (მგზავრის წერილებიდან)“ ერთი ეპიზოდი, სადაც ის მსჯელობს ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშეწების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე.

არ შეიძლება ამ მსჯელობის შეუფასებლობა. გიორგი წერეთელის წინაშე საკმაოდ მოკრძალებული ამოცანა იდგა და ამ პოპლემის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. რაც წარმატებით შეასრულა.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ გიორგი წერეთელის ეს მსჯელობა წარმოადგენს წყაროს, საიდანაც ვგებულობთ, რომ მან გამოთქვა ამ საკითხზე თავისი მოსაზრება. აღნიშნულ თემაზე მისი მსჯელობა, ვფიქრობთ, საინტერესოა და შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია. გიორგი წერეთელმა თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოპულარიზაციის საქმეში.

მისი მსჯელობა ემყარება ფაქტების ცოდნას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს არაა ისტორიული ფაქტების მშრალი თხრობა. ყურადღება ექცევა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. მას გააჩნია ანალიტიკური მუხტი და აღნიშნული პოპლემის შეფასების მცდელობად გვევლინება. რაც საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დამოუკიდებლობისადმი ბრძოლისადმი გიორგი წერეთელის მიღებომა. ეს მის მსჯელობას ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ანიჭებს. ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოპულარიზაციამ საინტერესო მეტაორფოზი განიცადა და სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ჰპოვა ასახვა.

გიორგი წერეთელის დაინტერესება ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშეწების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ

რაობით, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მას, პირველ ყოვლისა, საფუძვლად ედო ქართული სინამდვილე. საქართველოში, რომელიც მეფის რუსეთის უღელქვეშ გმინავდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მეტად მახლობელი და აქტუალური თემა იყო. ამერიკელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ქართველ ხალხს იმედს უნერგავდა, რომ ბედნიერი დასასრული შორს არ იყო. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ გ. ნერეთელი ამ თემას იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კონტექსტში წამოჭრის. აქ ის სვამს კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს და შეძლებისდაგვარად ცდილობს მასზე პასუხის გაცემას. განვრთნილი პროფესიული არმია უფრო ძლიერია თუ გაუწვრთნელი სამხედრო ძალა, რომელიც თავისი სამშობლოს დასაცავად იბრძვის. ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მას ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ესახებოდა. „სამშობლო ბრძოლაში და თავისუფლების დაცვაში თავის დამცველი ხალხი უფრო გამწარებული იბრძვის და ბრძოლსაც მოუგებს ძალიან კარგად განვრთნილ ჯარს, თუ ეს ჯარია შემოსული და ქვეყნის დამმორჩილებელი. აი როცა ხალხი თავგანწირულია და თავისი ქვეყნისათვის იბრძვის, რა შეუძლია! ამაზე უფრო ცხადი მაგალითი აღარ იქნება ქვეყანაზე. მე მხოლოდ ამ მაგალითებით მინდოდა მეთქვა, რომ იტალიაც ახლა ამ მდგომარეობაშია, როგორც ამერიკელები მეთვრამეტე საუკუნეში. იტალიელებიც ახლა ისე იბრძვიან, ამას ნინ უძლვის ისეთი ღენერალი, რომელიც ვაშინგტონს არ ჩამოუვარდება და, აი, რის გამოც ვამტკიცებ, რომ იტალიელები, როგორც ნეაპოლის მეფისგან, ისე სხვა მეფებისგან იხსნიან თავს და ამ ბრძოლაში გარიბალდი იქნება იმათი განმათავისუფლებელი, როგორც ვაშინგტონი შეიქმნა ამერიკელების განმათავისუფლებელი“.² აქ ყურადღებას იპყრობს გარიბალდის და ვაშინგტონისადმი დამოკიდებულება. მათი შედარება სავსებით მართლზომიერია. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ გიორგი წერეთლის სიმპათიები სულ მთლიანად მათ მხარეზეა და მათში ხედავს

პროგრესისათვის მებრძოლი გმირების განსახიერებას, რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლისადმი გიორგი წერ-ეთლის დამოკიდებულება აშკარად უარყოფითია. მეორე ადგილას ის შენიშვნავს: „მე ვამტკიცებ, რაც უნდა კარგი გაწვრთნილი ჯარი იყოს, თუ ბრძოლაში გული არ ეწვის სიმართლისათვის, ის კარგად ვერ იბრძოლებს. ამისთანა ჯარს გაუწვრთნელი, შეუიარაღებელი ხალხიც მოერევა, თუ ის თავის სამშობლოსათვის... იბრძვის“. (2. 85.)

აქ ფაქტობრივად გიორგი წერეთელი წამოჭრის ფრიად სე-რიოზულ და აქტუალურ საკითხს არმის საბრძოლო-მორალური სულისკვეთების შესახებ და ამის საილუსტრაციოდ მას მოაქვს ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხზე გიორგი წერეთელი საკმაოდ ინფორმირებული ჩანს. ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა XIX საუკუნის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის შლოსერის თხზულებები „მეთვრამეტე საუკუნის ისტორია“ და „მსოფლიო ისტორია“, რომელსაც წერეთელი თავისი პოზიციების გასამყარებლად ხშირად ეყრდნობოდა. (2. 83.) ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების თავისუფლებისათვის ბრძოლაზე გიორგი წერეთელი კვალიფიცირებული მსჯელობის გასაღებიც, სწორედ ამაშია. ინფორმირებულობა ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი ღირსებაა.

მისასალმებელია, რომ გიორგი წერეთელი ისტორიული მოვლენების მხოლოდ მშრალი თხრობით არ შემოიფარგლებოდა და აღნიშნულ თემაზე მის მსჯელობას შეფასებითი აქცენტები გააჩნია. ეს კი საინტერესოა. „აბა გამოვხატოთ შლოსერის სიტყვებით ამერიკელებისა და ინგლისელების ჯარების მდგრამარეობა, როცა ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ბრძოლის დაწყებამდის. „ახალი რესპუბლიკის მცხოვრებლებიო, – ამბობს შლოსერი, – სრულებით არ იყვნენ სამხედრო წესის ნაჩვევი და რიგში გაწვრთნილი, ჯარისკაცობა კიდეც ეთაკილებოდათ. მილიციელებს არ ჰქონდათ არც სამხედრო ტანსაცმელი და არც

ფეხსაცმელი. ამერიკელებს აკლდათ სამხედრო კაცის ჩვეულება, ფული და სამხედრო მასალა: თოფ-ზარბაზანი და წამალ-ავეჯეულება. ინგლისელთა მხედრობა იმათ რომ უყურებდა, ზიზღი მოსდიოდა და ამბობდა, ამ ცხვრებმა როგორ უნდა გვაჯობონო. წარმოიდგინეთ, ამისთანა უხეირო მილიცია მამულის სიყვარულისათვის რა საქმეებს ჩადის, როცა იმას მოთავედ ჰყავს ისეთი კაცი, როგორც ვაშინგტონი, რომლის მსგავსი ჭკუით, მოხერხებით ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულიყო. 1776 წელს, როდესაც ინგლისელები დაეცნენ – ნიუ-იორკის ქალაქს, ამბობს შლოსერი:

- მთელი ქვეყნის გასაოცებლად, ვაშინგტონი თავისი უხეირო ჯარით სეკტემბრის თვემდის ისე გამაგრდა ამ ქალაქში, რომ ევროპის საუკეთესო ჯარებმაც ვერა უყო რაო. ეს კიდევ არაფერი. ამავე უხეირო მილიციამ 1777 წელს სერეტოგის მახლობლად გუდსონის მდინარეზე ექვსი ათასიანი საუკეთესო ინგლისელის ჯარი შეჰკრა თავის მხედართმთავრიანად, სამხედრო იარაღიანათ და დაჭერილი წამოიყვანა. ყველა ისტორიკოსის სიტყვებით კორნეულისისთანა ნიჭიერი, მხნე და მოხერხებული ღენერალი ცოტა იყო. ის იყო პირველი ინგლისელი ღენერალი ამერიკელებთან ბრძოლის დროს. და, ეს ღენერალიც თავის საუკეთესო ჯარიანათ იორკტაუნის ქალაქთან ვეშინგტონმა შეიმზყდია და ტყვედ აკრიფა. ამ ამბავს შემდეგ ინგლისს ალარა გაუბედნია რა. ამ სახით თავგანწირულმა, თავისუფლების მოყვარე და სამშობლოს დაცვისათვის მებრძოლმა, თითქმის უიარაღო ხალხმა საუკეთესო ევროპის ჯარი დაატყვევა და უძლიერესი სახელმწიფო შეაშინა“. (2. 83-84).

როგორც ხედავთ, გიორგი წერეთელი საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. მისი ეს მსჯელობა ემპირიული მასალის ცოდნას ემყარება.

ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი გიორგი წერეთელის კეთილგანწყობილება ეჭვგარეშეა. ეს ადვილი გასაგებია. XIX საუკუნის მეორე ნახევარის ქართული საზოგადოებისათვის პრიორიტეტული თემა იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ასეთი მიდგომა უმთავრესად დემოკრატიულ ღირებულებებზეა ორიენტირებუ-

ლი და მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ელფერი დაკრავს. ჩრდილოეთ ამერიკის გათავისუფლებისადმი შავრაზმულ-კლერიკალური მიდგომის ფონზე, რომელსაც ფართოდ ნერგავდა დაპყრობილ ტერიტორიებზე ცარიზმი, ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი.

ვფიქრობთ, საინტერესოა გიორგი წერეთლის დამოკიდებულება ჯორჯ ვაშინგტონისადმი, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე იყო. სწორედ, ჯორჯ ვაშინგტონი დაინიშნა 1775 წელს ამერიკის ჯარების მთავარსარდლად.

აი რას წერდა გიორგი წერეთელი. „როცა პოლიტიკაზე და სახელმწიფო გამგეობაზე დაინყებდა ლაპარაკს, იმას თვალწინ სულ თავისი წვალებული ქვეყანა უდგა და ვაშინგტონი, რომელმაც განათავისუფლა ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისის მფლობელობისაგან, ქვეყნის უდიდეს კაცად მიაჩნდა“. (2. 72.). ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ვაშინგტონის მოღვაწეობის განხილვის დროს ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი გ. წერეთელის სიმპათია თავის ზენიტს, მწვერვალს აღწევს.

ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობის შეფასებისას გიორგი წერეთელის ზეანეული ტონი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი სიმპათია ედო საფუძვლად.

გიორგი წერეთელი ეხება კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში გიორგი წერეთელი საკმაოდ ინფორმირებული და ჩახედული ჩანს. გიორგი წერეთელი წერდა: „ვაი ჩვენი ბრალი, თუ მართლა ამერიკის შეერთებული შტატების განთავისუფლებას საკუთრად იმათ აბრალებ. ისინი განათავისუფლა საფრანგეთმა. ის რომ არ დახმარე-

ბოდა, დღესაც ინგლისის მონობაში იქნებოდა... მე ხომ ეგ ჯერ არ მითქვამს, ამერიკელებს საფრანგეთი და ისპანია არ მოხმარებია მეთქი? ახლა კი ვიტყვი, რომ ისპანის მოხმარებას არ ვთვლი მოხმარებად, რადგან იმას ას ორმოცდა ათი ათასი დოლარის სესხების მეტი სხვა შემწეობა არ უჩვენებია რა. მაშინვე ვილაპარაკოთ მხოლოდ, თუ გნებავთ, საფრანგეთის შემწეობაზე. დიახ, დიდი იყო იმისი შემწეობა, მაგრამ ამერიკის განთავისუფლებაზე უფრო სახელით ჰქონდა იმას დიდი გავლენა, ვინამც საქმით.

როგორ თუ სახელით, მთელი ფლოტი თავისი ჯარით საფრანგეთმა არ გაუგზავნა მეთვრამეტე საუკუნეში ამერიკას?.. რომ საფრანგეთის განვრთნილი ჯარი არა, ამერიკის მილიცია ტყე-ტყე გარბოდა, ინგლისის სალდათებს რომ დაინახავდა... საფრანგეთმა გააგზავნა ექვსი ათასი კაცი თავისი მხედართმთავრით, რომელსაც ერქვა როშამბო, ფლოტის უფროსად იყო დე-ტერნე". (2. 81-83.)

სავსებით ვეთანხმებით გიორგი წერეთელს, როდესაც ამერიკის გათავისუფლების საქმეში არ აჭარბებს საფრანგეთის წვლილს და ამერიკის გამოხსნას ინგლისელთა ბატონობისგან, პირველ რიგში, თავად ამერიკელების დამსახურებად წარმოაჩენს. რა თქმა უნდა, გიორგი წერეთელი არ უგულებელყოფს საფრანგეთის დახმარების მნიშვნელობას. ეს იყო სწორი მიდგომა, რაც მისი მსჯელობის რაციონალურ მარცვალს წარმოადგენს. ამერიკელი ისტორიკოსის ვ. სტინჩკომბის თქმით, „საფრანგეთთან კავშირის გარეშე შეერთებული შტატები, ალბათ, ვერ მიაღწევდა დამოუკიდებლობას“. სასურველი იქნებოდა მოკლედ ყოფილიყო ხაზგასმული ამერიკელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში მარკიზ ლაფაიეტის მონაწილეობა. (4).

თავის დროზე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილიპ სანიაკი ამტკიცებდა, რომ ფრანგი მოხალისეების აქტიური მონაწილეობა ამერიკის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, პირველ რიგში, იდეური მოტივებით იყო განპირობებული. ეს, უდავოდ, არის ერთ-ერთი სერიოზული

ფაქტორი და ფ. სანიაკი ამაში სავსებით მართალია, მაგრამ იყო ამის გამოწვევი სხვა სერიოზული მიზეზები, რომლის წაყრუება, გვერდის ავლა, გამართლებული არ იქნებოდა. (5).

მიუხედავად მთავრობის სუბიექტური ზრახვებისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ესპანეთმა ობიექტურად ხელი მაინც შეუწყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამერიკელი ისტორიკოსი გრიფინი აღნიშნავს, რომ „ამერიკის რევოლუციის დროს კოლონისტებმა მოიპოვეს ესპანეთის კეთილგანწყობილება და მიიღეს ფინანსური დახმარება კარლოს III-ის მთავრობისაგან, მაგრამ ესპანეთს ეშინოდა და არ ენდობოდა ახალ რესპუბლიკას და მისი დამოუკიდებლობა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ აღიარა“. (6). ხომ არ აკნინებდა ესპანეთის დახმარების მნიშვნელობას გიორგი წერეთელი? შესაძლოა, საფრანგეთან შედარებით ის მართლაც მეტად მოკრძალებულად გამოიყურებოდა, მაგრამ მთლიანობაში ეს სულაც არ იყო ცოტა.

გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ, შესაძლოა, გიორგი წერეთლის დაქართული საზოგადოების თვალში, ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ხასიათმა დაჩრდილა სოციალური ასპექტები და მათ სათანადოდ არ ჰქონდათ გაცნობიერებული თავისუფლებისათვის ამერიკელი ხალხის ბრძოლის ორგვარი მისია: ეროვნული და სოციალური. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად მიმდინარეობდა სოციალური გარდაქმნები. ამერიკელი ისტორიკოსი ვ. პარინგტონი დასტენდა „კოლონიური არისტოკრატიის ნაწილებზე უნდა აღმოცენებულიყო ბურუუზიული ამერიკა“. (7. 260). XX საუკუნის ამერიკელი ისტორიკოსი ა. შლეზინგერი (უფროსი) XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში დატრიალებულ მოვლენებს აღიქვამდა როგორც არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელ, არამედ როგორც სოციალურ მოძრაობას. დამოუკიდებლობისათვის ომის შედეგად – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და მძლავრი სტიმული მიეცა თავისუფალი მენარმეობის

განვითარებას. სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი ისტორიული მნიშვნელობა. (8. 97).

XX საუკუნის ამერიკელი ისტორიკოსები ჰ. კომაჯერი და რ. მორისონი ხაზს უსვამდნენ, რომ დამოუკიდებლობისათვის ომია ხელი შეუწყო პროგრესისათვის ბრძოლას. „ამერიკის რევოლუციაში გვამცნო ერა რევოლუციებისა ევროპის კონტინენტზე, ლათინურ ამერიკაში და ბოლოს აზიასა და აფრიკაში – ერა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ ახლა“, შეიძლება არ დავეთანხმოთ ამერიკელ ისტორიკოსს მ. სეივილს, რომ „ამერიკის რევოლუცია იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია... ძალიან ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო გრანდიოზული მაგალითი აშკარა გაუგებრობისა. ჯიუტად არ სურდათ პრინციპების გამო მიეღწიათ კომპრომისი“. (8. 106). ამერიკელი ისტორიკოსების რ. მორისონის და ჰ. კომაჯერის აზრით, „დამოუკიდებლობისათვის ომის დასასრული შეესატყვისებოდა არა მარტო ბელადების, არამედ ხალხის ინტერესებს“. (9. 23). მნიშვნელოვანნილად სწორედ, ამით იყო განპირობებული ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ლიბერალური წრეების კეთილგანწყობილება.

ამრიგად, გიორგი წერეთელმა თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისადაგვარად წინ წაეწია საქართველოში და-მოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლის ისტორიის პოპულარიზაცია. გიორგი წერეთელის მსჯელობაში მან საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა, სულ სხვა ფორმა შეიძინა და სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ჰპოვა ასახვა. ამ თემაზე გიორგი წერეთელის მსჯელობას, პირველ ყოვლისა, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია. მისი კონცეფცია მკვეთრად გამოკვეთილ პროგრესულ ხასიათს ატარებს. აღნიშნულ საკითხზე მისი მსჯელობა ამერიკელი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლისადმი სიმპა-თიებითაა გაჯერებული და არ თანაუგრძნობს ინგლისის პო-ლიტიკას. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას, უნინარესად, ქართული რეალობა

ედო საფუძვლად. გიორგი წერეთელი საკმაოდაა ჩახედული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში და ამ თემაზე მის მსჯელობას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობით გამოწვეული ზედმეტი ემოციები აღტაცება ადვილი გასაგებია და მას საფუძვლად ედო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი სიმპათია.

ლიტერატურა:

1. ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970. მისივე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა. (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978. ა. უთმელიძე, საფრანგეთის და ინგლისის ახალი ისტორიის პრობლემები გაზეთ „კვალში“, თბ., 1996. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ., 2008. მისივე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
2. გ. წერეთელი, კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა. (მგზავრის წერილებიდან), თბ., 1935.
3. Н. Яковлев, Вашингтон, М., 1976.
4. П. Черкасов, Лафаиет, М., 1991.
5. Н. Захарова, Война США за независимость и Франция – «Вопросы истории», №7. 1974.
6. С. Пожарская, о признании Испаний независимости США – «Новая и новейшая история», №1. 1975.
7. В. Парингтон, Основные течения американской мысли, т. 1. М., 1962.
8. П. Уманский, Проблемы первой американской революции, – «Основные проблемы истории США в Американской историографии», М. 1971.
9. Б. Шпотов, начало истории США – «Преподование истории в школе», №3. 1993.

თავი ॥

დიმიტრი უზნაძე ამერიკის ახალი ისტორიის საქითხებზე

საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით გაპატონებული იყო მოსაზრება თითქოს დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში დადებითი არაფერი გაკეთებულა. ასეთი იყო პოლიტიკური დაკვეთა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების განდიდების კიდევ ერთი ხერხი. სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო. დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში ბევრ კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. არა ერთი საშური საქმე გაკეთდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დაიწყო მსოფლიო ისტორიის ეროვნულ სახელმძღვანელოებზე მუშაობა. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, რასაც ფართოდ ნერგავდა საბჭოთა ხელისუფლება, უმართებულო იქნებოდა. საფიქრებელია, რომ ეს გახლდათ იმ გრანდიოზული გეგმის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთ განათლების სფეროში გააჩნდათ და რომლის გაკეთებაც მათ დროის იმ მცირე მონაკვეთში მოასწრეს. საშუალო სკოლის ეროვნულ სახელმძღვანელოებს მოყვებოდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები. გრ. ნათაძის სახელმძღ-

ვანელოები „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან“ (1, 2) და „კაპიტალიზმის ისტორიიდან თემა“ 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია (3). ამ ჩანაფიქრის შორეულ ექოდ გაისმა, თუმცა უკვე სულ სხვა პოლიტიკურ ვითარებაში განხორციელდა და თავ-დაპირველი იდეის რეალიზებად ძნელია მივიჩნიოთ. ეს უკვე სულ სხვა გზა იყო. (4).

* * *

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქი აკად. დიმიტრი უზნაძე (1886-1950) ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. მან თავისი კვალი დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მან ისტორიულ მეცნიერებაში ორი კარგი საქმე გააკეთა. ის იყო ისტორიის კარგი მასწავლებელი და აქტიური მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. მისი დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობდა.

აკად. დიმიტრი უზნაძე ამერიკანისტი არ ყოფილა და ამის პრეტენზია არც ჰქონია, მაგრამ ის თავის სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია“, რომელიც დაწერილი აქვს ი. გველესიანთან ერთად, ბუნებრივია, შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებს. ამიტომ მიზანშენილად მივიჩნიეთ ეს თემა ცალკე გამოგვეყო და საგანგებოდ გაგვემახვილებინა მასზე ყურადღება.

დღევანდელი გადასახელიდან ამ თემაზე მათი მსჯელობის განსხვა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და პიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს მარტივი მსჯელობა დღეს ღიმილს იწვევს, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ მკითხველს, პირველ ყოვლისა კი მოსწავლეებს, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე ზოგად წარმოდგენას უქმნიდა. აი რა იყო მთავარი. ამ თემებზე მათი მსჯელობის მნიშვნელობას მისი შე-

მეცნებითი დატვირთვა განაპირობებდა. სახელმძღვანელოში ამ საკითხზე მსჯელობა არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. ეს უინტერესო იქნებოდა. აქ ყურადღება ექცევა მიზეზ-შედე-გობრივი კავშირების გამორკვევას. ფაქტობრივად, ამ თემებზე მს-ჯელობა ქართულ რეალობაში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების შეფასების ერთ-ერთ პირ-ველ მცდელობად გვევლინება და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ის არ ატარებს მხოლდ თხრობით, ალწერით ხასიათს. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარი პლუსია.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის აქტუა-ლურ თემებზე მათი მსჯელობის მთავარი ღირსება იმაში მდგო-მარეობს, რომ მისი სიმპათიები ყოველთვის უფრო პროგრესული საწყისისაკენ იხრება.

სახელმძღვანელოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის გაშუქება ფრაგმენტალურ ხასიათს ატარებს და უპირა-ტესად ყურადღებას ამახვილებს საკვანძო საკითხებზე: ამერიკის აღმოჩენა, ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძო-ლა დამოუკიდებლობისათვის. სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის 1861-1865 წლებში, აშშ XIX საუკუნის მიწურულს, ომი ესპანეთთან. საკითხისადმი ამგვარ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და მოქალაქეობის უფლებას ვერავინ წაართმევს.

ეს იყო ერთი მიდგომა. არის სხვა მიდგომაც. აქ არჩევანი გვაქვს კარგსა და უკეთესს შორის. ამით იმის თქმას ვაპირებთ, რომ უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა აშშ-ს ახალი ისტორიის გაბ-მული თხრობა, ყველა პერიოდის თანაბრად განხილვა? ეს მოწა-ფეებს ახალ დროში აშშ-ს ისტორიის უფრო ადეკვატურ სურათს შეუქმნიდა.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებიდან სახელმძღვანელოში პირველი, რა თქმა უნდა, განხილული ამერიკის აღმოჩენაა. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა იმ ტექნიკურ აღმოჩენებს, გადატრიალებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIV-XV საუკუნეებში და რომელიც წინ უსწრებდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. ფაქტობრივად, აქ ის ყურადღებას ამახვილებს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წანამძღვრებზე. ეს იყო სწორი ნაბიჯი და ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ეს გვიქმნის კარგ ისტორიულ ფონს ძირითადი პრობლემების განხილვისათვის.

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ყურადღება ეთმობა კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას. ინფორმირებულობა მათი მსჯელობის მთავარი ღირსებაა, რაც განსაზღვრავს მის შემცნებით მნიშვნელობას. ამავე დროს ამ თემაზე მათ მსჯელობას ანალიტიკური მუხტი ახლავს და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. მიგვანიშნებს თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

სახელმძღვანელოში მოკლედ არის გადმოცემული კოლუმბის ბიოგრაფია, ტოსკანელის როლი მისი შეხედულებების ფორმირებაზე, ესპანეთში ჩასვლა. 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა. დ. უზნაძე, ეტყობა, უფრო იმ აზრისკენ იხრება, რომ ფრანგი გეოგრაფის ჟან ანვალის სიტყვებით თუ ვიტყვით: „ეს იყო შეცდომა, რომელმაც დიდ აღმოჩენამდე მიგვიყვანა“. „კოლუმბი მუდამ დარწმუნებული იყო, რომ მან მართლა ახალი გზა გაიკვლია აზიისაკენ. ნამდვილად კი ახალი ქვეყანა ამერიკა აღმოაჩინა, ქვეყანა, რომელმაც ახალ ისტორიაში შესანიშნავი როლი ითამაშა“. (5. 36).

ესპანეთის მთავრობა, პირველ რიგში კი, მეფე ფერდინანდი და დედოფალი იზაბელა იმედოვნებდნენ, რომ კოლუმბის ექს-

პედიცია მათ უზარმაზარ შემოსავალს მოუტანდა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარად მოხდა. მათ იმედგაცრუებას უმთავრესად ფისკალური სარჩული ედო საფუძვლად. „ისპანიის მთავრობა უკმაყოფილო იყო, რომ მდიდარისა და განათლებული ჩინეთისა და ინდოეთის მაგიერ წითელკანიანი ველურებით დასახლებულს პირველყოფილ ადგილებს წააწყდა. მესამე ექსპედიციის შემდეგ კოლუმბი ბორკილ-გაყრილი მიიყვანეს, მაგრამ მან თუმც დიდი ვაი-ვაგლახით თავის გამართლება მოახერხა. მეოთხე ექსპედიციის შემდეგ კი უკვე სრულიად უყურადღებოდ დატოვეს, ასე რომ, უკვდავი კოლუმბი სიღარიბესა და გაჭირვებაში გარდაიცვალა“ (5. 35-36).

კოლუმბის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა. გამოთქმულია სრულიად საპირისპირო შეხედულებანი. ერთნი მას ხოტბას ასხამდნენ და უსაშველოდ განადიდებდნენ. მათი მთავარი ტრინისმიმცემი იყო გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ფენიმორ კუპერი და ისტორიკოსი ს. მორისონი. მეორები კი პირიქით, სრულიად სანინააღმდეგოდ ამტკიცებდნენ და კოლუმბს ათას ცოდვებში დებდნენ ბრალს, ძალზე უარყოფითად ახასიათებდნენ. აკად. დ. უზნაძე კოლუმბის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევს და მისდამი საქმაოდ კეთილგანწყობილი უნდა ჩანდეს. საგულისხმოა, რომ ის მას „უკვდავი კოლუმბის“ (5. 36) ეპითეტით ამკობს. დ. უზნაძის მიერ კოლუმბის მოღვაწეობის მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერი ჩანს, მაგრამ კოლუმბის მოღვაწეობით მეტისმეტი გატაცება, ჰიპერბოლიზაცია, რაც შეიძლება იგრძნობა. დ. უზნაძის დამოკიდებულებაში, ცხადია, ზედმეტია.

დ. უზნაძის და ო. გველესიანის სახელმძღვანელო გადატვირთული არაა ფაქტებით. ის არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. ასეთი სახელმძღვანელო საინტერესო არ იქნებოდა. ეს უადვილებს მოსწავლეებს ამ მასალის აღქმას, მაგრამ, ეტყობა, ისინი სულ სხვა უკიდურესობაში ვარდება. სახელმძღვანელოში საუბარია კოლუმბის მეორე (1493-1494), მესამე (1497-1498) და

მეოთხე (1502-1504) მოგზაურობაზე, მაგრამ მათი თარიღების მითითებისაგან ავტორები რატომძაც თავს იკავებენ. ეს წმინდა მეთოდური თვალსაზრისით გამართლებული არ არის. ძირითადი თარიღების მითითება სახელმძღვანელოში აუცილებელია, თუმცა ის ფაქტობრივი მასალით ძალიან არ უნდა გადავტვირთოთ და ამაში ავტორები სავსებით მართალნი არიან.

მათ ძალიან კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიული მნიშვნელობა. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია, თუმცა შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს კი არ იღებენ, არამედ რენესანსს და რეფორმაციას. ასეთი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და, უმთავრესად, იმითაა განპირობებული, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ იდეების განვითარებას. პირადად ჩვენ საკითხის ასეთი გადაწყვეტა საკამათოდ მიგვაჩინია, თუმცა მას აქვს არსებობის უფლება და ძალიან ბევრი მომხრები ჰყავდა მაშინაც და ჰყავს დღესაც. (6).

დაბოლოს, დავძენთ, რომ სახელმძღვანელოში აღნიშნული საკითხის განხილვისათვის მიჩინილი ადგილი დამაჯერებლად არ მიგვაჩინია. იგი რენესანსის ეპოქაშია მოქცეული. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა მისი ცალკე მონაკვეთად გამოყოფა და მეორე თავად განხილვა. ის ნებსით თუ უნებლიერ რენესანსა და რეფორმაციას შორის გაიჭყლიტა. მას პირველ ორზე მეტი თუ არა, ნაკლები მნიშვნელობა არ ჰქონია (7).

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შემდგომი საკვანძო საკითხი, რომელიც განხილულია სახელმძღვანელოში, არის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. თემა სერიოზულია. (8, 23-29). ამ საკითხის თხრობა სამ მონაკვეთადაა დაყოფილი: 1. ამერიკის ახალშენები, 2. ამბოხება ამერიკაში, 3. შეერთებული შტატების კონსტიტუცია.

სახელმძღვანელოში აღნიშნული პრობლემის განხილვა სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და ემყარება ისტორიული ფაქტების კარგად ცოდნას. ამავე დროს ეს არაა ისტორიული ფაქტების მშრალი თხრობა და ყურადღება ექცევა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ის ორიენტირებულია ევროპული, პირველ რიგში კი რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე, კონკრეტულად კი პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოზე. თუ კარგად დავუკავიდებით, ვნახავთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ ისტორიული მოვლენისადმი მათი დამოკიდებულება. ამიტომ ამ თემაზე მსჯელობას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია და ამ საკითხის შეფასების მცდელობად გვევლინება.

დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლის შეფასების დროს ავტორები პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგანან. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება მათი კეთილგანწყობა ამბოხებული კოლონიებისადმი და თავშეკავებული დამოკიდებულება ინგლისის მონარქიისადმი. ამაში საკვირველი არც არაფერია. ჯერ ერთი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის მხარდაჭერით სარგებლობდა და სიმპათიებს იწვევდა. მეორეც, ამბოხებული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, უნდა ვიფიქროთ, კარგად შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს და ზომიერი, კომპრომისული ხასიათით გამოირჩეოდა.

პირველი მონაკვეთი ისტორიულ ფონს წარმოადგენს და ავტორები ყურადღებას ამახილებენ ორ თემაზე: მოსწავლეებს მოუთხრობდნენ ამერიკის ახალშენების ისტორიაზე, მეტროპოლიასა და კოლონიას შორის კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე. ხაზს უსვამენ, რომ მათ შორის დაპირისპირება გამოწვეული იყო ინგლისის საგადასახადო პოლიტიკით. ეს სწორი მიდგომაა. (8. 25-26).

მეორე მონაკვეთი ეხება საკუთრივ ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და სახელმძღვანელოში ამ თემის განხილვის ყველაზე უფრო წონად

ნაწილს წარმოადგენს. უნინარესად, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ სახელმძღვანელოში ყურადღებას იპყრობს დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლის ქრონილოგიური ჩარჩოების განსაზღვრა. ეს არის საკითხის პერიოდიზაცია.

კოლონიასა და მეტროპოლიას შორის დაპირისპირების დასაწყისად, როგორც ეტყობა, აღებულია 1775 წელი, როდესაც მოხდა პირველი შეიარაღებული შეტაკება კოლონისტებსა და ინგლისის ჯარებს შორის. აქ ის გულისხმობს შეტაკებას ლევსინგსტონთან და კონკორდთან 1775 წლის აპრილში (8-26). ამის ლოგიკური შედეგი იყო, რომ 1775 წლის შემოდგომაზე მეორე კონტინენტურმა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება კოლონიები „თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები უნდა იყოს“. დამოუკიდებლობისათვის ომის დასასრულად, ცხადია, აღებულია 1783 წელს ხელმოწერილი პარიზის ზავი. (8. 26-29). ფაქტობრივად, მათ მოგვცეს დამოუკიდებლობისათვის ომის სწორი პერიოდიზაცია. ეს სახელმძღვანელოს კიდევ ერთი პლუსია.

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია 1776 წლის 4 ივლისს მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაციის ისტორიული მნიშვნელობა. „ყოველი კაცი თანასწორად არის შექმნილი და შემოქმედმა მას ზოგიერთი ხელუხლებელი უფლება, სხვათა შორის, სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მისწრაფება მიანიჭა. მთავრობები ამ უფლებათა დასაცავად არიან მოწოდებულნი, ხოლო როდესაც მთავრობა მათ არღვევს, ხალხს მისი მოსპობა ან გამოცვლა შეუძლია“. (8. 26).

ეტყობა, ლიბერალი უზნაძე კეთილგანწყობილებას ამჟღავნებს ამერიკული დემოკრატიისადმი და სიმპათიებით ეკიდება 1776 წლის 4 ივლისის დეკლარაციას. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მისი ისტორიული მნიშვნელობა. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. შესაძლოა, დ. უზნაძე, როგორც ლიბერალი, დამოუკიდებლობის დეკლარაციას შელამაზებულად წარმოაჩენდა. მან ძალაში დატოვა მონობა, ინდიელთა

დევნა, მამაპაპეული მიწიდან აყრა. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა ამაზეც თქმულიყო. იყი რატომდაც კრინტს არ ძრავს ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების შედგენის საქმეში თომას ჯეფერსონის წვლილზე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოში იგრძნობა თ. ჯეფერსონის მოღვაწეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება. რით იყო ეს გამოწვეული, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, მათ თ. ჯეფერსონის საქმიანობა გაცილებით უფრო რადიკალურად ესახებოდათ, ვიდრე ჯორჯ ვაშინგტონის და ბენჯამინ ფრანკლინის. ამიტომ სახელმძღვანელოში დამაჯერებლად არაა ნაჩვენები კოლონიის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ტრიუმვირატის: ჯორჯ ვაშინგტონის, ბენჯამინ ფრანკლინის, თომას ჯეფერსონის წვლილი, რაც აღნიშნულ საკითხზე მათი მსჯელობის მთავარ ნაკლად გვევლინება.

სახელმძღვანელოში დამაჯერებლადაა ნაჩვენები თავისუფლებისათვის ამერიკელი ხალხის ბრძოლაში ჯორჯ ვაშინგტონის და ბენჯამინ ფრანკლინის დამსახურება. მათი მოღვაწეობისადმი ავტორების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი გასაღები მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ეს უმთავრესად ორი გარემოებით იყო განპირობებული. ისინი ჯ. ვაშინგტონის და ბ. ფრანკლინის საქმიანობას სიმპათიებით ეკიდებოდნენ და მათში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, ეროვნულ გმირებს ხედავდნენ. ჯ. ვაშინგტონის და ბ. ფრანკლინის პოლიტიკური კურსი კომპრომისულ ხასიათს ატარებდა, ზომიერებით გამოირჩეოდა და სავსებით შეესატყვეისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ჯ. ვაშინგტონის და ბ. ფრანკლინის მოღვაწეობის მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერია და ამ საკითხზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს, მაგრამ მათი მოღვაწეობის რომანტიზირება, რაც, შესაძლოა, შეიმჩნევა სახელმძღვანელოში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ჯ. ვაშინგტონის და ბ. ფრანკლინის მოღვაწეობის შეფასების დროს დ. უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ

პოზიციებზე დგას და მათ, როგორც ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს ქებით მოიხსენიებს.

ომის მსვლელობაში გარდატეხა დიდად განაპირობა საერთაშორისო მხარდაჭერამ. „ევროპის საზოგადოების თანაგრძნობა თანდათან ამერიკელთა სასარგებლოდ იცვლებოდა. საფრანგეთი, რომელმაც ინგლისთან ომის დროს ძალიან ბევრი ახალშენი დაკარგა, პირდაპირ ამერიკას მიემხრო და ვაშინგტონს დიდი სამსახური გაუწია. საფრანგეთს მიჰყვა ისპანიაც. ხოლო დანარჩენმა სახელმწიფოებმა რუსეთის მეთაურობით „შეიარაღებული ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს“ (8. 28-29) სასურველი იყო ამ საქმეში ფრანკლინის წვლილის აღნიშვნა.

საუბრობს 1777 წელს სარათოგთან და 1781 წელს იორკენითან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებებზე, მაგრამ თარიღებს არ მიუთითებს. სახელმძღვანელოს თარიღებით გადატვირთვა არ ვარგა, მაგრამ არც მათი მთლიანად გვერდის ავლა შეიძლება. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. საჭიროა დაბალანსებული მიდგომა. აქ, უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ვინაიდან ის საუბრობს ამ მოვლენებზე, კარგი იქნებოდა თარიღის მითითება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოტა მშრალი მსჯელობა ხომ არ გამოდის!?

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის დასასრულს ისინი საუბრობენ ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციიაზე. (8. 28-29). 1787 წლის კონსტიტუციის დადებითი შეფასება სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, სწორი და მისაღებია. მათი სიმპათიების გასაღები მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. 1787 წლის კონსტიტუცია შეესატყვისებოდა ავტორების პოლიტიკურ იდეალს. დ. უზნაძე, როგორც ლიბერალი, 1787 წლის კონსტიტუციისა და საერთოდ ამერიკული დემოკრატისადმი კეთილგანწყობილი ჩანს. და, შესაძლოა, მას ცოტათი შელამაზებულად წარმოაჩენდა.

რამდენად ჰქონდათ გაცნობიერებული ავტორებს დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლიური ახალშენების

ბრძოლის ორმაგი მისია – ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური? ხომ არ დაჩრდილა მათ თვალში ამერიკელი ხალხის ბრძოლის ეროვნულმა ხასიათმა მისი სოციალური ასპექტები? თითქოსდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ უნდა იყოს, ზედაპირზე ძევს, მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე როდია. ისინი საუბრობენ „ამერიკელთა ამბოხზე“ (8. 26). ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მათ ორივე ეს ასპექტი ჰქონდა გასიგრძეგანებული? თითქოსდა კი, მაგრამ რეალობა შედარებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. „ამბოხებულ კოლონიებში“, ჩვენი აზრით, ისინი პირველ ყოვლისა, სწორედ, მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს უნდა გულისხმობდნენ და არა სოციალურს. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სოციალური ასპექტები მათ შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად შეიძლება ჰქონოდათ გაცნობიერებული.

დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლა სახელმძღვანელოში განხილულია ინგლისის კოლონიურ პოლიტიკაში. ამგვარი მიდგომა გამართლებულია, მაგრამ, ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა მისი ცალკე გამოყოფა და განხილვა. ამ შემთხვევაში საუპარია ახალი სახელმწიფოს წარმოშობაზე, რომელმაც XIX საუკუნის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ეს მოვლენა, ვფიქრობთ, იმ-სახურებდა ამგვარ მოპყრობას, საგანგებო გამოყოფას.

სახელმძღვანელოში ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია 1787-1860 წლებში, ფაქტობრივად, განხილული არ ყოფილა. ეს იყო ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი მონაკვეთი და სასურველი იქნებოდა ამ თემაზე სახელმძღვანელოში მოკლედ თქმულიყო. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1812-1814 წლის ომს ინგლისთან, რომელსაც ამერიკელი ისტორიკოსები ხშირად „დამოუკიდებლობის მეორე ომს“ უწოდებდნენ. ამიერიდან ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა შეუქცევადი გახდა. ამერიკის კონტინენტი არ შეიძლება გადაიქცეს რომელიმე ევროპული სახელმწიფოს კოლო-

ნიურ დაპყრობათა ობიექტი. ეს ედო საფუძვლად მონროს დოქტრინას. აშშ-მ არ დაუშვა პრეცედენტი, რომ „საღვთო კავშირი“ დახმარებოდა ესპანეთს, ჩარეულიყო სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე პროცესებში. ტერიტორიული გაფართოება ფლორიდის შემოერთება (1818 წ.), ტეხასის შემოერთება (1845 წ.) ომი მექსიკასთან (1846-1848 წ.). არანაკლებ შთამბეჭდავი იყო აშშ-ს ეკონომიკური წარმატებები.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის კიდევ ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც, ბუნებრივია, განიხილებოდა დ. უზნაძისა და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში, იყო სამოქალაქო ომი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის 1861-1865 წლებში.

ამ პრობლემის განხილვა სახელმძღვანელოში მონაკვეთებად არაა დაყოფილი. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ სამთემაზე: ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის გამომწვევი მიზეზები. სამოქალაქო ომის პირველი ეტაპი და ჩრდილოეთის წარუმატებლობის მიზეზები, სამოქალაქო ომის მეორე ეტაპი და რამ გამოიწვია ომის მსვლელობაში გარდატეხა. ამ თემების წინ წარმონევა და განხილვა სავსებით კანონზომიერი იყო და მოსაზღვეებს აღნიშნულ პრობლემებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაში დაეხმარებოდა. ამ კულტურულრეგერულ მისიას ავტორებმა შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. მიზეზედეგობრივ კავშირებზე აპელირება ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარი ღირსებაა.

დავინციონ სახელმძღვანელოში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამოქალაქო ომის წარმოდვრების განხილვით – თემა არის საინტერესო და აქტუალური. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში დამაჯვერებლადაა ნაჩვენები ის დიდი განსხვავება, რომელიც სამრეწველო ჩრდილოეთსა და აგრარულ

სამხრეთს შორის არსებობდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ჩრდილოეთს საკმაოდ მდიდარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი გააჩნდა. ჩრდილოეთი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით გაცილებით უფრო წინ იყო და სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. „ამერიკის შეერთებული შტატები XIX საუკუნის პირველ ნახევარში ორს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილად გაიყო. სამხრეთ შტატების მეურნეობა თუთუნის, შაქრის, ბრინჯის და განსაკუთრებით ბამბის დამუშავებაზე არის დამყარებული... ამიტომ, სამხრეთში პლანტაციური მეურნეობა დამყარდა. მიწის საკუთრებამ მსხვილ მემამულეთა ხელში მოიყარა თავი და მისი დამუშავებისათვის მონების (ნეგრების) შრომით სარგებლობდნენ.

ჩრდილოეთის შტატებში, ევროპის მსგავსად, პურის მოყვანა და საქართველოს მრეწველობა განვითარდა. ყოველგვარ სამუშაოს თავისუფალი მუშახელი ასრულებდა... საწარმოო მასალის სიუხვემ და მცხოვრებლების ენერგიამ საზოგადოებაში ნივთიერი კეთილდღეობა გაავრცელეს“ (8. 211). ცხადია, ამ დაპირისპირებაში სახელმძღვანელოს ავტორების სიმპათიები ეკონომიკურად განვითარებული ჩრდილოეთისკენ უფრო იხრება. აქ ისინი აქცენტს აკეთებენ უფრო პროგრესულ საწყისზე, რაც უპირატესად იმით აიხსნება, რომ ისინი პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე არიან ორიენტირებული. ეს არის სწორი მიდგომა.

მათ მხედველობიდან არ გამოპარვიათ ის დიდი უპირატესობა, რომელიც ჩრდილოეთს გააჩნდა, არა მარტო მატერიალური რესურსის, არამედ ცოცხალი ძალის მხრივ. ჩრდილოეთის მოსახლეობა შეადგენდა 22 მილიონს, ხოლო სამხრეთისა კი 10 მილიონს (8. 212). ყველაფერი ეს წარმოშობდა ილუზიას, რომ ომი სწრაფად დასრულდებოდა ჩრდილოეთის გამარჯვებით, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. დაპირისპირებამ ოთხ წელს გასტანა.

1860 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკელი აბრაამ ლინკოლნი. ამან სამხრეთის

შტატების მესვეურები ძალიან ჩააფიქრა. მონათმფლობელები კარგავდნენ თავიანთ ჰეგემონიას ფედერალურ მთავრობაში. ინიციატივა მონობის გავრცელების მოწინააღმდეგების ხელში გადადიოდა. ამას მოჰყვა სამხრეთის შტატების მყისიერი რეაქცია. ისინი გამოეყვნენ ჩრდილოეთს და ცალკე კონფედერაცია ჩამოაყალიბეს. მისი დედაქალაქი იყო რიჩმონდი, ხოლო პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ჯეფერსონ დევისი. „1860 წელს პრეზიდენტად აპრაამ ლინკოლნი აირჩიეს, რომელიც სამხრეთელებისათვის ყოველგვარი დათმობის წინააღმდეგი იყო. შვიდმა შტატმა განაცხადა, რომ ის კავშირიდან გამოდიოდნენ. მათ თავისი ცალკე „კონფედერაცია“ შეადგინეს, საკუთარი კონგრესით და პრეზიდენტით (ჯეფერსონ დევისი)“ (8. 212).

სახელმძღვანელოში მოცემულია სამოქალაქო ომის პერიოდიზაცია. ის ორ პერიოდადაა დაყოფილი: პირველი პერიოდია 1861-1863 წლები, როდესაც ინიციატივა სამხრეთელების ხელშია და მეორე 1863-1865 წლები, როდესაც მოხდა ომის მსვლელობაში გარდატეხა და უპირატესობას მტკიცედ დაეუფლა ჩრდილოეთი. მათ შორის წყალგამყოფად გვევლინება 1863 წლის ივლისში გეტინსბერგთან მომხდარი ბრძოლა. „ომის მსვლელობის ხასიათი მას შემდეგ შეიცვალა, რაც 1863 წელს გეტინსბერგთან სამი დღის ბრძოლის შემდეგ გენერალმა მიღმა უკან დაახევინა ლის“. (8. 213).

სახელმძღვანელოში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ თავდაპირველად ინიციატივას სამხრეთის შტატები დაეუფლნენ, რასაც დიდად შეუწყო ხელი გენერალ ლის არმიის მიერ მოპოვებულმა ნარმატებებმა. რით იყო გამოწვეული ჩრდილოეთის შტატების წარუმატებლობა? ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი და გააჩნდა თავისი მიზეზები. „მის წესწყობილებაში ადგილი არ ჰქონია იმ ძალდატანებით საშუალებებს, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები ჰქონიან თავის სამხედრო ძალას. არც რეკუტის მოკრება არსებობდა, არც საყოველთაო სამხედრო ბეგარა, და არც ძლიერი, ცენტრალური მთავრობის ხელმძღვანელობა“ (8. 213). პრიორიტეტი ჩრდილოეთის შტატების წარუმატებლობის ახსნის საკითხ-

ში სამხედრო ფაქტორებს ხომ არ ენიჭება? მარცხს უპირატესად პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად ჩრდილოეთი ომს ანარმოებდა კონსტიტუციურ ფარგლებში. მთავარ მიზნად მიიჩნეოდა არა მონობის მოსპობა, არამედ კავშირის აღდგენა. ომის წარმოების ამ ფორმამ სრული წარუმატებლობა განიცადა. (9. 10. 11).

მკვეთრი გარდატეხა, როგორც წაჩინებია სახელმძღვანელოში, მოხდა 1863 წლის ივლისში გეტინსბერგთან ბრძოლის შემდეგ. ინიციატივა მტკიცედ იგდეს ხელთ ჩრდილოეთის შტატებმა, რასაც საფუძვლად ედო ჩრდილოეთის შტატების მდიდარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. ძირფესვიანად შეიცვალა სამხრეთის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა. მან რევოლუციური ხასიათი მიიღო. რით იყო გამოწევული ასეთი მეტამორფოზი? შეიძლება ითქვას, რომ მათ დამაჯერებლად გვიჩვენეს სამოქალაქო ომის მსვლელობაში მომხდარი გარდატეხის გამომწვევი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მიზეზები, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. ხოლო სოციალური ფაქტორისადმი შედარებით გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი გარდატეხას ომის მსვლელობაში, იყო პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნის მიერ განხორციელებული ორი ღონისძიება. 1862 წელს მიიღეს კანონი „ჰომსტედების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით, ყველა ამერიკელს, ვისაც მიწის დამუშავების სურვილი და შესაძლებლობა ექნებოდა, შეეძლო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში აღღო მიწის ნაკვეთი – ჰომსტედი.

მეორე, 1863 წლის 1 იანვრიდან ზანგები მონობისაგან თავისუფლდებოდნენ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მთავრობის მომხრეთა რიცხვის ზრდა ამის ლოგიკური შედეგი იყო. (9. 256. 10. 158. 11).

1863 წლის ივლისში გეტინსბერგთა ბრძოლაში გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩრდილოეთის ჯარების ხელში აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულების რე-

გიონი. მდინარე მისისიპის ქვემო წელი. კონფედერაციის დასავლეთი რაიონები იზოლირებული იქნა. ეს შესამჩნევად აადვილებდა სამხედრო ოპერაციების შემდგომ წარმართვას. „1864 და 1865 წლების განმავლობაში სასწორი საბოლოოდ ჩრდილოეთისაკენ გადაიხარა, ხოლო როდესაც გენერალმა შერმანმა ლის არმიას ზურგიდან შემოუარა, ყველაფერი გათავებულად იქნა მიჩნეული“. (8. 213-214).

სამოქალაქო დაპირისპირებაში სოციალური ასპექტებისადმი გულგრილი დამოკიდებულების კულმინაციად ჰომსტედების კანონისადმი მიდგომა მიგვაჩნია. ჰომსტედების შესახებ კანონზე ისინი კრინგს არ ძრავენ და დუმილით უვლიან გვერდს. (8. 214).

საქართველოში პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის საქმიანობას იმთავითვე მოწონება ხვდა წილად და დადებითი გამოხმაურება მოჰყვა (12. 13). ვფიქრობთ, გაცილებით უფრო მეტი უნდა თქმულიყო პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის კოლორიტულ ფიგურაზე. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ სახელმძღვანელოში პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის მოღვაწეობა გაშუქებულია მშრალად, სქემატურად და გარკვეულ უკმარობის გრძნობას გვიტოვებს. ა. ლინკოლნის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით სწორია. (14. 15).

ამ თემაზე თხრობა სახელმძღვანელოში შეიძლება დაგვესრულებინა 1865 წლის 14 აპრილის პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის მკვლელობით, მაგრამ ისინი ასე როდი იქცევიან. შესაძლოა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ რამდენიმე დღით ადრე სამოქალაქო ომი ჩრდილოეთს და სამხრეთს შორის დასრულდა და ეს ფაქტი სცილდებოდა სამოქალაქო ომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, თუმცა, უდაოდ მისი გამოძახილი იყო და ამის გვერდის ავლა დამაჯერებელი როდია.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული სამოქალაქო ომის ისტორიული მნიშვნელობა. „შედეგი ის იყო, რომ კონსტიტუციის ახალი მუხლის ძალით მონობა მოსპობილი იქნა და სამხრეთი ხელახლა კავშირს დაუბრუნდა.

შეერთებული შტატების მთლიანობა კვლავ აღდგენილ იქმნა“. (8. 214). სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩრდილოეთის გამარჯვებას ისინი სავსებით კანონზომიერად მიაჩინევენ და მასში, პირველ ყოვლისა, ჩრდილოეთის დიდი უპირატესობის ლოგიკურ შედეგს ხედავენ. (13).

ამრიგად, 1861-1865 წლების ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის შეფასების დროს დ. უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დაგას. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება მისი კეთილგანწყობა ჩრდილოეთის შტატებისადმი და შედარებით თავშეკავებული დამოკიდებულება სამხრეთის შტატებისადმი. ის მიესალმება მონობის გაუქმებას, ჩრდილოეთის შტატების წარმატებას, ქვეყნის ერთიანობის აღდგენას. კრინგს არ ძრავს ჰომისტედების შესახებ კანონზე, რაც სამოქალაქო ომის სოციალური ასპექტისადმი გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია.

სახელმძღვანელოში ამერიკის შეერთებული შტატების რეკონსტრუქცია, XIX საუკუნის მიწურულის აშშ-ს ისტორია, ფაქტობრივად ძალიან მკრთალადაა გაშუქებული და მხოლოდ გაკვრით შეეხება 1898 წლის აშშ-ესპანეთის ომს. კარგად აქვს გაცნობიერებული მისი ისტორიული მნიშვნელობა. „ამ უკანასკნელმა მნიშვნელობა მას შემდეგ მიიღო, რაც მან 1898 წელს ისპანიასთან ომი დაასრულა და მისი კოლონიები შემოიერთა“. (8. 223).

დასასრულს შევჩერდებით სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მეთოდურ მხარეზე. სახელმძღვნელოს ამ მონაკვეთს არ აქვს მეთოდური აპარატი, შეკითხვები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და საშუალებას მისცემს მასწავლებელს გამოარკვიოს თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა ახალი მასალა. გამოკითხავს მათ ძველ მასალას. ამგვარი მიდგომა მარტო პავლე ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს გავლენით არ აიხსნება. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და მასში საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდიკის განვითარების გარიურაჟზე არსებული მდგომარეობის ანარეკლი მოჩანს.

* * *

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორი-ის საკვანძო საკითხების გაშუქების დროს აკად. დიმიტრი უზნაძე უმთავრესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული და ძირითად აქცენტს აკეთებდა ამ მოვლენე-ბის პროგრესულ ისტორიულ მნიშვნელობაზე. აკად. დ. უზნაძის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამბოხებული კოლონიები-სადმი და ჩრდილოეთის შტატებისადმი სწორედ ამით აიხსნება. ამგვარი მიდგომა სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის და-საწყისში ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დო-ნეს და პირველ რიგში ევროპული და რუსული ისტორიოგრაფიის, სახელდობრ პ. ვინოგრადოვის წიგნის, კეთილისმყოფელი გავ-ლენის ლოგიკური შედეგია. ეს იმდროინდელი ქართული ისტო-რიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ფაქტობრივად ქართულ რეალობაში ამ თემატიკის გაშუქების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. აკად. დ. უზნაძის წინაშე მეტად მოკრძალებული ამოცანა იდგა და მას მკვეთრად გამოკვეთილი შემეცნებით დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურულრეგერულ მისას მან შეიძლება ითქვას, ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი, სწორედ, ეს იყო. ეს ინფორმაცია კარგად დააკვალიანებდა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში მოსწავლეებს, და მათ აშშ-ს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებ-ზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. ამ მსჯელობის მნიშ-ვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იკვეთება აშშ-ს ახალი ის-ტორიის საკვანძო თემების მეცნიერული გაშუქების კონტურები, წანამძღვრები.

ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პრობ-ლემებით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა მეცნიერულ-მა სიმპტომებმა საქართველოში თავი იჩინა არა საბჭოთა პე-რიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტ-კიცებდნენ საბჭოთა ეპოქაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე,

ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში სუვერენულ საქართველოს რეს-პუბლიკაში. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელო ერთ-ერთი მათგანი გახლდათ. ეს სახელმძღვანელო არ ატარებს მხოლოდ აღნერით, თხრობით ხასიათს და არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. ემპირული მასალის გადმოცემასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას. ეს ძალიან კარგია. სახელმძღვანელოში საქმე გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გადმოცემისა და შეფასების მცდელობასთან, რაც ამ მსჯელობას ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ანიჭებს. დ. უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის სწავლება და პოპულარიზაცია. ამ დარგში მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ახალ დროში აშშ-ს სოციალური ისტორიისადმი გულგრილი დამოკიდებულება ამ თემაზე მათი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1926.
2. გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1933.
3. გრ. ნათაძე, კაპიტალიზმის ისტორიიდან თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია, თბ., 1933.
4. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.

5. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVI-XVII სს.), თბ., 1920.
6. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისთვის – მაცნე, ისტორიის სერია, 2, 1992. მ. კალანდაძე, გрузинские школьные учебники по новой истории – „Преподавание истории в школе“, 7. 1994. კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1. 1992. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007, მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციაზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის IV ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2011.
7. მ. კალანდაძე, ამერიკის აღმოჩენა და ქართული ისტორიოგრაფია – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაკვეთი 2 (10), თბ., 2011.
8. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), თბილისი, 1919.
9. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, ნაკვეთი 3, თბ., 1998.
10. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.
11. Г. Куропатник, Гражданская война в северной Америке, М., 2009.
12. ლინკოლნის მოსაგონებლად – „დროება“, 1867, 7, მონობის გაუქმება შეერთებულ შტატებში, ნეგრების მდგომარეობა – „დროება“, 1866, 7. უთანამოება ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის მონობის საკითხის გამო „დროება“, 1866. 9. აბრაამ ლინკოლნი, ამერიკის ზანგების განმათავისუფლებელი, თარგმნა იასონ ნერეთელმა. თბ., 1897.
13. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შესწავლა საქართველოში – ამერიკის შესწავლის საკითხები, V, თბ., 2008.
14. Р. Иванов, Авраам Линкольн и гражданская война в США, М., 1964.
15. კ. სენდბერგი, ლინკოლნი, თბ., 1966.

თავი III

ალექსალო ნამორაძე – აშშ-ის ახალი ისტორიის საქვანძო საქითხების პრაულარიზაციის მესამირკაცლე

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ერთ-ერთი დამსახურება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერულ სწავლებასა და პოპულარიზაციაში მდგომარეობდა. მისი დაინტერესება ამ თემატიკით, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და უმთავრესად იმით გახლდათ განპირობებული, რომ ამ საკითხებზე მეტად მნირი ლიტერატურა არსებობდა ქართულ ენაზე. პროფ. ალ. ნამორაძე არ იყო ამერიკანისტი. ის საფრანგეთის ისტორიის სპეციალისტი იყო. ასეთი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. მან სცადა შეძლებისდაგვარად შეევსო ის ხარვეზი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიას ამ სფეროში გააჩნდა. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც აღნიშნული პრობლემატიკის შესახებ თითქმის არაფერი იწერებოდა, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მან ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლას სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შესძინა. მან, უმთავრესად, ასახვა პოვა სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევებში.

ჩვენ ვცადეთ საგანგებოდ შეგვესწავლა ამ დარგში ალ. ნამორაძის მიერ შეტანილი წვლილი. ასე მთლიანობაში ეს თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ ყოფილა შესწავლილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ცალკეული საკითხები არ დარჩენილა უყურადღებოდ. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ, პროფ. კოტე ანთაძის რეცენზია ღვაწლმოსილი მეცნიერის წიგნზე „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“., „სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია ამერიკის აღმოჩენის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში. (1. 185-187). ამ საკითხს გაკვრით შეეხო ის აგრეთვე თავის საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევში ალექსანდრე ნამორაძეზე, რომელიც გამოქვეყნდა კრებულში „ქართული ისტორიოგრაფია“. (2. 149-166). ამ დარგში ალ. ნამორაძის მიერ შეტანილი წვლილი ხაზგასმულია ჩვენს მონოგრაფიაში „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. (3. 197-201. და 204-207). ამჯერად, შევეცადეთ ამ მასალისათვის ერთად მოგვეყარა თავი და მიგვენოდებინა მკითხველისათვის. ეს ამ დარგში ალ. ნამორაძის მიერ შეტანილ წვლილზე საერთო წარმოდგენას შეგვიქმნის.

* * *

პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წარმოადგინა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული სწავლება, შესწავლა და პოპულარიზაცია. მან თავისი ძალისხმევა ორი მიმართულებით წარმართა. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაცია და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაცია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ახალი ისტორიის ქრესტომათიის შე-

ქმნის მცდელობა, სადაც, ბუნებრივია, ამერიკის ახალი ისტორიის ამსახველ წყაროებს სათანადო ყურადღება დაეთმობოდა. მისი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მონოგრაფია „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“, რომელიც გამოვიდა 1961 წელს, ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ და საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქზე ბერჯამინ ფრანკლინზე, რომლის გამოცემა მას ვერ მოუხერხებია, და ამ ნაშრომის კვალს არქივში გადავაწყდით.

ქართულ საზოგადოებას ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში პროფ. ალ ნამორაძის წვლილზე შედარებით ბუნდოვანი ნარმოლგენა აქცს, რაც, ძირითადად, იმით აიხსნება, რომ ამ თემაზე ალ ნამორაძის შრომების დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. მან მხოლოდ ერთი ნაშრომის გამოქვეყნება შეძლო და ისიც 1961 წელს ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. დანარჩენი შრომების კვალს არქივში გადავაწყდით და შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში.

პროფ. ალ ნამორაძე, ცხადია, დიდ ყურადღებას აქცევდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე არსებულ წყაროებს. მათი ცოდნის გარეშე ისტორიას ვერ დაწერ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ახალი ისტორიის ქრესტომათის გამოცემის მცდელობა, სადაც, ბუნებრივია, სათანადო ადგილი დაეთმობოდა ამ ეპოქის აშშ-ს ისტორიის ამსახველ პირველწყაროებს. ეტყობა, ალ ნამორაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა ახალი ისტორიის ქრესტომათის გამოცემა და ამისათვის აგროვებდა მასალებს. მას უზარმაზარი შავი სამუშაო ჩაუტარებია, რომლის კვალსაც ღვაწლმოსილი მეცნიერის არქივში გადავაწყდით და შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. (4). მაგრამ უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მას ამ ნამოწყების ბოლომდე მიყვანა ვერ მოუხერხებია და ახალი ისტორიის ქრესტომათია ვერ გამოუცია. საქმე ისაა, რომ 30-იანი წლების შუა ხანებში მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამიერიდან

ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან. ამიტომ ამერიკის ახალი ისტორიის, წყაროთმცოდნების სფეროში პროფ. აღ. ნამორაძის მთავარ დამსახურებად ახალი ისტორიის ქრესტომათის გამოცემის მცდელობა მიგვაჩნია. ნუ დავუკარგავთ ამ გარჯას ღვაწლმოსილ მეცნიერს.

* * *

პროფ. აღ. ნამორაძის წიგნი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“, როგორც უკვე ითქვა, 1961 წელს, ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. ფაქტობრივად, ის წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ ნაშრომს ქართულ ენაზე, რომელიც საგანგებოდ შექება კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას. (1. 185. 2. 161). ეს ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და, უწინარესად, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნული საკითხის მეცნიერული დამუშავების პრიორიტეტი, სწორედ, აღ. ნამორაძეს უნდა მიენიჭოს. მანამდე ამ საკითხით დაინტერესება უმთავრესად პოპულარულ ხასიათს ატარებდა და სასკოლო სახელმძღვანელოებით და პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის სფეროთი შემოიფარგლებოდა.

ეს სერიოზული, ერთდროულად ისტორიული და გეოგრაფიული გამოკვლევა პროფ. აღ. ნამორაძის ღრმა განსწავლულობისა და დიდი ერუდიციის კიდევ ერთი ნიმუშია. პროფ. აღ. ნამორაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამრთულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი და შეძლო „თითქმის ერთნაირი ვირტუოზულობით გაეშუქებინა თავისი წიგნის უმთავრესი პრობლემის ეს ორივე (ე. ი. ისტორიული და გეოგრაფიული – მ. კ.) მხარე“ (1. 185. 2. 161.)

პროფ. აღ. ნამორაძის წიგნი „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევია. (ვ. 197). აღ. ნამორაძის ეს ნაშრომი, რა თქმა უნდა, სავსებით ამართლებდა თავის და-

ნიშნულებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოში მსოფლიო ისტორიის, სახელდობრ კი, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის, ფართო საზოგადოებისათვის გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში.

უნდა ითქვას, რომ ალ. ნამორაძე ჩინებულად ფლობდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომების დაწერის ოსტატობას. ის საქართველოში მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო პოპულარიზატორი პრძანდებოდა. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის კიდევ ერთ დამსახურებად გვევლინება. ეს წიგნი, პირველ ყოვლისა, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტებს, რადგან მსოფლიო ისტორიის საკითხებზე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა თითქმის არ მოიპოვებოდა. ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევის „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ მეცნიერულ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი ლირებულება განსაზღვრავს. „წიგნი დაწერილია გამართული ქართული ენით. ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. ყურადღებას იპყრობს შენიშვნების ძალიან მოხერხებული გამოყენება. შენიშვნების ერთი წყება განმარტებითი ხასიათისაა და განკუთვნილია რიგითი მკითხველისათვის ნაშრომის გაგების გასაადვილებლად. მეორე წყება კი, ეხება იმ სადაც და სპეციფიკურ საკითხებს, რომელიც საინტერესოა ისტორიკოსთა და გეოგრაფთა ვიწრო წრისათვის. მათი შეტანა უშუალოდ ძირითად ტექსტებში დაამძიმებდა ნაშრომს და არ იქნებოდა წიგნის მიზანდასახულობის შესატყვისი“ (1. 185. 2. 162).

ნაშრომში გამოიჩინა და ყურადღებას იპყრობს სამი ნაწილი. პირველ ნაწილში აღწერილია დასავლეთ ევროპის ვაჭრობა, მრეწველობა და სავაჭრო გზები ამერიკის აღმოჩენამდე. წარმოჩენილია ახალი საზღვაო გზების ძიების მიზეზები, კოლუმბის მოგზაურობის გეგმის წარმოშობა და მისი უცილობელი განხორციელების წინაპირობები.

მეორე ნაწილში მოცემულია მცირე ცნობები კოლუმბის პიროვნებაზე, განხილულია მისი საქმიანობა პორტუგალიასა და ესპანეთში. დეტალურად არის გადმოცემული კოლუმბის და მის თანამედროვეთა მოგზაურობანი და გეოგრაფიული აღმოჩენები დასავლეთის ნახევარსფეროში. ვრცლად არის საუბარი კოლუმბის უკანასკნელ დღეებზე და სახელწოდება „ამერიკის“ წარმოშობაზე.

მესამე ნაწილში მოთხრობილია კონკისტადორთა გამოჩენა, ინდიელთა შევიწროვება, ამერიკის აღმოჩენის მნიშვნელობა და შედეგები.

განსაკუთრებით გულსატკენია ის გარემოება, რომ ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ნაწილი, სადაც საუბარია ამერიკის მკვიდრ მოსახლეობაზე კოლუმბის ჩასვლამდე, ალ. ნამორაძის საავადმყოფოში ყოფნის დროს სადღაც გაიბნა და დაიკარგა. (1. 185. 2. 161-162.)

ნაშრომის სტრუქტურის, არქიტექტონიკის შემდგომი სრულყოფა ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია მონაკვეთი დასავლეთ ევროპის ვაჭრობა, მრეწველობა და სავაჭრო გზები ამერიკის აღმოჩენამდე (წინასწარი შენიშვნები) (5. 3-15). ეს თემა საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი ჩანს და, ჩვენი აზრით, ზედმეტია. საკმარისი იქნებოდა ამ საკითხის ძალიან მოკლედ გადმოცემა.

წიგნში საუბარია იმ მიზეზებზე, რომელიც საფუძვლად ედო ახალი საზღვაო გზების ძიებას. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ არა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები – იტალია, საფრანგეთი, ინგლისი – არა-მედ შედარებით ჩამორჩენილი სახელმწიფოები – ესპანეთი და პორტუგალია. ავტორი დასძენს, რომ ყველაფერი ეს იყო კანონზომიერი. საქმე ისაა, რომ იტალია ნაკლებად იყო დაინტერესებული ახალი საზღვაო გზების ძიებით. მათვის ხმელთაშუა ზღვის და ლევანტით ვაჭრობა სავსებით მომგებიანი იყო. ამიტომ ლოგიკურია, რომ ახალი საზღვაო გზების ძიების მთავარ ინიციატორად პორტუგალიელები და ესპანელები მოგვევლინენ, რომლებ-

საც ახალი ტერიტორიები დიდ მოგებას უქადდა და მოპოვებული სიმდიდრის წყალობით წელში გაიმართებოდნენ. (5. 20-21). ნათქ-ვამია, რომ პორტუგალიის საზღვაო ძლიერების მესაძირკვლე-ენრიკ მეზღვაური მოგვევლინა, ხოლო ესპანეთის სინამდვილე-ში ახალი საზღვაო გზების ძიების მოთავე დედოფალი იზაბელა და მისი მეუღლე ფერდინანდი იყვნენ. (5. 21-25). აქ გაპარულია ერთი ფაქტობრივი უზუსტობა, რომელსაც პირველად ყურადღე-ბა მიაქცია პროფ. კ. ანთაძემ. საქმე ისაა, რომ ფერდინანდისა და იზაბელას ქორწინება შედგა არა 1479 წელს, როგორც ამას ალ. ნამორაძე მიუთითებს, არამედ ათი წლით ადრე 1469 წელს, ხოლო 1479 წელს მოხდა არაგონის და კასტილის გაერთიანება, როდესაც უფლისწული ფერდინანდი მეფე გახდა. (5. 23. 1. 185.). ფაქტობრივი გადაცდომები პროფ. ალ. ნამორაძისათვის, როგორც მკვლევარი-ისტორიკოსისათვის, დამახასიათებელი არ ყოფილა, და, შესაძლოა, ეს უბრალო კორექტული შეცდომაა.

თუ ახალი საზღვაო გზების ძიების საქმეში იტალიის პოზიცია მკაფიოდაა გამოკვეთილი, ინგლისზე და საფრანგეთზე ამას ვერ ვიტყვით. ამ კუთხით საკითხი შედარებით სუსტადაა გაშუქებუ-ლი. საქმე ისაა, რომ საფრანგეთი შარლ VIII დროს ჩაბმული ალ-მოჩნდა იტალიურ ომებში (1494-1559) და ამიტომ შეიძლება მისი ყურადღება დროებით ჩამოშორდა ახალი საზღვაო გზების ძიებას. ხოლო რაც შეეხება ინგლისს, აქ საქმე გაცილებით უფრო რთუ-ლადაა. დასრულდა ალისფერი და თეთრი ვარდების ომი (1455-1485). ტახტზე ავიდა ახალი თიუდორთა დინასტია. მისი პირველი ნარმომადგენელი იყო ჰენრი VII (1485-1509). აღსანიშნავია, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა გამდიდრების სხვა გზა აირჩიეს. მათ XVI საუკუნეში უზარმაზარ მოგებას აძლევდა ზღვაზე მეკობრეო-ბა. (6. 7).

ნიგნში გაკვრით არის საუბარი ტექნიკურ აღმოჩენებზე, კონკ-რეტულად კი კომპასის გამოგონებაზე. (5. 31-32). რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა. სასურველი იყო ამ თემის კიდევ უფრო გაშლა.

თითქმის დღემდე აქტუალურად რჩება საკითხი თუ როგორ მოუვიდა აზრად კოლუმბს დასავლეთის გზის ძიების იდეა. საეჭვო არაა, რომ კოლუმბი იცნობდა მარკო პოლოს თხზულებას. ძლიერი გავლენა მოახდინა მასზე აგრეთვე ფრანგი ეპისკოპოსის პიერ დალის თხზულებამ „სამყაროს სარკე“ . ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას სამყაროს სფეროსებურობის შესახებ. რატმოლაც კოლუმბის შეხედულებებზე დალის თხზულების შესაძლო გავლენაზე ალ. ნამორაძე დუმს. ბევრი ფიქრობდა, რომ კოლუმბს ეს იდეა მიაწოდა მისმა თანამემამულემ ფლორენციელმა ტოსკანელიმ, თუმცა ამერიკელი მეცნიერი ვინიო ყველაფერს ამას შეთხზულ ამბად მიიჩნევს. (8. 91-92). ადვილი შესაძლებელია, რომ დასავლეთის გზის იდეა კოლუმბს დაბადებოდა თავისით, იმ დროს არსებულ კოსმოგრაფიული და გეოგრაფიული გამოკვლევის გაცნობის შედეგად. (5. 26-32.).

დღემდე ბუნდოვანი რჩება და მეცნიერებს შორის ცხარე კამათს იწვევს რა იყო კოლუმბის აღმოჩენა. XVIII საუკუნის ფრანგი გეოგრაფის უან ანვალის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო „უდიდესი შეცდომა, რომელმაც უდიდეს აღმოჩენამდე მიგვიყვანა“. (9. 6.) თუ კოლუმბმა ყველაფერი კარგად იცოდა. ამ თემას თავისი რომანტიკული ხილი აქვს და სასურველი იქნებოდა ამ რაკურსში საკითხის განხილვა. მით უმეტეს, რომ 60-იან წლებში, როდესაც გამოიცა ალ. ნამორაძის წიგნი, ამ თემაზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იყო დაწერილი. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ კოლუმბი არ იყო პირველი, რომელმაც ახალი კონტინენტი აღმოაჩინა, მაგრამ ყველა კოლუმბამდელი ექსპედიცია ნაადრევი აღმოჩენების რიცხვს მიეკუთვნებოდა და სათანადო რეზონანსი არ მოჰყოლია. დავა იმის თაობაზე, იყო თუ არა კოლუმბი ამერიკის პირველადმომჩენი, ღია კარის მტვრევად მიგვაჩინია. კოლუმბს სახელი გაუთქვა არა ახალი სამყაროს აღმოჩენამ, არამედ მისი კოლონიალიზაციის დასაწყისმა.

ალ. ნამორაძის წიგნის – „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ – ყველაზე უფრო წონად ნაწილს მეორე მონაკვეთი წარმოადგენს, რომელიც შეეხება მთავარ თემას კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას. ის პირობით ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. კოლუმბის მოგზაურობის წინაისტორია და კოლუმბის მიერ ახალ სამყაროში მოგზაურობა.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთი საუკუნის მანძილზე მეცნიერებ-მა კოლოსალური შრომა გასწიეს კოლუმბის ცხოვრების და მოღვაწეობის დადგენის საქმეში და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას, მაინც უნდა ითქვას, რომ ჩრდილი ჭარბობს სინათლეს. ალ. ნამორაძე აღნიშნავს იმ სირთულეებს, რომელიც არსებობს კოლუმბის ბიოგრაფიის შესწავლის დროს. 1492 წლამდე მისი ბიოგრაფია ნისლითაა მოცული და მეცნიერები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ წინ. „ეს გარემოება ამა თუ იმ ბიოგრაფს საშუალებას აძლევდა შეემკო კოლუმბი მრავალგვარი ლეგენდარული თქმულებით, ფანტასტიკურად წარმოედგინა იგი. დაკვირვებული მკითხველი კი, ამის შესახებ ნამდვილ ცნობებს მოითხოვს. მას კოლუმბის ნამდვილი სახე აინტერესებს, მაგრამ ამისათვის მცირე დოკუმენტური მასალა მოიპოვება“. (5. 33-34). შეიძლება ითქვას, რომ კოლუმბის ბიოგრაფიის გაწმენდა ლეგენდებისა და მითებისაგან სულაც არ აღმოჩნდა ადვილი საქმე და მეცნიერებისაგან საქმაო დრო და ძალისხმევა მოითხოვა. მიუხედავად ამისა XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ალ. ნამორაძის წიგნი გამოვიდა ზოგიერთი გარემოების დაზუსტება მაინც მოხერხდა. მეცნიერების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქრისტეფორე კოლუმბი დაიბადა გენუაში 1451 წლის 29 ოქტომბერს. სისტემატური განათლება არ მიუღია. წიგნში ძალზე ლაკონურად, ზოგადად, არის მიმოხილული ლიტერატურაში კოლუმბზე გამოთქმული შეხედულებები და ხაზგასმულია, რომ კოლუმბის გაიდეალება, განდიდება გადაჭარბებული იქნებოდა. სხვათა შორის, ასეთი გმირული შარავანდედით მოსილი წარმოგვიდგება ის იტალიურ ტელესერიალში, რომელიც გამოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. კოლუმბის

მეხოტბეთა შორის უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ფენიმორ კუპერი და ამერიკელი საზღვაო ისტორიკოსი ს. მორისონი. ფაქტობრივად, ის კრინტს არ ძრავს კოლუმბის მოწინააღმდეგებზე, რომლებიც დიდი ზღვაოსანის სახელს უმთავრესად აუგად მოიხსენიებენ და მინათან ასწორებდნენ. მათი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია რუსი მწერალი ზინაიდა შიშოვა. ეს არის მეორე ჯგუფი. მესამე ჯგუფი კი ცდილობს გამოქვებნოს ოქროს შუალედი, „ობიექტური იყოს მის შეფასებაში და აღნიშნოს მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები“. (5. 37). ეს მიმოხილვა მეტად ზოგადია, მაგრამ საინტერესოა და შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. რომელ პანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ პროფ. ალ. ნამორაძე? ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა თუ მას მესამე ჯგუფში მოვიაზრებდით. ეს იყო საკითხისადმი სწორი მიდგომა, რომელიც პროფ. ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიის „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ ერთ-ერთ მთავარ ღირსებად გვევლინება.

გერმანელმა მწერალმა პაულ ვერნერ ლენგემ, რომელმაც დაწერა საინტერესო წიგნი გამოჩენილ ზღვაოსანზე, ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებას: კოლუმბი დასავლეთის გზისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩინდა 1479 წლის შემდეგ. (10. 17).

წიგნში საუბარია კოლუმბის პორტუგალიაში ჩასვლაზე. ეს იყო მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი. სამწუხაოდ, უნდა ითქვას, რომ კოლუმბი ამაოდ დაშვრა. მასსა და პორტუგალიის მეფე ჟუან II შორის მოლაპარაკება საზღვაო ექსპედიციის მოწყობის თაობაზე უშედეგოდ დასრულდა. რით იყო გამოწვეული პორტუგალიელთა უარი? ამ თემაზე ალ. ნამორაძის მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას როდი გვიქმნის. „კოლუმბს ერთ დროს პორტუგალიის მეფისთვის უთხოვნია დახმარებოდა მას ექსპედიციის მოწყობაში, მაგრამ დღემდე გამოუკრვეველი რჩება როდის მიმართა კოლუმბმა პორტუგალიის მეფეს ჟუან II თავისი გეგმითა და თხოვნით. მეფეს მისი გეგმა კომისიისთვის გადაუცია.

... კოლუმბს გეგმის შესრულებისათვის დიდი ანაზღაურება მოუთხოვია. მეორე მხრივ, კომისიას განუხორციელებლად უცვნია მისი გეგმა. ამ ნიადაგზე პორტუგალიის მეფეს უუან II-ს უარი უთქვამს კოლუმბისათვის დახმარების აღმოჩენაზე“ (5. 42). ჩვენ მიერ უკვე ნახსენები გერმანელი მწერლის პაულ ვერნერ ლენგეს აზრით, პორტუგალიელთა უარი ორი გარემოებით იყო განპირობებული. ჯერ ერთი, კოლუმბის გეგმა ძალზე სარისკო იყო და მეორეც, პორტუგალიელებს იმედი ჰქონდათ, რომ აფრიკის შემოვლით მიაღწევდნენ მიზანს. (10). თუ არა ეს ფაქტი, უნდა ვივარაუდოთ, რომ პორტუგალია დათანხმდებოდა კოლუმბს, რაც არ უნდა დიდი ანაზღაურება მოეთხოვა მას. ასე რომ, საქმე მარტო ანაზღაურებაში არ იყო. (9. 6. 11. 14-15. 12. 91.)

იმედგაცრუებული კოლუმბი ტოვებს პორტუგალიას და მეზობელ ესპანეთს მიაშურა. მას მთელი შვიდი წელი დასჭირდა, რათა დაერწმუნებინა ესპანეთის სამეფო კარი დასავლეთით საზღვაო ექსპედიციის მოწყობის აუცილებლობაში. მოლაპარაკების ამდენხანს გაჭიანურება შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანნილად იმით იყო გამოწვეული, რომ ესპანეთი იბრძოდა მავრების წინააღმდეგ. ფრიად სიმპტომატურია, რომ როგორც კი დამთავრდა რეკონკისტა, 1492 წლის 2 იანვარს გაათავისუფლეს გრანადა. ესპანეთის სამეფო კარმა მაშინვე მიაპყრო ყურადღება კოლუმბის გეგმებს. სხვათა შორის, მისი ძმა ბართლომეო იმავე ხანებში ამაოდ ცდილობდა დაეყოლიებინა ინგლისი და საფრანგეთი. (5. 44-52.).

1492 წლის 17 აპრილი კოლუმბის ცხოვრებაში მნიშვნელოვან წიშანსვეტად გვევლინება. საქმე ისაა, რომ შვიდი წლის წვალების და დავიდარაბის შემდეგ კოლუმბმა როგორც იქნა მიაღწია მიზანს და ამ დღეს სანტა-ფეში დაითანხმა დედოფალი იზაბელა დასავლეთით ექსპედიციის მოწყობაზე. კოლუმბს ახლა შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა. საინტერესოა, რით იყო განპირობებული დედოფალ იზაბელას ასეთი მკვეთრი შემობრუნება? ზოგიერთი ავტორი, მათ შორის, ვფიქრობთ, პროფ. ალ. ნამორაძე, მთლად

დამაჯერებელი როდია ამ მეტამორფოზის ახსნისას. (5. 54-55. 10. 9. 11. 12.).

აღსანიშნავია, რომ მოვლენათა ასეთი მსვლელობა იმდე-ნად მოულოდნელი იყო, რომ წარმოიშვა რომანტიკული ვერსია, თითქოს კოლუმბმა შეძლო ესპანეთის დედოფლის გულის მოგე-ბა და მასთან სასიყვარულო რომანი გააპა. იზაბელას საქციელი, პირველ რიგში, განპირობებული იყო ანგარიშით, წმინდა პრაგ-მატიზმით. ცხადია, მას ნაკლებად სჯეროდა კოლუმბის დაპირე-ბების და პროექტის, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის გაცილებით უფრო წინდახედული და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, ვიდრე ინგლისისა და საფრანგეთის მეფეები. იზაბელას დასაკარგი არაფერი ჰქონდა. წარმატების შემთხვევაში კი მოიგებდა ძალიან ბევრს. ამიტომ მან მიზანშენონილად სცნო, რომ რისკის განევა ამ შემთხვევაში ღირდა. (13. 351-352). აქვე გვინდა დავძინოთ, რომ იზაბელას ეს ნაბიჯი გარდა წმინდა პრაგმატიზმისა განპირობებუ-ლი იყო ობიექტური ისტორიული რეალობით. დასრულდა რეკონკ-ისტა და თუ კოლუმბის ექსპედიცია წარმატებას მიაღწევდა, ეს-პანეთის თავადაზნაურობას საქმე გაუჩნდებოდა. სხვათა შორის, შემდგომში ეს ასეც მოხდა. გაიხსენეთ კონკისტა.

პროფ. ალ. წარმორამის წიგნის ერთ-ერთ ლირსებად დედოფალ იზაბელას მოღვაწეობისადმი გაწონასწორებული მიდგომის მცდე-ლობა მიგვაჩნია. აქ არ იგრძნობა არც მისი უსაზღვრო განდიდე-ბა, იდეალიზაცია და არც გულგრილი დამოკიდებულება, მისი მოღვაწეობის შეუფასებლობა. (5. 47). ის კარგად აცნობიერებს როგორც მის პლიუსებს, ისე მინუსებს. ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ის ცდილობს დაიკავოს შუალედური პოზიცია. პოზიტივზე კიდევ უფრო მეტ აქცენტირებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ უპირატესად იდეოლოგიური მოსაზრებებით მოერიდა. იგი აღიარებს ფერდინანდის და იზაბელას დამსახურებას ესპანეთის გაერთიანებისა და მავრების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამას აკეთებს ძალიან ფრთხილად, მოზომილად და ანგარიშს უწევს გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდე-ოლოგიის მონოპოლიას, დიქტატს. (5. 46).

ნიგნში დეტალურადაა განხილული კოლუმბის პირველი (1492-1493) და მეორე (1493-1494) მოგზაურობა. (5. 62-84 და 84-96). ნაშრომის ეს მონაკვეთი უპირატესად თხრობით ხასიათს ატარებს და სასიამოვნოდ იკითხება. 1492 წლის 3 აგვისტოს კოლუმბის ხომალდებმა დატოვეს ესპანეთის სანაპირო და გაუდგნენ ხანგრძლივ, შორეულ და სახიფათო მოგზაურობას. ორთვენახევარი ცურვის შემდეგ 12 ოქტომბერს შუაღამის 2 საათზე გემ „პინტას“ მეზღვაურმა როდრიგო ტრიანამ ბოლოს და ბოლოს დაინახა მინა. ეს იყო ბაგამის კუნძულების ჯგუფი, რომელსაც სან-სალვადორი უწოდეს. (14). 1493 წელს კოლუმბი ესპანეთში დაბრუნდა და იმავე წლის შემოდგომაზე მეორედ გაემგზავრა. (14).

შემდეგი სიუჟეტი კოლუმბის თანამედროვე მოგზაურთა აღმოჩენები საინტერესოა და წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ავტორი მკითხველს შეახსენებს იმ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასახყისში. (5. 113-134). ამ თემაზე ყურადღების გამახვილება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და, უნინარესად, ინგლისელი სწავლულის ჯ. ბეიკერის თხზულების გავლენის ლოგიკური შედეგია. შესაძლოა, მას ეს საკითხი საერთოდ არ შეეტანა თავის ნაშრომში, მაგრამ ის ასე არ მოიქცა. ალბათ, სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა დედამიწის ირგვლივ მაგელანის მოგზაურობას (1519-1521). მას სულ ერთი გვერდი აქვს დათმობილი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და ფაქტის კონსტანტაციის ტოლფასად მიგვაჩნია. ამგვარი დამოკიდებულებით ხომ არ ვაკინებთ მაგელანის ექსპედიციის ისტორიულ მნიშვნელობას? (5. 134. 15. 16. 17. 18).

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილი-ყო პროფ. გ. გეხტმანის წიგნი, რომელიც ქართულ რეალობაში ამ საკითხების განხილვის პირველ მცდელობას წარმოადგენდა. ძნელი საფიქრებელია, რომ ის არ იცნობდა გ. გეხტმანის ამ ნაშრომს. წინამორბედების წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ალ. ნამორაძისთვის როგორც მკვლევარი ისტორიკოსისათვის

დამახასიათებელი არ ყოფილა. ეს გადაწყვეტილება გაკვირვებას იწვევს და მოულოდნელად მიგვაჩინია.

ამის შემდეგ აღ. ნამორაძე განიხილავს კოლუმბის მესამე (1498-1500) და მეოთხე (1502-1504) მოგზაურობას. მესამე მოგზაურობა იმითაა აღსანიშნავი, რომ 1498 წელს კოლუმბი მიუახლოვდა სამხრეთ ამერიკის კონტინენტს. (5. 139-155 და 156-166).

პორტუგალიელების მიერ ინდოეთისაკენ მიმავალი გზის აღმოჩენამ თავისი კვალი დაამჩნია კოლუმბის ცხოვრების ბოლო წლებს. ეს ადვილი გასაგებიცაა. მისი ძვირი და ჯერჯერობით სარფიანი ექსპედიციები ნამდვილად ვერ გაუტოლდებოდა პორტუგალიელთა მოგზაურობას. ამან კი კოლუმბის მოშურნეებს ფართო ასპარეზი შეუქმნა. კოლუმბი დაავადდა და თავისი ცხოვრების ბოლო წლები სიღატაკეში გაატარა. ის გარდაიცვალა 1506 წლის 20 მაისს. (5. 167-174).

აღ. ნამორაძის ნაშრომის მეორე მონაკვეთის ბოლოს საინტერესოდაა მოთხრობილი სახელწოდება „ამერიკის“ ნარმოშობაზე. აქ გატარებულია იმ დროს მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისი რომლის თანახმად, სახელწოდება „ამერიკა“ დაკავშირებულია იტალიელი მოგზაურის ამერიგო ვესპუჩის სახელთან. მან პირველმა გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ტერიტორია იყო ახალი კონტინენტი. (5. 172-174). 1507 წელს ვალდზემიულერმა ახლად აღმოჩენილ მატერიკს „ამერიკა“ უწოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ უახლეს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვა საინტერესო ჰიპოთეზები. ბოლო ხანებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ფრანგი მეცნიერის ჟ. მარკეს ვარაუდი, რომ ტერმინი „ამერიკა“ ადგილობრივი ნარმოშობისაა. ესპანელთა კითხვაზე თუ საიდან აქვთ ამდენი ოქრო, ადგილობრივი ტომები დასავლეთისკენ იშვერდნენ ხელს და ნარმოთქვამდნენ „ამერიკო“. გულისხმობდნენ ამერიკის ტომებს, რომლებიც კოლუმბამდელი ამერიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. (13. 367-369).

ნაშრომის მესამე მონაკვეთს თან ახლავს რომანტიკული ხიბ-ლი და მასში განხილულია ისეთი საინტერესო თემა, როგორიცაა კონკისტა, ახალი მიწების ათვისება. წიგნის დასასრულს კი საუ-ბარია ამერიკის აღმოჩენის შედეგებსა და მნიშვნელობაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს იყო კონკისტის გაშუქების პირველი სერიოზული მცდელობა ქართულ ისტორიოგრაფია-ში. ის სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ფაქტობრივად ეს არის ამ თემაზე დაწერილი ცალკე საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი. ალ. ნამორაძის წიგნის ეს მონაკვეთი საინტერესოდ იკითხება, დაწერილია იშვიათი გემოვნებით, საკითხისა და ეპო-ქის ღრმა ცოდნით. მისთვის უცხოა კონკისტას შელამაზებულად წარმოჩენის მცდელობა. საუბარია კორტესის მიერ მექსიკის და პისაროს მიერ პერუს დაპყრობაზე. (5. 175-197). კორტესმა და პისარომ ლათინური ამერიკის კოლონიზაციის ახალი ფურცელი გადამალეს. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სამხრეთ ამერიკელი ისტორიკოსები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ეზეიმათ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთვის. მათი შეხედულებით, კოლუმბის აღმო-ჩენამ ადგილობრივ მცხოვრებლებს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა. (19. 69-72. 20. 72-78, 21-22. 78-86. 36-47. 23. 40-46.).

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე, რო-მელიც აღნიშნულ საკითხზე ალ. ნამორაძის მსჯელობის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია. წინამორბედების წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულება ალ. ნამორაძის, როგორც ისტორიკოსისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა. ეტყობა, ის შეცდომაში შეიყვანა საერთო ფონმა, ამ თემაზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ იყო დაწერილი და კარგად არ შეამოწმა. ალბათ ამით აიხსნება, რომ მას უნებლიერ გამორჩა მხედველობიდან გ. ხუროძის წიგნი „ცენტრალური ამერიკის აღმოჩენა და დაპყრობა“ და მას, რო-გორც ჩანს, გაცნობილი არ ყოფილა, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ამ საკითხის მეცნიერული გაშუქების პრიორიტეტი სწორედ ალ. ნამორაძეს ეკუთვნის.

დასასრულს, საუბარია ამერიკის აღმოჩენის შედეგებსა და მნიშვნელობაზე და ეს მონაკვეთი ნაშრომის დასკვნად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ მოკლედ, ლაკონურადაა განხილული ის შედეგები, რომელიც ამერიკის აღმოჩენას მოჰყვა. საზღვაო გზების გადანაცვლება, ფასების რევოლუცია და სხვა. (5. 197-201). წიგნის ბოლო გვერდები, რომელიც როგორც უკვე ითქვა, ფაქტობრივად დასკვნას წარმოადგენს, ძალად თავსმოხვეული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიისადმი ხარკის მოხდის კულმინაციად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ეკონომიკური ფაქტორის დომინანტი, სოციალ-ეკონომიკურ ისტორიაზე აპელირება. ოსკარ პეშელის თქმით, „კოლუმბის აღმოჩენა იყო ნაცერწკალი, საიდანაც წარმოიშვა ალი“. უნდა დავეთანხმოთ გერმანელ მწერალს პაულ ვერნერ ლენგეს, რომ „მისი (ე.ი. კოლუმბის – მ. კ.) დამსახურება ის კი არაა, რომ თამა-მად გადაცურა ატლანტიის ოკეანე და აღწერა ახალი ქვეყნები, არამედ არის მისი აღმოჩენების ისტორიული შედეგები“. (10. 3).

ალ. წამორაძის ეს წაშრომი განეკუთვნება ახალ ისტორიას და არა შუა საუკუნეების ისტორიას, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. დადგა დრო ეს შეუსაბამობა გასწორდეს.

ამრიგად, ალ. წამორაძის სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“ იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. მან თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაენია აღნიშნული პრობლემის შესწავლა-პოპულარიზაცია საქართველოში. ამ წიგნს, უმთავრესად, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. ეს იმ რთული პოლიტიკური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი იყო. დიდი არჩევანი არ არსებობდა. უნდა აგერჩია უარესსა და ცუდს შორის. ფსონი ამ უკანასკნელზე დადგეს. ეს იყო სწორი მიდგომა. დღევანდელი გადასახედიდან, ამ კომპრომისის გამო, მისი მკაცრად განსჯა ადვი-

ლი გზით სიარული იქნებოდა. თუ არა ეს კომპრომისი, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე მშობლიურ ენაზე ის მცირე ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც გაგვაჩნია.

* * *

პროფ. ალ. ნამორაძის წვლილი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში ამით არ ამონტურებოდა. მან კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, მის მიერ დაწერილ ბროშურას ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქზე ბენჯამინ ფრანკლინზე.

ალ. ნამორაძის ნაშრომს ფრანკლინზე ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს და მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე არის საქმის კურსში მიუხედავად ღვაწლმოსილი მეცნიერის მცდელობისა, მან ბროშურის გამოქვეყნება მაინც ვერ შეძლო. მის კვალს არქივში წავაწყდით და შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. (3. 204-207).

ბენჯამინ ფრანკლინის მოღვაწეობით პროფ. ალ. ნამორაძის დაინტერესება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას მძლავრი სტიმული მისცა ცნობილი ფრანგი განმანათლებლის შარლ ლუი მონტესკიეზე დაწერილმა საინტერესო ბროშურამ, რომელიც მისი გარდაცვალების 200 წლისთავს ეძღვნებოდა. მან მიიღო გადაწყვეტილება ამერიკული განმანათლებლობის პატრიარქის ბენჯამინ ფრანკლინის დაბადების 250 წლისთავთან დაკავშირებით დაეწერა საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ბროშურა ბენჯამინ ფრანკლინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული ჩანდა. ფრანკლინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ იყო დაწერილი. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა არა მარტო ფრანკლინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, არამედ ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის

ბრძოლის პოპულარიზაციის საქმეში. ამ შემთხვევაში ის პერსონი-ფიცირებულ ფორმას იღებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანკულინის მოღვაწეობამ უმაღ მიიპყრო თანამედროვეთა ყურადღება და მათი მაღალი შეფასება დაიმსახურა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ ევროპული რომანტიზმის თავკაცს და აღიარებულ ლიდერს ჯორჯ ბაირონს.

1813 წლის 23 ნოემბერს დილით თავის დღიურში ჩაუწერია:

„იყო სახელმწიფოში პირველი ადამიანი, არა დიქტატორი, არა სულა, არამედ ვაშინგტონი ან არისტიდი (საბერძნეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი ასუკუნის 20 -იან წლებში – მ. კ.) პირველი ნიჭით და სიყვარულით – ეს თითქმის იგივეა, რომ იყო ღმერთი, ფრანკულინი, პეტონი, მათ კვალდაკვალ ბრუტუსი, კასიოს, იქნებ მირაბი ან სენ-ჟიუსტი“ (24. 158). ბაირონის მსჯელობა ემოციური მუხტითაა გაჯერებული. შესაძლოა, ის აჭარბებდა და ხოტბას ასხამდა ფრანკულინს, მაგრამ ფრანკულინის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერია და მისაღები ჩანს. (25. 19).

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ალ ნამორაძის ნარკვევის გამოქვეყნების შეფერხება შემთხვევითი არ იყო და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაციისადმი პარტიული ჩინოვნიკების გულგრილი დამოკიდებულება. თუ ფრანკლინზე წიგნი ქართულად იქნება, ძალიან კარგი, თუ არ იქნება, არა უშავს, ამაზე პასუხს არავინ მოგვთხოვს, მაგრამ მთავარი დაბრკოლება, ეტყობა, მაინც ბ-ნ ალექსანდრეს ავადმყოფობა იყო. ის უკვე შეუძლოდ გახლდათ და საქმეს ბოლომდე ვერ მიჰყვა.

საარქივო მასალებიდან კარგად ჩანს ამ ბროშურის გამოცემის ირგვლივ არსებული შეფერხებები. 1957 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს გივი კილურაძეს მიუმართავს თხოვნით, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული

ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის აღ. ნამორაძის ბროშურის გამოქვეყნების აუცილებლობის თაობაზე (26. 1.). ამის შემდეგ საქმე, როგორც ჩანს, ადგილიდან დაძრულა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს წარწერა, რომელიც გაკეთებულია აღ. ნამორაძის ბროშურის ხელნაწერის სატიტულო ფურცელზე. „ამხანაგ ბახტაძეს, გადაეცით რედაქტორს. ტექსტი დაყვანილი იქნას ნორმამდე. სტილის გასწორების შემდეგ გაუშვით წარმოებაში“. (27). თითქოს ყველაფერი წესრიგშია და აღ. ნამორაძის ბროშურის გამოცემას წინ არაფერი დაუდგება, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. აღ. ნამორაძის ეს ბროშურა გამოქვეყნებული არ იქნა. რამ შეუშალა ხელი ბოლოს მის პუბლიკაციას, ძნელი სათქმელია, ალბათ ისევ ავადმყოფობამ?

აღსანიშნავია, რომ ბენჯამინ ფრანკლინის შემოქმედების ინტენსიური შესწავლა საბჭოთა კავშირში დაიწყო 50-იანი წლების შუა ხანებიდან და მას სტიმული მისცა ფრანკლინის დაბადების 250 წლისთავმა. აღ. ნამორაძის ბროშურა კარგად თავსდება ამ კონტექსტში. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ აღ. ნამორაძე იყო ერთ-ერთი იმათთაგანი, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფრანკლინის ცხოვრების და მოღვაწეობის სერიოზული შესწავლის სათავეებთან იდგა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მისმა საინტერესო ბროშურამ დღის სინათლე ვერ იხილა და გამოქვეყნებული არ ყოფილა.

ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ საქართველოში ფრანკლინის ცხოვრების და მოღვაწეობის სერიოზული მეცნიერული შესწავლის პრიორიტეტი პროფ. აღ. ნამორაძეს ეკუთვნის. ამ საკითხში მისი მთავარი დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობს. საერთო ფონმა ის ეტყობა, შეცდომაში შეიყვანა და კარგად არ გადაამოწმა. როგორც ჩანს, მას უნებლიერ გამორჩა მხედველობიდან და გაცნობილი არ ყოფილა 1900 წელს გამოსულ პირველ ბროშურას ფრანკლინზე. ასეთია რეალობა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აღ. ნამორაძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ფრანგულინის მოღვაწეობის შესწავლის აქტუალობა. „ფრანგულინი ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის, როგორც მეცნიერი ფიზიკოსი, როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწე და ბრწყინვალე დიპლომატი, როგორც განმანათლებელი და ფილოსოფოსი-მორალისტი, როგორც პუბლიცისტი და მოწინავე იდეების პოპულარიზაციონი. როგორც საზოგადო მოღვაწე და როგორც შესანიშნავი ადამიანი, თავისი პირადი სანიმუშო თვისებებით და ბოლოს იგი ცნობილი პატრიოტია და თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი“. (28. 3). თანამედროვეები აღნიშნავდნენ, რომ „ეს იყო ადამიანი, რომელმაც მეხი გამოსტაცა ლმერთს და ტირანს ძალაუფლება“.

ბენჯამინ ფრანგულინი დაიბადა კოლონია მასაჩუსეტის ქალაქ ბოსტონში 1706 წლის 17 იანვარს. 1685 წლამდე მათი ოჯახი ინგლისში ცხოვრობდა. გაჭირვებამ და ხელმოკლებამ აიძულა მამამისი ამერიკაში გადასულიყო. (29. 3.). მრავალრიცხოვან იჯახში კარგად იცოდნენ შრომის ფასი (პატარა ბენჯამინი მეთხუთმეტე შვილი იყო).

„ბენჯამინ ფრანგულინმა უკვე პატარაობიდანვე იგემა სიღარიბე და გაჭირვება. უკვე ბავშვობიდან წილად ხვდა მას საკუთარი შრომით ერჩინა თავი და დიდი ტანჯვით გადალახა ეკლიანი გზა. ამ მხრივ, მასთან შედარებით, გაცილებით უფრო ბედნიერი იყო მისი თანამედროვე ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე“. (28. ფ. 3.).

ფრანგულინი ბავშვობიდანვე ხარბად დაეწაფა კითხვას და ცოდნას. იგი თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა: „მე არ მახსოვს ის ასაკი, როდესაც მე არ ვიცოდი კითხვა“. (29. 12.). 1714 წელს ფრანგულინი შედის ბოსტონის გრამატიკულ სკოლაში, მაგრამ იქ სულ ერთი წელი დაჰყო და, ლინკოლნის მსგავსად, სწავლას თავი დაანება. სამაგიეროდ ძალიან ბევრს კითხულობდა. აღ. ნამორაძის ბროშურაში საინტერესოდაა მოთხრობილი ფრანგულინის

ბავშვობა, ჭაბუკობა, ახალგაზრდობის წლები, მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა. (28. 10. 11.).

საგულისხმოა ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც ფრანკელინი ეწეოდა ფილადელფიაში. ჯერ იყო და დააარსა კლუბი „იუნტა“, რომელიც იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მსგავსი ორგანიზაცია და მიზნად ისახავდა თვითგანათლებას. აღსანიშნავია, რომ ფრანკლინის ძალისხმევით 1731 წლის 1 ივლისს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა. 1749 წელს ფრანკლინის ინიციატივით დაარსებული იქნა პენსილვანიის უნივერსიტეტი. 1752 წელს მან ფილადელფიის დააარსა პირველი საავადმყოფო. მასვე ეკუთვნის ფილადელფიის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის იდეა. (28. 10-14).

ალ. ნამორაძე თავის ნაშრომში საგანგებოდ ჩერდება ფრანკლინის შეხედულებების ფორმირების პროცესზე. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ის ხაზს უსვამს ფრანკლინის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე ინგლისელი განმანათლებლების ჯონ ლოკის, შევსტბერის, მანდევილის გავლენას. ამავე დროს ფრანკლინი ძალიან კარგად იცნობდა XVIII საუკუნის ფრანგ განმანათლებლებს, ენციკლოპედიისტებს და ყველაზე მაღლა აყენებდა ვოლტერსა და მონტესკიეს. (28. 15).

საყურადღებოა ის 13 პრინციპი, რომლითაც, ფრანკლინის თვალთახედვით, შეიძლება ხელმძღვანელობდეს თითოეული ადამიანი:

1. თავის შეკავება – არ ჭამო და არ სვა ზომაზე მეტი; 2. ენის შეკავება – არ იყბედო; იცოდე ადამიანის მოსმენა და ილაპარაკე მარტო იმაზე, რაც მისთვის და მისი თანამოსაუბრისათვის სასარგებლოა; 3. წესრიგი – ყოველი საქმის დროული შესრულება; 4. სიმტკიცე – გადაწყვეტილების აუცილებელი გატარება ცხოვრებაში; 5. მომჭირნეობა – არ ხარჯო ფული უთავბოლოდ; 6. შრომა გამოსადეგი და არა უაზრო; 7. გულწრფელობა – ილაპარაკო და იმოქმედო ისე, როგორც ფიქრობ; 8. სამართლიანობა – ნურავის

ნუ ავნებ, ეცადე აკეთო სიკეთე; 9. ზომიერება – ყოველგვარი უკიდურესობების თავიდან აცილება; 10. სიფაქიზე; 11. სიმშვიდე; 12. უბიწოება; 13. თავმდაბლობა. (28. 15.).

ალ. ნამორაძე თავის ბროშურაში ეხება კიდევ ერთ აქტუალურ თემას. ფრანკლინის რელიგიურ შეხედულებებს. დიდი ამერიკელი ჰუმანისტი ყოველთვის ილაშქრებდა რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ და რჯულშემწყნარებლობის მხურვალე მომხრე იყო. ის სინდისის თავისუფლებას ქადაგებდა. რა თქმა უნდა, ფრანკლინი არასოდეს არ ყოფილა ათეიისტი. იგი დეიზმის ზომიერი ფრთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რაც ვოლტერისა და მონტესკიეს გავლენის ლოგიკური შედეგია. (28. 16-18).

სხვათა შორის, თავისი რელიგიური მრწამსი ფრანკლინმა კარგად ჩამოაყალიბა სიკვდილის წინ ერზე სტაილსისადმი მიწერილ წერილში. ამერიკელი ისტორიკოსის ვერნერ ერკინის თქმით „ამ წერილში არის შეჯამებული ფრანკლინის რელიგიური შეხედულებები“. (29. 152-153).

ალ. ნამორაძე მოკლედ ჩერდება ფრანკლინის წვლილზე პოლიტიკური ეკონომიკის სფეროში. მან ყურადღება მიაკცირდ მის ნაშრომს „ქალალდის ფულის ბუნება და საჭიროება“, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის საკითხებზე ფრანკლინის შეხედულებების განხილვა არასრულია, რაც იმით გამოიხატება, რომ ფრანკლინის შეხედულებები აგრარულ საკითხზე ჩრდილში რჩება. (30. 45-51).

ბიოგრაფების ერთი ნაწილი და მათ შორის ალ. ნამორაძე ფიქრობს, რომ თხზულება „ისტორიული ნარკვევი პენსილვანიის კონსტიტუციის და მთავრობის შესახებ“ ფრანკლინის დაწერილია. (28. გვ. 20). ასე კატეგორიულად მტკიცება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. შეიძლება, ეს ნაშრომი ფრანკლინის დაწერილი არ იყოს. ამერიკელმა ისტორიკოსმა სპარკსმა გამოაქვეყნა ფრანკლინის წერილი დევიდ იუმისადმი 1760 წლის 27 სექტემბერს, რომელიც გარკვეულ შუქს ფენს ამ საკითხს. ფრანკლინი მადლობას უხდის იუმს ამ ნაშრომის გულდასმით გაცნობის

გამო და დასძენს, რომ ის მისი დაწერილი არაა (ეტყობა, იუმსაც ავტორი ფრანკლინი ეგონა). იგი დაწერილია სხვა ავტორის მიერ. ვარაუდობენ, რომ ის შეიძლება იყოს რიჩარდ ჯექსონი, თუმცა ფრანკლინის გავლენას არავინ არ გამორიცხავს. (31. 120).

დღიდი მეცნიერული ლირებულება გააჩნდა ფრანკლინის ნაშრომს „შენიშვნები ჩრდილოეთ ამერიკის ველურების შესახებ“. ამით მან თავისი სიტყვა თქვა პირველყოფილი საზოგადოების და კულტურის ისტორიის შესწავლის საკითხში. ნაშრომში თავმოყრილ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იგი შეიცავს საგულისხმო ინფორმაციას ეთნოგრაფებისათვის. (28. 29.). ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა კიდევ უფრო მეტი თქმულიყო ფრანკლინის წვლილზე ისტორიული მეცნიერების წინაშე. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის საინტერესო ნარკვევს. (32. 159. 33.).

საკმაოდ ძნელი და რთული საკითხია ფრანკლინის მსოფლმხედველობის შეფასება. ამერიკული განმანათლებლობის რომელ ფრთას შეიძლება მივაკუთვნოთ იგი? საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ეს თემა ისტორიკოსთა შორის სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. როგორი იყო ალ. ნამორაძის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი? პირველ ყოვლისა, მისასალმებელია, რომ იგი არ გაურბის ასეთი ძნელი საკითხების დასმას და ცდილობს შეძლებისდაგვარად გასცეს მას პასუხი. ამით მას სურს თავისი წვლილი შეიტანოს ამ პრობლემის გამორკვევის საქმეში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ფრანკლინი ამერიკული განმანათლებლობის ზომიერი ფრთის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. ისტორიკოსთა მეორე ნაწილი მას დემოკრატთა ბანაკს აკუთვნებს. ვფიქრობ, ალ. ნამორაძე ამ მეორე მოსაზრებისაკენ უფრო იხრება. (25. 15.). ვფიქრობთ, ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს და ფრანკლინის რადიკალურ-დემოგრაფიულ შეხედულებებზე საუბარი, ჩვენი აზრით, გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ფრანკლინის სახით საქმე გვაქვს ამერიკული განმანათლებლობის ზომიერი, პროგრესულ-ლიბერალური

მიმდინარეობს ერთ-ერთ პრეცინვალე წარმომადგენელთან. ამ თვალსაზრისით ფრიად სიმპტომატური ჩანს მისი კეთილგანწყობილება მონტესკიესა და განსაკუთრებით ვოლტერისადმი. ეს არა-ნაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ბენჯამინ ფრანკლინის დემოკრატიზმს. პირიქით.

ცალკე თემაა ფრანგილინი და ფიზიკა, რომელიც აღ. ნამორაძის ნარკევეში უყურადღებოდ არ ჩჩება. ნაშრომში საინტერესოდ არის მოთხრობილი მის მოღვაწეობაზე მეცნიერების ამ დარგში (28. 15.).

ეს მსჯელობა, პირველ ყოვლისა, იმ თვალსაზრისითაა სა-
გულისხმო, რომ კარგად გვიჩვენებს აღ. ნამორაძის ლრმა გან-
სწავლულობას, არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, არამედ
ტექნიკურ დარგებში. ფრანკლინის, როგორც ფიზიკოსის ერთ-ერ-
თი დამსახურება იყო მეხამრიდის გამოგონება. (34.).

50-օանո նլեցի գրանցվածնուն մողաքանակունուն մնութեալունա յցիապուա. Շեյսլեցի օտյաս, րոմ ամուրուն մուսու քոլութուրուն սայմունանուն կուգու շոյրու ննդունսուրու եցեցի. մուսու սաելու գասպար ամերունուն սաթլարեցի դա մուլու ըզրունաս մուգու. սանդուրեսուն, րա პոնչունու յայաց գրանցվածնուն պայլածու շոյրու մնացաւ դա այլությա- լուր սակուտեցի. մեցրունունուն դա կոլունաս մուրուն կոնֆլույթ- շի? յս ցածրացու մուսու քոլութուրուն մողաքանակունուն լերմու, րոմլուն ցարշեմուց բրունալեցի մուլու մուսու գունդունուն մագույրու սայմունանուն. առ. նամուրաց պատունուն տալու ցագույնուն գրանցվածնուն քոլու- թուրուն մեխեցուլուցեցի յայլունունուն. ման Շեյսլեցի օտյաս, րոմ սայրուու սաթցեցի ճամաչյերեցելուա ճարմունահուն ու պոնչունուն, րո- մելուց ամ პրոնցունուլ սակուտեցի գրանցվածնուն ճայացա. տազա- նուրացա, 50-60-օանո նլեցի ճասանցունուն գանցնունուն ար ինձն մանցունանուց րագույալուրա գանցնունուն. օգու ար ոյս սամեցրու յանցութունուն մոմերյ դա Շեյսլեցելուա յասեցուն յամերունուն մեցրունունուն տան. արսեցուու պատունուն եցեցի 60-օան նլեցի ճասանցունուն. օնցլուն ար ապուրեցա րեպրեսունուն ելուն ալեցի դա 60-օան նլեցի մուլու մուլու րոցու յանցնունուն, րոմելուց տ.

ჯეფერსონის თქმით, წარმოადგენდა „საპარლამენტო უზურპაციის ჯაჭვს“. ამის შემდეგ ფრანგულინის პოზიცია უფრო უკომპრო-მისო შეიქმნა. იგი მიზანშეწონილად ცნობდა ბოლო მოღებოდა ინგლისის ბატონობას. ფრანგულინი კოლონიების სრული დამოუკიდებლობის მომხრეა. (28. 28-38).

ალ. ნამორაძის ნარკვევში მოთხოვილია ფრანგულინის დიპლომატიური საქმიანობა 50-იან წლებში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი დანიშვნა ინგლისში პენსილვანიის ანსამბლეის წარმომადგენლად. ამ პოსტზე მან 1762 წლამდე დაჰჰყო, მაგრამ ფრანგულინის ყოფნა სამშობლოში მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და სულ მალე მან კურსი კვლავ ინგლისისაკენ აიღო. 1764-1775 წლებში ის იყო ინგლისში პენსილვანიის სრულუფლები-ანი წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მეტროპოლიას და კოლონიას შორის ურთიერთობის ყველაზე უფრო მწვავე, დაძაბული წლებია და შეიძლება ითქვას, რომ ფრანგულინმა თავის რთულ დიპლომატიურ მისიას ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს ფრანგულინის, როგორც პოლიტიკოსის და დიპლომატის წარმატება იყო. 60-იან წლებში და 70-იანი წლების დასაწყისში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, რასაც მოჰყვა ფრანგულინის მკვეთრი რეაქცია. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი პამფლეტები, რომელ-მაც დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი აზრის მომზადებას დამოუკიდებლობისათვის. (28. 35. 46-52.).

1775 წლის მარტში ფრანგულინი სამშობლოში ბრუნდება. ეს იყო მეტად რთული პერიოდი. ამ დროისათვის მეტროპოლიასა და კოლონიას შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. კონფლიქტი გარდაუალი ჩანს. 1775 წელს ფრანგულინს ირჩევენ მეორე კონტი-ნენტური კონგრესის დელეგატად. მისი პოლიტიკური და დიპლო-მატიური მოღვაწეობა კულმინაციას უახლოვდება. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრო-ექტის შედგენაში, რომელიც მიიღეს 1776 წლის 4 ივლისს. მან გვამცნო ახალი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების დაბადება. (35. 32-45.).

ფრანგულინმა მშობლიურ მხარეში ცოტა ხანს დაჰყო და ისევ ევროპას მიაშურა. ამჯერად იგი ინიშნება ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში. ეს იყო ფრანგულინის დიპლომატიური და პოლიტიკური მოღვაწეობის პიკი. ფაქტობრივად ფრანგულინი იყო პირველი დეპუტატი, რომელსაც ამერიკა აგზავნის ევროპაში. ფრანგულინის დიპლომატიური წარმატება გახლდათ 1778 წლის თებერვალში საფრანგეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულება. (28. 55-57.) ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისმა ვერ შეძლო კოლონია მოექცია დიპლომატიურ და პოლიტიკურ იზოლაციაში და ამაში ლომის წილი, შეიძლება ითქვას, რომ ბენჯამინ ფრანგულინს მიუძღვის. ამან, ფაქტობრივად, გადაწყვიტა ომის ბედი და 1783 წლის 3 სექტემბერს პარიზში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება. ომი დასრულდა. 1785 წელს ვალმოხდილი ფრანგულინი სამშობლოში დაბრუნდა.

ფრანგულინის მიერ მონობის წინააღმდეგ გალაშქრება მისი მოღვაწეობის დასკვნითი აკორდი აღმოჩნდა. 1790 წლის 17 აპრილს 84 წლის ასაკში ბენჯამინ ფრანგულინი გარდაიცვალა. (28. 59.).

აღ. ნამორაძე დუმილით უვლის გვერდს ბენჯამინ ფრანგულინის მოღვაწეობის ერთ საინტერესო მხარეს. მის სამხედრო კარიერას. ამერიკელი ისტორიკოსის დ. ნოულსის თქმით, „ბენჯამინ ფრანგულინის სამხედრო კარიერა გრძელდებოდა ექვსი კვირა. ეს იყო მისი ცხოვრების საინტერესო და უცნობი ეპიზოდი, რომელიც აღსავსეა მრავალი მოვლენით“. (29. 105).

პროფ. აღ. ნამორაძის ბროშურას შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია და სამეცნიერო პოპულარულ ხასიათს ატარებდა. ის არ ისახავდა მიზნად ფრანგულინის ცხოვრების და მოღვაწეობის მეცნიერულ შესწავლას. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. მან თავისი წვლილი შეიტანა და შეძლების-დაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში ფრანგულინის მოღვაწეობის შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი, სწორედ, ეს იყო. მისი დამსახურება, ვფიქრობთ,

სწორედ, ამაში მდგომარეობდა. „ეს ორი, პატარა მოცულობის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი დაწერილია იშვიათი გემოვნებით, საგნისა და ეპოქის ღრმა ცოდნით“. (2. 162.). აქ საუბარია ალ. ნამორაძის ნარკვევებზე შარლ ლუი მონტესკიესა და ბენჯამინ ფრანკლინზე. თავის დროზე რომ გამოქვეყნებულიყო ალ. ნამორაძის ბროშურა ფრანკლინზე, ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენი იქნებოდა.

* * *

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ პროფ. ალექსანდრე ნამორაძე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის თავკაცად, ინიციატორად მოვლევლინა. ამ სფეროში ალ. ნამორაძის შრომები ძირითადად სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და შემეცნებითი ლირებულება გააჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. პროფ. ალექსანდრე ნამორაძის დამსახურებად მიგვაჩნია:

1. ახალი ისტორიის ქრესტომათიის შექმნის მცდელობა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ამსახველი წყაროების პუბლიკაციას, ბუნებრივია, სათანადო ადგილი დაეთმობოდა, მაგრამ ამ ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა.

2. პროფ. ალ. ნამორაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია საქართველოში კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო

სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“, რომელმაც 1961 წელს, ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, იხილა დღის სინათლე.

3. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში პროფ. ალ. ნამორაძის წვლილი ამით არ ამოიწურებოდა. მან თავისი სიტყვა თქვა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის, კონკრეტულად კი ბენჯამინ ფრანკლინის ცხოვრებისა და მოლვანეობის შესწავლის საქმეში. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოპულარიზაციამ პერსონიფიცირებული ფორმით ჰპოვა გამოხატულება, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ დამახასიათებელი გახლდათ ქართული რეალობისათვის.

პროფ. ალ. ნამორაძის საინტერესო ნარკვევს ფრანკლინზე უწინარესად შემეცნებითი დატვირთვა აქვს და სამეცნიერო პოპულარულ ხასიათს ატარებს. ალ. ნამორაძის ბროშურა იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა. ამიტომ განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ თავის დროზე მისი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა და ის ფართო საზოგადოებისათვის ფაქტობრივად უცნობი დარჩა.

4. პროფ. ალ. ნამორაძემ დააგვირგვინა პროფ. სიმონ ავალიანის და პროფ. გრიგოლ ნათაძის მიერ დაწყებული საქმე და საძირკველი ჩაუყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის მეცნიერულ სწავლებას. ეს იყო ამ სფეროში ალ. ნამორაძის კიდევ ერთი წარმატება.

პროფ. ალექსანდრე ნამორაძე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის მეცნიერული პოპულარიზაციის ფუძემდებლად გვევლინება. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურება იყო.

ლიტერატურა:

1. კ. ანთაძე, სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია ამერიკის აღმოჩენის შესახებ – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 78. თბ., 1963.
2. კ. ანთაძე, ალექსანდრე ნამორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა – ქართული ისტორიოგრაფია, ნაწ. 2. თბ., 1971.
3. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა) – ფონდი 2079. ანაბეჭდი 1. საქმე 105. ფ. 751. და სხვა.
5. ალ. ნამორაძე, კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, თბ., 1961.
6. Э. Тарле, Очерки истории колониальной политики Западно-европейских государств (конец 15 начало XIX века), М. 1965.
7. В. Штокмар, История Англии в средние века, Л., 1973.
8. Дж. Бейкер, История географических открытий и исследований, М., 1950.
9. И. Магидович, Христофор Колумб, М., 1956.
10. П. Ленгт, Великий скиталец – Христофор Колумб, М., 1984.
11. И. Магидович, В. Магидович, Очерки по истории географических открытий, т. 2, М., 1983.
12. გ. გებტმანი, ნარკვევები დიდ მოზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან, თბ., 1940.
13. А. Снисаренко, Рыцари удачи, Хроники европейских морей, СПБ., 1991.
14. Путиществие Христафора Колумба, дневники, письма, документы, М., 1961.
15. А. Пигафетта, Путиществие Магелана, М., 1950.
16. Л. Кунин, Магелан, М., 1940.
17. Я. Свет, Фернандо Магелан, М., 1956.
18. С. Цвейг, Подвиг Магелана, Симферополь, 1988.

19. А. Хачатуров, Встреча двух миров – «Новая и новейшая история». №3. 1992.
20. С. Пожарская, Открытие Америки, взгляд историка – «Новая и новейшая история». №3. 1992.
21. Р. Кинтеро, Путешествие Колумба и страны латинской Америки – «Новая и новейшая история». №3. 1992.
22. А. Гончарова, Индейская Америка: пять столетий колонизации и перспективы возрождения – «Новая и новейшая история». №6. 1992.
23. Г. Уидборо, Америка 500 лет назад: современный взгляд – «Новая и новейшая история». №4. 1992.
24. Дж. Баирон, Дневники, М., 1963.
25. Յ. յալանձածյ, ծառաբոն գա գրանցվոն – դրությա 1-2. 1998.
26. Եյուցա. ց. 2079. Տ6. 1. և. 259.
27. Եյուցա. ց. 2079. Տ6. 1. և. 17.
28. Եյուցա. ց. 2079. Տ6. 1. և. 17.
29. Р. Иванов, Франклин, М., 1972.
30. А. Аникин, Бенжамен Франклин – ученый экономист США – экономика, политика, идеология, №10. 1975.
31. Н. Гольберг, История США в произведениях Т. Пейна – Б. Франклина – в кн: Основные проблемы истории США в американской историографии, М., 1971.
32. Յ. յօլշըրածյ, աեալո օԵԳոՐՈՅ, ԵԱԲ. 1. ԹԸ., 1970.
33. Историография нового и новейшего времени стран Европы и Америки, М., 2002.
34. Յ. ձարշածյ, ծյեջամօն գրանցվոն, ԹԸ., 1975. П. Капица, Научная деятельность В. Франклина – «Вестник АН. СССР», №2. 1956.
35. Война за независимость и образование США. под. ред., Н. Севастьянова, М., 1976.

თავი IV

გივი კილურაძე და ამირიქის ახალი ისტორიის საკითხები

ქართული საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს პროფ. გივი კილურაძეს, როგორც დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ეს ქართული ისტორიოგრაფიის დიდი აღიარება იყო. (1.)

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი დამსახურება ამით არ ამოინურება. პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ეს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის კიდევ ერთი პატარა წახნაგია, რომელიც დღემდე სრულიად შეუსწავლელი იყო და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მასზე ორიოდე სიტყვა გვეთქვა. ეს მას სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციონის ის იყო ახალი ისტორიის არა მარტო ჩინებული მკვლევარი, არამედ კიდევ უფრო კარგი პოპულარიზაციონი. მისი მოღვაწეობის ეს მხარე ჩრდილში არ უნდა მოექცეს.

პროფ. გივი კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა და შეძლებისდაგვარად სცადა წინ წაეწია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის მეცნიერული სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. აღსანიშნავია, რომ მისი დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ემპირული, ფაქტოლოგიური მხარით არ შემოიფარგლებოდა და მკვეთრად გამოკვეთილი თეორიული სარჩული გაჩნდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია მისი დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხებით. ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული ჩანდა და ამ თეორიულ საკითხებზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იწერებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თეორიული პრობლემების დამუშავების მთავარ ინიციატორად სწორედ პროფ. გივი კილურაძე მოგვევლინა. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურება იყო.

* * *

პროფ. გივი კილურაძე არასოდეს არ ყოფილა ვიწრო ემპირიკოსი, ფაქტოლოგი, ისტორიკოსი. ის ფართო დიაპაზონის მკვლევარ-ისტორიკოსი გახლდათ, რომელსაც ემპირიასთან ერთად, ძალზე იზიდავდა ისტორიის თეორიული საკითხები, პირველ ყოვლისა კი, რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფია.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებით პროფ. გივი კილურაძის დაინტერესების პლუსად საკითხისადმი ფართო, კომპლექსური მიდგომა მიგვაჩნია. მან თავისი წვლილი შეიტანა აშშ-ს ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგში მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ ეს დაინტერესება თავის ასახვას, უმთავრესად, სასწავლო ლიტერა-

ტურაში ჰპოვებს. სახელდობრ, ახალი ისტორიის ქრესტომათიაში და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოებში.

დავიწყოთ ახალი ისტორიის ქრესტომათიით. ეს საშუალებას მოგვცემს გავაშუქოთ აშშ-ს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში პროფ. კილურაძის წვლილი.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დაინტერესება და-მოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალ-შენების ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხებით. ეს იყო სწორი ნაბიჯი. პირველწყაროების კარგად ცოდნა სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ამ ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაზე და მისი მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის სამედინ საფუძველია.

ახალი ისტორიის ქრესტომათიაში, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისურ ახალშენების ბრძოლის ამსახველი პირველწყაროების პუბლიკაციას. ეს ძალიან კარგია. ამ პრობლემაზე არსებული წყაროების ქართულ ენაზე პუბლიკაციას თავისი შემეცნებითი და მეცნიერული დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ ყოვლისა კი სტუდენტებს, დაეხმარება ამ მოვლენაზე საერთო წარმოდგენის შექმნაში. ისინი გააცნობიერებდნენ და-მოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზეზებს, მსვლელობას, მის შედეგებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე არსებული წყაროებით ქართული ისტორიოგრაფია არც დღეს და არც მაშინ განებივრებული არ ყოფილა, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება. გადაიდგა პირველი ნაბიჯი ამ ხარვეზის შევსების გზაზე. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ქრესტომათიაში განხილულია შემდეგი თემები: მარქსიზმის კლასიკოსები ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების და-მოუკიდებლობისა და აშშ შექმნის შესახებ. ბრიტანეთის პოლიტიკა კოლონიებში და დამოუკიდებლობისათვის ომის მიზეზები.

ოპოზიციის ზრდა. რევლუციური ორგანიზაციების შექმნა. და-მოუკიდებლობისათვის ომი (1776-1783). დანიელ შეისას აჯანყება (1786). აშშ-ს შექმნა. კონსტიტუციის მიღება. (2. 203-242.)

მან აირჩია მეცნიერული საკითხი და მარქსისტულ აპკში გაახ-ვია. თუ მას მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, მასში რა-ციონალური მარცვალი აუცილებლად დარჩება და ეს უნდა გახ-დეს მეცნიერული განსჯის საგანი. აქ თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია დღესაც საინტერესოა და მისი გამოყენება გამორიც-ხულად არ მიგვაჩინა, ხოლო მარქსისტული გაშუქება ძალად თავ-სმოხვეულია. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩინა დანიელ შეისას აჯანყების მაღალი შეფასება. (2. 221-222.) სინამდვილეში მას არ ჰქონია ასეთი დიდი მნიშვნელობა. ქრესტომათიაში შეგროვებული წყაროები საინტერესოა და საერთო წარმოადგენას გვიქმნის ახა-ლი სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპებზე, იმ ორიენტირებზე, რომელზედაც აქცენტს აკეთებდა ევროპულ-ამერიკული საზო-გადოება ჯერ კიდევ ახალი დროის გარიურაჟზე, მე-18 საუკუნის მიწურულს. ის კარგადაა ჩამოყალიბებული 1776 წლის 4 ივნისს მიღებულ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. „ყველა ადამიანი შექმნილია, როგორც თანას-წორი და ყველა მათგანი გამჩენმა ალტურვა ხელშეუვალი უფლე-ბებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხთა შორის შექმნილია მთავრობები, რომლებიც სამართლიანი ხელისუფლებით ალტურვილნი არიან მართულთა თანხმობით. თუკი მმართველობის არსებული ფორმა მათი (ხალხის) მიზნები-სათვის დამღუპველი ხდება, მაშინ ხალხს უფლება აქვს შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა, დაფუძნებული იმ პრინციპებზე და ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციაზე, რომელ-საც ხალხის აზრით ყველაზე უფრო მეტად შეუძლია უზრუნველ-ყოს მისი უსაფრთხოება და ბედნიერება“. (2. 217.) ვფიქრობთ, ეს იყო მთავარი. კითხველს მეტად შეფარვით, ძალიან ფრთხილად მიანიშნებდნენ, თუ რაზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ვერ მოხერხდა ქრესტომათის მეორე მონაკვეთის გამოცემა, სა-დაც თავმოყრილი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ამსახველი წყაროები. ეს არის მეტად საინტერე-სო პერიოდი 1787 წლიდან 1865 წლამდე. მნიშვნელოვანწილად ამ-ითაა გამოწვეული, რომ ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშე-ნების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხებით შემოიფარგლება.

მაშ ასე, პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდე-ბლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპუ-ლარიზაციის საქმეში პროფ. გივი კილურაძის კიდევ ერთ წარმატე-ბად აშშ-ს ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინ-ტერესება გვევლინება. მან თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული აზროვნების, ისტორიოგა-რფიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით საინტერე-სოა მისი წიგნის „ახალი ისტორია“, პირველი ნაწილი, სადაც ამ საკითხის განხილვას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. (3. 159-195 და 213-237.) მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირ-ველად მოგვცა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული აზროვნების, ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო სურა-თი. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინ-გადადგმული ნაბიჯი იყო. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს არის საინტერესო ისტორიოგრაფიული ხასიათის ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფიაზე, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების განვი-თარების საერთო მოთხოვნებს. არც მანამდე და არც მას შემდეგ ქართული ისტორიოგრაფია ამ სახის შრომებით ამერიკულ ისტო-რიოგრაფიაზე განებივრებული არ ყოფილა. გადაიდგა პირველი

ნაბიჯი ამ ხარვეზის შევსების გზაზე. ეს მისასალმებელი იყო. ამ მონაკვეთის შემეცნებითი და მეცნიერული მნიშვნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ეს მონაკვეთი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: 1. ამერიკელი გან-მანათლებლების ისტორიული შეხედულებები; 2. მე-19 საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფია; 3. ისტორიული აზროვნება აშშ-ში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში და 4. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ამერიკული ისტორიოგრაფია. პროფ. გივი კილურაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით მოახერხა ერთიან, მნიშვნელოვანი სისტემად ჩამოყალიბებული სახით პირველად მიეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის, ისტორიკოსი სტუდენტებისათვის რთული კალეიდოსკოპი იმ გამოჩენილი ამერიკელ ისტორიკოსთა ნააზრევისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამერიკის ახალი ისტორიის შესწავლის დროს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფიაში. (1. 14).

თუ ამ მსჯელობას მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაცლით რაციონალური მარცვალი უეჭველად რჩება და სწორედ ეს ფასეული უნდა წამოვნიოთ წინ. პირველ რიგში, ეს არის მისი ანალიტიკური აზროვნება, ლრმა ერუდიცია, მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება, გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარი. ის საქმაო ჩახედულებას ამჟღავნებს XIX-XX საუკუნეების ამერიკულ ისტორიოგრაფიაში. სწორედ გადმოგვცემს მათ შეხედულებებს და მას მაქსისტულ ინტერპრეტაციას უკეთებს, რაც იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის სავსებით ბუნებრივი იყო. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

მაშ ასე, პროფ. გივი კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების პოპულარიზაციის საქმეში. განსაკუთრებით მისასალმებლად მიგვაჩნია მისი დაინტერესება თეორიული საკითხებით, რომლის შესახებაც ქართულ ენაზე დღემდე

თითქმის არაფერი დაწერილა. ამ ხარვეზის გამოსწორების გზაზე პირველი ნაბიჯი სწორედ პროფ. გივი კილურაძის სახელთან ასო-ცირდება. მის მეცნიერულ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი ღი-რებულება განსაზღვრავს. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი.

პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაციის საქმეში. ეს ამ სფეროში მისი კიდევ ერთი დამ-სახურება იყო.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დაინტერესება ჩრდი-ლოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათ-ვის ბრძოლის ისტორიით და ამერიკის შეერთებული შტატების შე-ქმნით. ეს სავსებით ბუნებრივია და ამ ისტორიული მოვლენების მნიშვნელობით გახლდათ განპირობებული. საძირკველი ჩაეყარა ახალ სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც XIX-XX საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა და დიდი როლი შეასრულა. საქმარისია აღინიშნოს, რომ დროის ძალიან მცირე მონაკვეთში ის ზესახელმწიფოდ მოგვევლინა.

თემა არის აქტუალური და საინტერესო. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ დაწერილა, მაშინ ასეთი ჩანაფიქრი საკმაოდ ადვი-ლი გასაგები გახდება. ეს იყო სწორი ნაბიჯი. მას უნდოდა თავი-სი წვლილი შეეტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ამ ხარვეზის შევსების საქმეში.

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემატიკით დაინტე-რესება ჩანაფიქრის ფარგლებს არ გასცილებია და მხოლოდ ნა-ნილობრივ იქნა რეალიზებული ახალი ისტორიის ქრესტომათი-აში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას განზრახული ჰქონდა დაეწერა სამეცნიერო პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდე-ბლობისთვის ომზე. ქრესტომათიაში მან გამოაქვეყნა დამოუ-

კიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი წყაროები. ეს დასაწყისი იყო. ამას ექნებოდა გაგრძელება. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი, მისი ნაადრევი გარდაცვალების გამო, განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ის რეალურად არსებობდა და სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მისი ხაზგასმა.

ქრესტომათიაში გამოქვეყნებული წყაროები ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. მან აღნიშნული საკითხის შესწავლის შესავალად, უვერტიურად გაიუღერა. ამას უნდა მოყოლოდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნაზე, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მისი უცარი გარდაცვალების გამო, ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

მაშ ასე, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ასეთი სურათი იკვეთება. მან თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნების პოპულარიზაციის საქმეში. ეს პირველი ნაბიჯი იყო. ამას უნდა მოჰყოლოდა სამეცნიერო პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, მაგრამ ამ კარგ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა.

მეორე სერიოზული თემა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაში დაამუშავა პროფ. გივი კილურაძემ, ეს გახლდათ აშშ-ს ისტორია მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ქრონოლოგიურად ის მოცავს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ერთ მნიშვნელოვან და მეტად საინტერესო მონაკვეთს 1870 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე 1918 წელს. ეს ისტორიული ნარკვევი მან დაწერა ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო-სათვის და სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე 1870-1918 წლებში. ამ საკითხზე ქართულ ენაზე მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება და ეს ნარკვევი შეძლებისდაგვარად ცდილობს შეავსოს ეს ხარვეზი და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე

წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მისი მნიშვნელობა მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობდა.

სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი სამ ნაწილადაა დაყოფილი: ამერიკის შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1870-1898), ამერიკის შეერთებული შტატები 1898-1914 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში. (4. 199-240. 5. 112-151. 6. 426-447.).

მან მოგვცა აშშ-ს ისტორიის ამ მეტად საინტერესო ეპოქის შიდა პერიოდიზაცია. ამ ეპოქის აშშ-ს ისტორიის შიგნით მიჯნად აღებულია 1898 წელი, კონკრეტულად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის ომი. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამიერიდან აშშ აქტიურად ჩაება მსოფლიო პოლიტიკაში. (7.).

საინტერესოა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის შინაარსი. ყურადღების კონცენტრაცია ხდება სამი დიდი პრობლემის ირგვლივ: ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები, ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკა, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა. სახელმძღვანელოში სოციალ-ეკონომიკური თემატიკის ღომინანტი პოლიტიკურ ისტორიაზე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ის, პირველ ყოვლისა, ძალად თავს-მოხვეული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისადმი ხარკის მოხდად გვევლინება.

სახელმძღვანელოში ვრცლად არის განხილული ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია პირველი მსოფლიო ომის დროს 1914-1918 წლებში. ომის დასასწისში ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტი მხოლოდ მოჩვენებითი იყო და რეალურად ის ანტანტას ემსრობოდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აშშ-ს მოკავშირეობა ანტანტის წარმატების საიმედო საწინდარი გახლდათ. ეს ალიანსი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მრავალი გარემოებით იყო გამოწვეული. მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით. ის ფინანსურად და

ეკონომიკურად ინგლისთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. გერმანიის გამარჯვების პერსპექტივა შეერთებული შტატებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი იყო და მის გეგმებში არ შედიოდა. ერთი ქვეყნის გამარჯვება მათ არ აწყობდა, რადგან აშშ-ს საგარეო პოლიტიკა დიდ სახელმწიფოთა შორის ნინააღმდეგობებზე გახლდათ გათვლილი. (6. 437-439.) ის ამოცანები, რომლებიც ომში ჩაბმით, აშშ-მ დაისახა, გეგმაზომიერად სრულდებოდა. 1918 წელმა კიდევ უფრო განამტკიცა აშშ-ს პოზიციები, ხოლო ომის დამთავრებისას იგი აღწევს მიზანს. აშშ მთავარი არბიტრის როლში გამოდის და მსოფლიოს თავის სურვილებს კარნახობს. (6. 446.)

თუ ამ თემებზე მსჯელობას ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ-ლენინურ გარესამოსს ჩამოვაცლით, მაშინ რეალურად ხელში შეგვრჩება საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე 1870-1918 წლებში, რომელიც ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი სტუდენტებს, შექლებისდაგვარად დაეხმარება საერთო წარმოდგენა შეიქმნან ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ამ მონაკვეთზე. მისი შემეცნებითი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობს.

მაშ ასე, პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგში პროფ. გ. კილურაძის ღვაწლზე სრულყოფილი, ამომწურავი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ის, რაც მან დაწერა, არამედ ის, რისი გაკეთებაც მას განზრახული ჰქონდა. ეს ასპექტი, ვფიქრობთ, საინტერესოა და ამ სფეროში მის მიერ გაწეული შრომის ადეკვატური სურათის შექმნაში დაგვეხმარებოდა. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია, რომ მან ვერ მოასწრო დაეწერა ჩაფიქრებული სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაზე. ეს შეავსებდა იმ თეთრ ლაქას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს. ხელსაყრელი შანსი დაიკარგა. მან დაწერა საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ

ისტორიაზე 1870-1918 წლებში. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენი იყო. მან აიღო სერიოზული მეცნიერული საკითხი და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად განსჯა, ცხადია არ ღირს. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვთიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

ამ თემაზე საუბარს ალბათ ამით დავასრულებდით, რომ არა ერთი გარემოება, რომელსაც, ჩვენი აზრით, თავისი მნიშვნელობა აქვს. პროფ. გივი კილურაძის წვლილი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში ამით არ ამოინურება და აქ წერტილის დასმა ნაადრევი იქნებოდა. აი, რა გვაქვს მხედველობაში. პროფ. გივი კილურაძე მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანის მთავარ მოთავედ. კათედრას არ ჰყავდა კვალიფიცირებული ამერიკანისტი. ამიტომ მან 1976 წელს მოსკოვში მიავლინა ახალგაზრდა ისტორიკოსი ვასილ კაჭარავა, რომელიც პროფ. ნიკოლოზ სივაჩოვის ხელმძღვანელობით, დასპეციალდა ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაში. დღეს უკვე უნივერსიტეტში გვაქვს ამერიკის შესწავლის ცენტრი, რომელიც ფართო მეცნიერულ და შემეცნებით საქმიანობას ეწევა და პოპულარობას უწევს არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლას, არამედ სხვა დარგებსაც, მთლიანად ამერიკანისტიკას. პროფ. გ. კილურაძის ეს ნაბიჯი, ჩვენი აზრით, ამ სფეროში მის კიდევ ერთ დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ.

* * *

ამრიგად, პროფ. გივი კილურაძის დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნების, ისტორიოგრაფიისა და ისტორიის საკითხებით, უპირატესად სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და უმთავრესად

ასახვა პპოვა ახალი ისტორიის ქრესტომათიაში და სახელმძღვანელოებში. ეს იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მის მეცნიერულ მნიშვნელობას განაპირობებდა მისი შემეცნებითი დატვირთვა. ამ საკითხებზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით არათუ მაშინ, დღესაც არა ვართ განებივრებული.

საქართველოში დიდი ხნის მანძილზე არ გვყავდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის კვალიფიცირებული სპეციალისტი, ამერიკანისტი. ამიტომ ამ ვაკუუმს ხშირად ახალი ისტორიის სპეციალისტები ავსებდნენ. პროფ. ალექსანდრე ნამორაძის და პროფ. გივი კილურაძის მეცნიერული მემკვიდრეობა, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო კარგი ცხოვრებით გამოწვეული და მეტად ნიშანდობლივი გახლდათ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიისა და ისტორიის სწავლება და პოპულარიზაცია. ამ სფეროში მის დამსახურებად მიგვაჩნია: ა) პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში. ეს კარგად აისახა ახალი ისტორიის ქრესტომათიაში. ბ) განსაკუთრებით მისასალმებელი უნდა იყოს პროფ. გივი კილურაძის დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით. ამ თემას დიდი ადგილი აქვს დათმობილ მისი სახელმძღვანელოს „ახალი ისტორიის“ პირველ ნაწილში. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის თეორიულ საკითხებზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ ინერებოდა და თუ დღეს ჩვენ მშობლიურ ენაზე აშშ-ს ისტორიის წყაროთმცოდნეობაზე და ისტორიოგრაფიაზე რაიმე გაგვაჩნია, ამაში თავისი წვლილი, სწორედ, პროფ. გივი კილურაძეს მიუძღვის. ქართულ რეალობაში

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი მან გადადგა. გ) პროფ. გივი კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ემპირიული, ფაქტოლოგიური ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი დაინტერესება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით. ეს ჩანაფიქრი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. ახალი ისტორიის ქრესტომათიაში გამოქვეყნდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი მასალა, წყაროები, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ჩაფიქრებული სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის დაწერა ვერ მოასწრო. მან ახალი ისტორიის მეორე პერიოდის სახელმძღვანელოში დაწერა საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაზე 1870-1918 წლებში. დ) დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პროფ. გივი კილურაძე მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანის მთავარ მოთავედ და ინიციატორად, რაც, ჩვენი აზრით, ამ დარგში მის კიდევ ერთ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა, დამწყები ისტორიკოსის, ვასილ კაჭარავას თანადგომა გვაქვს მხედველობაში.

ლიტერატურა:

1. კ. ანთაძე, გივი კილურაძე ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983.
მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე, – კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე, – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 359. თბ., 2005. M. Kalandadze, Ein georgischer Erforscher der Neuen Geschichte Westeuropas – „Georgica“, 30. 2007.
2. ქრესტომათია ახალ ისტორიაში. ნან. 1. პროფ. გივი კილურაძის და მ. მამფორიას რედაქციით, თბ., 1979.

3. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწ. 1. თბ., 1970.
4. გ. კილურაძე, ამერიკის შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში – წიგნში „ახალი ისტორია (1870-1918)“, ნაწ. 1. თბ., 1973.
5. გ. კილურაძე, ამერიკის შეერთებული შტატები 1898-1914 წლებში – წიგნში „ახალი ისტორია“, ნაწილი 2. თბ., 1975.
6. გ. კილურაძე, ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში – წიგნში „ახალი ისტორია“, ნაწ. 2. თბ., 1975.
7. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პერიოდიზაცია – „კლიო“, 25. თბ., 2005.

ლასქვნა

ამრიგად, როგორც ხედავთ, საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესების გარკვეულ ტრადიციას ჩაეყარა საძირკველი, რომელიც ძირითადად ამ პრობლემის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ამ დაინტერესებამ საკმაოდ დიდი, რთული და საინტერესო გზა განვლო. რა თქმა უნდა, ის იავარდებით მოფენილი არ ყოფილა. იყო წარმატებები, იყო ჩავარდნები. სწორი გზიდან გადახვევა. ასეთად მიგვაჩნია აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხების შესწავლასაბჭთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. წმინდა კონცეპტუალურად ეს ჩიხური გზა იყო. ისტორიას არ ხელენიფება უკანასკნელი ჭეშმარიტება. სწორი გზიდან გადახვევა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა). ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლების დაგვარად წინ წაეწია საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია, შესწავლა. ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებზე მშობლიურ ენაზე შეტად მწირი ლიტერატურა არსებობდა, რა თქმა უნდა, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამ ინფორმაციის შეუფასებლობა მიზანშეზონილი არ იქნებოდა. ეს შრომები, ძირითადად, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და მათი მნიშვნელობა მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ჩვენი აზრით,

ეს იყო მთავარი. პროგრამა მინიმუმი შესრულებული იქნა, რაც ქართული ამერიკანისტიკის წარმატებად მიღვანია. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა თუ მეტი ყურადღება დაეთმობოდა აშშ-ს ახალი ისტორიის მეცნიერულ კვლევას. ეს პროგრამა მაქსიმუმია. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებები თუ არ აღემატება არაფრით არ ჩამოვარდება ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყნის მიღწევებს. რა თქმა უნდა, ეს მწირი ინფორმაცია ძალიან ცოტაა, შეიძლება ნამცეცები იყოს, მაგრამ საინტერესოა და მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიით დაინტერესების სწორხაზოვანი გააზრება, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. რეალობა გაცილებით უფრო რთული და საინტერესოა. ამას აქვს მნიშვნელობა და აღნიშნული საკითხის უფრო ადეკვატური სურათის წარმოჩენაში დაგვეხმარება. ეს დაინტერესება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ერთფეროვან, ერთგვაროვან, ხასიათს და შეიძლება ითქვას, რომ საინტერესო სახეცვლილება განიცადა, რაც, საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალსაზრისის მიღმა რჩებოდა. ჩვენ შევეცადეთ ეს შეუსაბამობა გაგვესწორებინა. ქართული ამერიკანისტიკა როგორც ფორმით, ისე შინაარსით, საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პრობლემებით დაინტერესება თავდაპირველად პო-ბულარულ ხასიათს ატარებდა და, უპირატესად, ასახვა პოვა ქართულ პერიოდულ პრესაში, უურნალისტიკაში, პუბლიცისტიკაში. იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე, როდესაც აღნიშნულ თემებზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი ინერებოდა, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მას შემცნებითი

მნიშვნელობა გააჩნდა, რაც განაპირობებს მის ღირებულებას. მან, საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების უვერტურად, შესავალად, გაიუღერა.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიყვით, რომ ამ საკითხის პოპულარიზაციამ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. მას მძლავრი სტიმული მისცა 1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ და იმავე 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, აშშ-ის ახალი ისტორიის სწავლებამ, პოპულარიზაციამ და შესწავლამ ეროვნული ნიადაგი შეიძინა. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიით დაინტერესებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი მიიღო და, უმთავრესად ასახვა პპოვა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. იკვეთება აშშ-ს ახალი ისტორიის აქტუალური საკითხებისადმი მეცნიერული მიდგომის წანამდლვრები, კონტურები, სიმპტომები, რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯად გვევლინება. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, რა თქმა უნდა, აშშ-ის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის დროს სწორი მეცნიერული კურსი ჰქონდა არჩეული.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემით დაინტერესებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა და სხვა გზით წავიდა. უნდა ითქვას, რომ ამ დაინტერესებამ მეცნიერული ელფერი შეინარჩუნა, მაგრამ ცალმხრივ ხასიათს ატარებდა და მარქსისტული იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აյ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში დამყარდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის

მონოპოლია, დიქტატი. ამ ვითარების ერთმნიშვნელოვნად დადებითი, როგორც ეს იყო დომინანტი საბჭოთა ეპოქაში, ან უარყოფითი შეფასება, რაც, სხვათა შორის, შეინიშნება ზოგჯერ, დღეს, სწორხაზოვნად მიგვაჩნია და ამ რთული საკითხის შესახებ სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. საჭიროა უფრო დაბალნისებული მიდგომა, ოქროს შუაღულის მოძებნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ, გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის გვერდის ავლა, დაუნახაობა სწორი არ იქნებოდა. კრიზისი კონცეპტუალური ხასიათისაა. საკითხისადმი მარქესისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას, ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ის კონცეპტუალური ხასიათისაა. ეს, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ. საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აშშ-ს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ კიდევ ერთი მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა. ეს შრომები, აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაპრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად გვევლინება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაპრუნებას. აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ლირებულებებზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, უმთავრესად, ყურადღება ექცევა, რაოდენობას და არა თვისებრივ, ხარისხობრივ ცვლილებებს. მნიშვნელოვანნილად ალბათ ამით აიხსნება, რომ რაოდენობრივი ცვლილებების, თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი ძალიან გაჭიანურდა, ნელი ტემპით ხორციელდება. ქართულ ისტორიოგრაფიას, ამ თვალსაზრისით, წინ

დიდი და შრომატევადი სამუშაო აქვს შესასრულებელი. გაკეთებული ცოტაა. გასაკეთებელი უფრო მეტია.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებით ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესება, წმინდა იდეური, კონცეპტუალური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთფეროვან ხასიათს, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ კომუნისტური რეჟიმის დროს. მან საინტერესო ევოლუცია განიცადა, თავისუფალი აზროვნებიდან, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომიდან, პლურალიზმიდან, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებებიდან, მარქსიზმ-ლენინიზმისაკენ და შემდეგ პირიქით.

საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით გამრუდებული იქნა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლის საერთო სურათი. დადგა დრო ეს შეუსაბამობა გასწორდეს. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკანძო საკითხების სერიოზული მეცნიერული გაშუქების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდა საბჭოთა იდეოლოგია, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. იმ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ფაქტობრივად, ეს იყო საკითხისადმი ევროპული მიდგომა, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ მონაკვეთის ამოღება, ელიმინირება, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკანძო პრობლემების გაშუქების ისტორიიდან დამაჯერებელი არ უნდა იყოს და არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ამგვარი მიდგომა ძალიან პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. რეალობა სულ სხვაგვარია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების

ახალი ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია. ამ სფეროში დამოუკიდებელი საქართველოს ნვლილის სრული იგნორირება, უგულებელყოფა, საბჭოური მიდგომის მთავარ დამახასიათებელ თვისებად გვევლინება. ეს მონაკვეთი გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა. დავინყების მტვერმა დაფარა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ მონაკვეთს დაუბრუნეთ არსებობის უფლება. ვცადეთ ამ პერიოდში გამოცემული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია. ეს მონაკვეთი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლის მეორე პერიოდად უნდა მივწჩიოთ. საბჭოური მიდგომა არა მარტო მეცნიერულად იყო მცდარი, არამედ არაპატრიოტულიც გახლდათ.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩინა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, აშშ-ს ახალი ისტორიის აქტუალური საკითხებით დაინტერესების აკვანი დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ, 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებელის სულის ხსენების დღეს, გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში დაირნა. აი ასეთი იყო რეალობა, რაც ეკალივით ესობოდათ თვალში ბოლშევიკებს და ყოველნაირად ცდილობდნენ მის უგულებელყოფას, იგნორირებას. მათი მცდელობა ამოეშალათ ამ დარგში სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის მიერ 1918-1921 წლებში შეტანილი წვლილი, უნდა ითქვას, რომ სრული კრახით დამთავრდა. „სამართალმა პური ჭამა“. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. ყველა სიკეთე მარტო საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება.

აქ არის ერთი საინტერესო ნიუანსი, რომლის გვერდის ავლა, ალბათ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. თავდაპირველად, დასავლეთ ევროპის ისტორიისადმი ინტერესი ჭარბობდა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის სწავლება და შესწავლა შედარებით ჩრდილში იყო მოქცეული, რაც, უპირატესად,

იმით აიხსნებოდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ გვყავდა ამერიკის ისტორიის სპეციალისტი, ამერიკანისტი და ამ ხარვეზს, ძირითადად, ახალი ისტორიის სპეციალისტები ავსებდნენ. რა თქმა უნდა, ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. თანდა-თან მოხდა ამ ინტერესების დაბალანსება. ეს თანამედროვე ქარ-თული ისტორიოგრაფიის პლუსია. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამაში დიდი წვლილი ამერიკის შესწავლის ცენტრის დაარსებას მიუძღვის. ეს ამ დარგის ისტორიაში ეტაპობრივი მოვლენა იყო.

საქართველოში, მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების დამუშავების საუკეთესო პერიოდად ამ პრობლემით საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესება კი არ მიგვაჩნია, არამედ სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. ამ პრობლემატიკის დამუშავების საქმეში საქართველოში სწორი კურსი ჰქონდათ ალებული. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და ევროპული, პირველ რიგში კი, ცხადია, რუსული ისტორიოგრაფიის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი იყო. ეს არის ევროპული მიდგომა, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იმ პერიოდში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ამის ნათელ ილუსტრაციად მიგვაჩნია. შემდგომში ქართული ისტორიოგრაფია, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, იძულებული იყო გადაეხვია არჩეული კურსისთვის და სულ სხვა გზით წასულიყო, რომელიც ეს არაერთგზის აღგვინიშვნას, ნინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. დღეს, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს კვლავ დაუბრუნდეს სწორ გზას.

დაბოლოს საინტერესოა აღინიშნოს, რომ სრულიად განსხვავებული იყო მეცნიერებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ. თავდაპირველად სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერების საქმეში და ძალად არ

ახვევდა თავს მისთვის სასურველ იდეოლოგიას. ეს იყო სწორი მიდგომა. არსებითად შეიცვალა ვითარება საქართველოს გასაბჭოების მერე. სახელმწიფო აქტიურად ერეოდა მეცნიერების საქმეში და ცდილობდა უხეში მპრანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით, თავს მოეხვია მეცნიერისთვის სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. საბჭოური მიდგომის მთავარი ნაკლი სწორედ ამაში მდგომარეობდა. თავისუფალი აზროვნება, პლურალიზმი ჩაანაცვლა მარქსისტულ-ლენინული იდეოლოგიის მონოპოლიამ, დიქტატმა, მონიზმა. ეს მეთოდოლოგიური, კონცეპტუალური ჩიხი იყო. დღეს ქართული ისტორიოგრაფია არ განიცდის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზენოლას, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, წინგადადგმული ნაბიჯია თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების ვარდისფერებში წარმოჩენა, ალბათ, მიზანშეწოლილი არ იქნებოდა. წარმატებებთან ერთად, არის პრობლემები, რომლის წაყრუება, გვერდის ავლა, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, ასეთად რაოდენობრივი ცვლილებების, თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდა გვესახება.

როგორც ხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში პრიორიტეტი ენიჭება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციას და არა მეცნიერულ კვლევას. ეს იყო პრაგმატული და სწორი მიდგომა, რაც ქართული ამერიკანისტიკის მთავარ ღირსებად გვევლინება. ამ მიმართულებით შემდგომი წინსვლა, პროგრესი, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის თვისებრივი, ხარისხობრივი, გაუმჯობესება. ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ს ა რ ჩ ი ვ ი

შესავალი.....	5
პარი პირველი	
ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში	9
თავი I	
საქართველოში აშშ-ს ახალი ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები	11
თავი II	
ამერიკის აღმოჩენის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში	25
თავი III	
ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში	60
თავი IV	
ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორიის შესწავლა საქართველოში	71

თავი V

XIX-XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის შეერთებული შტატების
ისტორიის შესწავლა საქართველოში 109

პარი მეორე

ქართველი ისტორიკოსები ამერიკის შეერთებული შტატების
ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე 177

თავი I

გიორგი წერეთელი ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური
ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ომზე 179

თავი II

დიმიტრი უზნაძე ამერიკის ახალი ისტორიის საკითხებზე..... 189

თავი III

ალექსანდრე ნამორაძე – აშშ-ის ახალი ისტორიის საკვანძო
საკითხების პოპულარიზაციის მესაძირკვლე 209

თავი IV

გივი კილურაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები.....239

დასკვნა 253

საგამომცემლო ჯგუფი

თბილისი
სოჭო კოშიაშვილი
ლიკა სხირტლაძე
ალექსანდრე ჯიძურიძე

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5. 225-05-22, 291-22-83, 5(93) 25-05-22.

www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge